

წინამდებარე წიგნში მკითხველი გაეცნობა თანამედროვე შვედი მწერლის, ლაგერკვისტის რომანს „ჭუჭა“ (1944). მოქმედება მიმდინარეობს იტალიაში, ალორძინების ეპოქაში, მაგრამ მწერალი აქ უფრო თანამედროვეობას გულისხმობს. ქვეყნის გამგებელნი თავის ირგვლივ ბორბლებას თესავენ, თავის ბატონს — ჰერცოგს არ ჩამორჩება ჭუჭაც — სასახლის ტაქომასხარა, თხრობა რომანში მისი პირით მიმდინარეობს და ეს, როგორც ჩანს, შემთხვევით არ ხდება. არცთუ ხანდაზმული, მაგრამ გამოცდილებით „დაბრძენებული“ ჭუჭა დარწმუნებულია, რომ ამქვეყნად პირველშობილების უფლება მას და მის თანამოგვარეებს ეკუთვნით, თავისუფლად და გაშარებულად მაძავეს ბატონების ქცევისა და ჩვეულებებს და აჩვენებს მათ ორჭოფულ ხასიათს, იმასაც, თუ როგორ ფარავენ ისინი თავის ნამდვილ სახეს.

პირველი გამოცემა

თარგმნა ეთერ თვარაკიძე

© „ნაკადული“ 1987 წ.

70304—114
 JI M 603(08) 118—87



სიმაღლე გვარიანი მაქვს — 26 ღუმი, სხეულიც კოხტა დამყვა, ეგ არის მხოლოდ, თავი ჩანს ოდნავ დიდი, თმა წითური მაქვს, თანაც ძალზე სქელი და ხეშეში, უკან გადავარცხნილს ვატარებ და ფართო, თუმცა არცთუ ისე მაღალი შუბლი მომიჩანს. წარბები გადაბმული მაქვს, წვერი არ მეზრდება, თორემ სახით სხვა მამაკაცებისაგან არაფრით განვსხვავდები. ერთობ ღონიერი ვარ, მეტადრე მაშინ, როცა გავბრაზდები. ერთხელ მე და იოსაფატი შეგვაჯიბრეს, ოც წუთში ძირს დავანარცხე და მივახრჩე, მას აქეთ სასახლის კარზე მელა დავრჩი ქონდრისკაცი.

ჩემისთანა ჯუჯები უმეტესწილად მასხარები არიან, ისეთები, დღენიადავ ათასი სისულელე რომ უნდა დაროშონ და მანჭვა-გრეხითა და ლაზღანდარობით შეიქციონ თავიანთი ბატონები და მათი სტუმრები. მე ასერიგად არასოდეს დამიმცირებია თავი, თუმცა მსგავსი რამ არც შემოუთავაზებიათ, ალბათ, სჯამისოდ რაღაც ბორკავდათ ჩემში. ეს გასაგებ-ცაა, ჩემი გარეგნობის პატრონს არ შეპფერის სხვათა გასართობად ღმეჭა-ღრეჭა, გარდა ამისა, სახეც კუშტი მაქვს, სიცილს ვერ ვეწყობი და არც არასოდეს ვიციანი.

ერთი სიტყვით, ტაკიმასხარობას ნუ მომაჩეშებთ, მე მხოლოდ

ჯუჯა ვარ, მხოლოდ ქონდრისკაცი, როგორც მოგახსენეთ, პამპულა არასოდეს ვყოფილვარ, თუმცა ენამახვილობას კი დავიქადნი, ჩემი ქოსწრებული სიტყვა ეგება ართობდეს კიდევ ვილაღ-ვილაღებს სასახლეში, მაგრამ ეს სრულებითაც არ იძლევა იმის საბაბს, ვინმეს ტაკიმასხარად მივაჩნდე.

ზემოთ ვთქვი, სხვა მამაკაცებისაგან არაფრით განვსხვავდები-მეთქი, მაგრამ საქმე მთლად ასეც არ არის, სახე ერთიანად ნაოკებით მაქვს დაქსელილი, არ გეგონოთ, ამას ნაკლად მივიჩნევდე. ასეთი გაეჩნდი ამქვეყნად და სულაც არ მადარდებს, თუ ირგვლივ-მყოფთაგან რამით გამოვიჩნევი. ჩემი სახე უხინჯოდ და შეუღამაზებლად წარმოაჩენს იმას, რაცა ვარ და, თუ როგორც ამბობენ სახე აღამიანისათვის ნიღაბია, მოხარული ვარ, რომ ამგვარი ნიღაბი ბედმა მე არ მარგუნა სატარებლად.

ნაოკებით მოფხუწული სახის გადამკიდე კარგა ხნიერი ეჩანვარ თუმცა სინამდვილეში არც ისე დიდი ხნისა ვარ. როგორც ვიცი, ჯუჯები, უფრო ადრეული წარმოშობისა ვართ იმ ხალხებთან შედარებით, ამჟამად რომ სახლობენ დედამიწაზე, ამიტომაც არის, რომ ოდითვე ხანმოთეულებივით გამოვიყურებით. ვერ ვიტყვი, რამდენად მართალია ყველაფერი ეს, მაგრამ, თუ მართლაც ასეა, მაშინ ამქვეყნად პირველშობილობის უფლება ჩვენ გვეკუთვნის, პირადად მე მსიამოვნებს, სულ სხვა მოდგმისა რომ ვარ და რომ ჩემი გარეგნობა ამას ადასტურებს.

ჩემს ირგვლივ ყველანი უსახონი მეჩვენებიან.

ჩემი ბატონები ნამეტნავად მწყალობენ, განსაკუთრებით ჰერცოგი, ძლევაშოსილი, განდიდებული და ფართო ზრახვების მქონე ადამიანი, ვისაც გულიც ერჯის და აალაც შესწევს ამ ზრახვების განსახორციელებლად. ჰერცოგი ენერგიული, მხნე, მალღად მხელი და განათლებული ხელისუფალია, მას ყველაფრისთვის შეუძლია დროის გამონახვა, ძალიან უყვარს მსჯელობა და საუბარი. საუბრისას მარჯვედ ნიღბავს თავის აზრებს, ვერ გაუგებ, რა შეხედულებისა და თვალსაზრისის კაცია.

მე თუ მკითხავთ, ცოტა უცნაურიც კია, ამდენი რამ რომ აინტერესებს — თუკილა მართლა აინტერესებს — კაცს ეგონება, ამქვეყნად ყველაფერში ერკვევა და ყველაფერი იცისო. მაგრამ ეგება ასეც არის საჭირო, ჰერცოგის ინტერესები, მისი გონება ხომ უამრავ რამეს უნდა სწვდებოდეს და მოიცავდეს.

ვგრავინ უარყოფს, რომ ჩემი ბატონი ღრმა პატივისცემას იმსახურებს. იგი ერთადერთი ადამიანია, ვისდამიც სიძულვილს არა ვგრძნობ:

ისიც უნდა დავძინო, რომ ძალზე არაგულწრფელია.

ჩემს ბატონს საკმაოდ კარგად ვიცნობ, მაგრამ იმას კი ვერ ვიტყვოდი, ზედმიწევნით ვიცნობ-მეთქი, იგი რთული ბუნების კაცია, არცთუ ისე იოლად ამოსაცნობი, არ იქნებოდა სწორი იმის მტკიცება, თითქოს რაღაც იდუმალამოუცნობს ფარავდეს გულში, სულაც არა, მაგრამ გასაღებს ძნელად მოარგებს კაცი. მართალი მოგახსენოთ, ზეირიანად ვერაფერი გამიგია მისი და თავადაც მიკვირს, რად დავდევე კვალში ასე ძალღუერი ერთგულებით. მაგრამ აკი ჰერცოგსაც არაფერი ესმის ჩემი.

მე სხვებივით როდი ვეკრძალვი მას, ისიც უნდა ვთქვა, რომ მსიამოვნებს ვემსახურო ბატონს, ვისაც ყველანი ასე განუზომელი რიდიტა და მოწიწებით ეპყრობიან, მე არ უარვყოფ, რომ ჰერცოგი დიდი ხელისუფალია, მაგრამ მისივე ქონდრისკაცის თვალში ვინ შეიძლება იყოს დიდი?

ლანდივით განუშორებლად დავდევე უკან ჩემს ბატონს.

ჰერცოგინია თეოდორა სულით-ხორცამდე ჩემზეა მონდობილი, მე მისი შესაიდუმლე ვარ და ნამუხსაც ენთგულად ვუნახავ. ძეხორციელთან სიტყვაც კი არ დამცდენია და თუნდაც ძელზე გამსვან ან წაძებით სული ამომხადონ, საიდუმლოს გულიდან ვერაფერს ამომაცლის, თუ რატომ ვიქცევი ასე, ამაზე თავადაც ვერაფერს გეტყვით. მძაგს ეს ქალი, დღენიდაც ვნატრობ მის სიკვდილს, მინდა ვხედავდე, როგორ იხრუკება ჯოჯობეთის ცეცხლში და როგორ ლოკავს ალი მის ბილწ წიაღს. მეზიზღება მისი შებილწული ცხოვრება, მისი უისრცხვილო წერილები, მევე რომ უნდა ვაახლო მის კუროებს, მისი ნაჩუმათევი საალერსო სიტყვები, ლადარივით რომ მიბუგავს მკერდს კამზოლქვეშ. მძაგს-მეთქი, მაგრამ მაინც არ ვავთქვამ, თუშცა მისი წყალობით ჩემი სიცოცხლე მუდმივად ბეწვზე ჰკიდია.

როდესაც ჰერცოგის მეუღლე თავის პალატში მიხმობს, მიხმობი ჩურჩულით თავისი საჩოთირო საქმეების მოგვარებას მავალებს, და თანაც კამზოლქვეშ იმ წაბილწულ წერილებს მიჩურთავს, მთელი სხეული მიძაგძაგებს და გულზე სისხლი მენტხევა, მაგრამ თავად ვერაფერს ამჩნევს, არც ის ამბავი აფიქრებს, რომ მისი დავალება, შესაძლოა, სიცოცხლის ფასად დამიჯდეს. რა ენაღვლება, ის საშინელი საფრთხე ხომ მე მემუქრება და არა მას. თეოდორა მხოლოდ იღიმის თავისი მოუხელთებელი ღიმილით და მიძაჩინდრიკებს, საითაც მოგეუნებება, სიკვდილთან შესაყრელად მისტუმრებს. სულ ფეხებზე ჰკიდია, მისი ფარული ცხოვრების ათასგზისი მოწმე რომ ვხდები, მაგრამ ეს კია, უსაზღვროდ მენდობა.

მუდამ მეზიზღებოდნენ თეოდორას კუროები, ერთი სული მქონდა, ყოველ მათგანს ვცემოდი, ხანჯლით გამეგმირა და სისხლის ცქერით მზერა დამეტკბო. ყველაზე მეტად მაინც დონ რიკარდო მეჭავრება, ჰერცოგის მეუღლე არა ერთი წელია მას საყვარლობს და, მგონი, არც აპირებს განშორებას. რიკარდო საშინლად მეზიზღება.

ზოგჯერ თეოდორა საწოლში მწოლარევე მიხმობს თავისთან, ერთი ბეწო რიდიც კი არა აქვს ჩემი. იგი არც ისე ახალგაზრდაა და კარგად ვხედავ, როგორ მომჩვენარვია მკერდი. ბალიშზე ნებივრად მისვენებული, თავს იქცევს სამკაულებით. სათითაოდ იღებს ძვირფას ნივთებს ზარდახშიდან, მის წინ მოახლეს რომ უჭირავს და დიდხნობით ათვალეირებს. ვერ გამიგია, როგორ შეიძლება ამ ქალის შეყვარება, არაფერი აქვს ისეთი, მამაკაცი რომ მიიზიდოს.

მეკითხება, როგორ ფიქრობ, დღეს რომელი სამკაულის ასხმა მიჭობსო. დღემუდამ ამ კითხვით მომმართავს, სამკაულებს თავის ნატიფ თითებს შორის დააცურებს და აბრეშუმის მკერვივი საბურველის ქვეშ ზანტად იზმორება. ეს ქალი როსკიპია, ჰერცოგის ფართო, დიდებულ საწოლში ჩათბუნებული ბოზი. ტრფობა მისი სიცოცხლის არსია. სიყვარულსაც სამკაულებივით თითებს შორის დააცურებს და თავისი მოუხელთებელი ღიმილით დაჰყურებს, თუ როგორ იღვევა და იშრიტება იგი თანდათანობით.

ასეთ წუთებში ადვილად იპყრობს სევდა ან იქნებ უბრალოდ თავს ისევდიანებს, სახემიბნენილი ისინჯავს ყელზე ოქროს ძეწკვს. მსხვილი ბადახში კონწიალებს ჭერ ისევ ლამაზ ძუძუებს შორის. როგორ ფიქრობ, შევიბა თუ არა დღეს ეს ძეწკვი? — მეკითხება. მთელი საწოლი გაუღენთილია ამ ქალის სუნიტ. გულისრევამდე შივეყავარ ამ სუნს, მეზიზღება თეოდორა, სიხარულით ვნახავდი შთავარდნილს ჟოჯოხეთის ცეცხლში, მაგრამ პასუხს ვუბრუნებ და ვეუბნები, უკეთესის შერჩევა გაჭირდებოდა-მეთქი. თეოდორა მადლიერ მზერას მესვრის, თითქოსდა მისი სევდა გამეზიარებინოს და ნალველნარევი შვება მიმეგოს. ზოგჯერ მეტყვის ხოლმე, ჩემი ბოროტი მეგობარი ხარო, ერთხელ ისიც კი მკითხა, გიყვარვარ თუ არაო.

ზედება რამეს ჰერცოგი? ყველაფერი იცის? არაფერი უწყის?

მე მგონი, იგი არასოდეს დაფიქრებულა იმაზე, თუ რა ცხოვრებით ცხოვრობს მისი ცოლი სხვათაგან დაფარულად, თუმცა, ვინ იცის? ჩემს ბატონზე დაბეჯითებით ვერასოდეს ვერაფერს იტყვი. ჰერცოგისთვის ეს ქალი მხოლოდ იმ სახით არსებობს, როგორსაც დღისით ხედავს, რადგან თავად დღის კაცია და მანში

ყველაფერი თითქოს დღის ბრწყინვალე ფერებით არის აჩანჩახებული. პირდაპირ საოცარია, რომ ვერაფერს ვუგებ ისეთ ადამიანს, პერცოგი რომ არის, ეგება ეს მიტომაც ზდება, რომ მისი ჭუჭყა ვარ, მისი ჭონდრისკაცი. ზემოთ უკვე ვთქვი და აბლაც ვიმეორებ, პერცოგსაც არაფერი ესმის ჩემი. თეოდორა უფრო იოლი ამოსაცნობია ჩემთვის, რადგან თვალის დასანახავად მძულს. ვინც არ გეჭავრება, მისი უფრო ცუდად გესმის, ვერაფრით ჩასწვდები ასეთი ადამიანის ბუნებას.

როგორ ექცევა პერცოგი თავის ცოლს? სხვათაებრ თვითონაც მისი კუროა, თანაც ნამდვილი და ერთადერთი? იქნება ამიტომაც არის ყურდაყრუებული ცოლის ნამალავ-ნაჩუქათევზე? ამ კაცის საქციელს შოთმინებიდან გამოვყავარ, თვითონ კი თითქოს განუჩეველია ყველაფრის მიმართ. ჩემთვის ამოცანაა ეს მშვიდი ბუნების ადამიანი, მისი შემწყნარებლობა მაშმაგებს და დღენიდავ წონასწორობას მაკარგვინებს, რა ამბები დატრიალდებოდა, პერცოგს ჩემი ხასიათი რომ დაჰყოლოდა!

ჩვენი სასახლე ყოვლად უცნაური და უსაქმური ზალბით არის გაკედლილი. ბრძენკაცნი საათობით სხედან ხელებში თავჩარგულნი და ფიქრს მისცემიან, იმედღს ნაბუტით, ეგება ჩავწვდეთო სიცოცხლის არსს. სწავლულებს სჯერათ, რომ თავისი ბებრული, ამღვრეული თვალეებით შეუძლიათ მზერა მიადევნონ ციურ მნათობებს, რომლებიც ვითომდა განსაზღვრავენ ადამიანის ბედს, და დააკვირდნენ მათ გზა-სავალს; აქვე არიან უსაქმურნი და გაქნილგაიფერებაც, მთელი ღამეები რომ უკითხავენ სეფექალებს თავიანთ უნიათო ლექსებს, გამთენიისას კი ღამის გულ-ბოყვი დაუსკდეთ თხრილებში რწყევით. მახსოვს, ერთი ასეთი პოეტი ზედ თხრილშივე წამოაგეს ხმაღზე, მეორეს კი როზგები უჭირეს კავალერ მიროშელზე გამჭირდავი ლექსის შეთხზვისთვის. სასახლეშივე არიან მხატვრები, ბილწი ვაჰრუქანები, ეკლესიებს რომ ავსებენ წმინდანთა გამოსახულებებით, ხუროთმოძღვრები და ოსტატ-მხატვრელები. ამ უკანასკნელთ ახლა ნაბრძანები აქვთ, ტაძართან ახალი კამპანილეს* მშენებლობას შეუდგნენ; სასახლეში მრავლად არიან აგრეთვე ყველა ჭურის ნათელმზილველნი და შარღატანები. მთელი ეს უსაქმურად მოყიალე ბრბო თავის ნებაზე გამოჩნდება და უჩინარდება ხოლმე. ზოგიერთები კი დიდხნობით რჩებიან აქ. მათ თავი ახლობლებად და შინაურებად მოაქვთ და პერცოგის ხელგაშლილობით სარგებლობენ.

* კამპანილე — სამრეკლო. შუა საუკუნეებსა და აღორძინების ხანაში იტალიაში, ჩვეულებრივ, სამრეკლოს ტაძრისაგან განცალკევებით აგებდნენ.

ვერ გამოვიდა, რაში ესაჭიროება ჩემს ბატონს ეს ამდენი ნაძი-
რალა ან როგორ შეუძლია საათობით უსმინოს მათ სულელურ
ყბედობას, ჰო, კაცმა შეიძლება ორიოდ საათით პოეტებს გაართო-
ბინოს. თავი — რა პოეტები და რა მასხარები — ასეთები ყოველ-
თვის ჰყავთ სასახლის კარზე, ისინი ზოტბას ასხამენ ადამიანის სუ-
ლიერ სიწმინდეს და ამაღლებულ ზნეობას, საგმირო საქმეებსა და
მნიშვნელოვან მოვლენებს. აქ უკვე ველარაფერს იტყვი, განსა-
კუთრებით მაშინ, თუ ეს პოეტები თავიანთ ლექსებში ბატონს
უქარგავენ ენას. ადამიანისთვის უქველად საჭიროა ვინმე გუნ-
დრუკს უქმევდეს, სხვაფრივ ვერც სახელს მოიხვეჭს და ვერც დი-
დებით შეიმოსება, ის კი არა, თავის საკუთარ თვალშიც ვერ ამაღ-
ლდება. აწმყოშიც და წარსულშიც ცოტა რამ და ცოტა ვინმე რო-
დია განდიდებული და შარავანდით მოსილი, და სულ იმიტომ,
რომ პოეტების მიერ იყენენ ზოტბაშესხმულნი... პოეტები, პირველ-
ყოვლისა, განადიდებენ სიყვარულს და, რა თქმა უნდა, ეს მარ-
თებულიც გახლავთ, რადგან სიყვარული ყოვლის უმეტეს საჭირო-
ებს შელამაზებას, რათა თვალი დაუხუჭონ იმას, რაც სინამდვილეში
ზდება, მანდილოსნები მეყსეულად დანადგლიანდებიან და მიძი-
ოხვრისაგან მკერდი აუთრთოლდებათ. მამაკაცებს ფიქრიანი და
გამპოლი მზერა უხდებათ... ვინაიდან ყველაშ შესანიშნავად უწყის
საქმის ჭეშმარიტი არსი. მაშასადამე, რაკი ასე შეგვაფორიაქა
ლექსი მართლაც შესანიშნავი უნდა იყოსო, ბჭობენ ისინი.

ჩემთვის გასაგებია აგრეთვე, რომ უნდა არსებობდნენ მხატ-
ვრები, რომელნიც მდაბიორთათვის დახატავენ წმინდანთა გამოსა-
ხულებებს, რათა ადამიანებს შეეძლოთ მათი გაღმერთება. გასაღ-
მერთებელნი არიან არა მათებრ მათხოვრები და გლაზაქნი, არამედ
ლამაზი და ნატიფი ხატები მოწამეთა, რომელთაც იმქვეყნად უკვე
მიიღეს თავიანთი საზღაური — აცვიათ მდიდრული სამოსი და
თავზე ნათელი წამოსდგომიათ. ხალხმა უნდა იწამოს, რომ მათაც
მიეგებათ მსგავსი პატივი, როდესაც თმობა-შეჭირვებით გაასრუ-
ლებენ ამქვეყნიურ ცხოვრებას.

არის აგრეთვე ხატები, თვალნათლივ რომ უჩვენებს ბრბოს,
თქვენი ღმერთი ჯვარს აცვეს, როდესაც ეწადა რალაც მოეხდინა
ამ ცხოვრებაში, მაშასადამე, ხალხმა აქ, ამ ცოდვილ მიწაზე არაფ-
რის იმედი არ უნდა იქონიოსო.

ამგვარი პრიმიტიული ხელოსნები ყველა ხელისუფალსა და
გამგებელს სჭირდება, მაგრამ ვერ გამოვიდა, რა ესაქმებათ მათ სა-
სახლეში. სწორედ ეს ხელოსნები არიან, ხალხისთვის რომ აგებენ
რალაც სავანეს, ტაძარს, ლამაზად გაშვენებულ ჭურღმულებს, სა-

დაც, როცა მოეგუნებებათ, მაშინ შეუძლიათ შევიდნენ და სულიერ სიმშვიდეს ეზიარონ და, სადაც დასაბამითვე ჯვარზეა გაკრული მათი ღმერთი.

ეს ყველაფერი. ჩემთვისაც გასაგებია, რადგან მეც ქრისტიანი ვარ, მონათლული და მირონცხებული იმავე სარწმუნოებით.

ჩემი ნათლობა კანონიერ იყო, თუმცაღა თავშესაქცევად მონათლეს ჰერცოგ გონზაგოსა და დონა ელენეს ქორწინების დღეს, ვითარცა მათი პირმშო. მოსანათლად სასახლის ტაძარში წამიყვანეს და ემბაზში ჩამსვეს, აქაოდა, პატარძალმა ზედ ჯვრისწერის დღეს, ყველას გასაოცრად, იმშობიარაო. ჩემი ყურით მომისმენია, როგორ ჰყვებოდნენ ამაზე და რა სასაცილოდ და თავშესაქცევად მიაჩნდათ ჩემი მონათვლის ამბავი. ყველაფერი მართლაც ასე მოხდა, შემიძლია ამის დამოწმება, როცა მომნათლეს, ესე იგი, როდესაც ჰერცოგმა ამ ცერემონიისთვის მათ ჩემი თავი დაუთმო, უკვე თერამეტი წლისა გახლდით.

ის კი სრულიად ამოუხსნელია ჩემთვის, როგორ შეიძლება საათობით იჯდე და უსმინო ამ ვაიფილოსოფოსებს, ღრმააზროვნად რომ ბქობენ სიკვდილ-სიცოცხლის რაობასა, თუ რაღაც მარადიულ საკითხებზე. გულს შირევეს მათი ტარტარი სიკეთეზე, პატიოსნებასა და რაინდობაზე. ვერც იმას მივმხვდარვარ, რატომ უნდა ათხოვო ყური იმათ, ვისაც წარმოუდგენია, თითქოს რაღაც იცის ვარსკვლავებზე, ვინც ფიქრობს, რომ ერთგვარი კავშირი არსებობს ციურ მნათობებსა და ადამიანების ბედს შორის. ესენი ღვთის მგმობელები ბრძანდებიან, თუმცა არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე, არსებობდა რაში მდგომარეობს ეს მათი ღვთისმგმობლობა... მე ამ ფილოსოფოსებს ნამდვილ ტაკიმასხარებად ვთვლი, თუმცა ეს არც თვითონ და არც სხვებს ფიქრადაც არ მოსდით, მათ არავინ დასციინის და არც მათი მონაჩმახი მიაჩნიათ თავშესაქცევად და სასაცილოდ. არავინ უწყის, რად აჩერებენ სასახლეში ამ ყალთაბანდებს, მაგრამ ჰერცოგი ამ ხალხს ისე უგდებს ყურს, კაცს ეგონება, რაღაც ღრმა აზრებს ისმენსო. ზის ფიქრში წასული, მალიმალ წვერზე ხელს ისვამს და მიბრძანებს ხოლმე, ბრძენკაცთ ღვინით ავუვსო ვერცხლის თასები — თვითონაც ისეთივე თასით სვამს — ზოგჯერ სიცოციც გაისმის, ეს მაშინ, თუ ვინმე მუხლებზე და მისვამს, რომ ღვინო უფრო მარჯვედ დაუუსხა. ვის შეუძლია იცოდეს რამე ვარსკვლავებზე? ვის ძალუძს მათი საიდუმლოს ამოხსნა? ამ უსაქმურებს ხომ არა? მათ ჰგონიათ, სამყაროსთან გასაუბრება შეგვიძლიაო და ხარობენ, თუ ბრძნულ პასუხებს მიიღებენ. გაშლიან ვარსკვლავიანი ცის რუკებს და წიგნივით კითხულო-

ბენ. მხოლოდ ეს წიგნი მათივე დაწერილია, ვარსკვლავები კი ისევ ისე მიჰყვებიან თავის იდუმალ გზას და სულ ფეხებზე ჰკიდიათ ამათორჟეები.

ლამის წიგნში მეც ვკითხულობ, მაგრამ აზრის ამოხსნას არ ვიკისრებ, ნაწერს ვარჩევ, მაგრამ ვგრძნობ, არ შეიძლება მისი თარგმანება და ჩემი სიბრძნეც სწორედ ესაა-

ვარსკვლავთმრიცხველები თეთრად ათენებენ ხოლმე ღამეებს ციხე-დარბაზის დასავლეთ კოშკში. სხედან იქ თავიანთი ჭოგრატებითა და კვადრანტებით და ეჩვენებთ, თითქოს სამყაროს უკავშირდებიან. მე მათ მოპირდაპირე კოშკში მაქვს ბინა, აქ ძველთაძველი სენაკია ჯუჯებისათვის, მას შემდეგ, რაც იოსაფატა დაეპარჩე, სულ მარტოკა ვარ, — ჰერი დაბალია, სწორედ ჯუჯების შესაფერი, ფანჯრებიც სათოფურების ხელა თუ იქნება. ადრე აქ მრავლად ცხოვრობდნენ ქონდრისკაცები. ისინი ყოველი მზრიდან, თვით უმოარესი ქვეყნიებიდანაც კი ჩამოჰყავდათ, თვით მავრების სახელმწიფოს ჩათვლით: მათ საჩუქრად აგზავნიდნენ ჰერცოგები, პაპები და კარდინალები, ან სულაც ისე იძენდნენ. ჩვენ, ქონდრისკაცებს, არ გავგაჩნია მშობლიური კერა, არც დედ-მამა გვყავს. უჩუმრად და მალულად მოვდივართ ამქვეყნად, უცხოთა მიერ ნაშობნი. ჩვენთვის სულ ერთია, სად გავჩნდებით, სულ ერთია ვინ გავგაჩენს, თუნდაც უბადრუკ ღატაკთა შორის ვიშვათ, ოღონდ კი ერთიანად არ ამოვწყდეთ, არ გადავშენდეთ! როდესაც ჩვენი შემთხვევითი მშობლები გასაცნაურებენ, ვინ გააჩინეს, ადგებიან და ხელმწიფეებს ტაქიმასხარებად მიგვასალებენ, რათა ჩვენი სიმახინჯით გავართოთ. მეც ასევე დამემართა, დედაჩემმა, როცა ნახა, ვინ შეეძინა, ოც ესკუდოდ მიმყიდა ვილაცას. აღებული ფულით სამი წყრთა ქსოვილი და ქოფაკი იყიდა, ქსოვილი, ალბათ, საჭიროებისამებრ შოიხმარა, ქოფაკი კი ცხვრებს მიუყენა.

ციცქნა ფანჯარასთან ვზივარ და იმ ვარსკვლავთმრიცხველებით გამომდელად ვუჭკრიტიწებ ღამეს. მე სულაც არ მესაჭიროება ჭოგრიტები, უამისოლაც საკმაოდ მზერაგამჭირაზი გაზღავართ და ღამის წიგნში მეც შემიძლია უამრავი რამ ამოვიკითხო.

ძალიან უბრალოდ შეიძლება იმის ახსნა, თუ რატომ სურს ჰერცოგს მრავლად ჰყავდეს სწავლულნი, მხატვრები, ფილოსოფოსები და ვარსკვლავთმრიცხველები. უნდა, მისმა სასახლის კარმა სახელი და დიდება მოიხვეჭოს მთელ დუნიაზე, თავად კი საყოველთაო აღიარება მოიპოვოს. აქ გაუგებარი არაფერია, რამდენადაც ვხვდები, ყველა ხელისუფალი, შეძლებისდაგვარად, ამასვე ისურვებდა.

ძალიან კარგად მესმის ჰერცოგის და სავსებით ვეთანხმები მის აზრს!

კონდოტიერი ბოკაროსა ქალაქს ჩამოვიდა და თავისი მრავალრიცხოვანი ამალით ჭერალდის სასახლეში დაბინავდა. ეს სასახლე ჭერალდის ოჯახის გაძევების შემდეგ კაი ხანს იყო დაცარიელებული. ბოკაროსა ჩვენს ჰერცოგს ეახლა და რამდენიმე საათს მასთან განმარტოებით დაჰყო. მათთან შესულა ყველას ეკრძალებოდა.

ბოკაროსა ქვეშარიტად დიდი და სახელოვანი კონდოტიერია.

კამპანილეს მშენებლობა დაიწყო, ჩვენც იქ ვიყავით და ვუცქერდით, როგორ მუშაობდნენ მუშები და ოსტატები. კამპანილე სიმაღლით ტაძრის გუმბათს ბევრად გადააჭარბებს და როცა ზარებს დაარისხებენ, კაცს ეგონება, ხმა ციდან ეშვებაო. მართლაც რომ შესანიშნავი ჩანაფიქრია!

ეს სამრეკლო ყველა სამრეკლოზე მაღალი იქნება იტალიაში.

ჰერცოგი შეტად გატაცებულია ახალი მშენებლობით. მან ადგილზე ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი ესკიზებს და აღტაცებული დარჩა ბარელიეფებით, რომელთაც ამკობდა სცენები ჭარცმულის ცხოვრებიდან. ახლა ეს ბარელიეფები კამპანილეს საყრდენს ამშვენებენ, ამაზე შორს საქმე ჭერ არ წასულა.

შესაძლოა, მშენებლობა სულაც ვერ დაასრულონ. ჰერცოგის მიერ ჩაფიქრებული მრავალი ნაგებობა ასევე დაუშთავრებელი რჩება და დიდი ჩანაფიქრი ლამაზ ნანგრევებად იქცევა ხოლმე, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ნანგრევებიც შეიძლება გამოადგეს ძეგლად ჩანაფიქრის ავტორს, მე კი ყოველთვის ვიტყვი, რომ ჰერცოგი დიდი ხელისუფალი და გამგებელია. როდესაც ჰერცოგი ქუჩაში შიაბიჯებს, მეც სიამოვნებით მივყვები გვერდით. ყველანი მაღლა იშზირებიან, მას შეჰყურებენ და მე ვერ მაძინევენ, მაგრამ ამას აინუნშიაც არ ვაგდებ. ხალხი ისე მოწიწებით ესალმება ჰერცოგს, თითქოს იგი ერთი უმაღლეს არსთავანი იყოს. მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ხალხი მხდალი და მონურად მორჩილი ბრბოა და არა იმიტომ, თითქოს ჰერცოგი ნამდვილად უყვარდეთ ან თავყანს სცემდნენ, როგორც ჩემს ბატონს ჰგონია. აბა, ერთი ქალაქში შარტოკა გამოვიჩნდე, თუ მაშინვე არ მკიდონ თვალი! მივდივარ ჩემთვის ქუჩაში და ათას სისაძაგლეს მომძახიან: „აჰა, ეს ხომ ჰერცოგის ჭუჭაა! ამას რომ ჰიტლაყს ამოჰკრავ, თუნდ ჰერცოგი გაგიპანღურებია!“ გაპანღურებას ვერ მიბედავენ, სამაგიეროდ შკვდარ ვირთხებს და ყოველგვარ საძაგლობას მესვრიან და როცა გაცეცხლებული დაშნას ვიშიშვლებ, სიცილით იხოცე-

ბიან. „ჰო, რა ძლევამოსილი მბრძანებელი გყავს!“ — მიყვირიან. მე თავის დაცვა არ ძალმიძს, რადგან სხვადასხვა იარაღით ვიბრძვით, ამიტომ იძულებული ვხდები, გაქცევით ვუშველო თავს. თავით ფეხებამდე ნაკვით ვარ გაძუნძვული.

ქონდრისკაცმა ყოველთვის თავის ბატონზე მეტი იცის!

მართალი გითხრათ, სრულებით არა ვარ იმის წინააღმდეგი ჰერცოგის გულისთვის ზურგზე ბოლი მადინონ, ვს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ მე მისი რაღაც ნაწილი და, გარკვეულ შემთხვევაში, მისი უდიდებულესობის წარმომადგენელი ვარ. თვით უმეცარი ბრბოც კი გრძნობს, რომ ბატონის ჭუჭა თვითონ ბატონია, ისევე როგორც სასახლე თავისი გუმბათებითა და შპილებით* იგივე ჰერცოგია, სასახლის კარიც თავისი ფუფუნება-განცხრომით — ჰერცოგია, ქალატიც მოედანზე დამნაშავეებს თავებს რომ ჰკვეთს — ჰერცოგია, ხაზინაც; მისი აურაცხელი განძეულობით, მსახურთუფროსიც, შიმშილობის დროს პურს რომ ურიგებს ღარიბ-ღატაკთ. — ყველა და ყოველივე ეს თავად ჰერცოგია. ბრბო გრძნობს ჩემს ძალას და ყოველთვის, როცა ვამჩნევ, რომ ამ ხალხს ვეზიზღები, მსიამოვნებს, ეცდილობ, შეძლებისდაგვარად ჰერცოგივით მეცვას, ქსოვილსაც ისეთივეს ვარჩევ და მისნაირადვე ვიკერავ. ის გადაწკრები, ჰერცოგის ტანსაცმლის შეკერვის შემდეგ რომ რჩება, ჩემს სამოსს ხმარდება. მეც ჩემი ბატონივით თეძოსთან დაშნას ვატარებ, მხოლოდ ჩემი დაშნა უფრო მოკლეა. დაკვირვებულ თვალს არ გამოეპარება, რომ მეც ჰერცოგივით ამაყი შესახედაობისა ვარ, ერთი სიტყვით, ძალიან ვგავარ ჩემს ბატონს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მასთან შედარებით ციდა-მტკაველა ვარ. მე რომ იმ მინით გამომხედოთ, ის ტაკიმასხარები დასავლეთის მხრიდან ვარსკვლავებს რომ შემზერენ, უეჭველად ჰერცოგი გეგონებთ.

ჭუჭები და ბავშვები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებიან, მაგრამ რაკი სიმაღლით ერთმანეთს ჰგვანან, ხალხს ისინი ერთმანეთის შესაფერისად მიაჩნია. სინამდვილეში სულაც არ არის ასე, ჭუჭებს ზშირად აიძულებენ ეთამაშონ ბავშვებს, არც კი უფიქრდებიან იმას, რომ ჭუჭა სხვაა და ბავშვი — სხვა. ჭუჭა შობითვე უკვე ბებერია. რამდენადაც ვიცი, ბავშვობაში ჭუჭები არასოდეს თამაშობენ, ან რად უნდა ითამაშონ? მართლაც რომ უცნაური იქნებოდა. ამ სახელაქმუქნილ, პატარა მოხუცებს თამაში გაებათ. მჭერა, ნამდვილად დაგვეცინიან, როცა გვაიძულებენ, გვინდა თუ არა, ვითამაშოთ.

* შპილი — მაღალი პირამიდის ან კონუსის ფორმის სვეტი შენობის თავზე.

ჩემი ბატონები არასოდეს მაძალებდნენ ანჯელიკასთან თამაშს, საშაგიეროდ, თავად იგი არ მაძლევდა საშველს, ვერ ვიტყვი, ეს სიბოროტით მოსდიოდა-მეთქი, მაგრამ, როდესაც ვიხსენებ იმ დროს, განსაკუთრებით ანჯელიკას ბავშვობის აღრიან წლებს, მეჩვენება, რომ განზრახ მაწამებდა. ეს გოგონა, მრგვალი ცისფერი თვალები და ქინიანი პაწაწინა ტუჩები რომ ჰქონდა და ზოგ-ზოგნი აღტაცებაში მოჰყავდა, ისეთ დღეს მაყრიდა, სასახლის ფარეშთა ოინები ჰონაგონი გეჩვენებოდათ. დღე ისე როგორ გავიდოდა, დილაუთენია ჩემთან არ ამობაკუნებულისყო — იმ დროს ფეხზე ძლივს დადიოდა! — თან უეჭველად კნუტი უნდა ჰყოლოდა ამოიღლიავებული — „პიკოლინო, გინდა ვითამაშოთ?“ — „ვერ გეთამაშები, საქმე მაქვს“. — ვეუბნები პასუხად, „რა უნდა გააკეთო?“ — უბოდიშოდ მიბრუნებს კითხვას. „ბავშვები ამას ვერ გაიგებენ?“ „კი, მაგრამ ქუჩაში არ უნდა გახვიდე? ხომ არ შეიძლება მთელ დღე იძინო, აი, მე რა ხანია ავდექი“. ჰოდა, მეც იძულებული ვარ; გავყვე, ბატონების შიშით უარს ვერ ვუბედავ, თუმცა ბოლმით გულზე ვსკდები. ანჯელიკა ცდილობს ხელი ჩამკიდოს — რა სულელური ჩვეულებაა, ვერ ვიტან ბავშვის მწებვარე ხელებს. გაცოფებული ვკუმშავ თითებს, მაგრამ ანჯელიკა მაინც ახერხებს თავის პატარა ხელით ხელზე მომებლაუქოს, ყველგან თან დამაჩანჩალებს, თან შეუჩერებლივ ტიტინებს. მივყავარ თავის დედოფალებთან, ერთხანს მათ დანაყრებას. და მორთვა-მოკაზმვას უნდებდა, მერე ჯერაც თვალაუხელელ ლეკვებთან მივდივართ, საძაღლესთან, კალათში რომ ფათურობენ; სავარდევ არ ავიწყდება, აქ, რატომღაც, უეჭველად უნდა ვეთამაშოთ კნუტს, ანჯელიკას მომაბეზრებლად უყვარდა ცხოველები, მოზრდილები კი არა, ჩვილები, გიჟდებოდა მათთვის, შეეძლო საათობით ეთამაშა თავის კნუტთან და მეც მიიძულებდა მის გვერდით ვყოფილიყავი; ანჯელიკას თავის ტოლად მივაჩნდი და ეგონა, მეც ბავშვივით ყველაფერი მიხაროდა. ეს მაშინ, როდესაც მე, საერთოდ, არაფერი მახარებს.

ზოგჯერ რამე ჰქვიანურსაც იტყოდა, იმ დროს, თუ უეცრად შეამჩნევდა, გაწამებული და გაბოროტებული რომ ვიყავი, გოცებით შემაველებდა თვალს, მერე ნაოჭებით დაღარულ სახეზე დამაცქერდებოდა და მკითხავდა: „რატომ არ მოგწონს ეს თამაში?“ და როდესაც პასუხს არ დაუბრუნებდა არც ჩემი მოკუმული პირი და არც ათასწლეულთა გამოცდილებით გაბრძნობილი ცივი თვალები, შემომხედავდა და ბავშვური უმანკო მზერა რაღაცნაირად დაენისლებოდა, შიშნულად შემომაკვირდებოდა და ერთხანს გაყუჩებულ იდგა.

რა არის თამაში? — უაზრო ცოდვილობა და ფუჟფუსია... არა-
რასთან, უცნაური თვალთმაქცობაა ნივთებთან და მოვლენებთან,
რომელთაც არასერიოზულად ეკიდებიან და უგერლებელყოფენ მათ
ჭეშმარიტ რაობას. ვარსკვლავთმრიცხველები ვარსკვლავო-
ბანას თამაშობენ, ჰერცოგი თავისი ნაგებობებით, — საყდრებით,
ბარელიეფებით და სამრეკლოებით იქცევს თავს, ანჯელიკა — თავის
დედოფალებით. — ყველა თამაშობს, ყველანი თვალთმაქცო-
ბენ, მხოლოდ მე ვერ ვიტან თვალთმაქცობას, მარტო მეღა ვცხოვ-
რობ სერაოზული ცხოვრებით.

ერთხელ ჩუმი შევიპარე ანჯელიკასთან, როდესაც მას ეძინა,
კნუტიც, ჩვეულებისამებრ, გვერდით ეწვა. კნუტს ხანჯლით თავი
წავასხივე და ფანჯრიდან ნავის გროვაში გადაუქძახე, ისე ვიყავი
გაცოფებული, არც კი ვიცოდი, რას ჩავდიოდი, თუმცა რას ვამ-
ბობ, ყველაფერი მშვენიერად ვუწყობდი. სისრულეში მომყავდა
ჩემი ჩანაფიქრი, სავარდენი ჩვენი გულისამრევი თამაშის დროს
რომ ჩავიდე გულში და მერე დიდი ხნის განმავლობაში თან და-
ვატარებდი და ველოლიავებოდი. ფისო რომ ველარსად ნახა,
ანჯელიკა მწუხარებამ მოიცვა, ხოლო როცა მის ირგვლივ ყველანი
ალაპარაკდნენ, კნუტი, ალბათ, ცოცხალი აღარ არისო, რაღაც უცნა-
ური ხურგება დაემართა, ლოგინად ჩავარდა და დიდხანს აღარ ამ-
დგარა, ჰოდა, მეც, როგორც იქნა, თავი დავაღწიე მის ზუსტუ-
რებს, თუ საბოლოოდ არა, დროებით მაინც და როცა ბოლოს და
ბოლოს მოიკეთა და ფეხზე წამოდგა, ისევ და ისევ მე უნდა მეს-
მინა ნაღვლიანი ამბავი საყვარელ კნუტზე და მის უცნაურ გაქრობა-
ზე, რა თქმა უნდა, თავი არავის შეუწუხებია იმის გასაგებად, თუ
სად გაქრა კნუტი. სამაგიეროდ ყველანი ლამის შიშით დაზაფრა
ბავშვის ყელზე შემხმარამა სისხლის წვეთებმა. მთელმა სასახლემ
დიდხანს იმტვრია თავი იმის დასადგენად, თუ საიდან გაჩნდა ეს
წვეთები, და ბოლოს დაასკვნეს, ეს რაღაც ავის მომასწავებელი ნი-
შანი უნდა იყოსო. ადამიანებს ხომ საშინლად უყვართ ყველაფრის
ჩხიბგა-გაზვიადება.

სანამ პატარა იყო ანჯელიკა, მისგან მოსვენება არა მქონია,
სულ კუდში მდევდა, ეგ იყო, დროთა განმავლობაში, თამაშის ხა-
სიათი იცვლებოდა. ამოჩემებული ვყავდი, გულს მიწყალვებდა თავისი
საიდუმლო ამბებით და მეგობრობით. მე კი სულაც არ მეპიტი-
ნავებოდა მისი შეგობრობა!

ზოგჯერ ვფიქრობ ხოლმე, იქნებ ანჯელიკას მეც იმიტომ ვუყ-
ვარდი, რატომაც უყვარდა კნუტები, ლეკვები, იხვის ჭუჭყულები
და, საერთოდ, ყველაფერი პატარა და მოცუცქული. ეგება ეს ბავ-

შვი ვერ ეწყობოდა მოზრდილებს, უფროსებს, ეშინოდა მათთან ყოფნა, რაღაც აწუხებდა, თუმცა ეს რა ჩემი თავში სახლელი იყო, თუ მარტოობა სტანჯავდა, მე აბა რა შუაში ვიყავი! მაგრამ რომ მომეკოსა, ველარაფრით მოვიცილე. მერეც კი, ბავშვობა უკან რომ მოიტოვა. მაშინ თეოდორას უკვე აღარ აინტერესებდა შვილი, რადგან იგი თოჯანს მაგივრობას ველარ უწევდა — ეს ქალიც მუდმივად თამაშობს, ყველა ადამიანი თავისებურად თამაშით არის გართული. — მაშას კი, რა თქმა უნდა, სხვა საზრუნავ-საფიქრალიც ჰყოფნიდა. ან ეგება სხვათა მიზეზთა გამო არცთუ მაინცდამაინც ეხატებოდა გულზე შვილი, მაგრამ, მიჯობს, აქ ენას კბილი დავადგა.

ანჯელიკა ათი-თორმეტი წლისა რომ შეიქნა, მხოლოდ მას შემდეგ გახდა უთქმელი და სიტყვაძვირი, საკუთარ თავში ჩაიკეტა და მეც, როგორც იქნა, გავთავისუფლდი. მას აქეთ, მადლი უფალს, შემეშვა და ცხოვრობს თავისთვის. ძავრამ ხანდახან გაყვები უყმურ ფიქრებს, გამახსენდება, რამდენი რამის გადატანა მომიზღა მის გამო და გუნება მიძიმდება.

ახლა ანჯელიკა უკვე შეღერებული გოგოა, თხუთმეტი წელი შეუსრულდა და, ალბათ, მალე გათხოვდება კიდევ. მაგრამ ჯერაც ბავშვური ხასიათი აქვს და ისე ვერ იქცევა, მის მდგომარეობას რომ შეკფერის, თუმცა, ეს კია, დაბეჭითებით არავინ იცის, ვისი შვილია, ვინ არის მისი მამა, რა თქმა უნდა, შეიძლება ჰერცოგიც არის, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ უბრალოდ ნასიძეებიც იყოს, მაშინ რატომ ექცევიან ისე, როგორც ჰერცოგის ასულს შეკფერის? ზოგნი ამბობენ, ლამაზიაო, მე კი ასეთად სულაც არ მეჩვენება. განა რა მოსაწონია ეს ბავშვური სახე, სანახევროდ დაღებულ პირი და დიდრონი მრგვალი თვალები, სადაც აზრის ნატამალიც კი არ ჰაჰანებს.

- სიყვარული მოკვდავია. იგი კვდება, იხრწნება, ლპება და ამით ახალ სიყვარულს უმზადებს ნიადაგს. მკვდარი სიყვარული უხილავად ცხოვრობს ცოცხალში. თუმცა, არსებითად, სიკვდილი არ არსებობს... რამდენადაც ვიცი, ასეთი რწმენა გაუჩნდა ჰერცოგის მეუღლეს თავისი პირადი გამოცდილებების საფუძველზე და სწორედ ამ რწმენაზე აგებს თავის ბედნიერებას. ვის ეპარება ეჭვი მის ბედნიერებაში? განა იგი ამ ბედნიერებას სხვებსაც არ ანიჭებს? აშკამად, მაგალითად, ერთი ასეთი ბედნიერთაგანი დონ რიკარდოა.

ეგება ჰერცოგიც ბედნიერია, ბედნიერია მით, რომ გრძნობა, ოდესღაც ამ ქალში რომ გააღვიძა, ჯერ კიდევ ცოცხლობს მის წარ-

მოსახვაში. ჰერცოგი თავს ისე აჩვენებს, თითქოს თეოდორას ისევ უყვარს თავისი დიდებული თანამეცხედრე და კვლავინდებურად ეტრფიან ერთმანეთს. რა თქმა უნდა, ორივენი თამაშობენ.

კაი ხნის წინათ ჰერცოგის მეუღლე ერთ მამაკაცს გაუმიჯნურდა, მაგრამ სხვა ქალთან დალატი ვერ აპატია და დასალუბავად გასწირა, საქმე ისე მოაწყო, რომ ჰერცოგმა, რომელსაც ეჭვი არაფერში ეპარებოდა, დასწამა ამ კაცს დანაშაული, რისი ჩადენაც საბრალოს ფიქრადაც კი არ გაუელია. სიმართლე მხოლოდ მე ვიცოდი და ვესწრებოდი წამებას, რათა შემდეგ თეოდორასთვის გადამეცა, როგორ ეჭირა თავი მის სატრფოს. ვერ ვიტყვი, გმირულად იქცეოდა-მეთქი, ისევე ეჭირა თავი, როგორც ყველა მათგანს ტანჯვა-წამების დროს.

ვინ იცის, ეგება ანჯელიკას მამა სულაც ის იყო.

თუმცა არც ის არის გამორიცხული, ანჯელიკა ჰერცოგის შვილი იყოს. თეოდორა იმ ხანებში ყოველნაირად ცდილობდა ჰერცოგის გული მოეგო და მათი სიყვარულიც თითქოს განახლებას ზეიმობდა. დამლამობით ვნებიანად ეხვეოდა ქმარს და სთავაზობდა თავის გაწბილებულ წილს, რომელსაც დაკარგული კურო ესურვილებოდა. ქმარს ისე ეალერსებოდა და ეაზიზებოდა, თითქოს სწორედ ის ყოფილიყოს მისი უბედური საყვარელი, საწამებლად რომ გასწირა და გაიშეტა. ჰერცოგიც თავს ევლებოდა, როგორც მათი პირველი ტრფიალების ჟამს. გარდაცვლილი სიყვარული თავისი იდუმალი ცხოვრებით ცხოვრობდა ცოცხალში.

ჰერცოგის მეუღლის მოძღვარი ყოველ შაბათ დილით მისთვის განკუთვნილ დროს შემოაღებს ხოლმე პალატის კარს. თეოდორა უკვე დიდი ხნის წამომდგარია საწოლიდან, ტანშემოსილი და თმადავარცხნილი. ორი საათი მუხლმოყრილი იდგა ჯვარცმის წინაშე და მზად არის გასანდობლად.

მოსანანიებელი არაფერი აქვს, არც ცრუობს და არც პირფერობს, პირიქით, გულწრფელად და მინდობილად ამბობს ყველაფერს. შემცოდე არ არის, ავი არაფერი ჩაუდენია, ეგ არის მხოლოდ, მოახლეს შემოსწყრა, როცა თმა კარგად ვერ დაუყენა. ეს ერთი ცოდვა აწევს მის სულს, მაგრამ მაინც წმინდა და მტრედით უმანკოა და მოძღვარიც ღიმფენილი სახით იხრება მისკენ, როგორც უბიწო ქალწულისკენ.

ლოცვების წარმოთქმისა და ჯვარცმის წინაშე მუხლთ მოდრეკის შემდეგ, თეოდორას გაცისკროვნებული და რაღაცნაირად გულში ჩამწვდომი მზერა უხდება. სათამაშო ჯვარზე გაკრული კაცუნა მისთვის ენო, ამიტომ თავად სული ყოველგვარი ბიწისაგან

განწმენდილი აქვს, ცოდვებზე ფიქრი აღარ აწამებს. ასლა ჰერ-
ცოგის მეუღლე თავს უფრო ლაღად და ახალგაზრდულად გრძნობს,
ამასთან, უფრო მოკრძალებული და გულისხმიერი ჩანს, ეს კრძა-
ლულობა მის უბრალო ჩაცმულობასა და საღებავწაუსმელ სახეც
ძალზე შეენის. ჯდება და თავის მიჯნურს წერილს სწერს, თავშეკა-
ვებულად ამბობს სათქმელს, თავის სულიერ მდგომარეობაზე ლა-
პარაკობს, თითქოს ამ კაცის და იყოს, აქ არ არის არც ერთი სი-
ტყუა სიყვარულზე, არც მომავალ პაემანზე, როცა ამგვარ გუნება-
განწყობაზეა, ვერ იტანს არასერიოზულობას.

წერილს საყვარელს ჩემი ხელით უგზავნის.

თეოდორა ჰეშმარიტად ღვთისმოსავი აღამიანია, ამაში ეჭვი
არ მეპარება, რწმენა მისთვის რაღაც არსებითი და უაღრესად
დიდმნიშვნელოვანი საკითხია, მისი სულისა და გულის ნაწილი.

მორწმუნეა თუ არა ჰერცოგი? ეს ძნელი სათქმელია, რაღაც
გაგებით, რა თქმა უნდა, მორწმუნეა, რამდენადაც საკუთარ თავში
აერთიანებს ყველასა და ყოველივეს, მისი გონება თითქოს ყვე-
ლაფერს შოიციავს, მაგრამ შეიძლება ეს რწმენად მივიჩნიოთ? მას
სიამოვნებს, რომ ამქვეყნად არსებობს ქრისტეს სჯული და სარ-
წმუნოება, აინტერესებს მოუსმინოს საუბარს ღვთისმეტყველება-
სა და სარწმუნოებაზე, განა მისთვის შეიძლება უცხო იყოს რაიმე
აღამიანური? ჩემს ბატონს სახელგანთქმული მხატვრების მიერ
შესრულებული ღვთისმშობლის ხატები და ლამაზი, დიდებული
ტაძრები მოსწონს, მეტადრე ის ტაძრები, თავად რომ ააგო. არ ვი-
ცი, შეიძლება თუ არა ამას რწმენა უწოდო. მე მგონი, შეიძ-
ლება ჰერცოგი, როგორც ხელისუფალი და გამგებელი უპიკე-
ლად რელიგიისთვის თავდადებულია და ამ მხრივ თეოდორაზე
ნაკლებ გულწრფელი არ არის. მას კარგად ესმის, რომ ხალხს ესა-
პიროება რწმენა, ისიც იცის, რომ საჭიროა ამ საკითხში მათი დაკ-
მაყოფილება, ამიტომ სასახლის კარი დღენიადაგ ღიაა ღვთისმსა-
ხურთათვის. პრელატები და სხვა და სხვა სასულიერო პირნი გა-
ნუწყვეტლივ მიდი-მოდიან ამ კარით. მაგრამ სწამს კი თავად რაი-
მე? ეს სულ სხვა საკითხია, აქ უნდა ენას კბილი დავადგა.

სამაგიეროდ ჰერცოგის მეუღლე ჰეშმარიტი მორწმუნეა, ვიმე-
ორებ, შეუძლებელია ამაში ვინმემ ეჭვი შეიტანოს.

ეგება ორივე მორწმუნეა, ორნივე თავ-თავისებურად?

საერთოდ, რა არის რწმენა, რას წარმოადგენს იგი? ამაზე აღრე
ბევრი მიფიქრია, მაგრამ ამაოდ.

განსაკუთრებით თავი ვიმტვრიე ამის გასარკვევად ამ რამდე-
ნიმე წლის წინათ, როცა საკარნავალო დღესასწაულზე შესატყვი-

სი სამოსელით ებრაელების მადიერ გამოძივანეს და მაიძულეს შეზიარებინა მანტუანის სასახლის ქონდრისკაცები, მათმა პერცოგმა კარნავალზე რომ ჩამოაყვანა. ჩვენ შევიკრიბეთ სასახლის ერთ-ერთ დარბაზში სახელდახელოდ აღმართულ საკურთხეველთან, ირგვლივ შემოგვემწკრივენ სახეპოლიმარი სტუმრება: ტაქიმასხარებივით მორთული რაინდები, სენიორები და სხვანი და სხვანი. მე, რაც კი შემეძლო, მალა აღმართე ჯვარცმა. ქონდრისკაცები ჩუხლებზე დაეცნენ. „აი, ეს არის ჩვენი მხსნელი, — გამოვაცხადე მქვეარე ხმით და ანთებული მზერა შევაღლე მათ სახეებს. — ყველა ჯუჯათა მხსნელი და თავადაც ჯუჯა. იგი ჩვენთვის ივნო და დაეფლა ღიდი პერცოგის პილატე პონტოელის დროს. მიაშქვალეს თავის სათამაშო ჯვარს, მან დასთხია სისხლი თვისი ამქვეყნად კაცთა ცოდვათა მიტევებისათვის. — აქ თასს დაეწვდი და მათ თვალწინ გაეჩჩრე. — ეს იმის სისხლია. იმ ჯუჯისა, იგი წარბოცს ყველა ცოდვას დედამწაზე და შავი სულები თოვლივით თეთრად აქათათდება. — სეფისკვერი ავიღე, ჯუჯებს დავანახე, ლუკმა ჩამოვტეხე, წესსამებრ, ერთი ყლუპი ღვინო მოვსვი. თან წმინდა საიდუმლოს აზრს განვუმარტავდი: მე ვჯამ მის სხეულს, თქვენი სხეულებივით მახინჯი რომ იყო, ეს სხეული ნაღველზე უმწარესია, რადგან მძულვარებით არის გაყენთილი, მოდით და სჭამეთ! მე ვსვამ მის სისხლს, იგი წვავს და შანთავს იმ ცეცხლით, რომლის დაშრეტა არავის ძალუძს, ვსვამ და ასე მგონია, ჩემი საკუთარი სისხლის გემო მესინჯოს!

ჯუჯათა მხსნელო! დაე. ცეცხლმა შთანთქას და წალეკოს ქვეყნიერება!“ ვთქვი და ღვინო შევაშხეფე ჩვენს ირგვლივ შემოჯარულ დიდებულებს, თვალგაშტერებით რომ შემოგვეკეროდნენ შეძრწუნებულნი და სიკვდილივით გაფითრებულნი.

ეს მკრებელობით როდი მომივიდა, ღვთისმგმობელი მე კი არა, ისინი იყვნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, პერცოგმა ბრძანა რამდენიმე დღით ბორკილები დაედოთ ჩემთვის. იმ ვაჟბატონებს ენებათ, მშვიდად და უწყინრად გართობილიყვნენ, მე კი ყველაფერი წყალში გადაეუყარე, სტუმრებიც ავაფორიაქე და გუნება მოვუქამე. ჩემი სარგო ბორკილი არსად იყო და საჭირო გახდა მათი საგანგებოდ გამოკვლევა, მკედელი ბუზლუნებდა, ერთი-ორი დღისთვის განა ღირს ამდენი დავიდარაბის ატეხაო? პერცოგმა ბრძანა, იყოს, გამოვკვდოთ, ეგება ოდესმე ისევ დაგვჭირდესო, თუმცა დანიშნულ დროს არ დაელოდა და ძალიან მალე გამათავისუფლა. მე მგონი, უფრო სტუმრების ხატრით დამსაჯა. რადგან, როგორც კი ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, მეც გამიღეს დილეგის კარი. პირაქი:

ველ ზანებში ჰერცოგი თითქოს მჯერძალვოდა, ცდილობდა მარტო არ დარჩენილიყო ჩემთან, მე მგონი, ცოტათი ეშინოდა კიდევ ჩემი ჯუჯები, რა თქმა უნდა, აზრზეც ვერ მოვიდნენ, დამფრთხალი ქათმებივით დაეფეთებოდნენ აქეთ-იქით და საკურსისებრით სასაცილოდ წრიბინებდნენ. არ ვიცი, საიდან დაჰყვით ეს ხმები, პირადად მე დაბალი, ძლიერი ხმა მაქვს, მაგრამ ესენი იმელოდ ხორციელად როდი არიან მონები და საკურსები, სულიც ასეთივე აქვთ. მათი უმრავლესობა ტაკიმასხარაა, ბრიყვულად შეურაცხყოფენ თავიანთ სხეულს და ამით თავის თვისტომთ აარცხვენენ. მძაგს ეს ხალხი. ჩემ ცხვირწინ რომ არ ეტრიალათ საქმე ისე მოვაწყვე, რომ ჰერცოგმა ერთიმეორის მიყოლებით ყველანი გაყიდა და ბოლოს და ბოლოს სასახლეში მელა დაერჩი. მოხარული ვარ, ფეხებში რომ აღარ მებლანდებიან, ჯუჯების სენაკში ახლა ხალვათობა და სიცარიელეა და შემოდია ლამამობით მშვიდად მივეცე ფეხებს. ისიც კარგია, იოსაფატი რომ მოვიშორე, აღარ მიხდება მისი უბადრუკი დედაბრული სახის ცქერა და აღარც მისი წრიპინა ხმა მიუღრიალებს ყურში, ერთი სიტყვით, ბედნიერი ვარ, მარტოც რომ დავრჩი.

ისე ხდება, რომ იძულებული ხარ, გძულდეს შენი საკუთარი ხალხი. პირადად მე ჩემი თვისტომნი მეზიზღებიან, მაგრამ საკუთარი თავიც მძაგს. ვღრღნი ჩემსავე ნაღველში ალესილ სხეულს და ვსვამ ჩემივე მოშხამულ სისხლს. ამასთან, მე, ჩემი ხალხის ავბედითი მღვდელმსახური, ყოველდღიურად ვასრულებ წმინდა საიდუმლო ზიარების წესს.

ამ „სკანდალური შემთხვევის“ შემდეგ ჰერცოგის მეუღლე საკმაოდ უცნაურად მოიქცა. იმ დღითვე, როგორც კი გამათავისუფლეს, თავისთან მიხმო. როდესაც მის საწოლ ოთახში შევედი, თვალი მომაპყრო და ჩაფიქრებული დიდხანს უხმოდ შემომცქეროდა, თითქოს უნდოდა ალლო აელო. მე ველოდი, რომ საყვედურებით ამავსებდა, იქნებ დამატებით რაღაც სასჯელიც გამოენახა ჩემთვის, მაგრამ არაფერი ამგვარი არ მომხდარა. როცა ბოლოს და ბოლოს ალაპარაკდა, გამომიტყდა, ჩემზე შენმა ლიტურგიამ უდღედესი შთაბეჭდილება მოახდინა, რაღაც ავისმომასწავებელი და საშინელი გაშოსკვიოდა მასში, რამაც ჩემი სული ერთიანად შესძრაო. ნეტავი როგორ შევძელი ჩამელწია მისი სულის სიღრმემდე და მისი ფარული გრძნობები ამეშალა?

დავიბენი, ვერაფერი გავიგე, მაგრამ როცა დავინახე, რომ თეოდორა უხმოდ იწვა საწოლში და აზრმიუტანებლად იმზირებოდა საღდაც, ჩემს იქით, მწარე სიცილმა ბაგე გამიპო.

მცირე ღუმლის შემდეგ ისევ მკითხა. შენი აზრით, როგორი იქნება, ჯვარს გაცვან, მათრახებით გვევმონ, გაწამონ, და ტანჯვით ამოგხადონ სულიო. ქრისტეს უნდა ვძაგდე, სასტიკად უნდა ვეჯავრებოდე, ჩემი გულისთვის ასე რომ ევნო.

პასუხი არ გამიცია, არც ვაპირებდი რაიმე მეტყვა, მასაც აღარ გაუგრძელებია სიტყვა, დიდხანს იწვა მღუმარედ და უზაროდ შემშტერებოდა სივრცეს.

მერე თავისი ნატიფი ხელი ოდნავ შეარხია, იმის ნიშნად, რომ სადღეისოდ აღარაფერში ვკირდებოდი, მოახლეს უბო და უბრძანა, ძოწისფერი კაბა მოერთმია.

ღლებდე ვერ მივმხვდარვარ, რამ წამოუქროლა.

შემჩნეული მაქვს, რომ ადამიანებს ჩემს დანახვაზე ზოგჯერ შიში აღეძვრით, მაგრამ თუ დავუქვირდებით, მათ საკუთარი თავისა უფრო ეშინიათ, ისინი რატომღაც ფიქრობენ, რომ მე ვიწვევ ამ შიშს, სინამდვილეში კი ის ჯუჯა აშინებთ, ყოველ მათგანს გულგვაძში რომ უზის, ეს ჯუჯა ადამიანის მსგავსია, სახე კი მაიმუნისა აქვს. დიახ, სწორედ იგი ამოპყოფს ხოლმე მალიმალ თავს და შიშის ზარს სცემს ამ უბადრუკ არსებებს, რომელთაც არც კი იციან, რომ მათში სხვა არსება არის მოკალათებული. ადამიანებს, საგრთოდ, ყოველთვის შიში იპყრობთ, თუ მათი სულის სიღრმიდან, ამ ბინძური საფლობიდან უეცრად რაიმე იმდაგვარი ამოყურყუმეღავდება, რაზეც წარმოდგენაც კი არა აქვთ და რასაც მათ ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. როდესაც ვერაფერს ამჩნევენ, არც საფრთხე აშინებთ, მიდი-ჰოდთან თავისთვის ახოვანნი და უშფოთველნი და მათ გადატყეცილ სახეებზე კაცი ვერაფერს ამოიკითხავს, მაგრამ მათი სულის სიღრმეში ბოგინებს ის ვიღაც სხვა, ვისაც თავად ვერ ხედავენ და თვითონაც რომ არ უწყიან, ისე, ერთდროულად რამდენიმე ცხოვრებით ცხოვრობენ. დიახ, ეს ვაუბატონები საოცრად შენიღბულნი, გამოუცნობნი და მრავალსახოვანნი არიან.

ამასთან, მახინჯებიც ბრძანდებიან, თუმცა მათი შემხედვარე მას ვერ იტყვი.

მე კი მუდამ საკუთარი ცხოვრებით ვცხოვრობ, მხოლოდ ერთი ცხოვრების გზა მაქვს და მას მივყვები, ჩემში არავითარი სხვა არსება არ ზის. ჩემ შინაგან სამყაროს შესანიშნავად ვიცნობ, ჩემი სულის სიღრმიდან არასოდეს არაფერი წამოპყოფს თავს, იქ, ბნელ უბეში, არაფერი იმალება. ამიტომ არც შიში მაქვს რაღაც ფარულისა და იღუმალის. ჩემთვის, უბრალოდ, ამაღვარი არაფერი არსებობს, არაფერი „უხამსური“ ჩემში არ ბოგინებს.

შიში? რა არის შიში? ალბათ, შიშით სული უნდა გამფრთხო-
ბოდა, მარტოდმარტო რომ ვიწეკი უკუნ სიბნელეში და ვხედავდი,
როგორ მოდიოდა ჩემკენ იოსაფატის აჩრდილი, როგორ მიაბლოვ-
დებოდა თანდათან ფერდაკარგული, კისერჩალილავებული, პირ-
დაფჩენილი.

მაგრამ შიშს არ განვიციდიდი, არც სინანულს ვგრძნობდა, არა-
ვითარი მძაფრი შეგრძნებები არ მქონდა, ვფიქრობდი მხოლოდ,
რომ იოსაფატი მოკვდა და მას შევძლევ სრულიად მარტო ვარ.

მინდა მარტოკა ვიყო, არ მინდა, ჩემ გარდა, სხვა ვინმე არსე-
ბობდეს, დაბეჭითებით ვიცი, რომ იოსაფატი მკვდარია და ეს მზო-
ლოდ და მხოლოდ მისი აჩრდილია, რომ მე მარტოკა ვარ სიბნე-
ლეში, ისევე როგორც ვიყავი ყოველდამ მას აქეთ, რაც იგი მივახ-
რჩე.

აქ საშინელი და თავზარდამცემი არაფერია.

სასახლეში ერთი ახმაბი მამაკაცი გამოჩნდა. ჰერცოგი მას გასა-
ოცარი პატივით ეპყრობა, შეიძლება ითქვას, ეკრძალების კიდევ
მისი. ჩვენი სტუმარი მოწვევით ჩამობრძანდა და ჰერცოგი ამბობს,
დიდი ხანია ველოდი და მოხარული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს
სასახლეში ვხედავო. ჩემი ბატონი მას თანასწორივით ექცევა.

ახალმოსული სასახლეში ბევრს სასაცილოდ ეჩვენება, ბევრი კი
ამბობს, ეს ფრიად გამოჩენილი ადამიანია, თითქმის ჰერცოგების
ტოლიც კიო, მაგრამ ამ კაცს, ჰერცოგებისაგან განსხვავებით, ძა-
ლიან უბრალოდ აცვია. ვინ არის იგი და რით არის ასერივად გა-
მორჩეული, ჭერხნობით ვერ გავარკვიე, დროთა განმავლობაში,
ალბათ, ყველაფერს გავიგებთ. ამბობენ, აქ კარგა ხანს უნდა დარ-
ჩესო.

არ უარყოფ, ამ ჩვენს სტუმარს აქვს რაღაც ისეთი, რაც მის მი-
მართ იმთავითვე პატივისცემით განგაწყობს. თავი სხვებზე ბუნებ-
რივად და ღირსებით უჭირავს, მის მაღალ შუბლს, როგორც იტყ-
ვიან ხოლმე, ფიქრის ბეჭედი აზის, ნატიფი, დარბაისლური სახე
ჰადარა წვერით აქვს შემკული, მშვიდი და თავდაპერილია.

საინტერესოა მაცოდინა, აქვს თუ არა თავისი მახინჯი მხარე-
ები.

ჩვენი წარჩინებული სტუმარი სადილ-ვანშმად ჰერცოგის სუფ-
რასთან ზის. რაზე არ ლაპარაკობენ ამ დროს! ვემსახურები ჩემს
ბატონს, — იგი შეკაცრად მოითხოვს, რომ სუფრაზე მუდამ მე ვემ-

სახურო, — და თანდათანობით ვხვდები, რა განსწავლული და მწიგნობარი მოუწვევიათ სასახლის კარზე. მისი გონება ყველაფერს მოიცავს, მისი აზრი ყველგან სწვდება, ყველაფერი იცის და ყველაფერი უზომოდ აინტერესებს, შეუძლია უამრავი რამ აგიხსნას და განგიმარტოს, მაგრამ სხვათაგან განსხვავებით, ყოველთვის ვერ არის დარწმუნებული თავის განმარტების სისწორეში. მაგალითად, საფუძვლიანად გააცემს პასუხს კითხვაზე, იტყვის, ჩემი აზრით, აი, ამგვარად უნდა გავიგოთ ესა თუ ის საკითხიო, მაგრამ არ არის გამორიცხული, იქვე დადუმდეს, ჩაფიქრდეს და მერე დაექვცებით გოთხრას, თუმცა, ეგება ასეც არ არისო. არ ვიცი, როგორ აეხსნა მისი ასეთი საქციელი. იქნებ ეს შორსმჭვრეტელობით მოსდის, მაგრამ ისიც შეიძლება, ზუსტად და ბეჯითად არაფერი იცოდეს. მაშინ რაღა ფასი აქვს მის რუღუნვებით მომკილ აზრებს, მის ნაფიქრ-ნაღვაწს. მე მგონია, ეს უკანასკნელი უფრო სავარაუდოა, თუ სწორად განვსაზღვრავთ ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებს, თუმცა ბევრს არც კი ესმის, რომ ადამიანის არასრულყოფილი გონება გავალებს გარკვეულ შემთხვევებში მოკრძალებული იყო. ჩვენმა სტუმარმა კარგად იცის ეს.

მაგრამ ჰერცოგი მსგავსს ვერაფერს აპჩნევს, ხარბად მიუხეყრია მისთვის ყური, თითქოს უნდა დაეწაფოს ანკარა წყაროს წყალს, საიდანაც ცოდნა და სიბრძნე გადმოსჩქეფსო. ისე შეშტერებია პირში, გეგონება, ბეჯითი მოსწავლე თავის მასწავლებელს უსმენსო, თუმცა, რა თქმა უნდა, ამავე დროს საკუთარი ღირსების გრძნობასაც არ კარგავს. ზანდაზან ჩემი ბატონი ამ კაცს „მაესტროდ“ იხსენიებს. საინტერესოა, რაში არის ამ ფარისევლური მოკრძალების მიზეზი?

რამდენადაც ჰერცოგს კარგად ვიცნობ, დარწმუნებული ვარ, რომ მიზეზი უექველად უნდა არსებობდეს.

ჩვენს სწავლულს უმეტესწილად ისე უჭირავს თავი, თითქოს მისთვის სულ ერთი იყოს, როგორც მიმართავენ. იქნებ ეს მართლაც თავმდაბლობით მოსდის, მაგრამ ზოგჯერ ისე შეუვალად გამოთქვამს თავის აზრს და ისეთ მაგალითებს დაიმოწმებს, მაშინვე მიხვდები, რა გამჭირაზი და დიდი გონების პატრონია.

მაშასადამე, ყოველთვის როდი ღრღნის ეკვის კია.

მაესტროს მშვიდი, სასიამოვნო და არაჩვეულებრივად მკდერი ხმა აქვს. მე გულთბილად მეპყრობა და ვგონებ, ერთგვარად ვაინტერესებ კიდევ. თუმცა არ ვიცი, რატომ უნდა ვაინტერესებდე, ზოგჯერ შეჩვენება ხოლმე, რომ იგი რაღაცით ჰერცოგს მიაგავს, მაგრამ, თუ რით, ამის თქმა მიჭირს.

ეს კი დანამდვილებით ვიცი, რომ პირფერი არ არის.

ჩვენი უცხოელი სტუმარი სანტა-კროჩეს ფრანცისკიელთა მონასტერში აპირებს მუშაობის დაწყებას, რაღაც სურათით უნდა შეამკოს სატრაპეზოს კედელი. მაშასადამე, იგი მხოლოდ და მხოლოდ ხატავს წმინდანთა გამოსახულებებს და სხვა ამისთანებს, როგორც სხვანი მრავალნი ჩვენი სასახლის კარზე, აი, თურმე რაში მდგომარეობს მისი „ღირსშენანაობა“.

მე, რა თქმა უნდა, სულაც არ ვაპირებ ეს ადამიანი უბრალო ზელოსნებს, მის პრივიტიულ თანამოსაქმეებს გავუტოლო, ხომ შეიძლება იგი ამავე დროს სულ სხვა გაქანების კაციც იყოს, სხვებზე აღმატებული და ყველასაგან გამორჩეული. ისიც უნდა ვაღიარო, რომ მეტად დამაჯერებლად და შთამბეჭდავად იცის ხოლმე საუბარი, ამიტომაც უსმენს ჰერცოგი ასეთი გულისყურით. მაგრამ, მართლა და მართლა, ორაკული ხომ არ არის, პირდაფრენილმა ყური რომ უგდო. და არც ისეთი დიდი ვინმე ბრძანდება, ყოველ ცისძარე დღე სუფრაზე მოისვა, არა, ვერაფერი გამიგია, რაც გინდათ თქვით და, ეს კაცი მაინც უბრალო ზელოსანია, ყველაფერი, რასაც ქმნის, საკუთარი ხელით უნდა შექმნას, მიუხედავად იმისა, რომ დიდად განსწავლულია. იმდენად ბევრი რამ იცის, რომ თავისი ცოდნის სიღრმე თვითონაც ვერ განუხაზღვრავს, არ ვიცი, რისი გაკეთება შეუძლია, მაგრამ, ალბათ, მარჯვე ხელების პატრონი იქნება, რაკი ჩვენმა ჰერცოგმა მისი მოწვევა ინება, ხოლო თუ ზოგჯერ ურთულეს ამოცანებს შეეჭიდება, ისეთებს, მისი გონება ჯერჯერობით რომ ვერ სწვდება და ამიტომ არაფერი გამოუდის, ამას ხომ თავადაც აღიარებს. ჩვენი მაგისტრო, ალბათ, მეოცნებე-ფანტაზიორია და იდეებიც მრავლის უმრავლესად ახვევია თავს, მაგრამ, ჩემი აზრით, ყველაფერს ქვიშაზე აშენებს და ის სამყარო, რომელსაც იგი თითქოს საფუძველს უყრის, სინამდვილეში არარეალურია.

თუმცა, რაგინდ უცნაურადაც გეჩვენოთ, ამ კაცზე ჯერჯერობით გარკვეული აზრი არ გამაჩნია. საინტერესოა, რატომ? საერთოდ, ვისაც უნდა შევხვდე, მაშინვე ავუღებ ხოლმე ალღოს და უკვე ვიცი, ვისთანაც მაქვს საქმე. ალბათ, ეს ჩვენი სტუმარი, სიმაღლით ყველას რომ აჭარბებს, პიროვნული ღირსებებითაც სხვებზე აღმატებულია. იგი ყველაფრით მაღლა დგას ამ შუანალა ადამიანებზე. ამას კი ვამბობ, მაგრამ, მართალი მოგახსენოთ, არ ვიცი, რატომ მგონია ან რატომ ვფიქრობ ამგვარად, არც ის ვიცი, რაში მდგომარეობს მისი უპირატესობა და მართლა ასე მეტობს სხვებს თუ არა. ეს კი ცხადია, რომ ყველასაგან გამოირჩევა. ასეა თუ ისე,

ჰერცოგი მეტისმეტად აჭარბებს მანქანის ღირებულების შეფასებებს.

ჩვენი სტუმარს ბერნარდო რქმევია. არცთუ მაინცდამაინც დიდად გამორჩეული სახელი.

ჰერცოგის მეუღლეს ჩვენი სტუმარი არაფრით აინტერესებს. მანქანა ბერნარდო ზომ უკვე საკმაოდ ხანდაზმულია, მამაკაცების საუბარი კი, როგორც ეტყობა, არაფრად ეჭაშნიკება. ზის თავისთვის ჩუმად და თავის საფიქრალს ფიქრობს, მე მგონია, არც კი ესმის ამ კაცის ნაუბარი.

სამაგიეროდ ჩვენი სწავლული მეჩვენება მეტისმეტად დაინტერესებული მისით. როცა ჰგონია, ვერაფერს მხედავსო, შეფარვით შეაკვირდება ზოლმე ჰერცოგის მეუღლეს. გულდასმით ათვალისწინებს, თითქოს მის სახეზე რაღაცას დაეძებს და თვალები სულ უფრო და უფრო ფიქრობილი უხდება. ნეტა რა ნახა ამ ქალში საინტერესო?

სახეზე ეშხის ნატამალიც კი არ ატყვია, იმწამსვე იტყვი, კახბა რომაა, თუმცა ამის დაფარვას ძალიან ცდილობს და თავი უცოდველი ბატკანივით მოაქვს. არც იმდენი კირკიტია საჭირო, რომ ამოიციანო, ვინცა ბრძანდება. თუ ასეა, ნეტა მანქანა რაღაც ჩასციებია, რას უკვირებინებს ასე გულმოდგინედ?

მაგრამ, როგორც ეტყობა, ჩვენი სწავლულს ყველაფერი აინტერესებს. ქვა რომ ნახოს სადმე, სულ უბრალო ქვა, უნდა აიღოს, გულდასმით დაათვალიეროს, ხან ასე შეატრიალოს, ხან ისე და, ბოლოს, კაი ძვირფასი ნივთივით ჭიბეში ჩაუძახოს. რამდენჯერ მიწაზე მსგავსი რამ. რა უნდა იყოს ღედაშიწის ზურგზე ისეთი, მანქანა ბერნარდო რომ არ დაინტერესოს. ახირებული ვინმეა, ეგება ცოტ-ცოტა აფრენს კიდევ.

მართლაც რომ შესაშურია ამ ახირებული ადამიანების ბედი. ვისთვისაც ქვა ასე ძვირფასია, ის შეიძლება ყოველ ნაბიჯზე განძსაც გადააწყდეს.

ჩვენი სტუმარი მეტისმეტად ცნობისმოყვარეა. ყველგან უნდა წაპყოს თავისი დიდი ცხვირი, ყველაფერი უნდა იცოდეს და გამოიკითხოს. აგერ მუშებს შეაჩერებს და ესაუბრება ხელსაწყო-იარაღებზე, მუშაობის ხერხებზე, უზიარებს თავის აზრს, რჩევას აძლევს. თუ სადმე გაისიერნა, თან კონა-კონად ყვავილები უნდა მოიყოლოს. დაჯდება და დაიწყებს ფურცლების წყვეტას, რომ ნახოს, რა არის შიგნით. შეუძლია საათობით უცქიროს ფრინველების ფრენას, თითქოს ესეც რაღაც საოცრება იყოს. მთელი დღეები იღვეს სასახლის კარიბჭესთან და ათვალისწინებს ქურდებისა და

მკვლევების სარზე წამოგებული თავები, რომელთა ცქერითაც კი ხანია ყველა გაბეზრდა, ათვლიერებს თავებს და დიდხანს დადის ჩაფიქრებული, თითქოს ერთი ძნელი ამოცანა ჰქონდეს გადასაჭრელი, მერე ამ თავებს ვერცხლის ფანქრით უბის წიგნაკში იხატავს. ამ რამდენიმე დღის წინ კი, ფრანჩესკო რომ ჩამოახრჩვეს, იგი პატარა ბიჭებთან ერთად, ყველაზე წინ იდგა, რათა უკეთ დაენახა ყველაფერი. ღამდაღამობით მაესტრო ბერნარდო ვარსკვლავებს უთვალთვალებს. ერთი სიტყვით, მისი ცნობისმოყვარეობა უსასრულოა.

ნუთუ მართლა ასე საინტერესოა ყველაფერი?

ჩემთვის სულ ერთია, სადაც უნდა, იქ ჩაყოს თავისი ცხვირი, მაგრამ თუ ერთხელ კიდევ შევახო ხელი, ხანჯლით გავგშირავ. ეს მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი. რადაც უნდა დამიჯდეს, ჩემი ხანჯლის წერა გახდება!

ამ საღამოს, ღვინოს რომ ვუსხამდი, ხელი დამიჭირა და თვალთვალთვალა დაუწყო, მაგრამ მე გავბრაზდი და ხელი გამოვგლეჯე, მაშინ ჰერცოგმა გაიღიმა და მიბრძანა, მაესტროსთვის ხელი მეჩვენებინა. დაკვირვებით მისინჯავდა ხელს, ურცხვი თავხედობით აკვირდებოდა ყოველ სახსარს. მაჯასთან შეყრილი პაწაწინა ნაოქებიც კი არ გამოჩენია. მერე ისე გაკადნიერდა, რომ სცადა სახელო აეწია და მკლავზე დაეხედა. აქ კი ცოფი მომერია და ხელახლა გამოვგლიჯე ხელი. გული რისხვით ბობოქრობდა. ჰერცოგს და ჩვენს სტუმარს ელიმებოდათ, მე კი მზად ვიყავი, ორივენი მხერით დამეფერფლა.

ერთხელ თუ კიდევ გაბედა მსგავსი რამ, თავს ნებას მივცემ, დაეტკებ მისი სისხლის ცქერით. ვერ ვიტან, როდესაც ვინმე ხელს შემაბებს, ვერ ვიძინებ, ვინმე რომ ნელაყოფს ჩემს სხეულს

უცნაური ხმა დაირხა, თითქოს ჩვენმა სტუმარმა დაიყოლა ჰერცოგი, დაეთმო მისთვის ფრანჩესკოს გვამი, თურმე უნდა გაკეთოს და ნახოს, როგორია ადამიანის შიგნეული. შეუძლებელია! ყოვლად დაუჭერებელი ამბავია, წარმოუდგენელია, რომ ადგნენ ღაჩამოსხნან გვამი, ის ხომ ბაწარზე უნდა კონწიალობდეს, ხალხს უსადა ამინებდეს, მისმა დანახვამ ბოროტმოქმედს სულ ოფლი უნდა აწურვინოს, ასეთია საერთოდ განაჩენი, და, ვერ გამიგია, ეს გარეწარი სხვებივით რატომ არ უნდა დაკორტნონ ყვავებმა? სამწუხაროდ, ვიცნობდი ფრანჩესკოს და ვიცი, რომ ამქვეყნად უსასტიკესი სასჯელის ღირსია, ეგ არ იყო, ქუჩაში ყოველგვარ სიბილწეს

რომ მომძახოდა? გვამი რომ ჩამოხსნან, ყველაფერი შეიცვლება, სასჯელის ზომაც გადასხვაფერდება.

ეს ამბავი მხოლოდ საღამო ხანს გავიგე. ახლა დამეა და არ მოჩანს, კონწიალობს თუ არა თოქზე ის მძორი.

ვერ დავიჯერებ, რომ ჰერცოგი ამაზე დათანხმდებოდა, სიცრუეა ეს ყველაფერი!

მართალი ყოფილა, ის არამზადა უკვე აღარ ჰკიდია სახრჩობელაზე!

ვიცი, სადაც წაიღებდნენ. ჩვენს სწავლულს სწორედ თავის სამარცხვინო საქმიანობის დროს წავასწარ.

როგორღაც შევამჩნიე, რომ მიწისქვეშეთში რაღაც შეცვლილიყო. მუდამ ჩაკეტილი კარი ღია დამიხვდა. ეს ჯერ კიდევ გუშინ ენახე, მაგრამ მაინცდამაინც ყურადღება არ მიმიქცევია. დღეს კი გულდაგულ წავედი შესამოწმებლად. მინდოდა გამეგო, რა ხდებოდა. ბნელი, ვიწრო ტალანი გავიარე და ახლა სხვა კარს მივადექი, საკეტი არც იმას ედო. ნაბიჯაკრეფილი მივდიოდი, ვცდილობდი, არ მეხმაურა, კარი შევალე და ერთ ფართო ოთახში მოვხვდი. სამხრეთ კედელში გაჭრილი ვიწრო ფანჯრიდან მკრთალად სცემდა შუქი. ბინდებუნდს თვალი რომ შევაჩვიე, ფრანჩესკოს გამხლართული გვამისკენ წახრილი მოხუცი დავინახე, თავდაპირველად თვალს არ დავუჯერე. მაგრამ მალევე მივხვდი, რომ სწორედ ფრანჩესკო იყო, მოხუცს უკვე მოესწრო გვამის გაკვეთა და კარგად მოჩანდა შიგანი, გული და ფილტვებიც, ზუსტად ისეთივე, ცხოველებს რომ აქეთ. ჩემს სიცოცხლეში ამაზე დამზაფერელი არაფერი მინახავს. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ადამიანის შიგნეულობა ასე გულისამრევი იქნებოდა. მაესტრო ბერნარდო კი გვამისკენ დახრილიყო და ერთიანად დაძაბული, ინტერესით დასცქეროდა ამოყრილ ფაშვ-ნაწლავს, მერე დანით დიდი სიფრთხილით გულთან რაღაც გაკვეთა, ისე იყო საქმით გართული, ჩემი შესვლა არც კი გაუგია. მისთვის ამეამად აღარაფერი არსებობდა, გარდა იმ სიბილწისა, წინ რომ ედო და ზედ დაფუსფუსებდა. მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, ასწია თავი და მე მისი ბედნიერებისაგან გაბრწყინებული თვალები დავინახე. სახე აღფრთოვანებული ჰქონდა, შემეძლო უსასრულოდ მეცქირა, რადგან სინათლე მის მხარეს ეცემოდა, მე კი ბნელში ვიდექი, თუმცა უამისოდაც ვერაფერს დაინახავდა, ისე იყო აღტაცებული და გულშეძრული. იმ წუთს საშინლად შემძაგდა მაესტრო ბერნარდო.

აჰა, ესეც შენი ჰერცოგების თანატოლი! კეთილშობილი ბატონი, ყაჩაღის შიგანში რომ აფათურებს ხელებს! მძორში იქექება!

იმ ღამით ჰერცოგს და მოხუცს საუბარში დაათენდათ. ამდენი არასოდეს ულაპარაკიათ. თითქმის ექსტაზამდე მიიყვანეს თავი, ლაპარაკობდნენ ბუნებაზე, მის სიღიადესა და გულუბნობაზე. მთლიანი, დიადი, განუყოფელი, ერთიანი და გასაოცარია ჩვენი სამყარო, გაიძახოდნენ წამისწამ.

არტერიები, რომლითაც სხეულში სისხლი მისჩქეფს, მსგავსია მდინარეებისა, დედამიწაზე წყალი რომ მიედინება, ფილტვები ისევე სუნთქავს, როგორც ოკეანე თავისი მოქცევებით და უკუქცევებით, ჩონჩხი სხეულის საყრდენს წარმოადგენს, ისევე როგორც ქვის შრეები — მიწისას. ადამიანის სხეული კი იმდაგვარია, როგორც თვით დედამიწა. დედამიწის გულში ცეცხლის გიზვიზი სულის აციაგებას წაავსებს, ერთიც და მეორეც მზისგან, უწმინდესი მნათობისაგან არის ნასესხები. სწორედ მზე, ეს ძველთაგნების მიერ გაღმერთებული მნათობა ყველა სულიერის წინაპარი, სიცოცხლის პირველი ძინეზი და პირველწყარო. სწორედ იგი უწყალობებს თავის სინათლეს სამყაროს ციურ სხეულებს და ჩვენი დედამიწაც ზომ სწორედ ერთი ამ სხეულთაგანია.

ორივენი შეშლილებსა ჰკვანდნენ და მათი ნაუბარი ძალაუნებურად უნდა მომესმინა, შეპასუხების უფლებაც არა მქონდა. რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ მოხუცი ერთი ახირებული ვინმეა, იმდენს იზამს, ჰერცოგსაც გადაიყვანს ჭკუიდან, საოცარია, რარიგ ლმობიერი ხდება ჰერცოგი, როცა მის გვერდით უხდება ყოფნა.

როგორ შეიძლება სერიოზულად ირწმუნო მსგავსი რამ? როგორ შეიძლება დაიჯერო ეს ერთიანობა, ეს, როგორც მოხუცი ამბობს, ღვთაებრივი ჰარმონია?

როგორ არა რცხვენია, ამ უაზრო, მაღალფარდოვან, ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს რომ არახუნებს? ფრანჩესკოს გულ-ღვიძლი დამიდგა თვალწინ და კინალამ წამომასაქმა.

რა ბედნიერებაა, ჩაიხედო ბუნების საიდუმლო წილშიო! — აღტაცებით წამოიყვირებდნენ ზოლმე ჰერცოგი და მაესტრო ბერნარდო, — რა უსასრულოდ ბევრ რასმე სთავაზობს იგი მკვლევარის მჩხიბავ თვალს და რაოდენ ამალღდება ადამიანი, რა მორჭმული და ძლიერი გახდება იგი, როდესაც ჩასწვდება და თავის სამსახურში ჩააყენებს ბუნების ყველა საიდუმლო ძალას. სტიქიონები უდრტვინველად დაემორჩილებიან მის ნება-სურვილს, მძვინვარებადამცხრალი ცეცხლი მის თვინიერ მსახურად იქცევა, მიწა ასკეცად გაამრავლებს ნაყოფს, რადგან ადამიანი მიაკვლევს ზრდა-განვითარებისა და გამრავლების კანონებს. მდინარეები გახდებიან

მის შეკრულ-შებოტილ მონებად, ოკეანეები კი გააქროლებენ გემებს ჩვენი თვალუწვდენული პლანეტის ირგვლივ, ნარნარ ვარსკვლავად რომ ლივლივებს საწყაროს თვალშეუდგამ სივრცეში. ადამიანი ჰაერსაც კი დამორჩილებს, რაკი ერთხელაც იქნება, ფრინველივით ფრენას ისწავლის და, სიჰიმი-საგან განტვირთული, სივრცეში მოქიატე ვარსკვლავებისა და სირთა მსგავსად, თვითონაც გაქროლდება იმ დიადი მიზნისკენ, რომელსაც ადამიანის გონება ჯერხნობით ვერც ჩასწვდება და ვერც ამრიცხობს.

ოჰ, რა კარგია სიცოცხლე ამ მიწაზე!

რა სიღიადით არის მოსილი ადამიანის ცხოვრება!

მათ აღტაცებას ბოლო არ უჩანდა, ორივენი იმ ბავშვებს წააგვდნენ, რომლებიც ოცნებობდნენ სათამაშოებზე, უამრავ სათამაშოზე, მაგრამ, როდესაც ეს სათამაშოები ხელთ იგდეს, აღარ იცოდნენ, როგორ მოეხმარათ ისინი. მე შევეცქეროდი ორივეს ქონდრისკაცის ბრძნული მზერით და ჩემს ნაოქებით დაბლანდულ ათაქამინდელ სახეზე კუნთიც კი არ შერხეულა, ჯუჯები ბავშვებს არა ჰგვანან, ისინი არასოდეს თამაშობენ. მე წარამარა ფეხის წვერებზე ვდგებოდი და ჰერცოგსა და მოხუც სწავლულს სასმისებს ვუვსებდი ღვინით, საუბრის დროს რომ სვამდნენ.

რა იციან მათ სიცოცხლის სიღიადეზე? ან საიდან უნდა იცოდნენ, მართლაც დიადია თუ არა იგი? ეს მხოლოდ ფრაზა გახლავთ, რომელსაც ხშირ-ხშირად იმეორებენ ადამიანები, ასევე წარმატებით შეგვიძლია ამტკიცო, სიცოცხლე არარაობა და უმადრუკობააო. პაწაწინა ბუჭყას, რომელიც შეგიძლია ფრჩხილით ისე მიაქყლიტო, წინააღმდეგობის გაწევა არც იფიქროს, საკუთარი თავის დაღუპვა ასერიგად როდი აღეღვებს. იგი ყველასა და ყველაფრის მიმართ გულგრილი გახლავთ თუმცა, რატომაც არა, რატომ უნდა დაზოგოს თავი, რად უნდა ცდილობდეს გადარჩენას? ან რად უნდა აღეღვებდეს რამე?

ჩასწვდე ბუნების არსს, ჩაიხედო მის წიაღში! მერედა, რა არის ამაში კარგი? თუმცა ეს რომ შეეძლოთ, თავიანთი ქმედობით თვითონვე შეძრწუნდებოდნენ, თავზარი დაეცემოდათ. ამათ ჰგონიათ, რომ ბუნება სავანგებოდ ამათთვის არსებობს, მათ სასიხარულოდ და საკეთილდღეოდ, მათი სიცოცხლის განსაღიდეზლად და გასამშვენიერებლად. რა იციან ბუნებაზე, საიდან უწყიან, რომ იგი ერთადერთია და მათი ბალღური ახირებული სურვილების ამსრულებელი?

ჰგონიათ, რომ ძალუძთ ბუნების წიგნის წაკითხვა, წარმოუდგენიათ, რომ ეს წიგნი საცნებოდ არის კაცთა მოღგმისათვის გა-

დაშლილი, ფიქრობე, რომ შეუძლიათ ყველაფრის წინასწარ შეტყობა, შეუძლიათ წაიკითხონ ცარიელი ფურცლები, ჯერხნობით ზედ რომ არაფერი წერია. უგუნურები, თავდაჯერებული დოცლები! ვის შეუძლია იცოდეს, ბუნების საიდუმლო? ვის ძალუძს წინასწარ განჭვრიტოს ან ივარაუდოს რაიმე? განა დედამ იცის, ვის ატარებს გულსკოვჭქვეშ? ვინ ეტყვის ამას? იგი ელის, რომ დადგება დრო და ყველა დინახავს, ვინ გაჩნდა ამქვეყნად. ეკითხათ ჩემთვის, ქონდრისკაცი ყველაფერს განუმარტავდათ.

მაშ, ამ კაცზე ვამბობდი, თავმდაბალია-მეთქი? რარიგად შეეცდი! პირიქით, მტკამეტად გულზავი და ამაყი ყოფილა, თანაც იმდენად თავდაჯერებული, რომ სურვილი აქვს, ხელწიფის დარად მართონ ქვეყნიერება, მბრძანებლობდეს სამყაროს, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ ექვემდებარება მას.

მაესტრო ბერნარდო შეიძლება ვინმეს თავმდაბალი და მორიდებული ეჩვენოს იმის გამო, რომ ყველაფერს ჩხრეკს და იძიებს, სურვილი აქვს, ყველაფერი გაარკვიოს და ნათელი მოჰფინოს, თანაც დაუფარავად ამბობს, ესა თუ ის საკითხი ჩემთვის გაუგებარია და შეძლებისდაგვარად, ვცდილობ ჩაეწვდე და გავიცნობიერო, მაგრამ, მეორე მხრივ, ფიქრობს, რომ ერთიანობა, მთლიანობა მისთვის შეუცნობელი არ არის და დარწმუნებულია, რომ ჩასწვდა ყოფიერების არსს.

ჩვენი სწავლული დამთმობი და თავმდაბალია უბრალო და უმნიშვნელო საკითხებში, მაგრამ როცა საქმე ძირეულს და არსებობის ეხება, მაშინ შეუვალი ხდება.

უცნაური თავმდაბლობაა, ღმერთმანი!

ამქვეყნად ყველაფერი აზრზეა დაფუძნებული, აზრია ჩაბუდებული ყველაფერში რაც ხდება, მაგრამ თვით სიცოცხლეს არავითარი აზრი არ გააჩნია და არც შეიძლება ჰქონდეს, სხვაგვარად იგი ვერ იარსებებდა.

მე ასე მწამს!

რა დამცირებდა, რა თავის მოჭრა! ჩემს სიცოცხლეში ასეთი შეურაცხყოფა ჩემთვის არავის მოუყენებია. შევეცდები გულდამშვიდებით მოგიტხროთ რა გადამხდა თავს იმ საზარელ დღეს.

ჰერცოგმა მიბრძანა, წავსულიყავი მაესტრო ბერნარდოსთან. ჩვენი სწავლული ახლა სანტა-კროჩეს სატრაპეზოში მუშაობს და რატომღაც თავისთან დამიბარა. ავდექი და წავედი, თუმცა გულს ვასკდებოდი, რომ ამ ჩემთვის უცხო, ამპარტავან კაცს უნდა მოემსახურებოდი. მაესტრო ბერნარდომ ძალზე თავაზიანად მიმიღო,

მიტხრა, ქონდრისკაცები ყოველთვის ძალიან მაინტერესებდაო, „ნეტავ რა აღარ გაინტერესებს, თუ ვარსკვლავებიდან დაწყებული, ფრანჩესკოს შიგნეულობით დამთავრებული, მიუჩნრეკ-მოუჩნრეკავი არაფერი დაგრჩენია, თუმცა ჩემნაირ ჯუჯებზე წარმოდგენაც კი არასოდეს გექნება“. გავიფიქრე, მოხუცმა კიდეც რამდენიმე თავაზიანი და არაფრისმთქმელი ყრაზა მიტხრა, მერე კი უეცრად გამომიცხადა, უნდა დაგზატოო. ვიფიქრე, უთუოდ ჩემს პორტრეტს გულსხმობს, რომელიც, ალბათ, ჰერცოგმა შეუკვეთა-მეთქი და სადღაც, გულის სიღრმეში ნასიამოვნებიც დაერჩი, მაგრამ პასუხად მივეუბე, რომ არ მსურდა ჩემი პორტრეტი დაეხატა. „რატომ?“ შეძეკითხა იგი. ბუნებრივად მივიჩნიე მეპასუხა: „მინდა, ჩემი სახე მარტო მე შეკუთვნოდეს“. მან ჩაიციხა, ორიგინალური აზრიაო, მიტხრა, მაგრამ მერე დამეთანხმა, ამ სიტყვებში რაღაც სიძარტლე მართლაც არის, თუმცა, ყოველი სახე, და არა მარტო პორტრეტზე ასახული, მრავალთა საკუთრებაა, და არსებითად, ეკუთვნის ყველას, ვინც მას შეხედავს. მე კი უბრალოდ მინდოდა შენი სხეული გადამეხატა, რათა შენი აგებულება შემესწავლა, ამიტომაც საქოსი გაიხადე, რომ ფანქრით მონახაზი გავაკეთოო. ვიგრძენი, სიბრაზისა და შიშისაგან თანდათან რომ ვფითრდებოდი, არ ვიცი, რომელი სჭარბობდა მაშინ ჩემში, მაგრამ ერთმაც და მეორემაც ერთბაშად შოიცივა მთელი ჩემი არსება და თავით-ფეხამდე ამათრთოლა.

მაესტრო ბერნარდომ შეამჩნია, როგორ აღმამფოთა მისმა უტიფრობამ და დამიწყო დამშვიდება, არაფერია სათაკილო იმაში, რომ ქონდრისკაცი ხარ და სხვას შენი ნამდვილი სახით ეჩვენებოო. ბუნების წინაშე მე ყოველთვის მოკრძალებას ვგრძნობ, მაშინაც კი, როდესაც იგი, უცნაური ახარების წყალობით, რაღაც არაჩვეულებრივსა და გასაოცარს წარმოქმნის. განა სირცხვილია ეჩვენო სხვებს ისეთი, როგორიც სინამდვილეში ხარ? არსებითად ხომ საკუთარ თავს არავინ ეკუთვნისო. „მე კი ვეკუთვნი!“ — ვიყვირე გააფთრებით, — ეს თქვენ არ ეკუთვნით თქვენს თავს, თორემ მე ნამდვილად ვეკუთვნი!“

მაესტრო ბერნარდოს ჩემი გაშმაგება არაფრად ჩაუგდია, მშვილად მისმენდა. უფრო მეტიც, ინტერესით და ყურადღებით მაკვირდებოდა, რამაც უფრო ამაღლევა. მერე თქვა, ღრთა, დავიწყოთო და ჩემკენ წამოიწია. „ჩემი სხეულის შეურაცხყოფას არავის ვაპატეებ!“ — ვიყვირე გაშმაგებით. მოხუცს ჩემი სიტყვებისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ, როცა მიხვდა, ჩემი ნებით ტანთ არ გავიხდიდი, გადაწყვიტა, ეს საქმე თვითონ ეკისრა. სიბრაზისაგან ლამის იყო, გონი წამერთო, მაგრამ დაშნის ამოღება

მასიც შეეძელი, მე მგონი, ძალიან გაოცდა, როცა დაინახა, როგორ იელუკ, ფოლადმა, თუმცა მშვიდად მოჰკიდა დაშნას ხელი და ფრთხილად გადადო მოშორებით. „შენ, როგორც გატყობ, საშიში პიროვნება უნდა იყო“, მითხრა და თან გაოცებით შემომამშტერდა. ამ სიტყვებზე გესლიანად ჩავიცინე. მან კი დინჯად დამიწყო ტანსაცმლის გახდა, უსინდისოდ მაშიშვლებდა. მე სასტიკად ვეწინააღმდეგებოდი, ისე ვიბრძოდი, თითქოს საკუთარი სიცოცხლე უნდა გადაქერჩინა, მაგრამ ყველაფერი ამო იყო, აბა, ამხელა კაცს როგორ მოვერეოდო! როდესაც თავისი სამარცხვინო საქმე მოათავა, ამიყვანა და სატრაპეზოს შუაში, ფიცარნაგზე დამსვა.

ვიდექი საცოდავად ტანსაცმელშემოძარცული, ყოვლად უმწეო, საიმისოდ, რომ რამე მელონა, თუმცა მრისხანებისაგან ლამის კვუიდან გადავსულიყავი. მაესტრო ბერნარდო კი ფიცარნაგიდან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით იდგა და მშვიდად მათვლიერებდა, გულგრილად შემოძკეპროდა და შეუბრალებლად მამცნებდა: მისი მხერა მთლიანად დაუფლებოდა ჩემს სხეულს, ისე მექცეოდა, თითქოს მისი საკუთრება ვყოფილიყავი.

რასებლა დამცირებაა, იდგე ასე, დედიშობილა და სხვა ადამიანი ურცხვად გათვლიერებდეს, თვალს გავლებდეს მთელ სხეულზე, ნაწილ-ნაწილ გისინჯავდეს ნაკეთებს, აქამდე ვერ მიემხვდარეარ, საერთოდ როგორ გავუძელი ყოველივე ამას, ახლაც ყურში მიღვას, რა ხმას გამოსცემდა ის ვერცხლის ფანქარი, როცა მოხუცი ქალღზე ხატავდა — შესაძლოა, ეს იგივე ფანქარდ იყო, რითაც მაესტრომ სასახლის კარიბჭესთან მოქანავე გამზარი თავები და ათასი სხვა სისაძაგლე გადაიხატა. მოხუცს მზერა შეეცვალა, ხანჯლის წვერივით გაუმახვილდა, ასე მეჩვენებოდა, თითქოს სხეულს მიბურღავდა.

არასოდეს განმრცილია ამგვარი სიძულვილი ადამიანის მიმართ, როგორც იმ საშინელ წუთებში. სიძულვილის გრძობა თითქოს ფიზიკურად ხელშესახები გახდა, თვალთ დამიბნელდა და ლამის იყო, გული შემიღონდა. თუ არსებობს დედამიწის ზურგზე ადამიანზე უფრო საძულველი და ბილწი ქმნილება?

ჩემ პირდაპირ კედელზე ვხედავდი მაესტრო ბერნარდოს უზარმაზარ ნახატს, ეს სწორედ ის სურათია, რომელიც, როგორც ამბობენ, შედეგად უნდა იქცეს. მოხუცი ეს-ეს არის, შესდგომია საქმეს. და, როგორც ეტყობა, საიდუმლო სერობის დახატვას აბირებს. ქრისტე, თავის მოწაფეებთან ერთად, სუფრას უზის, ცეცხლმოკიდებული შევყურებდი წმინდა, უბიწო, კმაყოფილ სახეებს მოწაფეებისას, რომელთაც წარმოუდგენიათ, რომ ამქვეყნად

ყველასა და ყველაფერზე მალღა დგანან, თავის ზეციერ მეუფესთან ერთად, თავზემთ ასეთი არაამქვეყნიური ნათელი რომ ადგას. ღვარძლიანად გავიფიქრე, რომ მას მალე შეიპყრობენ, რომ აგერ, შორეულ კუთხეში მიკრუნჩხული იუდა. ეს-ეს არის, გასცემს თავის მასწავლებელს. ჭერხნობით კიდევ თაყვანს სცემენ და აღმერთებენ, — ვფიქრობდი ჩემთვის, ჭერ კიდევ შეუძლია სუფრასთან იჯდეს, მაშინ, როდესაც მე, შერცხვენილი და თავლაფდასხმული ყველას დასანახად ვარ გამოყუდებული ამ ფიცარნაგზე, მაგრამ მისი გაწბილების ჟამიც მალე დადგება, სულ მალე აღარ იჯდება მისიანებით გარშემორტყმული, ისევ ეს მისიანები გასცემენ და უღალატებენ და მართოდმართო იქნება ჭვარზე გამოკიდებული. ისევე სამოსელგანძარცული იქნება მილურსმული ჭვარზე, როგორც მე ვდგავარ აქ სამარცხვინოდ დამცირებული, თავმოჭრილი და შერცხვენილი. რატომაც არა! რატომ არ უნდა დაიტანჯოს ისევე, როგორც მე ვიტანჯები! იგი მუდმივად სიყვარულით იყო გარემოსილი და ნასაზრდოები, მაშინ, როდესაც მე სიძულვილი მკვებავდა. სიძულვილი დედის რძესთან ერთად შევიწოვე, იმთავითვე პირში ჩამრჩა მისი მწარე გემო. მე დედას ნაღველით გასენილ მკერდთან ვიწეკი, მისი დედა კი ნაზი და ალერსიანი მადონა იყო, ქალთა შორის უსათნოესი და ულამაზესი და შეილსაც უტკბეს რძეს აწოვებდა, ისეთს, ამქვეყნად არც ერთ მოკვდავს რომ არ უწოვია. ზის იქ თავისთვის გულარხეინად თავის გულშბრყვილო მოწაფეთა შორის და ვერც კი წარმოუდგენია რომ შეიძლება ვინმეს სძულდეს, რომ მავანსა თუ მავანს შეუძლია რაიმე უმტროს და უმუხტლოს. რატომაც არა! ვითომ რა გამონაკლისია! მას ჰგონია, რომ უბრალო მოკვდავებს უნდა უყვარდეთ, რაკი თვით უფალი ღმერთის მიერ არის ჩასახული, რა გულშბრყვილობაა! რა ბავშვური თვალთ უტკერის ადამიანებს! ადამიანებმა ხომ მხოლოდ ამ სასწაულის გამო ჩაიდეს გულში ღვარძლი მის მიმართ. ადამისძეთა მოდგმას არ უყვარს, როდესაც ღმერთი მათ მიმართ ძალმომრეობას იჩენს.

მე ჭერ კიდევ მას ვუტკეროდი, როცა ბოლოს და ბოლოს ვიხსენი თავი საშინელი დამცირებისაგან. ვიდექი: იმ წყეული სატრაპეზოს კართან და ვფიქრობდი: მალე შენც მიგყიდიან რამდენიმე გერცხლად წარჩინებულებს, შენც ჩემნაირად დაიტანჯები!

ჯაფთრებით მივაჯახუნე ჩემ უკან კარი, რომელიც მმიჯნავდა მისგან და მის მხატვარ ბერნარდოსგანაც, გატაცებით რომ შემზერდა თავის დიად ქმნილებას და უკვე დავიწყნოდა ჩემი არსე-

ბობაც და ისიც, თუ რა ტანჯვის გადატანა მომიხდა მისი წყალობით.

ყველაფერს აჯობებს, აღარ ვიფიქრო სანტა-კროჩეზე, დავივიწყო იქაურობა, მაგრამ ერთი რამ მაინც ვერ ამოვიგდე გულიდან: ვიდრე ტანთ ვიცვამდი, თვალში მხვდებოდა ირგვლივ მიმოფანტული მუყაოს ნაჭრები, რომლებზედაც გამოსახული იყო სხვადასხვანაირი საოცარი ცხოველები, რომელთა მსგავსი არასოდეს არავის უნახავს და რომლებიც საერთოდ ბუნებაში არ არსებობენ, ეს იყო რაღაც საშუალო ადამიანებსა და ცხოველებს შორის, და მურასავით სიფრიფანაფრთიანი ქალები, ხვლიკისთავიანი და ბაყაყისთათებიანი მამაკაცები, გრიფისთავიანი მამაკაცები, ხელების ნაცვლად კლანჭიანი თათები რომ ჰქონდათ. ყველანი ბოროტი დემონებით მიმოქროდნენ ჰაერში. იყვნენ კიდევ რაღაცნაირი არსებები, რომლებიც არც მამაკაცებს ჰგავდნენ და არც დედაკაცებს, უფრო ზღვის ურჩხულებს მოგაგონებდნენ, მათ დახლაკნილი საცეცები და ადამიანივით ცივი, ბოროტი თვალები ჰქონდათ. გამაოცა ამ საშინელი სიმახინჯის დანახვამ, ლამის იყო ელდისაგან დავიზაფრე, ჯერაც თვალწინ მიდგანან ის უგვან-უსახურები და გული ვერა და ვერ მომიბრუნებია. რატომ აინტერესებს სწორედ ეს ურჩხულები მაესტრო ბერნარდოს? საითკენ შინსწრაფის მისი ფანტაზია? რატომ იხმობს არარაობიდან ამ საზიზღარ აჩრდილთა სახეებს? რატომ მაინცდამაინც ისინი ებლანდებიან თვალწინ? რატომ ჯახირობს და ქმნის ისეთ რამეს, ბუნებაში რომ არ არსებობს? ხომ უნდა იყოს საამისოდ რაღაც მიზეზი, როგორც ეტყობა, აქეთკენ რაღაც შინაგანი მოთხოვნილება უბიძგებს. ან იქნებ სწორედ იმიტომაც აინტერესებს ყველაფერი ის, ბუნებაში რომ არ არსებობს? ვერაფერი გამიგია, რა უნდა იყოს ის ადამიანი, ვინც ასეთ სისაძაგლეს ქმნის? ვის სიამოვნებს მათი ცქერა, ვის მიუწევს მათკენ გული?

როდესაც უცქერ მოხუცის მედიდურ სახეს, რომელსაც, უნდა ვაღიარო, არც სინატიფე აკლია და არც კეთილშობილება, ვერასდიდებით ვერ დაიჭერებ, რომ ეს საზიზღარი ნახატები მისი შექმნილია, მაგრამ სინამდვილეს სად წაუხვავალ, ღირს ამაზე დაფიქრებას ალბათ, ეს ბილწი ქმნილებები მასში არიან, მის არსებაში ბოგინებენ, როგორც სხვა ყველაფერი, რასაც თავად ქმნის.

არ შეიძლება არ დაუფიქრდე იმასაც, როგორი სახე ჰქონდა, მე რომ მხატავდა, როგორ შეიცვალა შეცრად და თითქოს სულ სხვა ადამიანად იქცა: არასასიამოვნო, მახვილი მზერა, ცივი და

საშინელი, სახის სრულიად ახალი გამომეტყველება — უღმობელი და მკაცრი, ნამდვილად დემონს ამსგავსებდა.

მაშასადამე, სხვათა მსგავსად, მეესტრო ბერნარდოც არ არის ის აღაჰიანი, რადაც თავს ასალებს.

ამ საღამოს დარბაზში ანჯელიკა შემოვიდა, გვერდით რომ ჩაუარა, ჰერცოგმა უთხრა, იქნებ ცოტახნით ჩვენთან ერთად ჩამოჯდნე მაგ შენი ხელსაქმიანად. ანჯელიკა სწორედ ამ ხელსაქმისთვის იყო შეწავილი დარბაზში. იგი უწადინოდ დათანხმდა, სიტყვის შემბრუნება ვერ გაუბედა. ანჯელიკას საერთოდ არ უყვარს საზოგადოებაში ტრიალი, ვერ ეგუება სასახლის კარის ცხოვრებას. კაცმა რომ თქვას, არც ჰერცოგის ასულს ჩამოჰგავს, თუმცა ჯერ კიდევ საქთბავია, ნამდვილად ჰერცოგის ასულია თუ არა, სულ ადვილი შესაძლებელია ნასიძებეც იყოს, მაგრამ მესიარ ბერნარდომ ამის თაობაზე არაფერი იცის. იგი უყურებდა, როგორ იჯდა ანჯელიკა თავდაზრილი და ლენჩივით პირდაღებული, გაფაციცებით შემტერებოდა, თითქოს ეს გოგოც რაღაც საოცრება ყოფილიყოს. ამ კაცს ხომ ყველაფერი აოცებს და აცვიფრებს. ალბათ, ფიქრობს, რომ ანჯელიკაც ისეთივე საოცრებაა, როგორც მე ან მისი არაჩვეულებრივი ქვები. მესიარ ბერნარდო დუმდა და აშკარად გულაჩუყებული ჩანდა, თუმცა ანჯელიკა შტერივით იჯდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ხმა არ გაუღია. დუმილი მტანჯველური ხდებოდა.

არ ვიცი, რამ აუჩუყა ასე გული ჩვენს სტუმარს.

ეგება ეცოდებოდა ანჯელიკა, ასეთი უსახური რომ იყო, მან ხომ კარგად იცის სილამაზის ფასი და ესმის მისი მნიშვნელობა. იქნებ აჰიტომაც შემზერდა ჰერცოგის ასულს ასე ნაღვლიანად და გულისტყვილით, არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე.

ანჯელიკას, რა თქმა უნდა, სული კბილით ეჭირა, უნდოდა, რაც შეიძლება მალე გასცლოდა იქაურობას, ზუსტად იმდენ ხანს იჯდა, რამდენსაც ზრდილობის წესები მოითხოვდა, არც ერთი წუთი არ დაუყოვნებია, ჰერცოგს წასვლის ნებართვა სთხოვა, სწრაფად წაშოდგა და ჩვეული მოკრძალებით, მაგრამ ზღაზნით, ულაზათო ნაბიჯით გაიარა დარბაზი. — ანჯელიკა დღემდე მოზარდს წააგავს, საოცარია მაინც, რატომ არის ასეთი უშნო და უთვალადო.

რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, ახლაც უბრალოდ, თითქმის ღარიბულად იყო ჩაცმული. მისთვის სულ ერთია, რასაც ჩაიცვამს და სხვები ხომ ამას სულაც არ დაგიღვევენ.

მეესტრო ბერნარდოს, როგორც ეტყობა, სულაც არ აკმაყოფილებს თავისი სამუშაო. ზან ერთ საქმეს მიუბრუნდება, ხან მეო-

რეს, დამთავრებით კი ვერაფერს ამთავრებს. რით უნდა აიხსნას ეს? თითქოს ახლა იმ თავის „საიდუმლო სერობას“ უნდა დასტრიალებდეს თავს, რომ ბოლოს და ბოლოს დაასრულოს ნახატი. მან კი სანტა-კროჩეს სატრაპეზო სულაც მიატოვა, ალბათ, მობეზრდა და ახლა ჰერცოგის მეუღლის პორტრეტს ხატვას შეუდგა.

ამბობენ, ჰერცოგის მეუღლეს სულაც არ სურს. მისი პორტრეტი დახატონო, ეს თურმე ჰერცოგის სურვილით ხდება. მესმის ჰერცოგის მეუღლის, სულაც არ არის ძნელი ამის გაგება. შეიძლება სარკეში საკუთარი თავი ათვალიერო. მაგრამ როდესაც სარკეს მოსცილდებით, არ ისურვებდით თქვენი გამონახაზი ზეჯ დარჩენილიყო, რათა ნებისმიერ ადამიანს შეძლებოდა მისი დაუფლება. ძალიან კარგად მესმის, რატომ არ უნდა ჰერცოგის მეუღლეს სადმე დარჩეს მისი სახე. ჩემი აზრით მისას ემთხვევა.

თავს არავინ ეკუთვნის? რა საზიზღარი სიტყვებია! საკუთარ თავს, თურმე არავინ ეკუთვნის. ყველანი ყველას ეკუთვნიან, მაშასადამე, შენი საკუთარი სახე და სხეული შენი კი არ არის, ყველასია, ვინც მას შეხედავს. გამოდის, რომ სხვებს შეუძლიათ შენს სხეულს დაეუფლონ! ამაზე ფიქრიც კი მზარავს.

მე ძსურს, რომ ვიყო ერთადერთი მფლობელი ყველაფერ იმისა, რაც მე შეკუთვნის. ვერავინ გაბედავს ჩემი საკუთრების მიჩემებას, მის ხელყოფას. ჩემი ჩემთვის არის განკუთვნილი და არა სხვისთვის, მე მინდა სიკვდილის შემდეგაც ჩემს თავს ვეკუთვნოდე. არავის აქვს უფლება ხელი აფათუროს ჩემს შიგნეულში. არ მინდა ვიღაც უცხომ ათვალიეროს ჩემი ფაშვ-ნაწლავი, თუმცა არა მგონია, ჩემი ნაწლავები იმ არამზადა ფრანჩესკოს ნაწლავებოვით გულისამრავი იყოს.

ვერ ვიტან, მესირ ბერნარდო გამუდმებით რომ ქექავს და ჩიბავს ყველაფერს, თავს მამებრებს მისი გაზვიადებული ცნობის-მოყვარეობა. რისთვის არის საჭირო ყველაფერი ეს, რა მიზანძემსახურება? მზარავს იმაზე ფიქრიც კი, რომ ამ მოხუცს დარჩა ჩემი სურათი, რომ იგი დამეპატრონა და დამეუფლა, რომ ახლა უკვე მთლიანად კი არ მეკუთვნის საკუთარი თავი, ერთდროულად სანტა-კროჩეშიც ვცხოვრობ, მესირ ბერნარდოს უმსგავს მახინჯებთან ერთად.

ჰოდა, ძალიანაც კარგი — ჰერცოგის მეუღლეს დახატონ! რატომ აო უნდა განიცადოს ის, რაც მე განვიცადე? მოხარული ვარ, რომ ახლა ისიც უბოდიშოდ უნდა გამომხეურდეს ამ უსინდისო ადამიანის თვალთა წინაშე, რათა მაესტრო ბერნარდო მასაც დაეუფლოს.

მაგრამ ერთი კითხვა მაინც არ მასვენებს, რით დააინტერესა ამ კახპამ? მე, მაგალითად, ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ შეიძლებოდა თეოდორას ვინმესთვის რაიმე ინტერესი აღეძრა. თუმცა, ვნახავთ, რაც გამოვა ამ პორტრეტიდან, მე ეს სრულიადაც არ მეზება.

არა მგონია, მესირ ბერნარდო კარგად იცნობდეს ადამიანების ბუნებას, მართალი გითხრათ, ამ კაცმა მეტად გამოაცა, ისე გაოგნებული დავრჩი, მთელი დამე თვალი ვერ მოვხუჭე და სულ ამაზე ვფიქრობდი. გუშინ საღამოს ისინი ჩვეულებრივად ისხდნენ და ხაუბრობდნენ — თავის საყვარელ ამბობებულ თემებს უტრიალებდნენ, მაგრამ მესირ ბერნარდო შესამჩნევად გულდამძიმებული ჩანდა: ხშირი წვერი მუკში ჩაებლუჯა და, როგორც ეტყობოდა, რაღაც უქმური ფიქრებისთვის მიეცა თავი. მერე უეცრად აღაპარაკდა, ლაპარაკობდა გატაცებით, მგზნებარედ. მაგრამ ეს მისი მგზნებარება როგორღაც ნავლწყაყრილი ჩანდა. ნამდვილად ველარცნობდი, ასე მეგონა, სულ სხვა ადამიანს ვუსმენ-მეთქი.

ადამიანის აზრი, ამბობდა იგი, საბოლოოდ მეტად უძლურია, ფრთები კი მძლავრი ასხია, მაგრამ ბედისწერა, ვინც ეს ფრთები მოგვიბოძა, ჩვენზე ძლიერია და საშუალებას არ გვაძლევს, ზელიდან დაეუსხლტეთ, არ გვიშვებს იმაზე უფრო შორს, რაც თავად აქვს გამიზნული. ჩვენ მანძილი გვაქვს მოზომილი: წრეში ზანმოკლე სირბილის შემდეგ, როცა იმედით და სინანულით შევისმკვალებით, თითქოს ბაზიერმა მიმინოს საბელი მოქაჩაო, ისევ უკან მიგვრეკენ ხოლმე, როდის გვეღირსება თავისუფლება? ბოლოს და ბოლოს როდის გადაჭრიან საბელს, რომ მიმინომ ცის ლავეარდში აჭრა შეძლოს?

როდის იქნება ეს? იქნება კი ოდესმე? ან ეგება ჩვენი ცხოვრების საიდუმლოც სწორედ ისაა, რომ ბაზიერის ხელსა ვართ მიჭაქველნი და მუდამ ამ ყოფაში ვიქნებით? თუმცა ასე რომ არ იყოს, ხომ არც ის ვიქნებოდით, რანიცა ვართ და ჩვენი ცხოვრებაც სულ სხვაგვარად წარიმართებოდა.

მაგრამ ჩვენ მაინც შექმნილნი ვართ იმდაგვარად, რომ უნდა შეუძლიად ცისკენ ვისწრაფოდეთ, თავს მუდამ მის თანაზიარად ვკრძნობთ, თუმცა, ეს ცა ჩვენ გარეშე მაინც არსებობს, იგი იშლება ჩვენ თვალთა წინაშე, როგორც ერთგვარი აბსოლუტური რეალობა, იგი ისეთივე რეალობაა, როგორც ჩვენი ტყვეობა. რისთვის არსებობს ეს უსასრულო სივრცე, რომელსაც სულ ერთია, ჩვენ ვერ მივწვდებით — მსჯელობდა მესირ ბერნარდო, — რა აზრი აქვს ამ უსასრულობას ჩვენს ირგვლივ, სიცოცხლის ირგვლივ,

თუკი ჩვენ მაინც უმწეო ტყვეებად დავრჩებით და სიცოცხლეც ისევ და ისევ საკუთარ თავში ჩაკეტილი და ჩარაზული იქნება? რისი მაქნისია მაშინ, კაცმა რომ თქვას, ეს განუზომელობა? რაში ესაჭიროება ჩვენს გაღნაპულ ბედს, ჩვენს ვიწრო ხეობას, ეს ამოდენა სივრცე და გარემომცველობა? განა ამის გამო უფრო ბედნიერად ვგარძნობთ თავს? არა მგონია, პირიქით, უფრო მეტად ვუბედურდებით.

მე ყურადღებით ვაკვირდებოდი მესირ ბერნარდოს — რა მოლუშული სახე ჰქონდა, რა საშინელი დაღლილობა გამოკრთოდა მისი ბებრული თვალებიდან!

განა უფრო ბედნიერები ვხდებით, როდესაც ვცდილობთ ქეშმარიტების დადგენას? — განაგრძობდა მესირ ბერნარდო. — მეც დავეძებ ქეშმარიტებას. მთელი ჩემი სიცოცხლე დაუღალავად ვეძიებდი მას და ზოგჯერ მეჩვენებოდა კიდევ, რომ თვალი ამეხილა, თითქოს დავინახე რაღაც ციციკნა ნაწილი მისი კამკამა ცისა, მაგრამ ცანი არასოდეს განხმულან წინაშე ჩემდა და არც ჩემი მზერა დამტკბარა უსასრულობის ცქერით, რომლის გარეშე ამ წუთისოფელში ვერაფერს შეიძნობს კაცი. ეს ჩვენთვის აღკვეთილია. ამიტომაც ამაო იყო მთელი ჩემი მცდელობა, ამიტომ იყო, რომ ყველაფერი, რასაც კი ზელს მოვკიდებდი, სანახევროდ გაუკეთებელი მრჩებოდა. გულისტკივილით ვფიქრობ ჩემს ქმნილებებზე და გულისტკივილით და დანისლული თვალებით შემზერენ მათ ალბათ, სხვებიც — ისევე როგორც ჩვენ ვუმზერთ უთავო და კიდურებშემოცლილ ანტიკურ ქანდაკებას. მახინჯი და არასრულყოფილია ყველაფერი, რაც შევქმენი და ასევე ვუტოვებ ჩემს შემდგომ თაობებს.

თუმცა რა არის აქ გასაკვირი?

აკი ასეთია ადამიანის ბედი. გარდუვალი ბედისწერა ადამიანთა ნამოქმედარისა, ყველაფერ იმისა, რაც კი კაცის ხელს შეუქმნია, ყველაფერი ჩვენ მიერ შექმნილი — მხოლოდ პირველი ნაბიჯია გადადგმული იმისკენ, რასაც ვერასოდეს მივალწევთ. რასაც არ შეიძლება მივალწიოთ და ვერც ვერასოდეს მივწვდებით, არსებითად, მთელი ჩვენი კულტურა პირველი ნაბიჯია, რაღაც მიუწვდომელი-საკენ, რასაც ჩვენ ვერასოდეს აღვიქვამთ. იგი აღმართულია მახინჯი, დამუსვრილი ანტიკური ქანდაკივით და განა ადამიანის სული ასევე დამუსვრილი არ არის?

რის მაქნისია ფრთები, თუ ცისკენ ვერასდროს გაგვაქროლებენ? ნაცულად იმისა, რომ სიმძიმისაგან განგვტვირთონ, უფრო მეტად გვაძძიებენ, მიწაზე რის ვაი-ვაგლახით მივაფხოკიალებთ, საბოლოოდ კი, მათდამი ზიზღით ვიმსკვალებით.

და შვებას ვგრძნობთ, როდესაც ამ უკეთური გართობით დაღლილ-დაქანცული ბაზიერი თავზე თალფაქს ჩამოგვაცმევს და ასევე წყვილიადში ვიძირებით.

მესიერ ბერნარდო გაუძირველად იჯდა დათრგუნვილი და წარბშეკრული, პირი მწარედ მოეკუმა, კუშტად იმზირებოდა. მართალი გითხრათ, გაოცებული დავრჩი, ნუთუ ეს ის კაცია, აგერ ახლა აღტაცებით რომ ლაპარაკობდა ადამიანის უსაზღვრო დიდებასა და ძლევამოსილებაზე? განა არ წინასწარმეტყველებდა, რომ ძე კაცისა ყოვლისშემძლე მონარქივით თავისი დიდებული სამეფოს უფალი შეიქმნებო? ვინ აღვირთებდა ადამიანს?

არადა, მიჰივრს ყველაფერ აჰის აღქმა, აღარაფერი მესმის.

მაესტროს გონივრული მსჯელობით მოხიბლული ჰერცოგი პირდაღებული უსმენდა მის ნაუბარს, თუმცაღა ეს ნაუბარი ეწინააღმდეგებოდა ყველაფერ იმას. აქობაძღე მისგან რომ სმენოდა. და, რა თქმა უნდა, ყოველ სიტყვას ახლაც კეშმარიტებად მიიჩნევდა.

როგორ უნდა შეუფარდო ერთი მეორეს? როგორ ახერხებენ ზოგ-ზოგნი ერთნაირად დამაჭერებლად იმსჯელონ ნებისმიერ საგანზე? პირადად მე ყველაფერზე გარკვეული აზრი მაქვს, ამიტომ ჩემთვის ეს გაუგებარია.

თვალი დიდხანს ვერ მოვბუჭე. ვცდილობდი, გამერკვია, თუ ვინ იყო ეს ორ ადამიანი — ჰერცოგი და მესიერ ბერნარდო, მაგრამ არაფერი გამოვივიდა, ფიქრებში გავიხლართე. ხან ნამეტნავი აღტაცება — ოჰ, რა ბედნიერებაა, რა ღვთის წყალობაა, იყო ადამიანი! ხან კი განწირულება, ყოველგვარი აზრის უარყოფა, სასოწარკვეთილება!

რას უნდა ირწმუნო, რა გზას უნდა დაადგე?

მაესტრო აღარ ხატავს თეოდორას პორტრეტს. ამბობს, ვერ დამთავრებ, არაფერი გამოდის. ჰერცოგინიას სახეში არის რაღაც მოუხელთებელი, რასაც ჩემი წარმოსახვა ვერ სწევდება. მაშასადამე, ეს პორტრეტიც დაუმთავრებელი უნდა დარჩეს, როგორც „საიდუმლო სერობა“ და სხვა მრავალი.

ერთხელ როგორღაც ჰერცოგის პალატში თვალი წავეკიდე ამ პორტრეტს, არ მესმის, რატომ არ მოსწონს იგი მაესტრო ბერნარდოს. ჩემი აზრით, ყველაფერი რიგზეა. პორტრეტიდან შეკერებული კაბა შემოგყურებთ. მსგავსება მართლაც რომ საოცარია. ვნებაცოდვილი სახე, დამძიმებული ქუთუთოები და მოუხელთებელი ბიწიერი ღიმილი ისეთი სიზუსტით არის გადმოცემული, გეგონება, მესიერ ბერნარდომ თეოდორას სული გააშიშვლა და პორტრეტზე ისე გადაიტანაო.

რა შემაძრწუნებელია ასეთი მზილება!

არა, რაც უნდა თქვა, ჩვენი სწავლული ადამიანებში ერკვევა.

მაშ, რაღა აკლია პორტრეტს? აკი მაესტრო ბერნარდო ფიქრობს, რაღაც აკლიაო, რას გულისხმობს ამ „რაღაცაში?“ ალბათ, რაღაც არსებითს, სწორედ იმას, რის გარეშეც პერცოგას მეუღლე ვერ იქნება ის, რაც სინამდვილეში არის, მაგრამ სახელდობრ. რას? ჩემთვის ეს გაუგებარია.

თუშკა რაკი მაესტრო ბერნარდოს მიაჩნია, პორტრეტი დაუმთავრებელიაო, მაშასადამე, ასეც არის. „ჩემს შემდგომ ყველაფერს დაუმთავრებელს ვტოვებ“, ეს ხომ მისი სიტყვებია, ისიც ხომ თქვა, ყოველგვარი ჩვენი ქმედობა მხოლოდ პირველი ნაბიჯია განუხორციელებადისკენ, კაცობრიობის მიერ შექმნილი მთელი კულტურა მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისია ამ გზაზე, დასასრული კი არ არსებობს და ამიტომ, არსებითად, ყველაფერი უაზრობააო.

რა თქმა უნდა, სწორი აზრია, აბა, სხვაფრივ როგორ უნდა წარმოიდგინო ცხოვრება? უაზრობა ხომ მისი საფუძველთა საფუძველია, რომელ სხვა საძირკველზე შეეძლო მას დაფუძნება, ასერიგად მყარი და მტკიცე რომ ყოფილიყო? ნებისმიერი დიდი იდეა ყოველთვის შეიძლება გააბათილოს სხვა, უფრო ბრწყინვალე იდეამ. და დროთა განმავლობაში საბოლოოდ გააცამტვეროს კიდევ. უაზრობას კი ვერაფერი შეურყევს საფუძველს. იგი ერთადერთი მტკიცე და მყარი საყრდენია, ამიტომაც შეჩერდა მასზე არჩევნი. ნუთუ ამდენი თავისმტკრევეა საჭირო ამის გასაგებად?

ეს ჩემთვის ისედაც ცხადია.

ირგვლივ რაღაც შეწვითება იგრძნობა. რა ხდება? ცოდნით არაფერი ვიცი, მაგრამ ალღო მკარნახობს, რომ სასახლეში რაღაც სამზადისია, გარეგნულად თითქოს სიმშვიდეა, ყველაფერი აღრინდებულადაა, ჩვეულებრივზე უფრო მეტი სიწყყარეც კია. რადგან სტუმრები ისე ხშირად აღარ მიდი-მოდიან, აღარც დარბაზობები ეწყობა და არც სხვა რამ გასართობები, ჩვეულებრივ, წლის ამ დროს რომ აწყობდნენ ხოლმე, მაგრამ. როგორ აგისხნათ... სწორედ ამის გამო უფრო მწვავედ იგრძნობა, რომ სულ მალე რაღაც უნდა შეიცვალოს.

შე სულ გაფაციცებული ვარ, ყველაფერს ვაკვირდები, თუშკა ვგონებ რომ, საამისო არაფერია. ქალაქშიც განსაკუთრებული არაფერი შეიქმნევა; ყველაფერი ისევეა, აქამდე რომ იყო, მაგრამ ცვლილება მაინც არას. დარწმუნებული ვარ, რაღაც სერიოზული ხდება.

ბოჰინებით უნდა აღიჭურვო და ელოდო, რით დამთავრდება ყველაფერი ეს.

კონდოტიერი ბოკაროსა ქალაქიდან გაემგზავრა და ჭერალდის სასახლე ისევ დაცარიელდა. არავინ იცის, საით წვიდა ბოკაროსა, გაქრა, თითქოს მიწამ პირი უყო. რა თქმა უნდა, შეიძლება ხალხმა იფიქროს, რომ ჰერცოგთან კავშირი გაწყვიტა; ბევრს ისედაც უცნაურად ეჩვენებოდა მათი ურთიერთობა, ამბობდნენ, როგორ შეიძლება ასე განსწავლულ ადამიანს, როგორც ჰერცოგია, სიამოვნებას ანიჭებდეს ამ გაუთლელი ოქლაქის სასახლევეო. პირადად მე კი სულ სხვა აზრისა ვარ. რა თქმა უნდა, არ უარყოფ, რომ ბოკაროსა გაუთლელი ტყუურია, ჰერცოგი კი პირიქით, არაჩვეულებრივად ზრდილი და თავაზიანი, მაგრამ თვითონაც ხომ კონდოტიერების ჩამომავალია, რაც მის ქვეშევრდომებს, ვგონებ, სულაც აღარ ახსოვთ. მერედა, განა დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ? სულ რამდენიმე თაობა თუ შეიცვალა! რამდენიმე თაობა კი აბა რა სახსენებელია!

ჩემი აზრით, ამ ორ ადამიანს კარგად ესმოდა ერთმანეთის.

ჯერჯერობით არავითარი ცვლილებები არ მომხდარა, მაგრამ ჰაერი მაინც შეჩოჩოლებულია. ასეთ შემთხვევებში ალლო არასოდეს მღალატობს, უეჭველად რაღაც სერიოზული მზადდება.

ჰერცოგი, შეიძლება ითქვას, გამალებით საქმიანობს, მაგრამ რა საქმეს არის შექიდებული? ვიღაცები მოდიან, ჩემს ბატონთან ერთად იკეტებიან და საიდუმლოდ ბჭობენ. ყველაფერი ნაჩუმათევად ხდება. ნეტა რაზე უნდა ბჭობდნენ?

ფარულად მოდიან ვიღაც შიკრიკები, სასახლის კარი მათთვის მხოლოდ დამლაშობით არის ღია და ახლა ჩვენთან დუღგა-დუღგად მიდი-მოდის ხალხი: ნაცვალი, მრჩეველნი, მხედართმთავრები, ბრწყინვალე გვარიშვილები — სავკარეულოს მეთაურები, ჩამომავალნი უძველესი მეომრებისა, ოდესღაც ჰერცოგის წინაპრებმა რომ დაიპყრეს.

შაცტრო ბერნარდო, როგორც ეტყობა, ამ ფაცაფუცში არავითარ პონაწილეობას არ იღებს. ამჯერად ჰერცოგმა თავის ირგვლივ სულ სხვა ხალხი შემოიკრიბა, ჩემი აზრით, ტახტიდან ჩამოაბრძანეს, ყოველ შემთხვევაში, უწინდებურად ველარ მბრძანებლობს.

ეს არა მწყინს, მეტისმეტად შეჭოფინებდნენ ამ კაცს სასახლეში.

ჩემი წინათგარძობა გამართლდა, ახლა უკვე ეჭვი აღარ მეპარება, რომ სასახლეში რაღაც სერიოზული მზადებაა.

ამას უამრავი რამ ადასტურებს.

პირველ ყოვლისა, შეკრიბეს ასტროლოგები — კარის ასტროლოგი ნიკოდემუსი და სხვა ჯამილოკია, წვერცანცარა მუქთაზორები. ეს ერთი უტყუარი ნიშანთაგანია, გარდა ამისა, ხანგრძლივი საუბრები ჰქონდათ მედიჩის ელჩთან ვენეციის რესპუბლიკის წარმომადგენელთა და, რაც მთავარია, არქიეპისკოპოსთან. ეს ფაქტი და ბოლო დღეებში მომხდარი ამბები — საკმაოდ არაოჩაზროვანია და მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება.

როგორც ეტყობა, საომარ სამზადისს იწყებენ. ასტროლოგებიც ალბათ, იმიტომ მოიწვიეს, რომ რჩევა ეკითხათ და გაეგოთ, კეთილგანწყობილნი იყვნენ თუ არა ვარსკვლავები მათი წამოწყების მიმართ. ყოველი გონიერი ხელისუფალი პირველ რიგში ამის დადგენას შეეცდება. ეს საცოდავები არაეის ახსოვდა, ვიდრე ჰერცოგთან მესირ ბერნარდო იყო დაახლოებული, ამ უკანასკნელს, მართალია, სწამს ვარსკვლავთა ძლიერება, მაგრამ ამ მხრივ სულ სხვა შეხედულებისაა, რასაც ჩვენი ვარსკვლავთმრიცხველნი ერესად და ეშმაკეულის ცთუნებად ნათლავენ. ახლა ჰერცოგმა, ალბათ, უმჯობესად შიიჩნია მართლმორწმუნენი დაეახლოებინა და ესენიც ისე იბღინძებინა, ლამის არის, დასკდნენ საკუთარი ღირსების შეგრძნებით. ელჩებთან მოლაპარაკებას კი, რა თქმა უნდა, ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მათ სახელმწიფოებს მხარი დაეჭირათ ჰერცოგ-სათვის, ან, ყოველშემთხვევაში, მისი წამოწყებისთვის ხელი არ შეეშალათ, მაგრამ, ჩემი აზრით, აქ მისი უწმინდესობის სიტყვას უფრო დიდი წონა უნდა ჰქონოდა; გარეშე უფლის ნებისა, ამ ცოცხელ მიწაზე არავითარი საქმე კეთილად არ დაგვირგვინდება.

იმედს არ ვკარგავ, რომ ღმერთი გადმოგვხედავს, მოუთმენლად ველი ომის დაწყებას.

ომი იქნება! ალღოს ჩემთვის ჯერ არასოდეს უმტყუნია. ეს ჩოჩქოლი და წრიალი, ფარული შეხვედრები, ადამიანთა სახის გამომეტყველება, თვით ჰაერიც ომის სუნით არის გაყვლილი. ყველაფერი ეს რაღაცნაირად მზნეობას გვატებს; თითქოს მკვდრებით აღღგები იმ სულშემხუთველი უსაქმურობის შემდეგ. როცა, გარდა ყბედობისა, არავინ არაფერს აკეთებს, მადლობა უფალს, რომ ან ხალხს ქაქანის გარდა, სხვა რამ საქმეც გაუჩნდა.

საერთოდ, ადამიანები ომის მომზრენი არიან, ომის დროს ყვე-

ლაფერი გაიოლებულია, ამიტომ ხალხი ერთგვარად შეღავათს გრძნობს.

პერცოგი შესამჩნევად გაშხნევდა, უფრო მეტადი გასდა.

სახე შეუვალი და ენერჯიული აქვს; მოკლედ შეკრილი კვადრატული წვერი, ფერმკრთალი; ჩაცვნილი ლაწვები, ცაში მობოინე ფრინველივით დადარაჯებული. მახვალი და სწრაფი მხერა, როგორც ეტყობა, უკვე უმიზნებს თავის მსხვერპლს, — მისი საგვარეულოს დაუძინებელ მტერს.

დღეს დავინახე, როგორ ამოირბინა საღარბაზოს კბე, ფეხდაფეხ გვარდიის უფროსი მოსდევდა (მე მგონია, ორივენი ჯარების შესაპოწმებლად იყვნენ წასულნი). ღარბაზოში შესვლისთანავე ლაბადა გააძრო და მასთან მიკრილ მსაზურს ხელებზე მიუგდია. იდგა ასე თავის წითელ კამზოლში, მკვრივი და ხმლის პირივით მოქნილი, წვერილ ტუჩებზე ქედმადლური ღიმილი დასთამაშებდა. იგი წააგავდა ადამიანს, რომელმაც, როგორც იქნა, გაიხადა სამასჯარადო ტანსაცმელი, ახლა მთელი მისი არსება ენერჯიით იყო დამუხტული, იმწამსვე იტყოდით, რომ თქვენ წინაშე მოქმედების კაცი იდგა.

თუმცა, მუდამ ვიცოდი, ასეთი რომ იყო.

ასტროლოგებმა გამოაცხადეს, ომის დაწყებისთვის ზედმიწევნით ხელსაყრელი დროა, უკეთესის შერჩევა შეუძლებელიაო. მათ პერცოგსაც შეუდგინეს ჰოროსკოპი და დაადგინეს, რომ იგი მაშინ შობილა, როდესაც მზე ლომის თანავარსკვლავედში იმყოფებოდა. სხვათა შორის, არცთუ ისე ახალი ამბავია. ეს ცნობილი იყო ჯერ კიდევ მაშინ, პერცოგი რომ დაიბადა, რამაც, როგორც ამბობენ, ფანტაზია გაუღვივა ტანტთან დაახლოებულ პირთ, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ეს იყო ფრიად კეთილი, დიდი იმედის მომცემი ნიშანი მომავალი ხელისუფლისთვის. ხალხი კი ამან ღრმად ჩააფიქრა და შიშიც შეუყენა. „ლევიც“* ამიტომ შეურჩიეს სასულად. სწორედ ზოდიაქოს ამ ნიშანთან — ლომთან არც მიაქლოებული ახლა მარსი და უახლოეს მომავალში ომის დმერთს ეს სისხლიანი ვარსკვლავი შეუწონასწორდება პერცოგის ძლევა მოსილ თანავარსკვლავედს, სხვა ფენომენებიც. რომელთაც შეუძლიათ ვაგლენა იქონიონ პერცოგის ბედზე, უადრესად ხელსაყრელიაო, — აღნიშნეს ვარსკვლავთმრიცხველებმა. — ამიტომ შეგვიძლია მტკიცედ აღვითქვათ, რომ ეს საომარი ლაშქრობა ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდება. ეს კიდევ ცოტაა. პირდაპირ მიუტყეებელი იქნებოდა ამ იშვიათი გარემოებით რომ არ გვესარგებლაო.

* ლევი — ლომი

სულაც არ გამკვირებია ამ ხალხის ნათქვამი, მათ ხომ ისე უნდა იწინასწარმეტყველონ, როგორც ხელისუფალს ეკაშნიკება, თორემ ხიფათს ვერ ასცდებიან. ჰერცოგის მამამ, მაგალითად, ბრძანა გაეშოლტათ ვარსკვლავთმრიცხველი, რომელიც ირწმუნებოდა. ჰერცოგის საგვარეულოს დაღუპვა ელისო. მან თურმე გამოიანგარიშა, რომ დინასტიის დაშლასთან დაკავშირებული სისხლიანი ბრძოლები ზუსტად ემთხვეოდა ცაზე ბოროტი ვარსკვლავის გამოჩენას, რომელსაც უკან ცეცხლოვანი კუდი დასთრევდა. ეს წინასწარმეტყველება თითქმის ყველა სამეფო გვარს მიესადაგებოდა.

ვიწიორებ, არაფერია-მეტეი გასაკვირი იმაში, რომ ვარსკვლავთმრიცხველებმა ამგვარად იწინასწარმეტყველეს. ამჯერად მეც კმაყოფილა დავრჩი ძათი ნათქვამით. იცის ამ ხალხმა თავისი საქმე და, წაეც მთავარია, როგორც იქნა, პირიდან რაღაც სახერო დასცდათ. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჰერცოგს, ჯარისკაცებს და ხალხს სწამდეს, რომ ვარსკვლავები კეთილად არიან ვანწყობილნი და კიდევაც დაინტერესებულნი არიან ამ ომით. ახლა ზეციურმა მნათობებმა თავისი სიტყვა თქვეს და ნათქვამით ყველა ნამეტნავად კმაყოფილი ჩანს.

მე არასოდეს ვსაუბრობ ვარსკვლავებთან, ადამიანები კი პირდაპირ ჭკუას კარგავენ ამ საქმისთვის.

მაესტრო ბერნარდომ კვლავ გამაკვირვა, გუშინ საღამოს ისა და ჰერცოგი ისევ დასხდნენ სასაუბროდ და, როგორც სხვა დროსაც შრავალჯერ მომხდარა ხოლმე, საუბარში თითქმის თავზე დაათენდათ. ახლა კი მივხვდი, რომ ჩვენს მოზუეს სულაც არ დაუკარგავს ვავეუნა სასახლის კარზე, როგორც აქამდე მეგონა და რომ მისი მოხერხებული და საზრიანი გამოგონებები არცთუ ისე უცხო ხილია ჩვენი მშფოთვარე დროისათვის. სულაც არა, მე თურმე ძალიან ვცდებოდა.

მალიზიანებს ჩემი ასეთი მარცხი, თუმცა მაინც მეგონია, რომ ადამიანებს მოხარშულს ვიცნობ. როდესაც მიხმეს, რათა ჩვეულებრივად შოვმსახურებოდი მათ და, როგორც ყოველთვის, ღვინით სავსე სასმისები მიმერთმია, ორივე რაღაც სურათებისკენ თავწახრილი დამიხვდა, თავდაპირველად ვერ მივხვდი, რას დასცქეროდნენ ასე თვალჩაიციებით. შემდეგ როგორღაც მოვახერხე და ახლოდან შევაველე თვალი მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს, მათი ნათქვამი კარგად გავისაცნაურე და ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა. იმ სურათებზე ეხატა, აქობამდე არნახული და არარსებული სამხედრო მანქანები, რომელთაც მტრისთვის თავზარი უნდა

დაეცათ და მათ რიგებში სიკვდილი ეთესათ, აქ იყო საომარი ეტლები, რომლებიც გრძელი ცელებით მუსრს ავლებს ადამიანებს და თავის გზაზე მხოლოდ ძვალ-ხორცის ნაფლეთ-ნაგლეჯს ტოვებს. კიდევ რაღაც ეშმაკეული მანქანები დაინახე. ისინიც ბორბლებზე შემდგარნი მიგორავენ, უკანიდან დაოთხილი ცხენები მიჰყვებიან და ჰტრის რიგებისკენ უბიძგებენ. მათ ვერა ძალა წინ ვერ აღუდგება, ვერც სიმამაცით და გულადობით გახდები რამეს. აქვე იყო დახურული ეტლები შიგ ჩამალული მსროლელებით, მტერი მათ ვერას დააკლებს. ეს ეტლები იჭრებიან მოწინააღმდეგის რიგებში, იწვევენ არევ-დარევას, და იცავენ ქვეით ჯარს, რომელიც შემდგომ ამ ვარღვეულ რიგებში უნდა შევიდეს და ბრძოლა დაასრულოს. ასე თქვა მესირ ბერნარდომ; სურათებზე ეხატა აგრეთვე სხვა, გამანადგურებელი იარაღები, იმდენად საზარელი, უბრალოდ, ვერც კი გავიცნობიერე, რა ტინმა გაიაზრა მათი შექმნა — სამწუხაროდ, შე არ მქონდა იმის შესაძლებლობა, სამხედრო ხელოვნება შემესწავლა და მისთვის სიცოცხლე შემეწერა, ამიტომ ხეირიანად ვერც კი გავარკვიე, რომელი იარაღი რას ემსახურებოდა; გარდა ამისა, აქ ეხატა ყველა სახის მორტირები, ბომბარდები და ფალკონეტები, რომლებიც ცეცხლს აფრქვევდნენ და შეეძლოთ გამოეტყორცნათ ქვები და რკინის ბირთვები, რომლებიც მეომრებს თავს და კიდურებს წააცლიდნენ. ყველაფერი ეს ისე დამაჯერებლად, თვალნათლივ და საჩინოდ იყო გამოხატული, ეტყობოდა, ნახატზე მუშაობა მანსტროს ამ მანქანების შექმნაზე ნაკლებად არ აინტერესებდა. იგი დაწვრილებით უხსნიდა ჰერცოგს, რა პრინციპით მოქმედებდა ესა თუ ის გამანადგურებელი საბრძოლო იარაღი და რა საშინელი შედეგები უნდა მოჰყოლოდა მათ ამუშავებას. ამაზე ისე მშვიდად და საქმიანად საუბრობდა, როგორც საერთოდ ყველაფერზე, რაც აინტერესებდა და რასაც მისი ფანტაზია სწვდებოდა. ამჟამად ეტყობოდა, რომ სიამოვნებით მიადევნებდა თვალს, როგორ ამუშავდებოდა მისი მანქანები ბრძოლის ველზე. ეს ერთგვარად გასაგებიცაა, საბრძოლო მანქანები ზომ მისი შექმნილია და ვინ არ შოისურვებს, დასტკბეს თავისი ნახელავის ცქერით, მაშასადამე, მანსტრო ბერნარდო მაშინაც ამ მანქანებზეც მუშაობდა, ერთდროულად ათას სხვა საქმეს რომ იყო გამოდევნებული: იკვლევდა ბუნებას, მის საიდუმლოებებს, აკვირდებოდა თავის ყვავილებს და ქვებს, ფრანჩესკოს სხეულში იქექებოდა, მახსოვს, სწორედ ამ სხეულზე რომ უთხრა ჰერცოგს, ბუნების დიადი და მიუწვდომელი ქმნილებათა, ჰო, კიდევ სანტა-კროჩეში თავის „საიდუმლო სერობას“ ხატავდა: უხილავ კვარცხლბეკზე რაღაც არაამქვეყნიურად

აწაღლებულ ქრისტეს, რომელსაც თავისი მოწაფეები ეხვია გარს და სადღაც კუთხეში მიკრუნჩხულ იუდას, შემდგომ მის გამკემსა და გაჭიდდევლს.

დარწმუნებული ვარ, ყველა ამათზე თანაბრად იყო გადაყოლილი. კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა ყოფილიყო ისევე გატაცებული თავისი საოცარი მანქანებით, როგორც სხვა დანარჩენით? ვთქვათ, ადამიანის სხეული მართლაც მეტისმეტად რთული აღნაგობისაა, თუმცა პირადად მე ამაში ეჭვი მეპარება, მაგრამ მანქანაც ხომ არ არის ნაკლებ რთული, მათ შორის ის განსხვავებაა, რომ მესიერ ბერნარდო თავად არის ამ მანქანების შემქმნელი და სულის ჩამდგმელი.

უცნაურია, მაგრამ ჰერცოგმა აირჩია არა ის საოცარი ზარდამცემი მანქანები, — თუმცა ჩემი აზრით პირველ რიგში ყურადღება სწორედ მათთვის უნდა დაეთმო, რადგან მარტო მათი დანახვა მთელ ჯარს უკან მოუხედავად გააქცევდა, — არამედ უფრო მარტივი კონსტრუქციისა, რადგან ეს უკანასკნელნი უფრო საიმედოდ მიიჩნია. ის პირველები მომავლის საქმეაო, თქვა, ახლა კი იმდგვარი მანქანები გვეჭირდება, რომელთა გამოყენებას პრაქტიკულად შევძლებთო: სააღყო სამარჯვი მოწყობილობები თუ ნაღმის ამფეთქებლები, დაგვეჭირდება აგრეთვე ქვის მტყორცნელი და სხვა მანქანების სრულყოფა და გაუმჯობესება, რაც მტრისთვის ჯერჯერობით საიდუმლოს წარმოადგენსო. ერთი სიტყვით, ისაუბრეს ყველაფერ იმაზე, რაზეც, როგორც ეტყობოდა, არაერთხელ უმსჯელიათ და ნაწილობრივ განუხორციელებიათ კიდევ. საერთოდ კი, ჰერცოგი აღტაცებული ჩანდა, განსაცვიფრებელი იდეები და ფანტაზიის მძაფრი, ჭეშმარიტად უსასრულო აღმაფრენა ხიბლავდა და აჯადოებდა მას. ჩემი ბატონი დაუშურველად ასხამდე ხობტას სწავლული მოხუცის გენიას, ასე ნათლად არასოდეს წარმოუჩენია მაესტროს აზრისა და წარმოსახვის ძალაო. ორივენი ფანტაზიის წარმტაც სამყაროში ჩაიძირნენ და გატაცებით უცვლიდნენ ერთმანეთს აზრს, მე სიხარულით ვუსმენდი მათ, რადგან ჩემი სულიც აღსაევს იყო აღტაცებით და მოკრძალებით.

ახლა ჩემთვის გასაგებია, თუ რატომ დაიბნოვა ჩემმა ბატონმა მესიერ ბერნარდო და რატომ ეჭირა მასთან თავი ამგვარად. — რატომ ექცეოდა თანასწორივით და პატივისცემასა და ყურადღებას არ აკლებდა. ახლა ვხვდები, რატომ აინტერესებდა ასე მაესტრო ბერნარდოს შრომები, მისი გამოკვლევები, მისი ღრმა განსწავლულობა და ცოდნა, გამოსაყენებელიც და გამოუყენებელიც. მესმის, რატომ მსჯელობდა ასე აღფრთოვანებით მის მხატვრობაზე, „საი-

დუმლო სერობასა“ და სხვა ყველაფერზე, რაც ამ ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებული ადამიანის ხელიდან გამოსულა, ღიას, ახლა ყველაფერი ცხადი გახდა ჩემთვის.

ჩემი ბატონი მართლაც რომ დიდი ხელისუფალია!

წუხელ საშინელი სიზმარი ენახე. მესიზმრა, თითქოს მაესტრო ბერნარდო ერთ თვალშეუდგამ მთაზე იდგა ამაღლებული და დიდებით მოსილი, მთაზროვნის ფართო შუბლი მოუჩანდა, რომელსაც ზემოდან თეთრი თმის შარავანდედი გადაჰფენოდა, ირგვლივ კი მოშოქროდნენ ურჩხულები, ის საზარელი მაიმახები, სანტა-კროჩეში რომ ხატავდა, ყველანი ბოროტი დემონებივით შემოსჯაროდნენ ირგვლივ, მაესტრო ბერნარდო კი თითქოს მათზე მბრძანებლობდა, ამ საშინელ ქმნილებებს სახეები ხვლიკებსა და ბაყაყებს მიუგავდათ, მაშინ, როდესაც მაესტრო ბერნარდოს ჩვეულებრივად სერიოზული, მკაცრი და დარბაისლური სახე ჰქონდა. მაგრამ უეცრად მან დაპატარავება იწყო, სხეული მოეკრუნჩხა და ერთბაშად რაღაც უბადრუკ სახიჩარად იქცა. მერე უცებ წყვილი ფრთა გამოესხა და ეს ფრთები მლაპიობთა მსგავსად, მის ბანჯგვლიან ფეხებს შეეხორცძალა, სახეზე კი ისევ ის დიდებული იერი ედო. უეცრად მაესტრომ ფრთები აიჭნია, მიწას მოსწყდა და იმ მახინჯი არსებებით გარსშემორტყმული ღამის წყვილიადში გაუჩინარდა.

მე სიზმრებს, საერთოდ, მნიშვნელობას არ ვანიჭებ, სიზმარი არაფერს ნიშნავს, არც არაფერთან არის დაკავშირებული, ყურადსაღები მხოლოდ ის არის, რაც სინამდვილეში ხდება.

დიდი ხანია ვხვდები, რომ მესირ ბერნარდო მახინჯია.

კონდოტიერი ბოკაროსა თავის ოთხი ათასი მეომრით გადაეიდა საზღვარზე, ორიოდე მილი გაიარა და მოულოდნელად დაესხა თავს ლოდოვიკო მონტანკას (მეტსახელად ხარს). ლოდოვიკო თავდასხმას არ ელოდა, ამიტომ დროულად ვერაფერი იღონა.

ეს ახალი ამბავი მეხივით დაატყდა ქალაქს თავს და ყველანი საშინლად ააღელვა!

კონდოტიერმა სადღაც, სამხრეთ-აღმოსავლეთით, მიუვალ მთებში სრულიად საიდუმლოდ მოუყარა თავი დაქირავებულ ლაშქარს, ვერაგული გაქნილობით მოამზადა თავდასხმისათვის, და, როგორც ხედავთ, წარმატებასაც მიაღწია.

ამის თაობაზე არავინ არაფერი იცოდა, ჩვენც კი არ აგვიღია ეჭვი, თურმე ყველაფერი ჰერკოგის ბრძანებით კეთდებოდა, ის იყო ამ გენიალური გეგმის ნამდვილი ინიციატორი და სულის

ჩამდგმელი, ვერ დამიჯერებია, რომ ყველაფერი ეს სინამდვილეში მოხდა!

ახლა ქალაქ მონტანკას დღეები დათვლილია და იმ ურჯუკ ლოდოვიკოს, — რომელიც თურმე თანამემამულეებსაც ისევე სძაგს, როგორც ჩვენ, — ბოლოს და ბოლოს ხარის კისერს მოუგრებენ და მისი უჯიშო გვარის ბატონობასაც ბოლო მოეღება.

საოცრად მარჯვედ კი გააცურეს, და მერე ვინ? ყველაზე გაიძვერა და შზაყვარი აღამიანი. რა თქმა უნდა, გუმანით ხედებოდა, რომ ჰერცოგი მის სამთავროზე თავდასხმას აპირებდა და ამ ჩანაფიქრს გულში ელოლიავებოდა, მაგრამ იცოდა, რომ ჩვენს ქალაქში ჯარი არ იდგა და ამიტომაც არც მაინცდამაინც იტკიებდა თავს. ვერც იმას წარმოიდგენდა, რომ სწორედ იმ უვალი მხრიდან შიიტანდნენ იერიშს, სადაც ციხესიმაგრეებ-ც კი არ ედგა. ხარის საქმე გათავებულია! დადგა განკითხვის უამი!

ძნელია აღწერო ის, რაც ახლა ქალაქში ხდება. ხალხი ქუჩებში ჯგუფ-ჯგუფად გროვდება, ხელებს იქნევენ, ხმამალა გაპყვირიან შეშფოთებულები და აღგზნებულები ან დგანან და უხმოდ შეჰყურებენ მეომრებს, მხედრული ნაბიჯით რომ მიაბიჯებენ მათ წინ. ეს თვით ჰერცოგის პირადი ჯარია. არ ვიცი, საიდან გაჩნდა აქ, თითქოს მიწიდან ამოძვრნენ, ყველაფრიდან ჩანს, რომ ჩვენები თავდასხმისთვის გულდაგულ ემზადებოდნენ. ირგველივ ზარები გუგუნებენ და საყდრები ხალხითაა გაჰედილი. შესასვლელებთან ერთი ზედაზოცვაა, წმინდა მამები ლოცვად დგანან, და ღმერთს ომის წარმატებით დამთავრებას ევედრებიან. ექვი არ არის, ეს ყველაფერი ეკლესიის ლოცვა-კურთხევით ხდება, აბა, სხვაფრივ როგორ იქნება?

ხალხი ზეიმობს, სასახლის კარზე დიდი დღესასწაულია, დიდებულნი თუ მდაბიორნი უჩვეულოდ არიან აღფრთოვანებულნი და ჰერცოგიც ხამეტნაეად გახალისებული ჩანს.

ჩვენი ჯარი იმთავითვე არ გაპყვება კონდოტიერის ლაშქარს; ისინი აღმოსავლეთით, მდინარის ფართო ველზე გადაპკრიან საზღვარს, სწორედ იქ, საიდანაც ოდითგანვე ესხმოდნენ თავს მტერს. ერთ დღეს შოანდომებენ გადასვლას და მთის ქუსლთან, დაბლობზე, სადაც ბრძოლისთვის მარჯვე ადგილებია და მიწა გმირთა სისხლით არის გაყენთილი, კონდოტიერის რაზმებს შეუერთდებიან. ასეთია ჩვენი თავდასხმის გეგმა.

ეს ცნობები მისხით-მისხით შევკრიბე, არ იფიქროთ, თითქოს ყველაფერი ასე სიზუსტით და დაწვრილებით გავიგე. სულაც არა, ნაწილ-ნაწილ, ჩუმ-ჩუმად შევაგროვე ცნობები, სადაც-სად-

დაც მოვეკარი ყური თითო-ორიღა წამოსროლილ სიტყვას და გარკვეული დასკვნები გამოვიტანე. სხვა საქმეს ხელს აღარ ვკიდებ, მარტო იმის მცდელობაში ვარ, ყველაფერი მივიძ-მოვიძიო, არსად არაფერი გამოძრჩეს, კართან ვაყურადებ, კარადების და ფარდების უკან ვიძალები, ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი და მეტი შევიტყო იმ ვრანდიოზულ აპბებზე. ახლა ჩვენ ირგვლივ რომ ხდება.

რა დიდებული გეგმაა! ეჭვი არ მეპარება, უეჭველად მოხერხდება მისი განხორციელება. მართალია, საზღვრის ამ მონაკვეთზე აღმართულია სასაზღვრო ციხესიმაგრეები, მაგრამ მათ მალევე დავიპყრობთ, ეგება თავადაც უბრძოლველად ჩაგვბარდნენ, რადგან წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა აქვს. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ იერიშით მივექრეთ მტერს. ყოველ შემთხვევაში, ახლა ხელს ვეღარაფერი შეგვიშლის, ვეღარაფერი დაგვაბრკოლებს, მტერი გაოგნებულია ამ მოულოდნელი თავდასხმით.

რა გენიალური მხედართმთავარია ჩვენი ჰერცოგი! რა გაიძვერა მელაა! ხედავთ, რა ოინი უყო ხარს?! ყველაფერი ზუსტად არის გამოთვლილ-გაანგარიშებული, რამხელა ჩანაფიქრია!

ემაყო, ასეთი ჰერცოგი რომ მყავს ბატონად.

ახლა ჩემი საფიქრალი მხოლოდ ის არის, როგორმე ომში მეც წამიყვანონ, ქვეყანა რომ დიქცეს, მაინც უნდა წავიდე, არ ვიცი კი, როგორ და რა გზით განვხორციელო ჩემი ოცნება. მე არ გამივლია სამხედრო წრთობა, არა მაქვს არავითარი ცოდნა, მხედართმთავარს ან თუნდაც უბრალო ჯარისკაცს რომ მოეთხოვება, მაგრამ იარაღს კარგად ვხმარობ და ფარეკაობაც შემიძლია როგორც მამაკაცს შეშვენიის! არც ჩემი მახვილი ჩამოუვარდება სხვისას, ეგაა მხოლოდ, რომ მოკლეა, მაგრამ მოკლე მახვილი ზოგჯერ გრძელზე უფრო საშიშია, ვეცდები, მტერმა ეს საკუთარ ტყავზე იწვნოს!

ნამდვილად დამაავადებს ეს აკვიატებული სურვილი. იმის შიში მკლავს, რომ ქალებთან და ბავშვებთან ერთად მომიწევს დარჩენა. ყველასაგან განაპირება მელის ზედ იმ დროს, როდესაც ბოლოს და ბოლოს, რაღაც დიდის შოლოდინი მაქვს და ყველაზე ფიცხელი ბრძოლებიც ხომ სწორედ ახლა, დასაწყისში იქნება.

სისხლი, სისხლი მწყურია!

მივდივარ! მივდივარ!

ამ დილით ბოლოს და ბოლოს ჰერცოგს ყველაფერი გაეუმჯღავნე. გავანდე ჩემი დაუოკებელი სურვილი, მონაწილეობა მიმელო ლაშქრობაში. გულმხურვალედ ვევედრებოდი და შევატყვე, საგრძნობლად მოღბა, ამასთან, ბედი მეწია, როგორც იტყვიან, კარგ ფეხზე ძივუსწარ, ჰერცოგმა შუბლზე ჩამოყრილ მოკლე თმა-

ზე ხელი გადაისვა — ეს უტყუარი ნიშანია იმისა, რომ კარგ გუნებაზე იყო — შემომხედა და შავ თვალებში ელვა გაუქრთა.

„რალა თქმა უნდა, შენც უნდა წამოხვიდე!“ — მითხრა, თვითონ ხომ შიდის და, ცხადია, მეც უნდა წამიყვანოს, აბა როგორ იქნება ჰერცოგი თავის ქონდრისკაცის გარეშე? ვინ უნდა მოართვას ღვინო? მითხრა ეს და ეშმაკურად ჩამიკრა თვალი.

მაშ, მივდივარ, მივდივარ!

ახლა ვზივარ სალაშქრო კარავში, რომელიც იტალიური ფიქვით შემოსილ ბორცვზეა გაშლილი, აქედან როგორც ხელისგულზე, ისე მოჩანს მთის ძირას მოჭარული მტრის ლაშქარი. კარვის ფართო, ყვითელ და წითელზოლიანი კალთები — ეს ჰერცოგის ფერებია — ქარში ტყლაშუნობს ეს ხმა, ფანფარების ხმების მსგავსად მალელებს და საბრძოლოდ აღმაგზნებს. მე თავით ფეხამდე იარაღში ვარ ჩაქედილი. ყველაფერი ზუსტად ჰერცოგისნაირი მაქვს: ჯავშან-აბჯარიც, მუზარადიც, მხარილივ გადაკიდებული ვერცხლის დაშნაც, თქმოსთან რომ ქანაობას. საღამო ხანია და ახლა აქ, ჩემ გარდა, ძეხორციელი არსად ჩანს. გარეთა კალთა გადაწეულია და ჩემამდე აღწევს მხედართმთავართა ხმები — მეთაურები ხვალინდელი ბრძოლის გეგმებზე ბჭობენ. შორიდან კი მეომრების ომახიანი მწყობრი სიმღერა მოისმის. ქვემოთ, დაბლობზე ვხედავ ხარის შავ-თეთრ კარავს და ირგვლივ მოფუსფუსე ადამიანებს. აქედან ისინი ისე პაწაწკინტელები მოჩანან, გეგონება, ბუხსაც ვერავის აუფრენენო. შორს, მარცხნივ, წელამდე შიშველ მეომრებს ცხენები მდინარეში შეუყვანიათ და აბანავენენ.

კვირაზე მეტია, რაც ლაშქრად ვართ. მთელი ეს დრო აღსავეცყო დიადი მოვლენებით, ჩვენი ჯარი ზუსტად ისე მოდიოდა იერიშზე, როგორც მე ვვარაუდობდი, ჩვენ ავიღეთ მტრის სასაზღვრო ციხესიმაგრეები, რომლებსაც წინასწარ მესირ ბერნარდოს უბადლო ბომბარდებიდან ავუტეხეთ სროლა და პირველად აქ შევიგრძენით მათი ძალა — ამდენი გრგვინვა-გრილით შიშნაკრავი გარნიზონი ძყისვე ჩაგვბარდა, ხარმა სასწრაფოდ გადმოისროლა ჩვენ წინააღმდეგ არცთუ ისე მრავალრიცხოვანი რაზმები იმ ლაშქრიდან, რომელსაც უნდა შეეჩერებინა ბოკაროსა, მაგრამ მაინც ზედიზედ ვიძარჯვებდით, რადგან მათი ძალები ჩვენსას ბევრად ჩამოუვარდებოდა. ამასობაში ბოკაროსას დაქირავებული ჯარი, რომელიც სულ ნაკლებ და ნაკლებ წინააღმდეგობას აწყდებოდა, ცეცხლითა და მახვილით მოიკვლევდა გზას დაბლობისაკენ, რათა ბოლოს და ბოლოს ჩვენს ლაშქარს შეერთებოდა. და აი, გუშინ შუადღისას მოხდა ეს ეგზომ სასურველი და დიდმნიშვნელოვანი

შეხვედრა. მაშასადამე, ახლა ჩვენი გაერთიანებული რაზმები დგანან მთისწინეთში, დაბლობსა და მთებს შორის მოქცეულნი. ჩვენს ლაშქარში თხუთმეტ ათასზე მეტი მებრძოლია, აქედან — ორი ათასი ცხენოსანი.

მე ვესწრებოდი პერცოგისა და კონდოტიერის შეხვედრას, ეს გახლდათ ქვეშარიტად დაუეწყარი ისტორიული წუთი. პერცოგი ამ ხნის განმავლობაში, ყველას გასაოცრად, საგრძნობლად გაახალგაზრდავდა. იგი ჯაჭვ-აბჯარში იყო ჩამჭდარი, ჯაჭვის პერანგი და სსაქკლაუტრები მოოქროვილი ვერცხლისა ჰქონდა, მუზარადს კი ორი ფრთა უშშვენებდა — წითელი და ყვითელი. ფრთები ნარნარად გატოკდა. როცა პერცოგი მოხდენილად მიესალმა ამ ბნელეთის შოციქულ ბოკაროსას — ამიერიდან მის მოსაგრესა და მოკავშირეს, ოდნავ გაცრეცილ, დარბაისლურ სახეზე მკრთალი ვარდისფერი მოეკიდა, ხოლო თხელ ტუჩებზე გულწრფელი ღიმილი გაუჟკრთა, მაგრამ ეს ღიმილი, როგორც ყოველთვის, ახლაც რამდენადმე ალაგმული და თითქოს დაძაბულიც იყო. მის პირისპირ იდგა ბოკაროსა, ჯანლონიერი, ბეკებფართო — ახმახი. უცნაური გრძნობა დაძეუფლა, ასე მეგონა, ამ კაცს პირველად ვხედავდი, თუმცა ამ სახით მართლაც არასოდეს მენახა — ის ხომ პირდაპირ ბრძოლის ველიდან გამოესწრაფა აქეთკენ. ფოლადის ჯაჭვ-აბჯარი ესხა, რომელიც პერცოგის აბჯართან შედარებით, სულ უბრალო ჩანდა. მის აბჯარს მკერდზე ერთადერთი სამკაული ამკობდა, — ეს იყო გააფთრებით ხახადაფჩენილი ლომის თავი. შემზარა ამ კაცის დანახვამ. ასეთი საზარელი, ავბოროტი სახე ჯერ არსად მენახა. პირბუდალა კაცი იყო, ჩოფურა, მისი ქვედა ყბა უნებლიეთ შეგაძრწუნებდა, ავხორცული, სისხლივით წითელი პირი ჰქონდა, მსხვილი ტუჩები მაგრად მოეკუმა, ხოლო სადღაც სიღრმეში მიმალული თვალები, ჩასაფრებული მხეცვივით რომ უელავდა, წამით სანგრიდან ანდზე ამოსულ მტერსაც კი ფხოქა-გლეჯით გააქცევდა: ერთი სიტყვით, საშინელი სანახავი იყო, მაგრამ მე აქამდე არსად შემხვედრია ბოკაროსასთანა ომახიანი მამაკაცი. იგი ძალაუფლების განსახიერებად მეჩვენებოდა. მოჯადოებულებით შეგყურებდი ჩემი ათაქამინდელი თვალებით, ამქვეყნად უკვე ყველაფრის ნახვარომ მოასწრეს, ჯუჯის თვალებით, ათასწლეულთა გამოცდილება რომ შეიწოვა და შეისისხლხორცა.

ბოკაროსა სიტყვაძენწი ჩანდა, მეტნაწილად დუმდა, უფრო სხვები ლაპარაკობდნენ. ერთხელ პერცოგის რაღაც ნათქვამზე გაიღიმა, არ ვიცი, რატომ ვთქვი, გაიღიმა-მეთქი, მაგრამ მის სახეზე კბილთა ესერიგი ღრქენა ღიმილის გამომხატველად მეჩვენა.

ეგება მასაც ჩემსავით არ ეხერხება ღიმილი? საინტერესოა ბოკაროსა სხვებივით სახგადატყეცილი არ არის და არც გუშინდელი მოსულია ამქვეყნად. მისი გვარი საუკუნეებს ითვისს, თუმცა ჩემამდე კიდევ ბევრი უკლია.

ჰერცოგი მის გვერდით რალაცნაირი უბრალოც კი ჩანდა, და ეს მაშინ, როდესაც ჩემს მბრძანებელს ლამის არის, ვალმერთებ, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს.

იმედი მაქვს, კონდოტიერს ბრძოლაში ვიხილავ.

ამრიგად, ხვალ, ალიონზე გადამწყვეტი ბრძოლა უნდა მოხდეს. ჩემი აზრით, შეტევა მაშინვე უნდა დაეწყოთ, როგორც კი ჩვენი ჯარები გაერთიანდნენ, ვიდრე ლოდოვიკო მოულოდნელი თავდასხმით თავგზააბნეული იყო და ძალის მოკრება უქირდა, ახლა კი იგი გაჩქარებულ სამზადისშია. ჩემი მოსაზრებები ჰერცოგს გაეუზიარე, მაგრამ მან მიპასუხა, მეომრებს სული უნდა მოვათქმეინოთო, ამასთან, მტრის მიმართ რაინდობა უნდა გამოვიჩინოთ და მივეცეთ საშუალება გადამწყვეტი ბრძოლის წინ სათანადოდ მოემზადოსო, შე დაეკვებით ვუთხარი, ამგვარი დათმობა კეთილგონივრულად არ მიმაჩნია-მეთქი. „კეთილგონივრულობა იქით იყოს, — მიპასუხა ჩემმა ბატონმა, — მაგრამ მე, პირველ ყოვლისა, რაინდი ვარ და რაინდივით უნდა მოვიქცე, ჩვენი კანონები შენთვის არ არის დაწერილი“. მე თავი გავიქნიე, მიდი და გაიგე რამე ამ უცნაური კაცისა. ნეტავი მაცოდინა, რა აზრისაა მასზე ბოკაროსა.

ხარს კი, რა თქმა უნდა, ტყუილუბრალოდ დრო არ დაუქარგავს და ეს გასაგებიცაა. დღის განმავლობაში მასველი ჯარის შემოყვანაც კი მოასწრო. მაგრამ. მიუხედავად ამისა, გამარჯვება მაინც ჩვენ დაგვრჩება. ეს წინასწარ არის განპირობებული, და, ვინ იცის, შეიძლება უმჯობესიც იყოს, ზარმა ძალები რომ გამარავლა. რაც უფრო მრავალრიცხოვანია მოწინააღმდეგე, მით უფრო სავარაუდოა გამარჯვება, მე მგონი, უნდა მიმხედარიყო. რომ სულ ერთია, დამარცხენა არ ასცდებოდა, ამ შემთხვევაში კი, რა თქმა უნდა, ერჩივნა; რაც შეიძლება მცირერიცხოვანი ჯარი გამოეყვანა. მაგრამ რას იზამ, ამაყი ბრძანდება, ამასთან, ხარივით უჯიათი.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ხარის მხრივ საფრთხე არაფერი გველის, იგი ვერაგია, თავხედი, მოხერხებული და მართლაც რომ ნიჭიერი მხედართმთავარი, ეს ომი ასე ანაზღეულად რომ არ დასტყდომოდა თავს, მისი სასიით მრისხანე მოწინააღმდეგე გვეყოლებოდა. დღითიდღე სულ უფრო და უფრო კარგად მესმის, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ასე მოულოდნელ თავ-

დასხმას, ლაშქრობის დროს ამას, ალბათ, არაერთხელ გაეიხსენებთ.

მე დაწვრილებით ვიცი ჩვენი ხვალინდელი ბრძოლის გეგმები. ჩვენი, ესე იგი, ჰერცოგის ჯარი მტრის ცენტრალურ ნაწილს შეუტევს, ბოკაროსას ჯარი მარცხენა ფლანგიდან შემოიჭრება, ამრიგად მოწინააღმდეგეს ერთიკი არა, ერთბაშად ორი მხრიდან დავესხმით თავს და რადგან ორივე ლაშქარი ერთდროულად მიიტანს იერიშს, ჯარი, რომელსაც ისედაც მცირერიცხოვანი ლაშქარი ჰყავს, იძულებული გახდება, თვითონაც ორი მიმართულებით იბრძოლოს. ცხადია, ეს მას მეტად დიდ სიძნელებებს შეუქმნის, ჩვენ კი უპირატესობას მოგვანიჭებს. ბრძოლის ბედი ექვს არ იწვევს, თუმცა ჩვენც, რა თქმა უნდა, მზად უნდა ვიყოთ საიმიხოდ, რომ გარკვეული მსხვერპლი გავიღოთ. ჩემი აზრით, ბრძოლა უშეღავათო იქნება და, რა თქმა უნდა, უმსხვერპლოდ არაფერი მოხდება. ხვალინდელ ბრძოლას უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ, ჩემი აზრით, ომის ბედი მთლიანად მის ფინალზეა დამოკიდებული, ამიტომ მსხვერპლსაც არ უნდა მოვერიდოთ.

მე უფრო და უფრო მიზიდავს სამხედრო ხელოვნების საიდუმლოება, რაც აქობამდე ვერა და ვერ გავიცნობიერებ, ლაშქრული ცხოვრების მრავალფეროვნება და სირთულე კი მეტისმეტად მომწონს. რა შეედრება ამას ომის გზებზე სულხორციანად თავისუფლები, თითქოს სულ სხვა ადამიანად იქცევი, ჯერ ასე კარგად არასოდეს მიგრძნია თავი, ისე ლაღად და მსუბუქად ვსუნთქავ, თითქოს უწონადო სწეული მქონდეს.

ასე ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ. განა დღემდე ვცოდი, რა იყო ბედნიერება?!

მაშასადამე, ხვალ! ხვალ!

ძალიან ვჩქარობ, ვცდილობ, რაც შეიძლება მოკლედ გადმოგცეთ ყველაფერი.

ბრძოლა ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა! მტერი უწესრიგოდ იხვეს უკან, ამოდ ცდილობს დაფანტული ნაწილების შეგროვებას, ჩვენ ფეხდაფეხ მივდევთ. მათ გზა მონტანკასკენ თავისუფალია. აქამდე მტერშეუვალი ქალაქის ბედი ჩვენს ხელთაა.

როგორც კი დროს ვიხელოებ, უფრო დაწვრილებით აწვევ ბრძოლის ამბებს.

მოვლენები თავისთავად მეტყველებენ ყველაფერზე, სიტყვამ ყოველგვარი აზრი დაკარგა; მე კალამი ხმლით შეეცვალე.

როგორც იქნა, დრო ვიპოვე, რომ ჩამეწერა რამე. ბოლო დღეების განმავლობაში შეუპოვრად ვდევდით მტერს და სულ უკან და უკან ვერეკებოდით, ამოსუნთქვის დროც კი არა გვქონდა, ზოგჯერ კარვების გასაშლელადაც ვერ ვიცლიდით და პირდაპირ ველზე, იტალიური ფიჭვისა და ზეთისხილის ხეებს შორის ვეყარებით ლაბადებში გახვეულნი, თავივემ კვას ამოვიდებდით და ამგვარად გვეძინა. რა შესანიშნავია ყველაფერი ეს! ახლა, როგორც უკვე მოგახსენეთ, თავისუფალი დრო მეტი მაქვს, პერცოგი ამბობს, დასვენება არ გვაწყენდაო და იქნებ მართალიც არის, ადამიანს ბოლოს და ბოლოს ეს უსასრულო გამარჯვებებიც ქანცავს და აოსებს.

ჩვენ ახლა ქალაქ მონტანცას სულ რაღაც ნახევარი მილი გვაშორებს, იგი თითქმის ერთი ხელის გაწვდენაზეა აქედან: ქალაქის შუაგულში, ბორცვზე ძველი ციხე-კოშკია ქონგურებით, საყდრებით და სამრეკლოებით გარშემორტყმული, უფრო მოშორებით კი სხვა, შედარებით უბრალო სახლები მოჩანს და ყველაფერ ამას ირგვლივ ძალზე მაღალი კედელი ერტყმის. ნამდვილი ავაზაკთა ბუნავია, ქალაქში ზარებს რეკავენ, — ალბათ, ღმერთს შევლას ევედრებიან, ყოველმხრივ ვეცდებით. უფალმა მათი ვედრება არ შეიწყნაროს. ხარმა აქ, ჩვენსა და ქალაქს შორის დაცემულ ველზე მოუყარა თავი თავის ჯარის ნარჩენებს, ვინც კი შეეძლო, ყველა გამოიყვანა, მაგრამ მათთვის არც ეს არის საკმარისი, თუ გავითვალისწინებთ, რა დღე ვაყარეთ ამ ცოტა ხნის წინათ. ხარი ალღოიანი მხედართმთავარია, მაგრამ, როგორც ეტყობა, არ ესმის, რომ მათი მდგომარეობა უიმედოა, ყველაფრიდან ჩანს, რომ განზრახული აქვს. იბრძოლოს სისბლის უკანასკნელ წვეთამდე. ბრძოლაში ჩააბას მთელი მისი შემორჩენილი ძალები, ოღონდ კი ბედის მრისხანებას გაეჭყეს. ეს მისი უკანასკნელი ცდაა, გადაარჩინოს ქალაქი.

ეს მისი მცდელობა აზრს სრულიად მოკლებულია. მონტანცახ საგვარეულოს ბედი გადაწყდა ამ ერთი კვირის წინათ, იმ ისტორიულ დღით. მათი განკითხვის ქაში უკვე დამდგარია.

ქვემოთ შევეცდები დაწვრილებით და პირუთვნელად აღვწერო ეს საშინელი ბრძოლა.

დაიწყო შით, რომ ორივე ჩვენი ლაშქარი, ზუსტად იმგვარად, როგორც შე ვვარაუდობდი, ერთდროულად გადავიდა შეტევაზე.

ბორცვის თხემიდან დიდებული სანახაობა მოჩანდა — ეს იყო თვალისა და გულის საღებუნე. იგრიალა საბრძოლო მუსიკამ, აფრი-აღდა პერცოგის ალამი. კოხტად გაქიმულ მწყობრი რიგების თავზე აფარფარდა საბრძოლო დროშები. ფანფარების ხმაზე, რომელ-

თაც აახშიანეს დღლის მზით გაცისკრონებული მიდამო, ფერდობებიდან ზვავად დაქანდა ფეხოსანთა ჯარი. მტრის მკიდრო, მრისხანე მჯილივით შეკრული კოლონები მოლოდინად იყო ქცეული და როგორც კი კბილებამდე იარაღში ჩაპქდარი მოწინააღმდეგენი ერთმანეთს მიეახლნენ, ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. იქ, ალბათ, ნაკადულებად მოჩქეფდა სისხლი. მეომრები მოცელილებივით ეცემოდნენ, დაჭრილები ცდილობდნენ განზე გახიზნულაყვნენ, მაგრამ მათ იქვე უსწრაფადნენ სიცოცხლეს ან უბრალოდ, ფეხით თელავდნენ.

საბრალონი ზაცოდავად ხაოდნენ ან ღრიალებდნენ, მაგრამ ბრძოლის დროს ეს ზომ ჩვეულებრივი ამბავია! ბრძოლის ველი აბობოქრებულ ზღვას წააგავდა, მასავით ლელავდა და ბორგავდა. ზოგან თითქოს ჩვენ ვიმარჯვებდით ზოგან კი — მოწინააღმდეგე, ბოკაროსა თავდაპირველად თავს ისე აჩვენებდა, ვითომც ჩვენთან ერთად უტევდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ მისმა რაზმებმა თანდათანობით გან-გან გადაინაცვლეს, ფართო წრე მოხაზეს და მტერს ფლანგებიდან ეკვეთნენ. ამ მზაკვრული ფანდით თავრეტდასხმული მეომრები დაიბნენ და ველარ შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა. გამარჯვება ჩვენს მხარეზე იყო, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობდი, ამასობაში არა ერთმა და ორმა საათმა გაირბინა, მზემ უკვე კარგად აიმაღლა.

და უეცრად რაღაც საშინელი მოხდა. მდინარესთან მდგარი ჩვენი რაზმები შედრკნენ. ლოდოვიკოს ჯარის მარჯვენა ფლანგის მეომრებმა შეძლეს არევე-დარევა შეეტანათ მათ რიგებში და ახლა სულ უკან და უკან ერეკებოდნენ. ჩვენებიც ისე უმწეოდ და უგერგილოდ იგერიებდნენ მათ შემოტევას, კაცი იფიქრებდა, სულ დაკარგეს ბრძოლის უნარიო. მოდიოდნენ და მოდიოდნენ ზურგუჯულმა შიშისზარდაცემულები, მზად იყვნენ, რაღაც უნდა დასჯდომოდათ, სიცოცხლე შეენარჩუნებინათ, თვალს არ ვუჯერებდი, ვერ გამეგო, რა ხდებოდა, მით უფრო, რომ რიცხობრივად ჩვენი ჯარი მტერს ბევრად სჭარბობდა. თითქმის ორჯერ მეტნი ვიყავით. ცეცხლი შემომენთო, ამ საზიზლარი მხდალების ნაცვლად მე მრცხნენოდა. გაშმაგებული ვიყავი, ვყვიროდი, ფეხებს ვაბაკუნებდი, რისხვით მუშტებს ვიქნევდი, ვემუქრებოდი, წყევლა-კრულვას ვუგზავნიდი, ვანთხევდი ჩემს გულისწყრომას, ზიზლსა და მძულვარებას. გაგიგონით! მათ ჩემი ხმა, რა თქმა უნდა, არ ესმოდათ. გამორბოდნენ და გამორბოდნენ. მეგონა, ქკუიდან შევიშლებოდი. უცნაური ის იყო, რომ არავის უცდია მიშველებოდნენ

მათ. ყურადღებასაც კი არ აქცევდნენ! თუმცა მეტის ღირსნი არც იყვნენ!

უეცრად დავინახე, რომ ჰერცოგმა, რომელიც შუაგულში თავმოყრილ ლაშქარს მეთაურობდა, უკან მდგარ რამდენიმე რაზმს ნიშანი მისცა, ისინიც წინ, მდინარისკენ დაიძრნენ და ჭიქურ შეცვივდნენ მტრის რიგებში. გოჯა-გოჯა დაიბრუნეს წატაცებული მიწა და ბოლოს და ბოლოს აღტაცებული ყიყინით მდინარის პირას გაიჭრნენ. მტერს უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა! არანაკლებ ექვსას-შვიდასი კაცისა, ალყაშემორტყმული იყო, ყველა გზა მოჭრილი ჰქონდათ.

გაოცებისაგან გაეხევე-გავშეშდი, მსგავს სამხედრო ხრიკებზე წარმოდგენაც კი არ მქონდა; მეგონა, ჩვენი ჯარი დაღარდა-მეთქი. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, სიხარულით სული მეხუთებოდა. რა მსუბუქად ვიგრძენი თავი!

შემდეგ ჩვენი ჯარი ყველა მხრიდან მიაწვა ალყაში მოქცეულ მტერს, უკან, ბრძოლის ველსა და მდინარის შორის დარჩენილ მიწის ვიწრო ზოლისკენ ერეკებოდნენ. თვალწარმტაცი სანახაობა იყო! ბოლოს და ბოლოს ისე აღმოჩნდნენ ჩაქედილნი, რომ განძრევის საშუალებაც კი მოესპოთ. ახლა კი იწყეს ჩვენებმა მათი უმოწყალო ჟლეტა. ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი სისჭლისღვრა. ერთხანს საკუთარ სისხლში ვაბანავებდით, მერე ნამდვილი აბანოც მოვეუწყეთ. ახლა უკვე პირდაპირ წყალში ვერეკებოდით, ჯგრო-ჯგროდ ვყრიდით მდინარეში, კნუტებივით ვახრჩობდით, ისინი თავგანწირვით ებრძოდნენ წყლის დინებას, მორევებში ფართხალებდნენ, ღრიალებდნენ, მშველელთ უხმობდნენ, საერთოდ, ცურვა არც ერთმა არ იცოდა, თითქოს პირველად შედგეს ფეხი წყალში. მათ, ვინც წყლის ზედაპირზე ამოცურება მაინც შეძლბო, იქვე კლავდნენ. ზოგიერთი გაღმა ნაპირზე გაღწევას ლამობდა, მაგრამ ბობოქარმა ჩქერმა დაითრია და ქვემოთკენ გააქროლა, თითქმის არავინ გადარჩენილა.

ჩვენი დროებითი გაწბილება ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა.

ამ წუთიდან მოვლენები წარმოუდგენელი სისწრაფით განვითარდა. ცენტრი და მარცხენა ფლანგი მტერს ეკვეთა. მარჯვენა ფლანგზე კი ბოკაროსას გააფთრებული მეომრები გაორკეცებული ძალით იბრძოდნენ. ამასობაში ფერდობებიდან დაბლისკენ დაქანდა შუბმომარჯვებული ცხენოსანთა ჯარი, — დასვენებული, ჯანღონით სავსენი ბრძოლის შუაგულში შეიჭრნენ და ლოდოვიკოს ისედაც შევიწროებულ ლაშქარს შიშის ფეთება აგემეს.

მოწინააღმდეგებ ვერ გაუძლო შეტევას და პირი იბრუნა. ცხენოსანთა მეთაურობით ჩვენ უკან გამოვენთეთ, რათა ბოლომდე მოგვეპოო ჩვენი გამარჯვების ნაყოფი. პერცოგს. ბუნებრივია, არ სურდა ხელიდან გაეშვა მარჯვე შემთხვევა. რამდენიმე რაზმი, — ფეზოსნებიც და ცხენოსნებიც, უეცრად გამოეყო ლაშქარს და მახლობელ ხეობისკენ აიღო გეზი. — ალბათ, იმ მიზნით, რომ მტრისთვის გზა მოეპრათ. რა მოხდა იქ, ჩვენ უკვე ველარ მივადევნეთ თვალი, რადგან შეტაკების ადგილს მთები ფარავდა. ყველაფერი ერთბაშად გაქრა თვალსაწიერიდან და ვაზით დაფარულ ბორცვებს შორის ჩაინთქა.

ბორცვზე ჩვენს ბანაკში ერთი ალიაქოთი ატყდა. ყველაფერი ამოძრავდა. ოთხთვალეებში ცხენებს აბამდნენ. ყოველგვარი იარაღსაჭურველით ტვირთავდნენ. ყველანი დარბოდნენ, ფაციფუცობდნენ. აღალი წასასვლელად ემზადებოდა. მე უნდა გავყოლოდი ოთხთვალას, რომელსაც პერცოგის კარავი დაუდეს. გამგზავრების ნიშანი მისცეს, ფერდობიდან დაბლა დავეშვით და აღმოვჩნდით ბრძოლის ველზე. ახლა უსიკოცხლო უდაბნოს რომ წააგავდა, და დახოცილთა გვამებით და დაჭრილებით იყო მოფენილი. რაკი გზას ვერსაით აუუქცევდით. იძულებულნი ვხდებოდით, ფორნებით ზედ გადაგვევლო. მკვდრებისთვის ამას რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ცოცხლები უმოწყალოდ ღრიალებდნენ. ჩვენი დაჭრილები მოგვეყვიროდნენ, გვევედრებოდნენ, წაგვიყვანეთო, მაგრამ ამის შესაძლებლობა არა გვექონდა, უნდა გვეჩქარა, რომ ლაშქარს დავეწოდით. ბრძოლებში კაცი იწრთობა, თითქმის ყველაფერს ეჩვევა, მაგრამ ამ სურათმა სულხორციანად შემძრა და შემამარცხუნა. მსგავსი რამ ჩემს სიკოცხლეში არ მენახა. აღამიანებს შორის ცხენებიც ეყარნენ, ჩვენმა ოთხთვალამ ზედ გადაუარა მუცელგათფატრულ ცხენს, რომელსაც შიგნეული გარეთ ჰქონდა გამოყრილი. ლეშს თვალი ავარიდებ. ლამის იყო, გული ამერია, თვითონაც არ ვიცი, რატომ იმოქმედა ჩემზე ასე ნანახმა. მეეტლეს დავეყვირე, გარეკე-მეთქი. მან მათრახი გაატაკუნა და ჩვენ წინ გავიქვრით.

საოცარი ამბავია, რატომ არის, რომ ხანდახან, ძალიან მგრძობიარე ვხდები? ეს არაერთხელ შემიმჩნევია. ზოგჯერ დასაწახადაც ვერ ვიტან რამეს, საკმარისია, მაგალითად, ფრანჩესკოს შიგნეული გავიხსენო, რომ იმწამსვე გული ამერიოს...

დღე იწურებოდა, ვაი, რომ ამქვეყნად ყველაფერსა აქვს დასასრული, მზე ჯერ კიდევ მთებს აქეთ იდგა და მისი გამოსათხოვარი სხივები დაჰფენოდა ბრძოლის ველს, რომელიც მოწმე იყო უმაგალითო, განუმეორებელი დიდების და არნახული დამარცხების.

სა. მოჯაყჯაყე ოთხთვალაში პირუკულმა ვიჯექი და გავტქეროდი, როგორ ეფინებოდა მწუხრი დაბლობს.

და აი, სცენა სიბნელემ მოიცვა და აქ გათამაშებული სისხლიანი დრამა უკვე ისტორიის კუთვნილებად იქცა.

ახლა შემიძლია დაუსრულებლად ვწერო, დრო საკმაოზე მეტი მაქვს, რადგან გაუთავებელი წვიმები დაიწყო, ცა თითქოს განიხვინა და წყლის ნაკადებს ანთხევს, დღედაღამ კოკისპირულად წვიმს.

ბანაკში ჭყაპი და ზინზლი დგას. კარვებს შორის გასასვლელები თიხის თხელ ტლაპოდ იქცა და შიგ თითქმის მუხლამდე ეფლობა კაცი. აღამიანისა და ცხენების უწმინდურობა ერთმანეთშია ალუფხული, ყველაფერი კუჭყიანი და წებოვანია, ხელის მიკარებაც კი მეზიზღება. კარავში ტკაპატყუპით წვეთავს წყალი და ყველაფერი სველია, სასიამოვნო, რა თქმა უნდა, არაფერია, ხალხს ლამის ნერვები დააწყდეს. საღამოს ეწვები იმ იმედით, რომ დღით კარგი ამინდი დამხვდება, მაგრამ გავიღვიძებ და ისევ და ისევ მესმის წვიმის უსასრულო შხაპენი.

წვიმს და წვიმს!

ბრძოლაში ხელი გვეშლება, თანაც სწორედ იმ დროს, როცა შეგვეძლო მოგვემყო ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვების ნაყოფი.

ჯარისკაცებმა ყურები ჩამოყარეს. გადამბულად სძინავთ ან კამათლებს აგორებენ და, რა თქმა უნდა, სულ ჩაუცხრათ ბრძოლის უინი.

ხარი, რასაკვირველია, ამასობაში ძალებს იკრებს, ჩვენ კი აუამის საწულალებას მოკლებულნი ვართ. შესაშფოთებელი, მე მგონი, არაფერია, მაგრამ, რომ დავფიქრდები, გულზე ცეცხლი მედება! ლაშქრის საბრძოლო სულისკვეთებაზე წვიმასავით დამლუბველად არაფერი მოქმედებს. სანახაობანი აღარ გიტაცებს, ინტერესს აღარ გიღვივებს. თითქოს ყველაფერი ფერმკრთალდება, პეწს კარგავს და ბრწყინვალეა ეკარგება. მაგრამ ეს ასეც უნდა იყოს, ომი მუდმივი დღესასწაული როდია, არც მუდმივი შექცევა და თამაში, ეს არის სიკვდილი, დაღუპვა და განადგურება, ამიტომ მას უფრო სერიოზულად უნდა შევხედოთ. ომში უნდა ისწავლო მოთმინება, თავშეკაფება, უნდა შეგეძლოს ყოველგვარი გასაქირის, უბედურებისა და ტანჯვის ატანა, უნდა შეეგუო შიმშილს და სიყმილს, ეს არის აქ თავიდათავი.

თუ ლაშქარი უიმედობამ და სასოწარკვეთილებამ მოიცვა, შეიძლება თავს დიდი უბედურება დაგვატყდეს, ჩვენ კი, ვიდრე შინ გამარჯვებულნი დავბრუნდებოდეთ, ბევრი რამის გაკეთება მო-

გვიწევს. მტერი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის განადგურებული, თუმცა ამას არცთუ ისე დიდი დრო სჭირდება. ისიც უნდა ითქვას, რომ მან საკმაოდ მარჯვედ შეძლო დაეხია უკან. მღინარისკენ იმ საწინელი ბრძოლის შემდეგ, და ნაწილობრივ მაინც მოახერხა ალყიდან თავის დაღწევა, ახლა კი, ალბათ, ძალებს იმრავლებს, მთელი ჩვენი ძალებსმევა და შემართება დაგვეკირდება საიმისოდ, რომ შევძლოთ მისი განადგურება.

ჩემს ბატონს სულაც არ ეტყობა უგუნებობა, იგი ერთი იმათგანია. ვისაც ნამდვილად უყვარს ომი მთელი მისი ნაირფეროვნებით, მუდამ დინჯია. თავდაჯერებული. ენერგიული და კარგ გუნებაზე მყოფი, წუთითაც არ კარგავს მხნეობას და გამარჯვების რწმენას. ამასთან, შესანიშნავი მებრძოლია! ომში მე და ჰერცოგი საოცრად ვგავართ ერთმანეთს.

ერთადერთი, რაც საწყენად მრჩება და რისი მიტევებაც არ შემიძლია, მისი სიკერპეა. გული მწარე სამღურავით მევესება იმის გამო, რომ არ მრთავს ნებას, მეც ბრძოლის ველზე გავიდე.

ვერ გამოვიგია, რატომ მეუბნება უარს, რატომ მელობება წინ? ბრძოლის დაწყებამდე ყოველ ცისმარე დღე ვეკედრები, გამიშვას, ერთხელ დაჩოქილიც კი შევემუდარე, წვივებზე ხელი მოვხვიე, თან მწარედ ვიმღულერებოდი. მაგრამ იგი ისე იქცევა, თითქოს არც ესმოდეს ჩემი ნათქვამი ან ღიმილით მეუბნება, ჩემთვის მეტად ძვირფასი ხარ. ღმერთმა ნუ ქნას, რამე შეგემთხვესო. ჰმ, შეგემთხვესო! კი მაგრამ, მეც ხომ სწორედ ესა მწადია! ჰერცოგს სულ არ უნდა შეისმინოს, რომ ჩემთვის ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. ვერ გაუგია, რომ მე მთელი ჩემი არსებით მივისწრაფი ბრძოლის ველისკენ, უფრო მეტი ხალისით, მონდომებით და შემართებით, ვიდრე რომელიმე მისი ჯარისკაცი. ჩემთვის ომი გასართობი კი არა, თვით ცხოვრებაა. მე მწყურია ბრძოლა, სურვილი მაქვს, ვხოცო, მოვსპო, ველიტო, განა იმიტომ, რომ თავი ვისახელო. უბრალოდ, მინდა ბრძოლის ქინი დავიცპრო. მინდა ვნახო, როგორ ეცემიან მოცელილებივით ჩემ ირგვლივ დაჭრილ-დაზოცილები, მინდა ვხედავდე სიკვდილსა და განადგურებას. ჰერცოგმა არც კი იცას, ვინა ვარ სინამდვილეში, მე მას ღვინო უნდა მივართვა, ვემსახურო და მის კარავს ერთ ნაბიჯზედაც არ მოვშორდე, მაშინ, როდესაც ჩემი სული ბრძოლის შუაგულში ტრიალებს. სამწუხაროდ, მე მხოლოდ და მხოლოდ მუდამ დამსწრე და მაყურებელი უნდა ვიყო. იძულებული ვარ ვუცქირო, როგორ იბრძვიან სხვები, თავად კი ამის საშუალება მოსპობილი მაქვს. რა საშინელი დამცირებაა! აქამდე ერთი კაციც კი ვერ მოვკალი. რომ იცო-

დეს ჰერცოგმა, რა სატანჯველს მაყენებს, როცა ამის საშუალებას მისპობს!

ამიტომ მთლად გულწრფელიც არა ვარ, როცა ვამბობ, ნამდვილად ბედნიერი ვარ-მეთქი.

რა თქმა უნდა, სწევიც ამჩნევენ ამ ჩემს გატაცებას და თავვამოდებას. მაგრამ ჰერცოგისგან განსხვავებით, მათ არ იციან, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს ჩემთვის. ისინი უბრალოდ ხედავენ, რომ მუდამ აბჯარასხმული დავდივარ და სატევარსაც არ ვიშორებ, ხოლო რას ფიქრობენ ჩემ შესახებ, ეს იოტისოდენადაც არ მაინტერესებს.

ჰერცოგის მხლებელთაგან ბევრს შესანიშნავად ვიცნობ, ყველანი მისი კარისკაცები ან სასახლის მუდმივი სტუმრები არიან, ბრწყინვალე მეომრები, ძველ-სახელოვანი გვარეულობის ჩამომავალნი, საუკუნეების მანძილზე ომებში თავი რომ გამოიჩინეს და თავისი ბრწყინვალე წარმოშობის წყალობით მეთაურობენ ლაშქარს. ჩვენს მხედართმთავრებსაც კარგად ვიცნობ და თვითონაც მიცნობენ, ისინი ჰერცოგთან ერთად განაგებენ ომის მკვლევობას. ჰერცოგის ირგვლივ შეკრებილია ქვეშაირიტად რჩეული სასოგადოება — ქვეყნის სამხედრო არისტოკრატის უბრწყინვალესი წარმომადგენლები.

ძალიან მწყინს, რომ ჩვენს ლაშქრობაში დონ რიკარდოც მონაწილეობს, ეს მკვებარა მატრებაში ყველას ცხვირწინ უნდა წაერკოს, ვითომ უნდა თავისი უნიათო ხუმრობით ხალხი შეიქციოს. უმეტესწილად ჰერცოგის გვერდით ყოფნას რჩეობს, მდაბიორივით ლოყებლადედაა, მსხვილი, თეთრი კბილები კი ერთთავად დაკრეჭილი აქვს, რადგან ყველაფერი სასაცილოდ ეჩვენება. თავომწონე და ცუდმედიდია. მარტო ის რად ღირს, გრუზა თმას რომ შეიბერტყავს ხოლმე ან თავის ხუჭუჭა წვეროს თითებს შორის აწვალებს და გრეხს. ვერ გამიგია, როგორ იტანს ჰერცოგი მის სიანლოკეს.

არც ის შესძის, რა ნახა ამ კაცში მიმზიდველი ჰერცოგის მეუღლემ, რით მოხიბლა ამ დიდგვაროვანმა პლებემ. თუმცა ეს მე სრულებით არ მეხება, არც საქმისთვის არის საჭირო და, მართალი მოგახსენოთ, სულაც არ მაინტერესებს.

ამბობენ, რიკარდო მამაციოაო, მაგრამ გაუგებარია, რას გულისხმობენ ამაში, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ეს არაა ნათელი, იგი სხვებთან ერთად იბრძოდა მდინარესთან, მაგრამ არა მჭერა, რომ რამით თავი გამოეჩინა. ყოველ შემთხვევაში მე იქ მისთვის თვალი არ მომიკრავს. ალბათ, თვითონვე ავრცელებს ამ ხმებს. და რამდე-

ნადაც ყველანი პირში შესცივინებენ და ყოველ მის სიტყვას იქვე-
რენ, არ გაუქირდებოდა მათი დაჭერება. პირადად მე ექვი მეპა-
რება მის სიმაჟაცეში, აუტანელი მკეცხარაა და სხვა არაფერი.

მამაციო! ნუ გამაცინებთ, გეთაყვა.

აი, ჰერცოგი კი მართლაც ვაჟკაცია. მუდამ იქ გაჩნდება ხოლ-
მე, სადაც ცხარე ბრძოლებია, მისი თოვლივით თეთრი ტაიჭი და
მკვეთრი ფერის ჯილა ყოველთვის ბრძოლის შუაგულში მოჩანს.
ერთთავად საფრთხეში იგდებს თავს. ყველას შეუძლია, თუკრ
სურს. მას პირისპირ შეეგბას, ბრძოლა მას ათრობს და აბრუებს,
რა თქმა უნდა, ბოკაროსაც გულადია, თუმცა, ვგონებ, ეს სიტყვა
მას არ ესადაგება, რადგან ამ შემთხვევაში თითქმის არაფრისმთ-
ქმელია. მითხრეს, როცა ბოკაროსა იბრძვის, თვით ომის ქარცეცხ-
ლში გამოწრთობილი მეომრებიც კი ელდანაკრავნი გარბიანო.
ყველაზე საშინელი ის არის, რომ სულაც არ ეტყობა გაფიცება,
არც ბრძოლით თრობა, გულცივად აკეთებს გასაკეთებელს, არხეი-
ნად ელეტს მტერს, მოსწონს. მტერს მუსრს რომ ავლებს, და სის-
ხლის მორევში ახრჩობსო. ბოკაროსასთან ჰერცოგისა და სხვა დი-
დებულების ბრძოლა ბავშვურ თამაშად მოგეჩვენებათო, თავად
ამაზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან ამსიშორიდან ყველა წვრილმანის
გარჩევა შეუძლებელია. ყველაფერი ეს სხვათა გადმოცემით ვი-
ცი. საშინლად მწყინს, რომ არ შემიძლია ბოკაროსა ბრძოლაში
ახლოდან ენახო.

ჰერცოგი და ბოკაროსა ნამდვილი მამაცები არიან, თუმცა, რა
თქმა უნდა, ორივე თავისებურად გამოხატავს ამას, მაგრამ ღონ
რიკარდოს რა ეთქმის! უბრალოდ, სსსაცილოც კია, მათ გვერდით
ეს ადამიანი ახსენო.

ბოკაროსას, ისევე როგორც მის დაქირავებულ მეომრებს, უყ-
ვარს მტრის მიწაზე თარეში, გზად ყველაფერი ცეცხლს უნდა მის-
ცეს და ნაცარტუტად აქციოს, ძარცვავს, არბევს და აპარტახებს,
რაზედაც კი ხელი მიუწვდება. იქ, სადაც ბოკაროსა ფეხს დაად-
გამს, ყველაფერი ოხრდება და ნადგურდება. ჰერცოგი ამბობს, ეს
უკვე მეტ-სმეტია! ომი ამდენ მსხვერპლს არ საჭიროებსო, მაგრამ
საერთოდ, თავადაც არ არის ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგი. ისე კი, თუ
ვერწმუნებით ხმებს, — ჰერცოგისა და მისი კონდოტიერის შეხე-
დულებები ამ შემთხვევაში ერთმანეთს არ ემთხვევა. პირადად მე
ბოკაროსას მომხრე უფრო ვარ, მტრის მიწა — მტრის მიწაა და აქ
როგორც ჯერ არს, ისე უნდა მოიქცე. ასეთია ომის კანონი. დაე,
თქვან, ეს უღმობლობა და სისასტიკეაო. მერე რა, ომი და მოძა-
ლადეობა რას გაუყვია, რაგინდ ლმობიერი გულიც გქონდეს, აქ მა-

ინც ვერაფერს გახდები, გინდა თუ არა, უნდა გაელიტო ისინი, ვისაც ებრძვი, ქვეყანა კი ერთიანად ააოხრო და გააპარტახო, ისე, რომ წელის წამოწევა ვეღარ შეეძლოს. ძალზე საშიშია, უკან მოიტოვო ოპის კერები, რომელთაც კიდევ ექნებათ წინააღმდეგობის გაწევის უნარი. დარწმუნებული უნდა იყო, რომ ზურგიდან საფრთხე არ გეუქმება. არა. ბოკაროსა ნამდვილად მართალია.

ჰერცოგს ზოგჯერ სულაც ავიწყდება, რომ მტრის გარემოცვაში იმყოფება, ჩემი აზრით, არც მოსახლეობასთან იქცევა მართებულად, განა შეიძლება ასეთი დაუდევრობა?

ვთქვით, თუნდაც ასეთი ამბავი. ჩვენ მთის ერთი ბატარა ქეცია-ნი სოფელი უნდა გაგვევლო. გზად სალამურის ხმა შემოგვესმა, სოფლელები რალაც დღესასწაულს იხდიდნენ. ჰერცოგი შეჩერდა და ყურადღებით უსმენდა, როგორ აჭყვიტინებდნენ საკრავს, თითქოს ეს მართლაც მუსიკა ყოფილიყო. არ მესმის, და ვერც ვერასოდეს გავიგებ, რა სიამოვნებას პოულობდა ამაში ან რატომ მოსწონდა ამ ნახევრად ველურებთან საუბარი, ეს შათი ზეიმიც მეტისმეტად სულელური მეჩვენა, მგონი, მოსავლის დღესასწაულს თუ რალაც ამის მსგავსს იხდიდნენ. ერთმა ფეხმძიმე ქალმა მიწაზე ცოტაოდენი ღვინო და ზეთისხილის ზეთი მიასხ-მოასხა, ამ ადგილს ყველანი ირგვლივ შემოუხსდნენ და წრე-წრე ჩამოატარეს პური, ღვინო და თხის ყველი. ყველანი ჭამას შეუდგნენ, ჰერცოგიც გვერდით მიუჯდა შათ, აქებდა ზეთისხილს და იმ საზიზღარ ბრტყელ ყველს და როდესაც ჯერმა მოუწია, ძველი ჭუჭყიანი ხელადა პირზე მოიყუდა და თვითონაც სხვებივით დაეწაფა ღვინოს. ზიზღი ვიგრძენი, ნამდვილად ვეღარ ვცნობდი, ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ამგვარად მოქცევა შეეძლო. ჰერცოგი მუდამ რალაცით მაოცებს, ხან რას მოიმოქმედებს და, ხან რას.

როდესაც ჰერცოგმა იკითხა, რატომ მოასხურა ქალმა მიწაზე ზეთი და ღვინო, რას ემყარება ეს ჩვეულებაო, ყველანი შეკრთნენ და დადუმდნენ, თითქოს ეს რალაც დიდი საიდუმლო ყოფილიყო, მერე ბრიყველ სახეებზე ეშმაკურმა ღიმილმა გადაურბინათ. ბოლოს, როგორც იქნა. გაირკვა, რომ ზეთისა და ღვინის მოსხურება იმისთვის იყო საჭირო, რომ მიწა განაყოფიერებულყო, და დამდეგ წელს ბლომად მოეცა ყურძენი და ზეთისხილი. რა სასაცილოა! თითქოს მიწას შეეძლო იმის გაგება, ღვინო და ზეთი რომ ასხურეს, ნეტა რას მოელოდნენ მისგან. წლის ამ დროს ყოველთვის ასე ვიქცევითო, უთხრეს გლეხებმა ჰერცოგს.

ერთი მოხუცი კი, გრძელი, აბურქვნილი წვერი რომ ჰქონდა, ჰერცოგთან მივიდა, დაიხარა, თვალეზში ჩახედა და მინდობილად

უთხრა, „ასე იქცეოდნენ ჩვენი მამები და არ შეგვეფერის მამების ჩვეულებას ვულაღატოთ“.

მერე ყველამ იწყო ცეკვა, მოუქნელად, სოფლურად ცეკვავდნენ ყველანი, — ახალგაზრდებიც და მოზუცებიც. ის გადაღქუებული ბებერიც კი აფუნდრუკდა, ცალი ფეხი სამარეში რომ ედგა. მუსიკოსები კი უკრავდნენ თავის თვითნაყოფ მწყემსურ საკრავს, რომელიც სულ ორ-სამ ხმას თუ გამოსცემდა. ასე რომ, სულ ერთსა და იმავეს აწყვიტინებდნენ. არ მესმის, რა ძალა ედგა ჰერცოგს, ესმინა ეს უბრალო მუსიკა, მაგრამ რა ისა და რა დონ რიკარდო. ისიც ჩვენთან ერთად იყო, ავი სულ ცხვირწინ უნდა მიტრიალებდეს!

ორივენი ასევე გაერთვნენ, სულაც დაავიწყდათ, რომ ომში იყვნენ და ირგვლივ მტერი გვეხვია. და მერე, ამ ნახევრად ველურებმა თავისი გაჭიანურებული ნაღვლიანი სიმღერები რომ დააღერეს, სულაც ვეღარ მოსწყდნენ იქაურობას, ასე ისხდნენ შებინდებამდე, ვიდრე ბოლოს და ბოლოს არ მოისაზრეს, რომ ღამით მთაში დარჩენა, ასე თუ ისე, სახიფათო იყო.

„რა შესანიშნავი საღამოა“, — უსასრულოდ უმეორებდნენ ერთმანეთს, როდესაც ბანაკისკენ ვბრუნდებოდით. დონ რიკარდო კი, რომელსაც არაფრად უღირს ოხვრა-ვიში და გულაჩუყება, მაღალფარდოვნად ამკობდა ბუნებას, თუმცა განსაკუთრებული და ხოტბაშესასხმელი ჩვენ ირგვლივ არაფერი იყო. წამისწამ ჩერდებოდა და ყურს მიუგდებდა ხოლმე საკრავის ხმას და სიმღერას, რომელიც კიდევ დიდხანს მოისმოდა მაღალ მთებში ჩაკარგული ქუჩიანი სოფლიდან.

იმავე საღამოს დონ რიკარდომ ჰერცოგის კარავში ორი კალთამაღლიანი ქალი მოიყვანა. ღმერთმა უწყის, როგორ მოახერხეს ამ ქალებმა გახურებული ბრძოლის დროს ჩვენთან შემოპარულიყვნენ. ალბათ, ხელის მოთბობა უნდოდათ, და არც შემეცდარან, რადგან ჩვენთან ამ საქონელზე მეტისმეტი ნაკლებობა იგრძნობა. გარდა ამისა, ქალებს მუდამ აინტერესებთ გვერდით მოუწვენენ თავის მტერს, ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე გვითხრეს. პირველ წუთებში ჰერცოგი, თუ მისი სახის მიხედვით ვიმსჯელებთ, უსიამოვნოდ განცვიფრდა. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ აგერ-აგერ აფეთქდებოდა და ამ უსირცხვილოებს გარეთ გაყრიდა, დონ რიკარდოს კი ამ გაუგონარი თავხედობისთვის სამაგალითოდ დასჯიდა. მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, მან უეცრად გადაიხარხარა, ერთ-ერთი ქალი მუხლებზე დაისვა და მიბრძანა, მათთვის საუკეთესო ღვინო მომერთმია. იმ ღამით ისეთი რამეები ვნახე, დღემდე გონს ვერ

მოესულვარ, რას არ მიეცემდი, რომ შემძლებოდა არ დაესწრებოდი — ამ წრეგადასულ დროსტარებას. ახლაც სულ თვალწინ მიდგას ის გულისამრევი სურათები.

ვერა და ვერ მივმხვდარვარ, როგორ მოახერხეს ჩვენთან შემოპარულიყვნენ, თუმცა ამ ჯურის დედაკაცები ვირთხებივით არიან, მათთვის არ არსებობს დაბრკოლება, სადაც მოესურვებათ, იქ გაღრღნიან და გახრავენ ხერვლს. მე, ის-ის იყო, ჩემს კარავში ვაპირებდი გასვლას, მაგრამ მათმა მოსვლამ ზელი შემიშალა, იძულებული გავხდი დავრჩენილიყავი და ფარეშობა გამეწია არა მარტო ჰერცოგისა და დონ რიკარდოსთვის, არამედ იმ მრუშებისთვისაც. ას ნაბიჯზე მაინც იკმეოდა ვენეციური ნელსაცხებლისა და ამ ქალების გავარვარებული სხეულისა და ოფლის სუნი. სიტყვები არ მყოფნის, რომ გადმოგცეთ ჩემი სასოწარკვეთილება.

დონ რიკარდო დაუსრულებლად ასხამდა ხოტბას ამ ურტხეებს, ჯერ ერთი შეამკო, უქებდა თმას, ფეხებს, თვალებს, შევდეგ მეორეს მიუბრუნდა და რომ არ გაენაწყენებინა, მასაც ქება დაუწყო. ყველა ქალი მშვენიერია, — გაჰყვიროდა იგი. — ყველა ქალი მომხიბლავია და სიცოცხლის სიტკბოებით სავსე. მაგრამ ყველაზე წარმტაცი მაინც კურტიზანი ქალია, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს ზვარაკად სწირავს სიყვარულს და ამ გრძნობას ერთი წამითაც არ ღალატობს. რიკარდო ძალიან სულელურად იქცეოდა და, თუმცა მამაკაცთა შორის ყველაზე უგუნურად მიმაჩნდა, მაინც ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამდენად სასაცილო და ყვეყჩი იყო.

ოთხივენი სასმელს მიეძალნენ და თანდათანობით ღვინო მოეკიდათ. დონ რიკარდოს, რა თქმა უნდა, სულმთლად აეშალა გრძნობები. ყურები გაგვიჰქედა სიყვარულზე ყბედობით, ბოლოს ლექსების კითხვა დაიწყო. ძალზე მოსაწყენი ლექსები იყო, უმეტესწილად სასიყვარულო სონეტები ვიდაც ლაურაზე. ის სულელი დედაკაცები კიდევაც აცრემლდნენ. რიკარდომ ერთ ქალს დაუდო თავი მუხლებზე, ჰერცოგმა — მეორეს, და ისინიც ნაზად უსვამდნენ მათ თავზე ზელს, ისმენდნენ რიკარდოს ყბედობას და ნეტარებით ოხრავდნენ.

დონ რიკარდოს ის ქალი ეალერსებოდა, უფრო ეშხიანი რომ ჩანდა და მე ვხედავდი, რა უცნაურად მიაშტერდებოდა ხოლმე ჰერცოგი რიკარდოს, ეს ტუტრუცანა ქალები ოხვრასა და ვიშვიშს რომ მოჰყვებოდნენ რიკარდოს ნათქვამის ან მოქმედების გამო, ქალებს ხომ ყოველთვის გონებაჩლუნგი მამაკაცები მოსწონთ, რადგან მათთან მეტ საერთოს პოულობენ.

უეცრად დონ რიკარდო ფეხზე წამოიქრა და განაცხადა: — კმა-

რა, გვეყოფა სიყვარულის ცრემლიანი დატირებაო, და დაიწყონამდვილი ორგია: ღვინის სმა, ზუმრობა, ხარხარი, ამას იმდენად უწმაწური ანეგდოტები მოაყოლეს, რომ მათი გამეორებაც კი ზიზღსა მგვრის. შუა ქეიფის დროს ჰერცოგმა უეცრად წამოიყვარა, სასმისი ასწია და დონ რიკარდოს სადღეგრძელო შესვა. თან დასიბინა, ხვალ, ბრძოლაში შენ იქნები ჩემი ბაიარბატარო. დონ რიკარდო აღტაცებამი მოვიდა ეგზომ მოულოდნელი პატივის გამო. თვალები გაუბრწყინდა. „იმედი მაქვს, ცხარე ბრძოლა იქნება!“ თქვა მან. უნდოდა ქალებისათვის თავი მოეწონებინა, რათა ამ უკანასკნელთ ღირსეულად შეეფასებინათ მისი სიმამაცე. „წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ, მე მგონია, დიდი სისხლის ღვრა გველის“, — მიუგო ჰერცოგმა. აქ დონ რიკარდომ ჰერცოგს ხელი დაუჭირა და მოწიწებით და მადლობით ეამბორა, როგორც რაინდმა თავის სუზერენს. „ჩემო ძვირფასო ბატონო, დაიხსომე, რასაც დამპირდი ამ მხიარული ღრეობის ეამს“. „მშვიდად იყავ, არ დამავიწყდება“, მიუგო ჰერცოგმა.

მეძავებს, როგორც ეტყობოდათ, ეს სცენა დიდებული ეჩვენათ, მამაკაცებს თვალებით ჭამდნენ, განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, იმას, ვისაც ბრძოლის დროს ალაში უნდა წაეღო.

ამ ინტერმედიის დამთავრების შემდეგ თავაწყვეტილი ღრეობა ისევ გაგრძელდა. ისინი სულ უფრო და უფრო უბამსად და უსირცხვილოდ იქცეოდნენ, მე ამ სცენის უნებლიე მოწმე ვიყავი და მათი ცქერა ზიზღით მავსებდა, ამასთან, თავს უხერხულადაც ვგრძნობდი. ისინი ერთმანეთს ეხვეოდნენ და კოცინდნენ ალუწილ-ატკრეცილები, თავიანთი აშკარა და წრესგადასული ავზორცობით ურცხვად აგზნებულები. ენით აუწერელი სისაძაგლე იყო, თუმცა ქალები ყასიდად ეწინააღმდეგებოდნენ, მამაკაცებმა მაინც წელამდე გააშიშვლეს ისინი, მათ შორის უფრო ლამაზს, ძუძუს კერტები ვარდისფერი ჰქონდა და მარცხენა კერტთან არცთუ ისე დიდი, მაგრამ საკმაოდ შესამჩნევი ხალიც აჯდა. ღვინოს რომ ვუსჯამდბ, მისმა სხეულის სუნმა გული ამირია. ეს იგივე სუნი იყო, ჰერცოგის მეუღლეს რომ ასდის ხოლმე, როცა ჯერ კიდევ საწოლშია, მაგრამ მასთან ხომ ასე აწლოს არასოდეს მივსულვარ. დონ რიკარდომ ქალს ძუძუზე ხელი რომ მოჰკიდა, ამ ავზორცი მამაკაცისადმი ისეთი ზიზღი და სიძულვილი ვიგრძენი, რომ მზად ვიყავი, საკუთარი ხელით მიმეხრჩო ან სატვერით გამეგმირა, რათა თავისი ბილწი სისხლისგან დაწრეტილიყო და ქალს ველარასოდეს გაჰკარებოდა. შეძრწუნებული და ზიზღით გულგასენილი ვიდექი ჩემთვის და გფიქრობდი, რა ზნედაცემულნი არიან ადამიანები-მეთქი. წარბიც

კი არ შემიტოკდებოდა, ყველანი ჯოჯოხეთის ცეცხლში რომ დან-
თქმულიყვნენ.

ღონ რიკარდოს, ნებისთ თუ უნებლიეთ, უფრო ეშხიან ქალთან
უწევდა დროსტარება, რადგან ქალი თავად ეტმასნებოდა, ბოლოს
თავში კიდევ ერთი სულელური აზრი მოუვიდა, წილი ვყაროთო,
თქვა, ქალი გამარჯვებულს უნდა დარჩენოდა, ეს აზრი ყველას
ძალიან მოეწონა, თვით ჰერცოგსაც და ქალებსაც, ის კი, ვინც
უნდა გაეთამაშებინათ, უკან გადაიხნიქა და მოსალოდნელი ორთა-
ბრძოლით აღტაცებული წიკვინა ზმით აკისკისდა. შეჰმაგდა ეს ქა-
ლი, ვერ გამეგო, რად გადაეკიდნენ, ჩემი აზრით არც ლამაზი
ეთქმოდა და არც მომხიბლავი, ვერც იმას მიემხვდარიყავ, როგორ
შეიძლებოდა ასე უხამსად მოქცეოდნენ. ქალი ქერათმიანი იყო,
დიდრონი ცისფერი თვალები და საშინლად ბანჯვკლიანი ილღიები
ჰქონდა, ეს ბანჯვკლი მეტად უსიამოვნოდ განგაწყობდა, ვერ გა-
მიგია, რატომ ეზრდებათ ადამიანებს ილღიებში თმა, ყოველთ-
ვის, როცა კი ამას დავინახავ, საშინელი ზიზღის გრძნობა მიპყ-
რობს, მით უფრო, თუ იღლია ოფლიანია. ზიზღი იმიტომ ვახსენე,
რომ ჩვენ, ქონდრისკაცები ადამის მოდგმისგან ყველაფრით განსხ-
ვავებულნი ვართ, ალბათ, სირცხვილით დავიწვებოდი, თავის გარ-
და, სადმე თმა რომ მეზრდებოდეს. თავზე კი ნამდვილად საჭიროა
ბალანი.

მიბრძანეს, კამათლები მომეტანა, პირველად ჰერცოგმა ააგდო
კამათელი, — ექვსიანი და ერთიანი მოუვიდა, თანახმად შეთანხმე-
ბისა, ქალი იმას უნდა დარჩენოდა, ვინც ორმოცდაათ ქულას პირ-
ველი მოაგროვებდა. მამაკაცები რიგრიგობით აგორებდნენ კამათ-
ლებს, ქალები კი თვალმოუცილებლად უცქეროდნენ მათ პაექრო-
ბას, უწმაწურ შენიშვნებს იძლეოდნენ, წიკვინებდნენ და კისკი-
სებდნენ. ბოლოს გამარჯვება ჰერცოგს დარჩა. ყველანი ზეზე წა-
მოიჭრნენ, ერთმანეთს აღარ აცლიდნენ, ხარხარებდნენ და ყვი-
როდნენ. მერე ორივე მამაკაცი ეცა თავ-თავის კახპას, კაბები ლა-
მის ტანზე შემოაფხრჩიეს, და მე, ძალაუნებურად, ენით აუწერელი
სისაძაგლის მოწმე უნდა გავმხდარიყავი. მათმა თავაშვებულობამ
იმდენად შემზარა, რომ თავრეტდასხმული კარვიდან გამოვევარდი
და გულის ზიდილი ამივარდა. თავფეხიანად ცივ ოფლში ვიწურე-
ბოდი, მთელი სხეული გაბღღენილი ბატის კანივით დამეხორკლა.
სიცუვისაგან აკანკალებული მსახურთათვის გაშლილ კარავში შევ-
ძვარი და მივეგდე ჩემს თივაზე მზარეულსა და იმ ხეპრე მეჭინი-
ბეს შორის, რომელიც მუდამ ცხენის სუნით ყარს და დილით,
როცა წამოდგება და ცხენების მოსავლელად მიდის, უეჭველად

წიხლი უნდა მითავაზოს. არ ვიცი, რატომ იქცევა ასე. თვითონ ამბობს, უბრალოდ, მომწონს და იმიტომო.

ადამიანებს შორის სიყვარული ჩემთვის ყოველად ამოუხსნელი რამაა, მე ეს მათი გრძნობა მხოლოდ გულს მიირევს, ყველაფერმა, რაც იმ ღამით ჩემ თვალწინ მოხდა, საშინელი ზიზლით აღმავსო.

იქნებ იმიტომ, რომ მე სულ სხვა ჩამომავლობისა ვარ, უფრო დახვეწილი, მგრძნობიარე, დელიკატური და ამის გამო უფრო მძაფრი განცდის უნარი მაქვს. მე არასოდეს განმიცდია ის გრძნობა, ადამიანები ს-ყვარულს რომ ეძახიან და არც მინდა, განვიცადო, არა მაქვს ამის სურვილი. ერთხელ მეც შემომადიღეს ლამაზი ჭუჭა ქალი. დაღარულ სახეზე ჩემსავით მარჩხი თვალები უელავდა და პერგამენტივით კანი ჰქონდა, მაგრამ ამ ქალს არავითარი გრძნობა არ აღუძრავს ჩემში, თუმცა ვხედავდი, სულ სხვაგვარი სილამაზის პატრონი იყო და არა ისეთი გულშიუსაველი, ადამიანები რომ არიან. შეიძლება იმიტომაც არ გამიწია გულმა მისკენ, რომ იგი ჰერცოგის მეუღლემ შემომთავაზა. ერთმანეთს იმიტომ შეგვახვედრა, რომ ეგონა, პატარა ჭუჭას გაუუჩენდით. იმხანად ძალიან სურდა ეს. ანჯელიკა ჯერ არ ჰყავდა და სათამაშოებზე ოცნებობდა. რა კარგი იქნებოდა, პატარა ჭუჭა რომ მყოლოდაო, ხშირად იმეორებდა, მაგრამ მე სულაც არ ვაპირებდი მისთვის ამგვარი სამსახური გამეწია, დავთანხმდებოდი ამ უხამს წინადადებაზე და ამით ჩემი მოდგმა დამემციებინა.

ჩვენ შორის რომ ვთქვათ, თეოდორა ცდებოდა, როცა ეგონა, მე და იმ ლამაზ ქალს შეგვეძლო მისთვის ბავშვი გვეჩუქებინა, ჩვენ, ჭუჭები, შვილებს არ ვაჩენთ, ხელს არ ვუწყობთ სიცოცხლის გაგრძელებას, საამისოდ სურვილიც არ გვაქვს და არც არის საჭირო, რადგან ადამიანის მოდგმა თავად აჩენს ჭუჭებს, დაე, ამ ყოყლოჩინა არსებებმა ჩვენც ისეთივე ტანჯვით გვშვან, როგორც თავიანთ შვილებს აჩენენ. ჩვენი უძველესი მოდგმა მათივე მცდელობით არ ისპობა. მხოლოდ ასე და მხოლოდ ამგვარად უნდა მოვევლინოთ ამ ქვეყანას, ჩვენს ცვედნობაში ღრმა აზრია ჩაქსოვილი. მართალია, ადამიანების მოდგმას ვეკუთვნით, მაგრამ წარმოშობით სხვანი ვართ, ჩვენ ამ ქვეყნის სტუმრები ვართ, მარადეამ და მუდმივად ამქვეყნად მყოფი სტუმრები.

მაგრამ, ვგონებ, მეტისმეტად ავციდი ჩემს სათქმელს, ამრიგად, განვაგრძობ.

ღილით დონ რიკარდოს მართლაც მიჰქონდა ზრძოლაში ჰერცოგის ალამი. რაღა არ ითქვა იმაზე, თუ რატომ და როგორ მოხდა ყველაფერი ეს! მაგრამ მე მაინც ჩემი საკუთარი აზრი მაქვს, გუ-

მანით ვხვდები საქმის ნამდვილ ვითარებას. ამბობენ, თითქოს ჰერცოგმა უცნაური ბრძანება გასცა, მაშინ, როდესაც ეს სულაც არ იყო საჭირო და დონ რიკარდოს სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნაო. დონ რიკარდო გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა და იძულებული გახდა, თავის მცირერიცხოვანი მხედროვნით პირველს მიეტანა მტერზე იერიში და მხოლოდ სასწაულით გადაურჩა დაღუპვასო. ისიც თქვეს, წარმოუდგენელი შეუპოვრობით იბრძოდაო. თუმცა ამას ვერასდღებით ვერ დავჯერებ — მერე, თურმე, თითქმის ყველა ბრძოლაში რომ ჩაიკაფა და მებრძოლები თითზე დასათვლელი შემორჩა, ყველანი, როგორც ერთი, ირგვლივ შემოერთყნენ ალამს და თავგანწირვით იგერიებდნენ მტერს, თუმცა მათი ძალა მტრის ძალებთან შედარებით ზღვაში წვეთი თუ იქნებოდა, და როდესაც იმედი თითქმის ვადაწყვეტილი იყო, ბრძოლის შუაგულში ჰერცოგი შეჭრა — არ ვიცი, თავი ვერ შეიკავა იმისგან, თავადაც რომ არ მიეღო მონაწილეობა ეგზომ სასიერო და სარისკო გართობაში თუ სხვა რამ ამოძრავებდა, მცირერიცხოვანი მხედროვნით გაქანდა მისაშველებლად, მარჯვნივ თუ მარცხნივ, მტერს უმოწყალოდ კაფავდა, თან ცდილობდა, როგორმე დონ რიკარდომდე მიეღწია, მაგრამ ანაზღად შუბით გულგაობილი მისი ცხენი შეტორტმანდა, და მიწას დაასკდა, ჰერცოგი ცხენიდან გადმოვარდა და მტრის გარემოცვაში აღმოჩნდა, ამან დონ რიკარდო მეტისმეტად გააცეცხლა. თავის მებრძოლებთან ერთად მტრის რკალი გაარღვია და ჰერცოგის ერთი მუჟა მხედრების დახმარებით შეძლო გამაგრებულიყო, და მტერი ჰერცოგამდე არ მიეშვა, ვიდრე მაშველმა ძალაჟ არ მოაღწია. დონ რიკარდოს უამრავი ჭრილობა ჰქონდა მიღებული და სისხლისგან იცლებოდა. გადაკვრით ისიც ითქვა, დონ რიკარდო, ალბათ, მიხვდა კიდევ, ჰერცოგმა სასიკვდილოდ რომ გასწირა, მაგრამ მაინც გამოიღო თავი და თავისი ბატონი გადაარჩინაო.

მე ამეებისა არაფერი მკერა, და აქ მხოლოდ იმიტომ ვიპეორებ, რომ სწორედ ასეთნაირად გადმოსცემდნენ ამ დილის დრამატულ ამბებს, ხოლო თუ მე ყველაფერ ამას სხვა თვალთ ვუმზერ, ეს, უწინარეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ დონ რიკარდოს ზედმიწევნით კარგად ვიცნობ, ჩემსავით ვინ იცის მისი ხასიათი! იმიტომ დაბეჯითებით ვამბობ, დონ რიკარდო არ არის ყველაფერ ამის ჩამდენი კაცი.

ეს ამბები, ჩემი აზრით, ზედმეტად მკვეთრად შეფერადებულია თვით დონ რიკარდოს წარმოდგენით საკუთარ თავზე. მისივე მცდელობით შეიქმნა, ალბათ, ეს ლამაზი ლეგენდა და ახლა აღარავინ

ფიქრობს იმაზე, შეეფერება თუ არა იგი სინამდვილეს. დონ რიკარდო სიმამაცის განსაზიერებლად მიაჩნიათ და, ყველაფერი, რასაც იგი მოიძოქმედებს, კეთილშობილური, შესანიშნავი და განუმეორებელი ჰგონიათ, ამის მიზეზი კი მხოლოდ და მხოლოდ მისი გასაოცარი უნარია, ყველას თვალში შეეჩხიროს და ყურადღება მიიპყროს. ამ კაცს ბრძოლის ველზედაც იგივე სასაცილო პატივ-მოყვარეობა წინამძღვრობს, ყოველ მის საქციელსა და მოქმედებაში რომ შედგენდება. ხოლო მისი წინდაუხედაობა და დაუფიქრებლობა, რაც ირგვლივმყოფთ ასე მოსწონთ, მხოლოდ თავქარიანობით აიხსნება, ბრიყვულ წინდაუხედაობას რატომღაც მამაცობაში უთვლიან.

თუ მართლა ასეთი გულადია, თუ, როგორც თვითონ ამბობს, გამუდმებით საფრთხეში იგდებს თავს, რატომ არის, რომ აქამდე შემორჩა სული? როგორც გინდათ, თქვით და, ეს კითხვა ადამიანს თავისთავად ებადება. ნუ სწუხართ, მისი სიკვდილი გულს არავის დასწყვეტს, ყოველ შემთხვევაში, მე სულაც არ ვინაღვლებდი, ახლაც ფეხი რომ გაეჭინა.

ახლა, ამბობენ, მთელი სხეული ჭრილობებით აქვს დასერილი. არ ვიცი, მართლა ასეა თუ არა, მაგრამ თავს უფლებას ვაძლევ... დავეკვდე, ჩემი აზრით, საქმე არც ისე ცუდადაა, ჭრილობებიც არ იქნება მომაკვდინებელი, ყოველ შემთხვევაში, ვიცი, რომ მისი დანახვა დიდხანს აღარ მომიწევს.

სამაგიეროდ, დარწმუნებული ვარ, რომ რიკარდოს მუზარადს ჰერცოგის მეუღლის ჯილა ამშვენებდა, ეს ჯილა, როგორც ამბობენ, თეოდორამ ჩვენი ლაშქრად გასვლის წინ უბოძა და, მაშასადამე, გამოდის, რომ დონ რიკარდო, იმ დღით აშკარად, მთელი ქვეყნიერების დასანახად თავის გულის ქალბატონის სახელისთვის იბრძოდა. ასე შეუპოვრად რომ იცავდა ჰერცოგის ალამს, მაშასადამე, თავის გულის დედოფლის ღირსებას იცავდა და, როდესაც ჰერცოგის სიცოცხლისთვის თავს სწირავდა, მაშინაც თეოდორასთვის იბრძოდა, წინა ღამით კი სულ სხვა ქალს ეხვეოდა, ეგება ბრძოლაშიც სულაც მისი საწოლიდანვე წავიდა, თავი კი შეიმკო დიდი და მხურვალე სიყვარულის ნიშნად ჰერცოგის მეუღლის მიერ ნაჩუქარი ჯილით, რომელიც ამ ქალის ჭეშმარიტი სიყვარულის დიღებულ ყვავილად გადაიფურჩქნა: რაინდის ზარადზე, მიშინ, როდესაც მუხანათ სხეულს ჯერ კიდევ ჰქონდა შემორჩენილი აუხორცობის მხურვალეობა. ნამდვილად გაუგებარია ადამიანთა შორის სიყვარული, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის იგი ამოუხსნელია.

უცნაურია აგრეთვე ამ ორი მამაკაცის ურთიერთდამოკიდებუ-

ლება, რომელთაც ერთი ქალი უყვართ, ხომ არ ქმნის ეს მათ შორის ერთგვარ საიდუმლო კავშირს? ზოგჯერ მეჩვენება, რომ ეს მართლაც ასეა. მართალია, რომ ამბობენ, დონ რიკარდომ ჰერცოგი გადაარჩინაო? არა მგონია, მაგრამ თუ მართლაც ასეა, ეს მხოლოდ და მხოლოდ პატიმრობის გამო ჩაადინა, რათა რაინდულად მიეზლო ჰერცოგისთვის სამაგიერო და ყველასათვის დაემტკიცებინა თავისი კეთილშობილება, ჰერცოგმა ხომ მას სასიკვდილო საფრთხე შეუქმნა. ეს რაღაცით ჰგავს დონ რიკარდოს. ნეტა თუ მართალია, როგორც ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ ჰერცოგი იმ გადამწყვეტ წუთებში დონ რიკარდოს გადასარჩენად გაქანდა და იხსნა კიდევაც სიკვდილისაგან, თუმცა სულ ცოტა ხნის წინათ მისი სიკვდილი სურდაო? არ ვიცი, ჩემთვის ეს ძნელი გასაგებია, როგორ შეიძლება ადამიანს ერთდროულად უყვარდეს და სძულდეს კიდევ ვინმე?

მაგონდება ჩემი ბატონის უცნაური, დაუინებელი მზერა იმ დამით, — ეს მზერა სიკვდილის აღმქმელი იყო, მაგრამ ისიც მახსოვს, რა მეოცნებე, ცრემლჩამდგარი თვალები ჰქონდა, როცა ისმენდა, როგორ კითხულობდა დონ რიკარდო ლექსებს სიყვარულზე. ღიად, ყოვლისმომცველ სიყვარულზე, მოულოდნელად რომ შემოგვეგზნება და ნთქავს და ფერფლავს მთელ ჩვენს არსებას ეგება სიყვარული მხოლოდ ლამაზი ლექსებია ყოველგვარი შემცველობისა და შინაარსის გარეშე? სმენის დამატკობელი ლექსები, თუკი გულში ჩამწვდომი ხმით წაიკითხავ? არ ვიცი, თუმცა შეიძლება ასეც იყოს, ადამიანებს ხომ მუდამ სიყალბე ახასიათებთ.

იმდამინდელი სცენაც მაოცებს, იმ ქალებთან დროსტარება. ყოველთვის ვფიქრობდი, ჰერცოგი ასერიგად არასოდეს დაეცემა მეთქი, თუმცა რა ჩემი საქმეა, ამასთან, ჩემი ბატონი არასოდეს ის არ არის, ვინც მე მგონია, ამას უკვე შეჩვეული ვარ.

მეორე დღეს დიდი სიფრთხილით მოვეუყევი ყველაფერი ერთ-ერთ მსახურს, არც ის დამიმაღავს, რომ ნანახით გულშეძრული ვიყავი. მაგრამ მას ეს სულაც არ გაჰკვირვებია, მითხრა, ჰერცოგს ყოველთვის ჰყავდა საყვარლებად სუფეჟალები ან მდაბიორნი, ზოგჯერ ცნობილი კურტიზანებიც, ამჯერად ჰერცოგის მეუღლის დამიჯელას,* ფიამეცს ჰყვარობს, საერთოდ, საყვარლებს ხელთათმანებივით იცვლისო, დასძინა მერე სიცილით, თან უყვირდა, როგორ შეიძლებოდა ეს არ გცოდნოდაო. მართლაც საოცარია, რომ

* დამიჯელა — სუფეჟალა.

ასეთი რამ გამომეპარა, მე ხომ ძალიან თვალხმეირი ვარ. აი, როგორ დამაბრმავა ჩემი ბატონის მიმართ განუზომელმა თაყვანისცემამ.

ცოლს რომ ღალატობს, ეს სულაც არ მადლეებს, მძაგს თოდორა და მოხარული ვარ, რომ ასე აცურებენ, თანაც მას ხომ დონ რიკარდო უყვარს, ჰერცოგს კი არა, რიკარდოს სწერს იმ აღმოდებულ სასიყვარულო სტრიქონებს, გულთან მალულად რომ უნდა ვატარო, რადგან მაიძულებენ, ასე მოვიქცე.

იმედს არ ვკარგავ, რომ ბოლოს და ბოლოს რიკარდოს მაინც მოკლავენ. წვიმამ, მადლობა ღმერთს, გადაიღო. ამ დილით კარგებიდან რომ გამოვედი, უკვე მზე კაშკაშებდა და შთებიც გამოკვეთილად მოჩანდა, თუმცა, რა თქმა უნდა, ირგვლივ ყველაფერი ნესტით იყო გაყვანილი. ყველგან იდგა გუბე-გუბედ შემორჩენილი წყალი და პატარ-პატარა რუებიც მირაკრავებდნენ. საოცრად ხალისიანი დილა იყო. ცა თანდათან მოკრიალდა და ჩვენ თვალწინ წამოიშრათა გორაკზე ამოდებული ყაჩაღთა ქალაქი მონტანცა; ჩვენ უკვე დაგვავიწყდა მისი იერი, ახლა კი ციხის კედლის შიღმა ცხადად მოჩანდა ყოველი სახლი. ძველი ციხესიმაგრის კოშკებამ ქონგურები და სათოფურები. ნაწვიმარზე თითქოს განსაკუთრებით საჩინოდ გამოილანდა ყველაფერი, საყდრებსა და საპრეკლოებზე მოოქროვილი ჭვრების ჩათვლით. შორს აღარ არის ის დრო, როცა ბოლოს და ბოლოს ამ წყეულ ქალაქს ავიღებთ და აღვგვით პირისაგან მიწისა.

ყველა გახალისდა, მეომრები გარეთ გამოეფინენ, რომ წელში გასწორებულიყვნენ, სხეული აემოდრავებინათ, კარგი ამინდი ყველას ამხნევეს და საბრძოლოდ განაწყობს, სევდა და უგუნებობა თითქოს ერთი ზელის დაკვრით სადღაც გაქრა. ძალზე ვცდებოდი, როცა მეგონა, წვიმა დამლუპველად მოქმედებს არმიის საბრძოლო სულისკვეთებაზე-მეთქი. როგორც ეტეობა, უამინდობა გარკვეულ დრომდე მხოლოდ თრგუნავს ამ განწყობილებას.

ჩვენს ბანაკში სიტოცხლე დუღს და გადმოდის. მეომრები ყბღობენ, ოხუნჯობენ, თან იარაღს წმენდენ. მსახურები რაინდების საჭურველს აპრიალებენ, ცხენები საბანაოდ მიჰყავთ სწრაფი ნაკადულებისკენ ფერდობებზე, ზეთისხილის ხეებს შორის მრავლად რომ მირაკრავებენ. ყველა და ყველაფერი მომავალი ბრძოლისთვის ემზადება. ბანაკმა ადრინდელი სახე დაიბრუნა, ომმა კი — თავისი ფერადოვნება და საზეიმო განწყობილება, რაც, უდავოდ, უფრო შვენის. კრიალა, ჯარისკაცური მუნდირები, რაინდთა ჭაჭე-

აბჯარი, ცხენების დიდებული ვერცხლის აღკაზმულობა — ყველაფერი მზეზე ბრწყინავს და ლაპლაპი გაუდის.

დიდხანს ვიდექი და გავყურებდი ქალაქს, ჩვენი ლაშქრობის საბოლოო მიზანს. ერთი შეხედვით, თითქოს კარგად არის გამაგრებული, მისი კედლები და ციხესიმაგრის აღნაგები შეიძლება მართლაც მიუვალი გეჩვენოს, მაგრამ ჩვენ ამ ქალაქს მაინც ავიღებთ და აქ მესიერ ბერნარდოს წვლილი მცირე როდი იქნება! მე ვნახე მისი ტარანები და სატყორცნი მანქანები, ოთული სააღყო მოწყობილობები და საშინელი ბომბარდები, რომელთაც ამქვეყნად ვერც ერთი ციხესიმაგრე ვერ გაუმაგრდება. ჩვენ გავარღვევთ ნებისმიერ ზღუდეებს, დაკლევით და შევმუსრავთ ან უბრალოდ, ავაფეთქებთ კედლის ნაწილს, საამისოდ გავიყვანთ ხერელს, შიგნადს ჩავდებთ და დაკლევით, სწორედ იმგვარად, მესიერ ბერნარდო იმ საღამოს რომ გვიხსნიდა, ვიბრძოლებთ, ყველა ხერხითა და საშუალებით. გამრვიყენებთ ყველაფერს, რაც კი დიდი ადამიანის გენიამ შემოგვთავაზა. შევიჭრებით ქალაქში, მოვედებით მის ქუჩებს, გავუყვავთ, მუსრს გავავლებთ მეომრებს, დავწვავთ, ავაოხრებთ, მიწასთან გავასწორებთ ქალაქს, ქვას ქვაზე აღარსად დავტოვთ, ქალაქის მკვიდრთ კი, ამ ყაჩაღებსა და ავაზაკებს, დედაწულიახად დავხოცავთ ან ტყვედ წავასახამთ და მერე მხრჩოლავი ნანგრევებილა თუ ილაღადებენ მონტანცას სასახლის წარსულ დიდებაზე. ეჭვი არ მეპარება, ჰერცოგი ჯეროვნად გაუსწორდება თავის მოსისხლე მტერს. ხოლო რა დღეს დააყრის ბოკაროსას გამძვინვარებული ჯარი ქალაქს, ამის წარმოდგენა ამთავითვე მზარავს. ეს იქნება ჩვენი საბოლოო და გადაწყვეტი გამარჯვება.

მაგრამ ჯერჯერობით მოგვიწევს, გზიდან ჩამოვიცილოთ ლაშქარი, ჩვენსა და ქალაქს შორის რომ დგას. ადვილად შეიმჩნევა, რომ ხარის ჯარისკაცების რიცხვი საგრძნობლად გამრავლდა. — მეც სწორედ ასე ვვარაუდობდი, ვიღაც-ვიღაცები იწმუნებიან, ეს ძლიერი ლაშქარია, ჩვენსას თითქმის არ ჩამოუვარდება, თუნდაც ბოკაროსას რაზმები მივათვალათ. ეს კი, რა თქმა უნდა, გადაქარბებულია, მტრის ჯარი ახლა გაცილებით ფართოდაა გშლილი, მაგრამ ძლიერი რომ უწოდო, ეს უკვე მეტისმეტი იქნება. ეს ავიღენა ლაშქარი რომ დინახა, ჰერცოგმა შუბლი შეიკრა, მაგრამ მყისვე გამოიღარა. როგორც ეტყობა, მტრის ძალების პირისპირ ქვერტამ ძალა შეჰმატა, სიამოვნებას ჰკვირდა იმაზე ფიქრი, რომ ბოლოს და ბოლოს შესაძლებლობა ეძლეოდა დაეწყო ბრძოლა. აი, რას ნიშნავს ჰემარიტი მეომარი, მას წუთითაც კი არ შეჰპარვია

ექვი ჩვენს გამარჯვებაში, თუმცა, რამდენადაც ვიცი, ჩვენს მხედართმთავრებსაც არ დაუყენებიათ ექვექვეშ ეს საკითხი.

აღბათ, ძალიან სახალისოა ქალაქზე იერიშით მისვლა. აქამდე ასეთი შემთხვევა არა მქონია.

ეზოვარ ჩემს გალიაკში, ჩვენი სასახლის აღმოსავლეთით მდებარე კოშკში, დაბალ, მეტად მოსაპერხებელ კანტორულასთან, სადაც ჩვეულებრივად ვწერ ხოლმე და განვაგრძობ იმ ღირსშესანიშნავი და საბედისწერო ამბების აღწერას, ომში თავს რომ გადაგვხდა. როგორ მოვხვდი ისევ ჩემთან, შინ? ახლავე მოგახსენებთ.

ჩვენ მოვიგეთ ბრძოლა, თუმცა დაარწმუნებულიც ვიყავი, რომ ასე იქნებოდა, თუნდაც მნიშვნელოვანი ზარალისა და მსხვერპლის ფასდაც კი. ორივე მხარემ საკმაო მსხვერპლი გაიღო, მაგრამ ამ მხრივ მტერი უფრო დაზარალდა და, რა თქმა უნდა, გაუჭირდებოდა სეროზული წინააღმდეგობა გაეწია ჩვენთვის, თუმცა, ვიმგობრებ, არც ჩვენ დავვდგომია მაინცდამაინც კარგი დღე. განსაკუთრებით ბევრი მეომარი დავკარგეთ მეორე დღეს, მაგრამ მეომრები აბა რისთვის არიან, თუ ბრძოლაში არ გამოიყენებ, ამიტომ ხალხი სულ ტყუილად ყბედობს, ისეთი საშინელი არაფერი მომხდარა.

შინ კი ახლა იმით ვართ, რომ ჰერცოგი იძულებული გახდა დაბრუნებულიყო, რათა მოეკრიბა ძალები ომის ძლევამოსილად დასამთავრებლად. გარდა ამისა, როგორც მითხრეს, სახსრებიც უნდა მოიპარავოს. თავისთავად ცხადია, ომი მნიშვნელოვან თანხებს ნთქავს. ხმები დადის, ჰერცოგი მოლაპარაკებას აწარმოებს ვენეციის რესპუბლიკასთან, იმ ვაჭრუკანებს ხომ ფული თავზე საყრელად აქვთ, — იმასაც ამბობენ, საქმე მალე უნდა მოგვარდესო, და ჩვენც დაუყოვნებლივ გავეწევთ სალაშქროდ.

ამბობენ, ბოკაროსამ და მისმა დაქირავებულმა ჯარმა საზღაურის გადაიდება მოითხოვესო. გარდა ამისა, თურმე უქმაყოფილონი არიან მით, რომ სრულიად არ მიუღიათ ის თანხა, თავდაპირველი პარიკების თანახმად რომ ეკუთვნოდათ. როგორც მითხრეს, ამ ამბავმა უამრავი თავსატეხი და საზრუნავი გაგვიჩინა. მართალი ვითხრათ. სულაც არ ველოდი, რომ მათ შეეძლოთ ფულისთვის ისეთი აზბავი დაეწიათ, მეგონა, ომი ბრძოლის გულისთვის უყვართ-მეტყვი, ისევე როგორც მე მიყვარს. თუმცა იქნებ არც შეიძლება მოითხოვო, ყველა ჩემსავით უანგარო იყოს, აღწათ, სრულიად ბუნებრივია მათი მოთხოვნა, რომ გასამრჩელო აუნაზღაურონ. მეტი რა გზაა, ყველას თავისი კუთვნილი უნდა მიეგოს.

ამბობენ, ჰერცოგსა და კონდოტიერს რაღაც ცილობა აქვთო,

მაგრამ რაღას არ იტყვიან! როცა ამდენი მსხვერპლი და დანაკარგია, დაბრკოლებებიც იჩენს თავს, ადამიანებს, ჩვეულებრივ, მალე უტყდებათ გული, ყველა უემყოფილოა საქმის მსვლელობით, ერთმანეთს ადანაშაულებენ, უჩივიან დაღლილობას, ანგარიშობენ მტრისა და თავის ზარალს, ერთი სიტყვით, გულდამწეიდები არავინ არის. ბოკაროსას დაქირავებულ ჯარისკაცებს, თუმცა შესანიშნავად იბრძვიან, შესაძლებელია, სულაც არ ახარებთ ჰერცოგის ფართო ზრახვების ხორცშესხმა, არც ისაა გამორიცხული, გულში სულ სხვა რამ ედოთ, მაგრამ ყველაფერი ეს წვრილმანი, არაარსებითი და წარმავალია. ამიტომ არც მაინტერესებს. არც რამედ მიმანია ვულგარული ფულადი ანგარიში ისეთ საქმეში, როგორცია ომი, ამიტომ შემდგომ ამ თემაზე საუბარს არ ვაპირებ.

რა მოსაწყენია შინ ჯდომა! ბრძოლის ველიდან მობრუნებულ ადამიანს აქაური ცხოვრება საოცრად უმიზნო და ერთფეროვანი ეჩვენება, დრო უსასრულოდ იწვლება და არ იცი, რა საქმეს მოჰკიდო ხელი, თავი რომ შეიყოლიო. ირგვლივ თითქოს სიცოცხლე ჩამკედარია, თუმცა ამ დღეებში ყველაფერი უნდა გადაწყდეს და ჩვენც სალაშქროდ გავემართებით.

სასაცილოა ამ ზალხის ცქერა. მე ვგულისხმობ მსახურებს და ყველა მათ, ვინც ომში არ მონაწილეობდა. გეგონება, სხვა სამყაროში ცხოვრობენო, თითქოს ფიქრადაც არ მოსდით, რომ ქვეყანას ომიანობის უამი უდგას. ჩემს ჯაჭვ-აბჯარს თვალს რომ შეავლებენ, ვაოცებით აფჩენენ პირს, თითქოს არ იცოდნენ, რომ ბრძოლის ველზე კაცი ამგვარად უნდა გავიდეს, ეს რომ არ იყოს, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ, რომ მტრის წერა გახდები. მაგონებენ, აქ ხომ საფრთხე არ გემუქრებაო, მაგრამ ომი ჯერ არ დამთავრებულა და მე მალე ისევ მომიწევს სალაშქროდ წასვლა. ყოველ წუთს უნდა ველოდო ჰერცოგის ბრძანებას გამგზავრებაზე და მზად უნდა ვიყო საბრძოლოდ, ამიტომაც არ ვიხდი აბჯარს, მაგრამ ბრმებს ამას როგორ გააგებინებ!

რაკი ომში არ ყოფილან, ბუნებრივია, ვერაფრით წარმოიდგენენ, რა ამბები ტრიალებს იქ. ხოლო, როდესაც ვცდილობ, მიახლოებით მაინც ავუწერო ლაშქრული ცხოვრება მთელი მისი საფრთხე-საშიშროებით, იდიოტური უნდობლობით შემომამტერებიან, ამასთან, არც ნაჩუმათევი შურის დაფარვა შეუძლიათ, თითქოს მთელი თავისი არსებით მეუბნებიან, რომ მე აქ არაფერ შეუამი ვარ, თავად მსგავსი არაფერი განმიცდია და არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია იმ ბრძოლებში, მათ რომ ვუყვები. ძნელი

მისახვედრი არაა, რომ ამგვარად ჩვეულებრივი შურის გამო იქცევიან, რა იციან, რომ ჩემი დაშნა მტრის სისხლშია განბანილი და ჯერ კიდევ ინახავს უკანასკნელი სასტიკი ბრძოლის კვალს. ამ დაშნას არავის ვუჩვენებ, რადგან ვერ ვიტან ჯარისკაცურ კვებნასა და ბაქიაობას, ასე რომ იფურჩქნება ხოლმე ომიანობის უამს და ასე რომ სჩვევია, მაგალითად, იგივე დონ რიკარდოს. მე მაგრად ჩავბლუჯავ ხოლმე სატევრის ვადას და ზურგს ვაქცევ ამ უსაქმურებს!

საქმე კი ასე იყო: ჩვენი ბოლო, ორდღიანი ბრძოლის დროს საჭირო გახდა, დაგვეპყრო სიმაღლე, რომელიც მდებარეობდა ჩვენს მარჯვენა ფლანგსა და ქალაქს შორის, მართალია, სიმაგრე ხელთ ვიგდეთ, მაგრამ ეს ოპერაცია ძვირად დაგვიჯდა. სამაგიეროდ საგრძნობლად გაუძჳობესდა ჩვენი მდგომარეობა. ჰერცოგმა მაშინვე მოიწადინა გავგო, სახელდობრ, რა უპირატესობის მონიკება შეეძლო ამ სიმაღლის დაპყრობას და მწვერვალს მიაშურა. მეც, ბუნებრივია, თან გავყევი. მწვერვალზე ლოდოვიკოს ქალაქგარეთა ციხესიმაგრე იდგა. უნდა ითქვას, რომ ადგილი მარჯვედ იყო შერჩეული, კიპარისებითა და ატმის ხეებით შემოჭარული ნაგებობანი საკმაოდ შთამბეჭდავად გამოყურებოდა. რამდენიმე ჯარისკაცი და მათ შორის მეც, წავედით რომ შეგვემოწმებინა, იყო თუ არა სადმე ჩასაფრებული მტერი, რომელსაც შეეძლო მოულოდნელად დაგვსზმოდა თავს და ჰერცოგის მოკვლას ცდილიყო. ციხესიმაგრე ცარიელი დაგვიხვდა, თუ არ ჩავთვლით გადაყრუებულ მოსუც მსახურთ, თავისიანებმა გაქცევის დროს რომ მიატოვეს. ჰერცოგმა მათ დასჯაზე უარი განაცხადა, სანამ ჩვენები მიდგებ-მოდგებოდნენ, მე გადავწყვიტე მიწისქვეშეთი დამეთვალიერებინა, საამისოდ ვერავინ მოიცალა, თუმცა სავარაუდო იყო, რომ მტერი სწორედ იქ იმალებოდა. ჩავდგი ფეხი თუ არა დაბლა, უმაღ ჯუჯან შევეფეთე — ლოდოვიკოს სასახლეში ბლომად არიან ჯუჯები, — ეტყობოდა, ესეც სხვებთან ერთად მიატოვეს, თუმცა ვერ ამიხსნია, რატომ. ჯუჯა საშინლად შეშინდა და ნახევრად ბნელი ტალანისკენ გაქანდა. სდექ-მეთქი, დავუყვირე, მაგრამ ჩემს ყვირილზე არ შეჩერებულა, ამიტომ დავასკვენი, რომ სინდისი სუფთა არ ჰქონდა, არ ვიცოდი, შეიარაღებული იყო თუ არა, ამიტომაც მისი დევნა მიწისქვეშა ტალანებში მეტად სარისკო საქმედ მეჩვენა. ბოლოს ჯუჯა შევარდა ერთ სათავსში, რომელსაც გასასვლელი კარი ჰქონდა, ჩანდა, სწორედ აქედან აპირებდა გაქცევას, რომ მიმალულიყო, მაგრამ კარის გაღება ვერც კი მოასწრო, რომ წამოვეწიე. საწყალობლად დაიწრიბინა, მიხვდა, მისი საქმე წასული იყო. ვირთხასა-

ეთ კედელ-კედელ ვარბენინე, ვიცი, ველარსად წაპვიდოდა ბოლოს და ბოლოს კუთხეში მივიმწყვდიე. ახლა კი უკვე ჩემი წერა იყო! იმწამსვე დაშნა ამოვიღე და დავკარი, ფოლადმა იოლად გაატანა სხეულში და მეორე მხარეს გავიდა. ჭუჭას აბჯარი არ ესხა, არც სხვა რამ ჰქონდა ისეთი, მებრძოლს რომ შეეფერება, ხავერდის ლურჯი, ძალზე სასაცილო კაშხოლი ეცვა, საყელოზე მაქმანები ჰქონდა შემოყოლებული და სხვა ზოხილ-პიპილები მოუჩანდა, თითქოს პატარა ბიჭი ყოფილიყოს! ჭუჭა სადაც დაეცა, იქვე დაეტოვე და დღის სინათლეს და ბრძოლის კელს დაუებრუნ-
ლი.

ეს შემთხვევა იმიტომ კი არ გავიხსენე, რომ ჩემი საქციელი გმირობად მიმაჩნია. ასეთი რამ ომისთვის ჩვეულებრივი ამბავია და სულაც არ ვაპირებ ამით ტრაბახსა და თავპოწონებას. მე ჩემი ჯარისკაცური ვალი მოვიხადე — ეს იყო და ეს. ამაზე ძებორციელმა არაფერი იცის, არც ჰერცოგმა და არც ვინმე სხვამ, ეჭვიც კი არაეის ეპარება, რომ ჩემი დაშნა მტრის სისხლშია განბანილი. დაშნა არ გამიწმენდია, ეს სისხლი დასტურია იმისა, რომ ლაშქრობაში მეც ვმონაწილეობდი. ცოტა არ იყოს, მეწყინა, რომ მაინც-დამაინც ჭუჭა შემომაკვდა. სჯობდა, ვინმე ადამიანს გადაეყრო-
ლი. — ადამის მოდგმა ზომ საშინლად მძაგს, — მაშინ ბრძოლაც თავისთავად უფრო საინტერესო იქნებოდა, მაგრამ რა დასამალია და, ქონდრისკაცებიც. თვალის დასანახად მეჩავერებიან, ამ ორთა-
ბრძოლაში, განსაკუთრებით იმ წამს, ჭუჭა სასიკვდილოდ რომ დავეკერი, ექსტაზმა შემიპყრო. ასე მეგონა, რაღაც რელიგიურ წესს ვასრულებდი, ზუსტად ასეთივე გრძნობა განვიცადე მაშინ, იოსათატს რომ ვახრჩობდი — ეს იყო დაუოკებელი სურვილი, ამომეფუჟა ჩემი მსგავსი არსებები. რატომ, რისთვის? არ ვიცი. მართალი გითხრათ, საკუთარი თავისაც ვერაფერი გამიგია, ნუთუ მის-
ჯილი მაქვს, ვნატრობდე ჩემივე მსგავსი არსებების გაქლევას?

იმ ჭუჭას, როგორც საერთოდ ყველა საკუთრისს, წრიპინა ხმა ჰქონდა და ამან უფრო მომიკიდა ცეცხლი, თავად დაბალი, ძლიერი ხმა მაქვს!

ოჰ, ეს საზიზღარი, უბადრუკი ქონდრისკაცები!
რატომ ისინიც მე არა მგვანან?

ამ დილით ჰერცოგის მეუღლე ცდილობდა, სიყვარულზე ჩამოეგდო ჩემთან სიტყვა. არ ვიცი რატომ, მაგრამ როგორღაც დანადგლიანებული იყო, — საერთოდ, ტირილის მიზეზი, რა თქმა უნდა, აქვს, რომ იცოდეს, რამდენი საბაბი აქვს საამისოდ!

მერე ერთბაშად შეცვალა კილო — გუნება ხომ წამისწამ ეცვლება — და უკვე ხუმრობა წამოიწყო. სარკის წინ იჯდა და ვიდრე მოახლე თმას ვარცხნიდა, ჭიუტად ცდილობდა საუბარში ავეყოლიებინე — ხან ხუმრობდა, ხანაც ისევ სერიოზული ზღებოდა. მე კი ყოველი მისი სიტყვა უამური და უადგილო მეჩვენებოდა. ერთი სული ჰქონდა, გაეგო ჩემი აზრი სიყვარულზე. ყოველნაირად ფავს ვარიდებდი პასუხს, მაგრამ არ მეშვებოდა. ნუთუ არასოდეს არავინ გყვარებია? „არა, არ მყვარებია“, — შუბლშეკვრით მოვუპკერი სიტყვა, გაიოცა, არაფრით არ უნდოდა დაეჭერებინა. ისევ თავიდან დაიწყო, პირდაპირ ილაჯი წამართვა. ბოლოს და ბოლოს, თავი რომ დაენებებინა, ვუთხარი, თუ ოდესმე ვინმეს შევიყვარებდი, ის უეჭველად მამაკაცი იქნებოდა-მეთქი.

ჰერცოგის მეუღლემ თავი მოაბრუნა, შემომხედა და გულიანად გადაიხარხარა, მას მოაზლევ აპყვა: „მამაკაცს?! — წამოიძახა დაცივნით, — თითქოს ერთი რაღაც უცნაური რამ მეთქვას. — მამაკაცს შეიყვარებდი? მაინც ვის? ბოკაროსას ხომ არა?“ — ამ სიტყვებზე ორივე ხელახლა აკისკისდა. მე სახე ამიჭარხალდა, რადგან სწორედ ბოკაროსას ვგულისხმობდი. როცა დაინახეს, გაწითლდნენ, საბოლოოდ გამხიარულდნენ. ვერ გამეგო, რა იყო აქ სასაცილო და ცივი, ზიზღიანი მზერით შევცქეროდი მათ. ჩემი აზრით, სიცილი სიმახინჯე და საძაგლობაა, ვერ ვიტან, როდესაც ადამიანს უეცრად ეწელება პირი და წითელი ღრძილები მოუჩანს, თანაც, რა ჩემი ბრალია, თუ ბოკაროსათი მართლა აღტაცებული ვარ? ჩემს თვალში იგი ნამდვილი მამაკაცია.

განსაკუთრებით გამაბრაზა იმ ბინძურმა მოახლე გოგომ, რადგან მისი სიცილი უფრო ვულგარული მეჩვენა. მე შემიძლია ავითანო თეოდორას ხუმრობა, თუმცა არაფრად მიღირს დავუყარგო სიყვარულზე ოხუნჯობის ხალისი. შემეძლო მის შეკითხვაზე იმგვარად მეპასუხა, რომ გაწბილებული დარჩენილიყო, შემეძლო თვალი ამეხილა მისთვის ამ, ეგრეთ წოდებულ „სიყვარულზე“, მაგრამ, ვიმეორებ, მე ჯერ კიდევ ძალმიძს შევეურიგდე მის ოხუნჯობას, რაც უნდა იყოს, ჰერცოგის მეუღლე, ჩემი ქალბატონი და ჰერცოგთა ჩამომავალია, მაგრამ ამ გონებობ, ამ ყოვლად უბადრუკმა არსებამ როგორ უნდა დამცინოს? არა, ნურას უკაცრავად! ისიც კმარა, რომ ყოველთვის საზიზღრად მექცეოდა, ამპარტავნობდა, მეჭილიკებოდა და მანბრაზებდა, სასახლეში ზოგი კარის გაღება რომ არ შემეძლო, მერედა, ამას ვინ ეკითხება, ამ გაუთლელ სოფლის გომბუქუნას! ერთი კარგად უნდა გაჯოროს კაცმა.

ბოკაროსა კი... რა გასაკვირია, ასე რომ დამატყვევა, განა მთელი ჩემი არსებით მეც მეომარი არა ვარ?

დღეები მტანჯველ მოლოდინში მისდევს ერთმანეთს და აღარ ვიცი, რას გადავწყულო გული.

გუშინ სანტა-კროჩეში მაესტრო ბერნარდოსთან გამგზავნეს. იგი, ჩვეულებრივ, ისევ იქ ათენ-ალამებს და თავის „საიდუმლო სერობაზე“ მუშაობს. არაერთხელ მიფიქრია, რატომ არ მიდის ომში, რომ ნახოს, როგორ მოქმედებენ მისი მანქანები, თუ მართო მათი შექმნაა საკმარისი? იქ გვაპებიც საკმაოზე მეტად დაბედებოდა, შეეძლო შეესწავლა ისინი და ამ მხრივ დიდი წარმატებებისთვისაც მიეღწია.

მე სწორედ იმ დროს შევდგი ფეხი საყდარში, როცა მაესტრო ბერნარდო გატაცებით შემზერდა თავის დიდ ქმნილებას. არც კი შეუმჩნევია, როგორ შევედი, ბოლოს კი შემომხედა, მაგრამ მზერა გააშტერებული გეგონებოდათ — საით მიაფრენდა მისი ოცნება? ზედაც არ შემომხედა, თუმცა ადრე ჯაჰვ-აბჯარში არასოდეს ვუნახივარ. არ შეიძლებოდა არ შეენიშნა, მაგრამ არც გაკვირვება გამოუხატავს და არც რაიმე ინტერესი. „რა გინდა, პატარავ, ჩემგან?“ მკითხა და გულლიად შემომპატიჟდა. თუმცა კი გავბრაზდი, პატარა რომ მიწოდა, მაგრამ დანაბარები გადავეცი, მერე იმწამსვე გამოვტრიალდი და წამოვედი. იქ დასარჩენად სულაც არ მეწეოდა გული. მხოლოდ ერთხელ შევაველე თვალი მის შედევრს და მომიჩვენა, რომ მის დასრულებას ჯერ კიდევ ბევრი უკლდა და ერთი ამდენი დრო, ალბათ, კიდევ დასჭირდებოდა. მესირ ბერნარდო ხომ ბოლომდე არასოდეს არაფერს მიიყვანს! კაცმა რომ თქვას, რატომ ვფიქრობ ხოლმე ამაზე ასე დიდხნობით?

ომზე არაფერი უკითხავს, თუმცა უნდა მიმხვდარყო, რომ პირდაპირ ბრძოლის ველიდან ვიყავი მოსული. ასე მგონია, ომის ამბები მას სრულებით არ აინტერესებს. ვენეციის ვაჭრუკანებმა უარი გვითხრეს, ფულით ხელი არ გაგვიმართეს, მათმა დესპანმა გამოგვიცხადა, ჩვენგან ნურავითარ სესხს ნუ ელითო. სრულიად გაუგებარია! წარმოუდგენელია! მათ მიაჩნიათ, რომ ცუდად ვიბრძოდით. ცუდადო! რა თავხედობაა! ჩვენ ბრძოლას ბრძოლაზე ვიგებდით, მუდამ ვიმარჯვებდით, მტრის ზურგში ისე ღრმად შევიჭერით, რომ იმ ყაჩაღების ბუნებამდე მივალწიეთ და ახლა მათი ციხესიმაგრის კედელთან ვდგავართ, მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ, რაც შეიძლება მალე ავიღოთ იგი, მოვიმკოთ ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვებების ნაყოფი, და ასეთ წუთებში უნდა დაგვაბრკოლონ? თანაც სწო-

რედ იქ დროს, როცა ქალაქი უკვე განწირულია, როცა ეს-ეს არის, უნდა დავიპყროთ და ავაოხროთ, ცეცხლში ამოვახრჩოთ და გავაცამტვეროთ, არა, ეს აღმაშფოთებელია! დაუჭერებელი ამბაუია, რომ ვიღაც ბინძურმა ჩარჩებმა ხელი შეგვიშალონ საბოლოო გამარჯვებაში! და თანაც მხოლოდ იმიტომ, რომ ვერაფრით შელევინათ თავის ფულებს. არა, ეს არ შეიძლება მოხდეს! რა წარმოუდგენელი თავხედობაა!

ჰერცოგმა უნდა იპოვოს გამოსავალი და, რა თქმა უნდა, იპოვის კიდევ. განა შეიძლება, რომ ფულმა დააყოვნოს ასეთი გრანდიოზული ომის ძლევამოსილად დამთავრება? არა, ეს არ მოხდება!

სასახლეში ტევა აღარ არის, მალემსრბოლების, უცხოელი ელჩების, მრჩევლებისა და მხედართმთავრების სიმრავლისაგან. მალემსრბოლები უსასრულოდ მიდი-მოდიან. მე პირდაპირ ჰქუას ვკარგავ მღელვარებისაგან.

ბოკაროსს დაქირავებული ლაშქარი უარს ამბობს ბრძოლის გაგრძელებაზე. მოითხოვენ, გარიგების თანახმად, დაუყოვნებლივ მთლიანად ჩააბარონ ხელზე ფული, ხოლო მომავალში ორჯერ მეტი გადაუხადონ. ვიდრე ვალს არ გავგინადლებთ, თითს თითზე არ დაეკარებთო, ამბობენ თურმე, ჰერცოგს ფულის შოვნა არ შეუძლია და ცდილობს დაპირებით მოაღოროს, როდესაც ქალაქს ავიღებთ, გასაძარცვავად მთლიანად თქვენ მოგცემთ, იქ ხომ დიდი ნადავლის შოვნა შეგიძლიათო. მეომრებმა უპასუხეს, ჯერ კიდევ არავინ უწყის, ავიღებთ თუ არა ქალაქს, რაკი აქამდე ვერ შევძელით მისი აღება, მერე კიდევ, ვიდრე ეს მოხდებოდეს, ლოდოვიკოს ჯარები უნდა დავარბიოთ და ქალაქს ხანგრძლივად შემოვარტყათ ალყა, ჩვენ კი არ გვიყვარს მოალყეებად ყოფნა, გული გვიწყალდება, ძარცვის შესაძლებლობა გვესპობა. თქვენი წყალობით ისედაც დიდი ზარალი ვნახეთ, მეომრებიც. რომ არ მოველოდით, იმაზე მეტი დავკარგეთ, განა ეს მოსათმენია? ჩვენ გვსიამოვნებს, როცა თავად ვხოცავთ და სულაც არ გვეპრიანება, აქეთ რომ გველეტენ, სწორედ ასე გადაეცით ჩვენი ნათქვამი და ისიც დაუმატეთ, რომ ასეთი მცირე საფასურისთვის თავებს არ დავიხმოცავთო. მათი ენა სულაც არ გამოირჩევა დიპლომატიური დახვეწილობით.

რას უნდა ველოდოთ ახლა? სადამდე მიგვიყვანს ყველაფერი ეს?

თუმცა, ალბათ, ჰერცოგი, უეჭველად გამონახავს რაიმე გზას. იგი მეტისმეტად გამჭრიახი კაცია და უყვარს წინააღმდეგობები, რადგან მთელი სიცხადით სწორედ მაშინ შეღავნდება მისი გენია, ჩვენი დღემდე უძლეველი ჯარი კი, როგორც იდგა, ასევე დგას, ქალაქ მონტანცას კედლებთან. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს!

ომი დამთავრდა! ჯარებს უკან, საზღვარზე გადმოიყვანენ და მორჩა, ყველაფერს წერტილი დაესმის!

ხომ არ ჩამეძინა? იქნებ ყველაფერი სიზმარში ხდება?

ახლა, ალბათ, გავიღვიძებ და გავისაცხაურებ, რომ ეს მხოლოდ ზიზმარია იყო, საშინელი, მძიმე სიზმარია.

სიხარბემ, უსინდისობამ, ლალატმა, — ადამიანთა ყველა მანკმა და ბიწიერებამ, ერთად აღებულმა, სძლიეს ჩვენს გპირულ ჯარებს, ხელიდან წაჰგლიჯეს იარაღი. ჩვენმა დიდებით მოსილმა ლაშქარმა, რომელიც ომის დროს ერთხელაც არ დამარცხებულა, და ახლაც მრისხანე ძალად დგას მტრის კარიბჭესთან, მორჩილად უნდა დაიხოს უკან. გაბრიყვებულები, გაყიდულები, ყველასაგან მიტოვებულები, შინ უნდა გაბრუნდნენ. შინ! მაშინ, როდესაც მხოლოდ ერთი სურვილით არიან შებოჭილნი — ან გამარჯვება, ან სიკვდილი! რა საშინელი დანაშაულია, რა ტრაგედია!

ჩვენი დიადი, ქვეყნის ისტორიაში უბრწყინვალესი ომი — და ასეთი დასასრული?

მე დამბლადაცემულივით ვარ, ჩემს სიცოცხლეში არანოდეს ვყოფილვარ ეგზომ აღშფოთებული, არ განმიცდია ამდაგვარი სირცხვილის გრძნობა, მთელი ჩემი არსება მძაფრად და გააფთრებით ეწინააღმდეგება ყველაფერ იმას, რაც ხდება და ამავე დროს თითქოს შებოჭილი ვიყო, ვგრძნობ ჩემს სრულ უმწეობას. რა შეიძლება შელონა საიმისოდ, რომ ჩავრეულიყავ მოვლენათა მსვლელობაში და ყველაფერი შემეცვალა? შემეჩერებინა ეს წყვილადჩატბორილი სპექტაკლი? მე არაფერი შემეძლია. უმწეო ვარ, სრულიად უმწეო.

ეს დასასრულია, დასასრული, ყველაფერი დამთავრდა!

როდესაც ეს ამბავი შევიტყვე და როგორც იყო, ჩავწვი მის არსს, შეუმჩნევლად გავერიდე ყველას, და ზემოთ, ჩემი სენაკისაგან გაიქეცი, რათა მარტო დავრჩენილიყავი, მეშინოდა, რომ გძნობები მძლევდნენ, მეშინოდა, რომ ვერ გაუუმკლავდებოდი მათ ისე, როგორც მამაკაცს შეპყრის; შევდგი თუ არა ოთახში ფეხი, ტირილი ამივარდა, თავი ველარ შევიკავე, ამას არ ვმალავ, გამშაგებით მივიჭირე მუშტები თვალებზე და აეკვითინდი.

ჰერცოგი თავისი დარბაზებიდან არ გამოდის, არც ვინმეს იღებს. იქვე სადილობს მარტოდმარტო. სუფრაზე მე ვემსახურები და ჩემსა და კიდევ ერთი მსახურის გარდა, რომელსაც დანიშნულ დროს ავრძები შემოაქვს, მისი ნახვა არავის შეუძლია. გარეგნულად თითქოს მშვიდი და თავდაპირილი ჩანს, მაგრამ ძნელი სათქმე-

ლია, რა იმალება ამ ფერმკრთალ ნიღაბქვეშ. შავი წვერით შემოგრაგნილი სახე ცარცივით თეთრი აქვს, თვალგაშტერებულ იმზირება, გეგონება, ვერაფერს ხედავსო. მე, საერთოდ, მგონი, ვერც მაჩნევს. მის წვრილ, უსისხლო ბაგეს სიტყვაც კი არასოდეს დასცდება, საბრალო მსახურს საშინლად ეშინია მისი, უბრალოდ, მშიშარაა და იმიტომ.

ვენეციამ უარი შემოგვითვალა, როცა მოვიდა ცნობა, რომ იმ დაწყევლილი ჩარჩების რესპუბლიკას მოეპრიანა ბრძოლაში ზელი შეეშალა ჩვენთვის, ჰერცოგი გააფთრებისაგან რისხვად იქცა, საზარელი სანახავე იყო, სულ ცოფებს ჰყრიდა. ასეთი არასოდეს მინახავს. გაშმაგებულმა ხმალი იწიშვლა და მაგიდას თითქმის ვადამდე დაასო. იმ უბედურ ვაქრუჯანებს ასეთ დროს რომ მოეკრათ მისთვის თვალი, დარწმუნებული ვარ, ფულებს წამსვე დაყაჭვდნენ.

ამბობენ, ჰერცოგს ყველაზე მეტად გულს იმის გამო აკლია, რომ ვერ მოახერხა გამოეყენებინა მესიერ ბერნარდოს გენიალური სასროლი მანქანებით, ახლა ისინი ძალიან გამოადგებოდა, დარწმუნებულია, რომ მათი დახმარებით უეჭველად ავიღებდით ქალაქს და რომ გამარჯვება, შეიძლება ითქვას, ხელთ გვქონდა. მაშ რაღა გვაბრკოლებს?

სიამოვნებით ვადევნებდი თვალს, როგორ აფრქვევდა მრისხანებას ჰერცოგი. მისი სიშმაგე მახარებდა, მაგრამ შემდეგ ფიქრმა გამკენწლა, ეგება ჰერცოგი სულაც არ არის ძლიერი ადამიანი-მეთქი. აბა რატომ არის სხვებზე ასე დამოკიდებული? რატომ აბრკოლებს თუნდაც ის საზიზღარი ფული? რატომ არ გაიყვანა ქალაქთან საბრძოლველად ჩვენი საკუთარი უძლეველი ლაშქარი, რომ მიწასთან გაესწორებინა იგი? მაშ, ლაშქარი რისთვისღაა საჭირო?

მე უბრალოდ დავსვი კითხვა. მხედართმთავარი არა ვარ და, შესაძლოა, სულაც ვერ ვერკვევი სამხედრო საქმეში, მაგრამ მეც მტკივა სული და ვეწამები, როდესაც ვცდილობ გავარკვიო, რატომ გაგვწირა ასე ბედმა.

აბჯარი მოვიხსენი, გულდათუთქულმა დაგვიდე კედელზე ჭუჭუბის სენაკში, ახლაც იქ კონწიალობს უაზროდ და უშინაარსოდ, ნაჭრებისაგან შეკერილი ტიკინასავით, თოკზე რომ არის გადმოკიდებული, თავმოჭრილები ვართ, შერცხვენნილები!

უკვე ერთი თვეა, ომი შეწყდა. სასახლეში, ქალაქში, მთელ სამთავროში — ყველა გუნებაამოშხამულია, საოცარია, როგორ ვრცელდება მშვიდობიანობის დროს ხალხის უკმაყოფილება და უგუნე-

ბობა. აი, ახლაც იგივე იწყება, გარემო სულ უფრო და უფრო იშ-
ხამება, დამყაყებული და უფერული ზღება, და ადამიანს სევდით
უხსებს გულს. შინმობრუნებული მეომრები უკმაყოფილონი არი-
ან, ყველაფერს ცხვირს უბზუებენ, ისინი კი, ვინც სახლში ისდ-
ნენ, სიტყვამწარობენ და დასცინიან მათ, ალბათ, იმიტომ, რომ
ომმა სასურველი შედეგები არ გამოიღო, ყოველდღიური ცხოვ-
რება მდორედ და მოსაწყენად მიედინება დიდი ზნის წინათ გაკა-
ფული გზით. მთელი აღტყინება და გამირული სულისკვეთება, ომმა
თან რომ მოიყოლა, უკვალოდ გაქრა.

სასახლეში თითქოს ყველა ხელერთიანად ამოწყდა. სადარბაზო
კარიბჭით, ჩვენ გარდა, არც შემოდის ვინმე და არც გადის. ჩვენც
უმეტესწილად სხვა შესასვლულებით ვსარგებლობთ. სტუმრად
არაეინ მოდის, ჰერცოგს რომ მოახსენო. გამასპინძლებითაც ვერავის
გაუმასპინძლები. დარბაზები ცარიელია, დიდებულები და სეფე-
ქალებიც კი თავ-თავისთვის არიან შეყუჟულები და გარეთ ცხვირს
არ ყოფენ. სასახლის ტალანებში კაციშვილს ვერ შეხვდები, კიბეზე.
კი საკუთარი ნაბიჯების ექო თუ ჩაგესმება. ზოგჯერ შიშიც კი შემო-
გენტება, გეგონება, მოჩვენებათა სამყაროში მოვხვდიო, ხოლო თავის
საეანეში განუწყვეტლივ ბოლთას სცემს ჩემი ბატონი ან ჩაფიქ-
რებული უზის მაგიდას, პირდაღებულ იარასავით რომ ატყვია ნა-
ხანჯლარი, პირქუშად და მრისხანედ მისჩერებია ერთ წერტილს,
ეტყობა, რაღაც ჩანაფიქრს ელოლიავება, მაგრამ, რა აქვს განზრახუ-
ლი, არავინ იცის.

მოწყენილი, გაუსაძლისი დროა. დღე ძლივძლივობით მიიზლაზ-
ნება, ვერაფრით ეღირსები საღამოს დადგომას.

თავისუფალი დრო ახლა თავსაყრელად მაქვს, შემიძლია უსასრუ-
ლოდ ვწერო მოგონებები და შიგ ჩავაქსოვო ჩემი ფიქრები და გუ-
ლის ზრახვანი, მაგრამ საამისოდ არავითარი სურვილი არ გამაჩნია.
უმეტესწილად ფანჯარასთან ვზივარ და გავყურებ, რა ზანტად მიიკ-
ლაკნება ზედ სასახლის კედელთან მდინარე, ქუჭყიან ყვითელ
ხვლიქს რომ წააგავს, და კედლებიდან მწვანე მცენარეულს ლოკავს.

ეს ხომ იგივე მდინარეა, მოწმე ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვებისა
ლოდოვიკოს მიწაზე.

არა, ეს გაუგონარი ამბავია, ყველაზე აღმაშფოთებელი ამ სა-
შინელი ბოლო დროის განმავლობაში. ფეხქვეშ მიწა მემზღლე-
ვა — ვის უნდა დაუჯეროს ამის შემდეგ კაცმა?

აბა, ამას ვინ წარმოიდგენდა! თურმე ჰერცოგს განზრახული აქვს,
რომ ჩვენი და ლოდოვიკოს სამთავროები დაზავდნენ და პირობა

დადონ, რომ ამის შემდეგ ერთმანეთს შორის აღარასოდეს იომებენ. უნდა შეწყდესო ეს დაუსრულებელი ბრძოლები. ორივე მხარე საზეიმოდ უნდა შეთანხმდეს, რომ ერთხელ და სამუდამოდ უარს იტყვიან ბრძოლაზე და ერთმანეთზე იარაღს აღარ აღმართავენ. ხარი თავდაპირველად თითქოს უარზე იყო, ეტყობა, ბოლო თავდასხმის შემდეგ განრისხებული ბრძანდებოდა, მაგრამ ჰერცოგი სულ უფრო და უფრო დაბეჯითებით ცდილობდა თავისი გაეყვანა. რა საჭიროა ეს უზრო ომები, რად უნდა ვაეღეტინოთ ხალხს ერთმანეთი, აი, უკვე რამდენიმე ათეული წელია ვიბრძვით, — ხანდახან თუ შევისვენებთ ცოტას, — და საბოლოოდ მაინც ვერც ერთმა ვერ გავიმარჯვეთო. ორივე ქვეყანა ამ ომებით მხოლოდ ზარალდება, რამდენი გაჭირვებისა და უბედურების გადატანა გვიხდება, განა უმჯობესი არ იქნებოდა, მშვიდობიანად და თანხმობით გვეცხოვრა, მაშინ ჩვენი ქვეყნებიც აყვავდებიან და აღორძინდებიანო. ლოდო ვიკო თითქოს თანდათანობით ჩაუკვირდა ჰერცოგის წერილებს, მისი მოსაზრებები, ასე თუ ისე, გონივრულად მიიჩნია და უპასუხა, რომ ეთანხმება, ღებულობს მოწვევას და გამოემგზავრება, რათა მართონ მოლაპარაკება „მუღმივი ზავის“ შესახებ და ხელი მოაწერონ „საზეიმო ზელშეკრულებას“.

ეტყობა, ყველამ დაკარგა ჰკუა. „მუღმივი ზავი?“ არავითარი ომები? რა აბდაუბდაა, რა ბავშვობა! ნუთუ ფიქრობენ, რომ ხელეწიფებათ არსებული მსოფლწესრიგის შეცვლა, რა მკრეხელობა და ღალატია წარსულის მიმართ, ქვეყნის დიადი ტრადიციების მიმართ! ომი აღარ იქნებო! მაშასადამე, გამოდის, რომ სისხლი აღარასოდეს დაიღვრება და ადამიანის გპირობას და შემართებას პატივი აეყრება. აღარ გაისმება ბუკის ხმა და შუბშემართული მხედრიონი საიერიშოდ არ გაეჭანება? მოწინააღმდეგენი ერთმანეთს აღარ ეკვეთებიან, რათა გმირული სიკვდილით დაეცნენ ბრძოლის ველზე? აღარ იქნება აღარაფერი, რასაც შეეძლება დააცხროს კაცთა მოღვმის უსაზღვრო მედიდურობა? ველარ მოიქნევს თავის ფართო ხმალს ველარც ერთი ბოკაროსა, გულცივი და ულპობელი. რათა შეახსენოს განდიდების სენით შეპყრობილ ადამის ძეთ, ვინ ან. რა წარმართავს მათ ცხოვრებას? და შეიმუხსრება და დაილეწება სიცოცხლის საფუძვლები?

დაზავება! განა შეიძლება წარმოიდგინოთ ამაზე მეტი სამარცხვინო რამ? დაზავება მოსისხლე მტერთან! რა მკრეხელობაა! რა საშინელი გაუქულმართებაა ბუნების კანონებისა! და რა დამცირება და თავის მოკრაა ჩვენთვის! ჩვენი მემორების, ჩვენს მიცვალე-ბულთათვის! რა შეურაცხყოფაა ჩვენი გმირებისა, ბრძოლის ველ-

ზე რომ დადეს თავი, მაშ გამოდის, რომ ტყუილუბრალოდ გაიღმეს საშინელი მსხვერპლი? ამდენი საზიზღრობისაგან ლამის გულღვიძლი გადამიბრუნდეს.

აჰა, მაშასადამე, რაზე ფიქრობდა ჰერცოგი, მე კი ვერაფერს მივეუბნე — აი, თურმე რაში ყოფილა საქმე. ახლა გუნებაც საგრძნობლად გამოუყვითდა, აღარავის გაურბის, ყველას ებაახება, ისევე ისე მხნედ არის და საკუთარი თავითაც კმაყოფილი ჩანს. როგორც ეტყობა, ჰგონია, რომ რალაც საოცრად ბრძნული მოიფიქრა, „დიდ აზრებს“ კუდში ხელი ჩასჭიდა.

სიტყვა არ მყოფნის, ჩემი უსაზღვრო ზიზღის გამოსახატავად, ჩემს რწმენას ჰერცოგისადმი, ჩემი სათაყვანო ბატონისადმი, წყალო შეუდგა, ამას უკვე აღარაფერი ეშველება. ასე როგორ დაეცა ქვეყნის გამგებელი და ხელისუფალი!

მშვიდობა, მშვიდობა, მხოლოდ მშვიდობა!

ძალიან ძნელია ამგვარი ბატონის ჭუჭა იყო.

სასახლეში ამ სულელური ჩანაფიქრის გამო ყველაფერი ყირამალა დატრიალდა, კაცი ყოველ ფეხის ნაბიჯზე უნდა წამოდოს ტამბებს და ცოცხებს, ყველგან გროვა-გროვად ყრია ფარდები და კრეტსაბმელები და როცა მათ ფანჯრებიდან გადმობერტყავენ, ბუღად ავარდნილი მტვერი ყელში გიღიტინებს, სულს გიბუგავს. სხვენიდან ჩამოზიდეს უძველესი გობელენები, ყველგან მიფინ-მოფინეს და ფეხებით თელავენ ყოვლად უაზრო და უთავბოლო სასიყვარულო სცენებს, რომელთაც შემდეგ კედლებზე გააკრავენ, რათა მორთულ-დამშვენებულნი შეხვდნენ ამ სამარცხვინო „მშვიდობისა და დათათბირების დღესასწაულს“.

წლობით გამოკეტილ სასტუმრო ოთახებს სასწრაფოდ ალაგებენ. მსახურები ფხოჰა-გლეჯით მიეფეთებიან აქით-იქით. ყველანი გაბოროტებულნი და გაწამებულნი ჩანან და გულში წყევლიან ჰერცოგის ამ უაზრო დაზავებას. ჯერალდის სასახლესაც წმენდენ და აღამაზებენ, ალბათ, იქ მოთავსდება ლოდოვიკოს ესკორტი. ამბობენ, ბოკაროსამ და მისმა დაქირავებულმა ჯარმა იქაურობა ნამდვილ სალორედ აქციაო, საკუქნაოებს ხორაგით ავსებენ. ღარიბ მოსახლეობას, მსახურთუფროსის ბრძანებით, მოაქვს ასობით დაფეშოვებული ხარი, ხბო, ცხვარი. ფორნებით ეზიდებიან ხორბლეულის მთელ მთებს, მათ შორის ცხენების საკვებსაც. რა თქმა უნდა, გლეხებსაც გულზე ცეცხლი ედებათ, მთელ ქვეყანაში უკმაყოფილებაა. მე მგონია, რომ გაეხედათ, უეჭველად აუჯანყდებოდნენ ჰერცოგს ამ მისი სულელური, „მშვიდობის დღესასწაულის“ გამო. ტყუილ ნადირობენ ირმებზე, იჭერენ და ხოცავენ ხოხბებს და კურდღლებს,

მთებში გარეულ ტახებს უსაფრდებთან. სასახლის ეგერები სამზარეულოებში ეზიდებიან მწყერებს, კაკბებს და ყანჩებს. მსახურები ზოცავენ მტრედებს, საფრინველებში მსუქან-მსუქან ყვერულებს დაეძებენ. არჩევენ ფარშავანგებს საზეიმო ნადიმისათვის. თერძები ძვირფასი ვენეციური ქსოვილისაგან კერავენ მდიდრულ ტანსაცმელს ჰერცოგისა და მისი მეუღლისათვის — საამისოდ, ნუ გენაღვლებათ, სახსრებს გამოძებნიან, ესეც ზომ ომი არ არის! — და აგრეთვე ქალაქის ყველა პატრიცისათვის, არის ერთი წინ და უკან სირბილი, მოსინჯვა და მიზომ-მოზომება. სასახლის წინ და იქითაც, მთელ ქუჩაზე, უნდა აიგოს ტრიუმფალური თალები, რომელთა ქვეშ გაივლის ლოღოვიკო თავისი ამალით. ყველგან დგამენ ბალდახინებს. მოახლეები ბერტყავენ ხალიჩებს და ნაირ-ნაირ ნაქსოვ-ნაქარგებს ფანჯრებზე გადმოსაფენად. მუსიკოსები დილიდან საღამომდე აწრიპინებენ საკრავებს, ისე რომ თავი გახეთქვანზე გვაქვს. სასახლის პოეტები რაღაც მორიგ სისულელეს ჩმახავენ, რაც მერე სეფედარბაზში კომედიატებმა უნდა გაითამაშონ. ყველანი ამ სულელურ დღესასწაულის სამზადისში არიან, მხოლოდ ამაზე ფიქრობენ და ამაზელა ლაპარაკობენ. ჩვენ თითქოს უზარმაზარ ქვაბში ვიხარებებით და ვთუხთუხებთ, ვერ იპოვი ვერც ერთ კუნჭულს, მშვიდად რომ მოისვენო. ნაბაჯს ვერ გადადგამ, ვინმეს არ შეეჩებო ან ფეხი არ წამოჰკრა რაიმე ნივთს. ენით აუწერელი ფაციფუცი და სირბილია.

ლაშის არის, ბოლმამ გამხეთქოს!

მტერი ერთი ყოფით და ზარზეიმით შემოვიდა ჩვენს დედაქალაქში, რომელიც მისი პატივისცემის ნიშნად საარაკოდ არის მორთულ-შოკაზმული. წინ მოუძლოდათ ცხენზე ამხედრებული ოცდაათი მეზუე და ფლეიტისტი. ლოდოვიკო მონტანცამ თავის წიწლიკა ვაჟიშვილითა ერთად ჩაიქროლა ქუჩებში. ირგვლივ მოჰყვებოდნენ მწყანე და შეეტანსაცმლიანი ცხენოსანი მცველები. მათ უკან მოჩანდნენ წარჩინებული დიდებულები და სენიორები, ხოლო არიერგარდში ორასამდე მსროლელი მოიძვროდა. ლოდოვიკო შავ ტაიქს მოაქროლებდა, რომელსაც უნაგირის ქვეშ ხავერდის ვერცხლით ნაქარგი მუქი-მწყანე თოქალთო ეფინა. თავად ხარს ვერცხლის აბჯარი ესხა. ზალხი აღფრთოვანებით ეგებებოდა მტრის ესკორტს. ზალხი ყოველთვის აღტაცებაში მოდის, როცა კი ვინმე ამას უბრძანებს. მისთვის სულ ერთია, საამისოდ რა საბაბსაც გამოუწახავენ. აწყუთას, მაგალითად, ბედნიერად თვლიან თავს იმის გამო, რომ ქვეყნად მარადიული მშვიდობა დამკვიდრდება. სამმა ჰეროლდმა, რომლებიც ჰერცოგმა სტუმრებს მიაგება, ქალაქს ლოდოვიკოს მოზრძანება და

მისი ვიზიტის მიზეზი აუწყა, ხოლო ქალაქის ყველა საყდარში და არისხეს ზარები. ეს იყო ჩვენი შერცხვენისა და თავლავის დასხმის შესანიშნავი უვერტიურა. სალუტიც კი მისცეს მიწაყრილზე დადგმული ბომბარდებიდან, რომელთაც ლულები ცისკენ ჰქონდათ ჰიქცეული — სჯობდა კი, ჩემი აზრით, ლულები პროცესიისკენ მიემარჯვებინათ და ბომბარდები კარგადაც დაეტენათ. მონტანცას ვაყის ცხენი სალუტმა დააფრთხო, თუ სხვა რამ მოელანდა, ისე ისკუპა განზე, რომ მხედარი ლამის იყო, ძირს გადმოაგდო, თუმცა ყმაწვილმა უძალვე დაიმორჩილა ტაიჭი და ყურებაჲდ შექარხალებული, თავისიანებს მიჰყვა. პატარა ბიჭსა ჰგავდა, ალბათ, ჩვიდმეტი წლისა თუ იქნება, მეტს ვერაფრით მისცემთ, თუმცა მარტხი არ მომხდარა, აქეთ-იქიდან მაინც მოჰყვენენ მარჩიელობას, ცხენს წაფორხილება რამე ავის მომასწავებელი ნიშანი ზომ არ უნდა იყოსო. ისინი „საზეიმო ვითარებების“ დროსაც კი მუდამ ჩხრეკენ და დაეძებენ რალაც „ნიშნებს“ და „ავის მომასწავებელ ნიშნებს“. ამდენ ხანს ზომ საბაბიც არ ჰქონდათ საიმისოდ, რომ გონებაჲვაჰკრიახობა გამოემკლავებინათ.

სასახლის კარიბჭესთან ლოდოვიკო დაქვეითდა. ჰერცოგი მას სიტყვამჰქუერად მიესალმა. ჩვენი სტუმარი ერთი ჯმუხი და ჩასხმული მამაკაცია, წითლად დაძარღვეული მსხვილი ლოყები და მოკლე, ხარისებური კისერი აქვს, წვერი მზოლოდ ნიკაპზე ეზრდება, ისიც მეჩხერა და სულაც არ უხდება მის ისედაც ულაზათო სახეს. წერილი, რუხი თვლები თითქოს სიკეთით საესე აქვს, მაგრამ მათი ნდობა არ შეიძლება, აკი ყველამ იცის, რა ფლიდი და მელადჲა ვინჲა მათი პატრონი. ლოდოვიკო ფიცხი აღამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს და რაკი სისხლჭარბიც გახლავთ, ჩემი აზრით, წუთიწუთს უნდა ჰოელოდეს წვეთის დაცემას.

დღე ცერემონიებით, მიღებებით, ტრაპეზობებით და ყბადღებული შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებით დამთავრდა. საღამოს დადგეს საშინლად მოსაწყენი წარმოდგენა ლათინურ ენაზე. მე იქიდან ერთი სიტყვაც ვერ გავიგე, და, ალბათ, ვერც სხვებმა. სამაგიეროდ მერე ყველასათვის გასაგებ ენაზე წარმოადგინეს რალაც უხამსი კომედია, რომელიც ყველამ გაცილებით უკეთ გაიგო. სტუმარ-მასპინძლები ნაამები ჩანდნენ უხეში ხუმრობით და ყოველგვარი სისაძაველით, რასაც იქ უჩვენებდნენ.

მე ყველაფერი ეს გულსამრევი მეჩვენა.

სადღეისოდ, როგორც იქნა, ყველაფერი დამთავრდა. მე ჩემს სენაჲში ვზივარ და მარტობით ეტყები, რა უნდა იყოს აჲაზე

უფრო სასიამოვნო. კარგია, რომ ჭუჭუბების სამყოფლოში ასე დაბალი ჭერია, თორემ სტუმრებს აქაც შემომისახლებდნენ. ეს კი მართლაც საშინელება იქნებოდა.

ლოდოვიკოს ნაშიერი, ალბათ, ერთი მათგანია, ვიზედაც ადამიანები ამბობენ, „კალმით ნახატიოა“, მაშასადამე, მამას არაფრით ჰგავს. ლურჯ ტანსაცმელში გამოწყობილი, მამის გვერდიგვერდ რომ მოაქროლებდა ტაიქს, რომელსაც ზურგზე ცისფერი თოქალთო ეფინა, ირგვლივ ყველა ხოტბას ასხამდა. შესაძლოა, მართლაც, ლამაზია, მაგრამ, ჩემი აზრით, მსნეობა და ვაეკაცობა აკლია, — ეს მისი ირმისებური თვალები, გრძელი შავი თმა და ქალწულებით სათუთი კანი სინაზეზე მიანიშნებს. სულ უბრალო რამეზეც კი გოგოსავით წითლდება. ეგება ცუდი გემოვნების პატრონი ვარ, მაგრამ ვერ ვიტან ამგვარი შესახედაობის ადამიანს. ჩემი აზრით, მამაკაცს მამაკაცობა უნდა ეტყობოდეს. ასე თქვეს, დედას ჰგავსო. დედამისი ბეატრიჩე, ფაქიზი, და კალმით ნახატი ყოფილა, და, როგორც ამბობენ, განსაწმენდელიდან უკვე საპოთხეში გადაბინავებულა, თუმცა სულ რაღაც ათი წელია, რაც მიიცვალა.

ნაშუადღევს თვალი მოვკარი, რომ ლოდოვიკოს ვაჟი ანჯელიკასთან ერთად სეარდემი დასეირნობდა, მოგვიანებით კი ორივე მდინარის პირას დაეინახე, გედებს პურის ნაფხვენებს უყრიდნენ, თანაც, ორივეჭერ განუწყვეტლივ ლაპარაკობდნენ. არ ვიცი, რაზე შეუძლია ჰერცოგის ვაჟს ელაპარაკოს ამ ტიკინას, მთლად შტერსა და ლენჩს. ეს ბიჭი, ჰგონი, ვერც კი ამჩნევს, რა უშნოა ანჯელიკა, თორემ თავს გაარიდებდა, ეგება არც თვითონ აქვს ანჯელიკაზე მეტი ჰქუა და მსავეით გონებაშეზღუდულია.

ღონ რიკარდო, რა თქმა უნდა, აქვე ტრიალებს და ყველაფერში მონაწილეობს, ეძებს მარჯვე შემთხვევას, რომ წინ გაძვრეს და ყველგან ცხვირი წაჰყოს. იარები უკვე მოუშუშდა, თუმცა რას ვამბობ? რა იარები? გარეგნულად არაფერი ეტყობა, ეგ არის მხოლოდ, ცალ ხელს შიძიმდ ამოძრავებს. აჰა, ესეც თქვენი გმირობა!

უკვე მესამე დღეა, მტერი ჩვენს ქალაქშია, მის პატივსაცემად ზეიმს ზეიმზე აწყობენ, წუთითაც კი არ არის მოსვენება. გუშინ საღამოს ძალიან დაღლილი ვიყავი საიმისოდ, რომ რამე ჩამეწერა და აი, ახლა, უკვე დილით, ვცდილობ შევავსო დანაკლისი, მოკლედ მოგითხრობთ, როგორ ჩაიარა გუშინდელმა დღემ და რა შთაბეჭდილებები დაიტოვა.

ორივე ჰერცოგი ჯერ კიდევ დილაბნელზე გავიდა სახლიდან და ქალაქის დასავლეთით, მდელოებში, რამდენიმე საათი მწყერზე ნადირობაში გაატარა. ლოდოვიკო დიდი მოყვარულია შავარდნებით

ნადირობისა, ჩვენს ჰერცოგს კი შესანიშნავი შავარდნები ჰყავს. მათ შორის რამდენიმე, საფრანგეთის მეფის ნაბოძებია და ძალიან იშვიათი ჯიშისაა, ამიტომ, რა თქმა უნდა, ერთი სული ჰქონდა სტუმართან ამ შავარდნებით თავი მოეწონებინა. ნადირობიდან მობრუნებულნი, სუფრებს მიუსხდნენ და უსასრულოდ ჭამეს და სვეს, სვეს და ჭამეს. მერე მუსიკა აუღერდა და, მინდოდა თუ არა, უნდა მესმინა, თუმცა, ჩემი აზრით, ამქვეყნად მუსიკაზე საძაგელი არაფერია, ამის შემდეგ რაღაც უთავბოლო პიესა უჩვენეს ცეკვისა და სიმღერის თანსლებით. ბოლოს კი ჟონგლიორები გამოვიდნენ და ყველანი ალტაცებაში მოიყვანეს. ამდენი სისულელის შემდეგ ეს კი მართლა ღირდა საცქერლად. მერე სტუმრები ხელახლა მიუსხდნენ სუფრას და გვიან ღამემდე ღრეობდნენ. აქვე გაითამაშეს ყოვლად უხამსი პანტომიმა, მამაკაცებს და ქალებს ისე შემოტყეცოდათ ტანზე სამოსი, რომ თითქმის შიშვლები გეგონებოდათ. ამ დროისთვის უმრავლესობა უკვე გამომტყვევრალი იყო, ასე და ამრიგად, საიმედო პროგრამა უკვე ამოიწურა და მეც, ბოლოს და ბოლოს, შევძელი დასაძინებლად წასვლა და ღამით მკვდარივით მეძინა.

მთელი ამ ხნის გახმაველობაში ჰერცოგი მეტისმეტად გახალისებული, თავაზიანი და მომხიბვლელი იყო. ასეთი თითქმის არასოდეს მინახავს. აღარ იცის, რით ასიამოვნოს სტუმრებს და ისე ვლაციება მათ, რომ ზიზღის გარეშე ვეღარც ვუყურებ, ასე გეგონება, ისა და ლოდოვიკო ოდიტგანვე განუყრელი მეგობრები არიანო. ყოველ შემთხვევაში, ჩემი ბატონი ცდილობს ხარს თავი მეგობრად მოაჩვენოს. თავდაპირველად ლოდოვიკო თავშეკავებით იქცეოდა. თითქმის დაძაბული იყო, მაგრამ მერე ნელ-ნელა მოიბრუნა გული. ალბათ, ისიც აიძვებდა, რომ თან მცველები და რამდენიმე ასეული მეომარი ახლდა, რა საჭირო იყო ნეტა ეს ამდენი მეომარი, თუკი მუღმივი ზავის დასადებად მოდიოდა? თუმცა, რა თქმა უნდა, მდგომარეობამ აიძულა ასე მოქცეულიყო. ცხადია, ჰერცოგი სხვის სამთავროში შესაფერისი აშალის გარეშე ვერ გაემგზავრება. თავადაც მშვენივრად ვიცი, რომ ასეთი წესი და რიგია, მაგრამ, რა ვქნა, არ შემიძლია გულდამშვიდებით ვუცქირო ჩვენს მტრებს. ერთი სული მაქვს, ვეკვეთო და გული მოვიოხზო, მაგრამ თითის დაკარებაც კი არ შეიძლება, საშინელი მდგომარეობა!

ჰერცოგის საქციელი ვერაფრით ამიხსნია, როგორ შეუძლია ასე უღირსად ეჭიროს თავი ჩვენს მოსისხლე მტერთან?

ვერაფერი გამიგია, თუმცა, რა დიდი ახალი ამბავი ეს არის. ჰერცოგის არასოდეს არაფერი მესმოდა, მე მგონია, ეს უბრალოდ

რალაც ბედისწერაა, მაგრამ კმარა, მეტს აღარაფერს ვიტყვი ამაზე. მინდა მხოლოდ გავიმეორო ჩემ მიერ ერთხელ უკვე ნათქვამი: განუზომლად მეზიზღება ჩემი ბატონი.

ჯოვანი და ანჯელიკა გუშინაც ერთად დავინახე, თანაც არა ერთხელ, როგორც ეტყობათ, უკვე მოიწყინეს. საღამო ხანს თვალი მოვკარი, მდინარესთან ისხდნენ, მაგრამ ახლა გედებს საჭმელს აღარ უყრიდნენ, არც საუბრობდნენ, უბრალოდ, გვერდიგვერდ ისხდნენ და უჩუმრად გასცქეროდნენ წყლის დინებას, ალბათ, აღარაფერი აქვთ ერთმანეთისთვის სათქმელი.

კიდეც რა ღირს გასახსენებლად? მე მგონი, მეტი არაფერი, დღეს ზღეს მოაწერენ ხელშეკრულებას „მუღმივი ზავის“ დადებაზე, შემდეგ კი მოეწყობა დიდი დარბაზობა, რომელიც, სხვა გართობა-შექცევასთან ერთად, ალბათ, დილამდე გასტანს. საშინელ გუნებაზე ვარ, ყველაფერი მომძაგდა ამქვეყნად.

ჭერცოგმა უდიდესი ნდობა გამომიცხადა, გოგნებისაგან თავრეტი მესხმის, ვერ ვიტყვი, სახელდობრ, რა დამავალა, კრინტსაც ვერ დაუქრავ ამაზე. ეს ჩვენი საიდუმლოა — ჩემი და ჩემი ბატონისა. აქამდე ვერ ვხვდებოდი, რა ახლობლები ვყოფილვართ ერთმანეთისთვის.

უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, ჭერჭერობით, გარდა ამისა, ვერაფერს ვიტყვი.

დღეს, ექვს საათზე, დაიწყება დიდი დარბაზობა, დიდებული ნადიმი: საამისოდ იმდენი რამ არის ჩაფიქრებული და გათვალისწინებული, რომ, დარწმუნებული ვარ, ყველანი აღტაცებულნი დარჩებიან.

მოუთმენლად ველი, როდის დაიწყება ზეიმი.

ჭერცოგი ჭეშმარიტად დიდი გამგებელია.

ახლა მოგიტხრობთ, როგორ ჩაიარა ბოლო დღემ და განსაკუთრებით ნადიმმა, რამაც ზეიმი დაავიროგვინა. ზეიმი ეძღვნებოდა ჩვენსა და ლოდოვიკოს სამთავროებს შორის საზავო ხელშეკრულების დადებას და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ამბებს.

ამრიგად, თავდაპირველად ყველანი შეიკრიბნენ სეფედარბაზში, სადაც წაიკითხეს ხელშეკრულება ჩვენს სამთავროებს შორის მუღმივი ზავის ჩამოგდების შესახებ. ხელშეკრულება მაღალფარდოვნად იყო დაწერილი და ნატიფი ფრაზებით შემკობილი. სხვათა შორის, იგი ითვალისწინებდა სასაზღვრო ციხესიმაგრეების გაუქმებას. ჩვენს ქალაქებს შორის თავისუფალი ვაჭრობის გაშლა-განმტკიცებას და იმასაც თუ, სახელდობრ, რა ღონისძიებების გატარება იქნებოდა საამისოდ საჭირო. ამას მოჰყვა ხელმოწერის ცერემონია. ორივე

ჰერცოგი დიდებულების თანხლებით მიუახლოვდა მაგიდას, რათა ზედ გადაშლილ ორ დიდ ქალაღის ფურცელზე თავისი სახელე-ბი აღნიშნათ. ყველაფერს საზეიმო ელფერი ეღო, მყისვე დასცხენს ფანფარებმა: სამოცი მეტუკე კედლების გასწვრივ ერთიმეორისაგან სამ-სამი ნაბიჯის დაშორებით იყო ჩამწკრივებული. მათ კაც-ჩაგდებით ეცვათ ჩვენი ჰერცოგისა და ლოდოვიკოს ფერების მი-ხედვით შერჩეული ტანსაცმელი. შემდეგ საგანგებოდ ამ შემთხვე-ვისთვის დაწერილი საზეიმო მუსიკის თანხლებით მთელი პროცესია გაემართა სატრაპეზოსკენ. მათ წინ ჰოფმაისტერი მიუძღოდათ. უშ-ველებელი დარბაზი ორმოცდაათი ვერცხლის კანდეღაბრით და ორასი ჩირაღდნით იყო გაჩახჩახებული. ჩირაღდნები ეჭირათ მსახურებს, რომელთაც ოქრომკედით მოსირმული ლივრეები ეც-ვათ, მაგრამ მათ დასახმარებლად ქუჩიდან ბიჭბუჭობაც შემოეყა-რათ. ბავშვები ჩამოკონკილები იყვნენ, ფეხშიშველნი, და ისეთი მყრალი სუნი ასდიოდათ, სიახლოვეს ვერ მიეკარებოდნენ. დარბაზის მთელ სიგრძეზე ხუთი სუფრა იყო გაშლილი, ზედ ეწყო ვერცხლი-სა და მაიოლიკის ჭურჭლეულობა და ათასნაირი ხორაგეულისა და ბილის მთელი გორები იყო დახვავებული, ამას ემატებოდა ტყბილი ცომისაგან გამოძეხვარი უზარმაზარი ფიგურები, რომლებიც, რო-გორც მითხრეს, გარკვეულ სცენებს ასახავდნენ ბეძხული მითოლო-გიიდან — ეს რაღაც წარმართული რელიგიაა, რომელსაც მე არ ვიცნობ. ღვთის მოწყალებისაგან სუფრები იზნიჭებოდა.

სეფესუფრის შუაგული სულ ოქროს ნაყეთობებით იყო მორ-თული: კანდეღაბრებით, თეფშებით, ღვინის დოჭებით, კათხებით, ამ სუფრაზე ისხდნენ ორივე ჰერცოგი, მათი გვარეულობა და დაახ-ლოებული პირები. ჰერცოგი ხარის პირდაპირ იჯდა, მისგან ზელ-მარცხნივ. თეოდორა მოჩანდა; ჰიაფერის კაბა ეცვა, რომელსაც თეთრი ქამხის ძვირფასი თვლებით მორთული ჩაჭრილი სახელოები ჰქონდა. კაბა მკერდზე ოქრომკედით იყო მოქარგული. თავზე აღ-მასებით მოოჭვილი ბადე ეხურა, რომელიც ცოტათი მაინც აკობდა მის საზიზღარ წაბლისფერ თმას. ღა რადგან იგი, ალბათ, არა ერთი და ორი საათი იდგა სარკის წინ და ფერუმარლით ითხუზნებოდა, სხვა დროსთან შედარებით, ახლა უფრო ნათლად ჩანდა, რომ ეს ფუნთულა, სავსე სახე ოდესღაც მართლაც ძალზე ეშხიანი უნდა ყოფილიყო. ჰერცოგის მეუღლე თავისი მოუხელთებელი ღიმილით იღიმებოდა. ჰერცოგს ტანზე კარგად მომდგარი, სულ უბრალო შავი ხავერდის კოსტიუმი ეცვა, ჩაჭრილი სახელოებიდან ფაფუკი ყვი-თელი აბრეშუმის ქსოვილი ჰიატობდა. ჰაბუკივით სხარტი ტანი ჰქონდა და ხმლის პირივით მოქნილი იყო, რამდენადმე გულჩათხრო-

ბილი ჩანდა, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, კარგ გუნებაზე უნდა ყოფილიყო. მალემაღ ისევამდა ხელს მოკლედ შეჭრილ შავ თმაზე, ეს მოძრაობა ჩემთვის ხომ ასე ნაცნობი იყო. და უეცრად ვიგრძენი, რა უსაზღვროდ ერთგული ვიყავი ჩემი ბატონისა. ხარს ესხა სიასამურის ბეწვით გაწყობილი მოკლე და ფართო მოსასხამი, მის ქვეშ კი ეცვა მუქი წითელი კაშხოლი, მორთული მკერდზე დაშვებული მასიური ოქროს ძეწკვებით, ამ ტანსაცმელში უფრო მსხვილი და ჩასკენილი ჩანდა, ხოლო სიასამურის ბეწვში ჩაფლული ხარისებრი წითელი კისერი უფრო მოკლე და მსხვილი გეგონებოდათ. სახე გადაქარბებულად გულთა და სანდომიანი ჰქონდა, მაგრამ სახე ბევრს არათერს ნიშნავს, ადამიანი უფრო სხეულით ამოიცნობა.

დონ რიკარდოც, რა თქმა უნდა, აქვე იჯდა, ყველაზე საპატიო ადგილზე წამოსკუპებულებიყო, თუმცა, წესით, სადმე უფრო მოშორებით, სულ სხვა სუფრასთან უნდა მჯდარიყო. მაგრამ იგი ყველას წინ ეჩხირება, ჰერცოგს უიმისობა არ შეუძლია, თეოდორას კი, მით უფრო. დონ რიკარდო მაშინვე მოჰყვა ყბედობას და ყველას თავი შობაბეზრა, თან, კმაყოფილი, თითებით ივარცხნიდა შავ, ზუჰუჰა წვერს. მე ცივად შევცქეროდი, ამ სიცივის მიზეზს ვერაფერს მიხვდებოდა, თუმცა ამაზე ჭერჭერობით უნდა გავჩუმდე. ჯოვანი და ანჯელიკაც ამავე სუფრასთან ისხდნენ, მაგრამ თითქოს ყველასაგან განცალკევებულები ჩანდნენ. რაკი ისინი თითქმის ტოლები არიან, ბუნებრივია, ერთად დასხეს, ესეც არ იყოს, ორივენი ჰერცოგის ჩამომავლები არიან, ყოველ შემთხვევაში, ჯოვანი მაინც, ანჯელიკა იქნება ნასიძეებიც იყო, ეს არავინ იცის, სტუმრებს შორის ისინი ყველაზე ანაღაზრდები იყვნენ, და უფრო ბავშვებს წააგავდნენ, ვიდრე მოზარდებს, ამიტომაც ვიმეორებ, სუფრასთან ორივე განმარტობით მჯდარი გეგონებოდა. იფიქრებდით, ნადიმზე რალაც გაუგებრობით მოხვდნენო. საბრალო ანჯელიკასთვის ეს პირველი გამოსვლა იყო მაღალ საზოგადოებაში. საამისოდ შეუკერეს თეთრი აბრეშუმის კაბა, ოქროს ფარჩის გრძელი, ვიწრო სახელოებით, თავზე ბრილიანტითა და ოქროთი ნაქარგი ქუდი ეხურა, რომელიც ოდნავ უფარავდა ჩალისფერ, თითქმის უფერულ თმას. თავისთავად ცხადია, საშინელი შესახედი იყო და ყველას, ვისაც კი თვალი შეჩვეული ჰქონდა მის უბრალო, სადად შეკერილ, თითქმის ღარიბულ კაბაზე, ასე შორთული მართლაც რომ სასაცილოდ უნდა სჩვენებოდა. პირი, როგორც ყოველთვის, ახლაც ოდნავ ღია ჰქონდა და ბავშვური ლოყები სიმორცხვით წითლად უღუოდა, დიდრონი ცისფერი თვალები ალტაცებით უბრწყინავდა, თითქოს რალაც საოცარი დაინახო, თუმცა, მგონი, ჯოვანიც შეცბუნებული იყო,

ამდენ წარჩინებულთა შორის ყოფნა რომ უწევდა, მაგრამ, როგორც ეტყობა, უფრო შეჩვეულია საზოგადოებაში ტრიალს და შეცბუნება უფრო მის მოკრძალებულ ხასიათს უნდა მიეწეროს. ჯოვანის ეცვა ცისფერი ხავერდის სამოსი, რძეელსაც ოქრომკედით მოქარგული საყულო ამშვენებდა, გულზე წვრილი ძეწკვით ეკიდა ოვალური ფორმის ოქროს მედალიონი, სადაც, როგორც ამბობენ, დედის სურათს ინახავს. დედა კი, თუ საერთო აზრს ვერწმუნებით, ახლა სამოთხეში ნეტარებს. ეს მაინც საიდან იციან, ეგება სწორედ ახლა განსაწმენდელში ეწამება, აჰას ვინ იტყვის? სტუმრებს, რა ტქმა უნდა, ჯოვანი კალმით ნახატი ეჩვენათ, საკუთარი ყურით მოვისმინე მათი ჩუბჩულით ნათქვამი, მაგრამ როცა „ლამაზი წყვილი“ ახსენეს, მივხვდი, რომ ზოგი მათგანი სილამაზეზე საკმაოდ უცნაური წარმოდგენისა იყო. ერთი სიტყვით, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ეს ბიჭი ჩემი მოსაწონი არ არის. მამაკაცს მამაკაცური იერი უნდა ეტყობოდეს, არც კი მჭერა, თუ ის პერცოგის შვილია, მონტანცას საგვარეულოს შთამომავალი, როგორ უნდა ავიდეს ტახტზე, როგორ უნდა მართოს ქვეყანა? მაგრამ, რამდენადაც ვიცი, საქმე აქამდე არ მივა — სულ ერთია, ტახტს აჰას არაჲინ ჩაუგდებს ხელში.

ეს ბავშვები საერთო საუბარში არ ერევიან და, როგორც ეტყობათ, უფროსების ყურადღება უხერხულობაში აგდებთ, კაცმა რომ თქვას, არც ერთმანეთს ელაპარაკებიან და, როცა მათი თვალები შეხვდება, ჩუმჩუმად იღიმებიან. მიკვირდა, ანჯგელკა როგორ იღიმება-მეთქი, არ მახსოვს, ერთხელ მაინც გაელიმოს მას შემდეგ. რაც ქალიშვილობაში ფეხი შედგა. ჰოდა, ახლაც როგორღაც გაუბედავად იღიმებოდა, თითქოს სინჯავს, გაელიმო თუ არაო. იქნებ ხვდება, რომ ღიმილი არ უხდება, თუმცა, ჩემი აზრით, ღიმილი არც არაჲის ამშვენებს.

რაც უფრო მეტად ვაკვირდებოდი მათ, მით უფრო გაცოცხლებული ვრჩებოდი. ნეტა რა ემართებოდათ? საკმელს ოდნავ კიკინდნენ ან ისე ისხდნენ და თავის თეფშებს დასჩერებოდნენ. მერე მაგიდის ქვეშ მათ ერთმანეთზე გადაჭოდობილ ხელებსაც მოკვარი თვალი და ისიც შევამჩნიე, რომ, თუ ამ დროს ვინმე თავის მეზობელს თვალს ჩაუკრავდა და მათკენ გამოახედებდა, საშინლად იბნეოდნენ და სახელეწილები, გაჩქარებით იწყებდნენ საუბარს. ბოლოს და ბოლოს, მივხვდი, რომ აქ სულ სხვა რაღაც ხდებოდა — ამ გოგოს და ბიჭს ერთმანეთი უყვარდათ. საშინელი აღმოჩენაა. მეც არ შესმის, რამ აღმაშფოთა ასე, რატომ შემძავდა ირგვლივ ყველაფერი.

სიყვარული ადამიანებს შორის ხომ გულისამრევია, მაგრამ

სიყვარული ამ ბავშვებს შორის, ასე უმანკოები რომ ჩანდნენ, ორმა-
გად საზიზღარია. ისე ვიყავი გააფთრებული და აღშფოთებული
იმის გამო, ამგვარი სისაძაგლის მოწმე რომ შევიქენი, სახეზე აღ-
მურიც კი მომედო. თუმცა ჭერჯერობით კმარა მათზე ლაპარაკი,
ისედაც საკმაოდ მოვცდი ამ უსუსურების გამო, რომლებიც საზეი-
მო სუფრაზე არცთუ ისე დიდი ვინმეები ბრძანდებოდნენ. ამრიგად,
განვავარძოძ ნადიმის აღწერას. მას შემდეგ, რაც სტუმრები შეეკე-
ნენ უხვად მორთმეულ საუზმეულობას, საკართანოზე გავიჩინა
ჰოფმარშალი, იგი ამხედრებული იყო თეთრ ფაშატზე,
რომელსაც წითელი ფერის უნაგირი ედგა. ჰოფმარშალმა
ომახიანი ხმით გამოაცხადა, რომ სტუმრებს მოართმევინ
თორმეტნაირ ცხელ კერძს და იწყო ამ კერძების ჩამოთვლა, კერ-
ძები თვალისდამახამებაში შემოიტანეს ურიცხვმა მსახურებმა და
სუფრაზე. ორმა მებუკემ კი, რომელთაც ცხენის ლაგამი აქეთ-
იქიდან ეკირათ, ხმაუწყობილად ჩაჰბერა საკრავს. ოხშივარავარდ-
ნილმა კერძებმა ხორცის, სანელებლისა და ქონის სუნი დააყენა,
მერე კი, საერთოდ, ვერ ვიტან კერძის სუნს და, ლამის იყო, წამომა-
საქმა. უფროსი სუფრაჯი ჩვეულებრივად სულელურად გაბღენძილ
სახით მიუახლოვდა ჰერცოგების სუფრას, კისერი მამლაყინწასავით
წაგრძელა და იწყო ხორცის, იხვებისა და ყვერულების დაჭრა და
ასო-ასოდ აქნა. ჭრის დროს მარცხენა ხელსაც ახმარდა და თითე-
ბიდან წვეთწვეთად ჩამოსდიოდა ქონი, დანას კი ისე მარჯვედ ხმა-
რობდა, გეგონებოდათ, სახელგანთქმული მოფარიკავე თავის ილე-
თებს ასრულებსო. სტუმრები საკმელს დააცხრნენ და მე ზიზღმა
ამიტანა, ამ გრძნობამ თანდათანობით შემბოჭა, სხვა ყველაფერი
დამავიწყა. ყოველთვის ასე მემართება ხოლმე, როცა ვხედავ, რო-
გორ ილუქებიან ადამიანები, განსაკუთრებით ასეთი მუცელამოუ-
ყორავი სეაეები, შესაზარად რომ აფჩენდნენ პირს, რომ, რაც შეიძ-
ლება დიდრონი ნაჭრები ჩაეტენათ, ყბებს განუწყვეტლივ აკაპუ-
ნებდნენ და ენის წკლაპუნით საკმელი ხაზაში გადაჰქონდათ, ამ
მხრივ სუფრაზე ყველაზე ზიზღისმომგვრელი იყო ხარი, იგი თქლა-
ფათქლუფით ჭამდა, საოცარი სიხარბით უძახებდა კუჭში ხორცის
უზარმაზარ ნაჭრებს. ენაც საზიზღარი ჰქონდა, — ფართო და მკვეთ-
რი წითელი, ნამდვილი ხარის ენა გეგონებოდათ. ჰერცოგი კი, პი-
რიქით, თავშეკავებულად ჭამდა, სხვა დროსთან შედარებით, უფრო
ნაკლებად ეტანებოდა საკმელს, სასმელს კი საერთოდ არც გაჰკარე-
ბია. ერთხელ დავინახე, როგორ აიღო სასმისი, ჩაფიქრდა და და-
აცქერდა მომწვანო შუშას, თითქოს აპირებდა მთელი ქვეყნიერე-
ბისათვის მოველო თვალი, სხვები უსაშველოდ ბევრს სვამდნენ;

მსახურები დაუღალავად მიმოქროდნენ აქეთ-იქით, რათა ღვინით შეეცნოთ სასმისები და კათხები.

ამასობაში მაიოლიკის უზარმაზარი ლანგრებით შემოიტანეს მოოქროვილი თართი, კობრი და ქარიყლაპიები, ეს კერძები ისე ოსტატურად იყო შემზადებული, რომ საერთო აღტაცება გამოიწვია და მოწონების ურიაშული დიდხანს არ დამცბრალა. ამას მოჰყვა ვეება ლანგრებზე განლაგებული ლაზადანსმული კერძები, იმგვარად შემკობილი ცვილის უცნაური ჩუქურთმებით, რომ ვერც კი გაარჩევდი, სახელდობრ, რა კერძი იყო; ამის შემდეგ სტუმრებს მოართვეს ირმის და ტახის თავის მოყვანილობის პაშტეტები, შებრაწული ძუძუთა გოჭები, ასევე მოოქროვილი; ტკბილ სურნელოვან სანელებლებში ჩაწყობილი ქათვები და სხვა ნუგბარი კერძები შემზადებული მწყრის, ხობის და ყანჩის ზორცისაგან და ბოლოს ეგერების ტანსაცმელში გადაცმულმა პაყებმა შემოიტანეს ერთიანად მოოქროვილი ტახი, რომლის დაფჩენილ ხახაში რალაც საწვავი ნივთიერება ჩაედოთ. ხაზიდან ცეცხლის ენები იფრქვეოდა და საძაგელ სუნს აყენებდა. საიდანაც გამოცვიდნენ ნიმფებად გადაცმული ქალწულები, რომლებიც უფრო შიშვლებს ჰგვანდნენ და იატაკზე სურნელოვანი ფხვნილები მიმოაბინიეს, მაგრამ ამით საქმე გაუარესდა — სუნთქვა აღარ შეიძლებოდა, სული შემეხუთა, აღარ ვიცოდდი, თავისთვის როგორ მეშველა.

ხარი ხარბად დააცხრა ტახის შემწვარ ზორცს, თითქოს მანამდე პირში არაფერი ჩაეკარებინოს, სხვებმაც დაითრიეს მოზრდილი ნაჭრები. ეს მუქი წითელი, სანახევროდ უმი ზორცი სანუჯვარ საქმელად მიაჩნიათ. ყველამ ხელახლა ამოძრავა ყბები, ტუჩები და წვერი ზიპით მოეთხიპნათ, ზიზლით შეეყურებდი ამ სურათს. ასე შეგონა, რალაც სააუგო საქმე ხდებოდა ჩემს თვალწინ. საერთოდ, არ მიყვარს სხვებთან ერთად პურობა, ჩვეულებრივ მცირედითაც კმაყოფილი ვარ ზოლმე, მით უფრო აუტანელი იყო ახლა ჩემთვის ამ შეჭარხალებული, საქმელ-სასმელით გატიყნული ზონზროხა ხალხის ცქერა, თითქოს მარტო კუჭებად რომ ქცეულიყვნენ. ისიც მძიმე საცქერი იყო, როგორ ფატრავდა ტახს უფროსი სუფრაჯი, ზედიზედ აჭრიდა სისხლიან ნაჭრებს, ვიდრე ჩონჩხზე არ დაიყვანა და ამ ჩონჩხს ახლა ძონძებივით შემორჩენოდა ზორცის პატარ-პატარა ნაკუწები.

ღონ რიკარდო მარცხენა ხელით მიირთმევდა საქმელს მსახურის დანმარებით, რომელიც საგანგებოდ მიუჩინეს ზორცის დასაჭრელად, ერთიმეორეზე ნთქავდა ზორცის მოზრდილ ნაჭრებს, ჯანსალი ხელით წამისწამ მიჰქონდა ტუჩებთან სასმისი და საქმელს

უზომოდ აყოლებდა ღვინოს, სახეზე სულელური ღიმილი მოჰფენოდა, ზავერდის მუქი წითელი კამზოლი ეცვა, ეს ფერი, ალბათ, ტრფობის სიმბოლოდ აირჩია, იგი ხომ ყოველთვის თავისი გულის ქალბატონის პატივსაცემად ირჩევს ტანსაცმლის ფერს. თვალები საოცრად უელვარებდა, ხანდახან უსაზმნოდ აიქნედა ხელს და უზარო ლექსების კითხვას იწყებდა, ყველასთვის კითხულობდა, ვისაც კი მისი მოსმენა სურდა, — გარდა ჰერცოგის მეუღლისა. მაღალფარდოვანი სიტყვები ქალისადმი ტრფობასა და ცხოვრების სიყვარულზე ნაკადად გადმოსჩქეფდა მისი პირიდან, ასევე ნაკადვით ისხამდა ყელში ღვინოს. ჰერცოგის მეუღლეს თვალები აუბზინდებოდა ხოლმე, როდესაც დონ რიკარდო ზოგჯერ მისკენ გაიჭიდავდა. ქალი თავისი გამოუცნობი ღიმილით ასაჩუქრებდა სატრფოს, თუმცა დანარჩენი დრო ისე იჯდა, თითქოს აქ არც ყოფილიყო, როგორც, საერთოდ დღესასწაულებზე იცოდა ხოლმე. გარდა ამისა, დონ რიკარდო და ჰერცოგის მეუღლე, როცა ეგონათ, არავინ გვიყურებსო, მალულად დიდხანს შემზერდნენ ერთმანეთს, და მაშინ თეოდორას თვალები თითქოს უწყლიანდებოდა და თითქმის ავადმყოფურად უბრწყინავდა. მე ყველაფერ ამას ვხედავდი — წუთითაც არ ვაშორებდი მათ თვალს, — თუმცა ეს არც ერთ მათგანს ფიქრალაც არ მოსდიოდა. არც იმაზე ჰქონდათ წარმოდგენა, რა მედო გულში. თუმცა ვის შეიძლებოდა სცოდნოდა ეს? ვის შეიძლებოდა ექვი აეღო, თუ რა საიდუმლო ბანგი შევამზადე მე, ჯუჯამ, ჩემი სულის სიღრმეში, სადაც ვერასოდეს ვერავინ შეაღწევს? ვის შეუძლია რამე იცოდეს ქონდრისკაცის სულზე, რომლის ფარულ სიღრმეებშიც მათი ბედი უნდა გადაწყდეს? ვინ შეიძლება იცოდეს, რას წარმოვადგენ მე? კარგია, რომ ექვი არაფრისა აქვთ, რომ იცოდნენ, შიშის ძრწოლა აიტანდათ, ღიმილი ბაგეზე შეეყინებოდათ, ტუჩები დაუქვენებოდათ და სამიღვამეზოვად გაუხევედებოდათ, ისე რომ მთელი ღვინოსი ღვინოსი კი ვეღარ დაალობდა და ვერც ფერს დაუბრუნებდა მათ.

ვნახოთ ერთი, თუ გამოიძებნება ქვეყნად ღვინო, რომელსაც შეეძლება მათ ფერი და ღიმილი დაუბრუნოს.

მე ვუთვალთვალებდი აგრეთვე ჰერცოგის მეუღლის დაჰიჭვლას — ფიამეტას, რომელიც თუმცა ჰერცოგების სუფრასთან არ იჯდა, მაგრამ საერთოდ მისთვის კარგი ადგილი შეერჩიათ, უფრო უმჯობესი, ვიდრე მდგომარეობით შეეფერებოდა. სასახლეში იგი არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მოვიდა და აქამდე როგორღაც არ შემიმჩნევია. ახლა ეს გაუგებრად მეჩვენება. ფიამეტა ხომ საოცრად ეშხიანია. მაღალი და მოხდენილი, ნორჩი და ამავე დროს უკ-

ვე ქალი, სავსებით მომწიფებული ამ სოფელქვეყნისთვის, მას შავ-გვრემანი, მეტისმეტად ამაყი და მკაცრი სახე აქვს, სწორი ნაკვებები და მაყვალღვით შავი თვალები, რომელთა სიღრმეში ერთადერთი ნაპერწკალი კიაფობს, მე შევნიშე, დროდადრო როგორ ესროდა მას ჰერცოგი შეშფოთებულ მზერას, თითქოს უნდოდა ამ იღუმალეებში მოცულ სახეზე ამოეკითხა ქალის ფიქრები და გაეგო, რა ზღებოდა მის გულში. ფიქეტას კი მისიკენ თვალიც არ გაუპარებია.

მაგრამ აი, დარბაზში თითქმის ყველა სანთელი ჩაქრა, საიდანღაც გაისმა სწრაფი მუსიკა. სიბნელეში ფიცხლავ შემოიჭრა ოცი მავრი მოცეკვავე ქალი, რომელთაც კბილებში ანთებული მანძალეები ეჭირათ. შემოცვივდნენ და გაძალებით ჩაებნენ ცეკვის ფერხულში. ყველანი სულთქმაშეკრულნი მიაჩერდნენ. მოცეკვავეები გრიგალივით ტრიალებდნენ ცეცხლოვან შარავანდედში, თავზემოთ რომ ადგათ, ანთებულ ჩირაღდნებს ერთმანეთს უსროდნენ, ხან კი მალლა შეისროდნენ და მერე ბნელში გაელვებული მტაცებლური კბილებით იჭერდნენ, თითქოს საშიში მტერიაო, ისე შესთამაშებდნენ ცეცხლის ალს და ყველანი რიდითა და ალტაცებით შეჰყურებდნენ ამ უცნაური არსებების ავბედით როკვას. ისინი უმეტესწილად იქ ტრიალებდნენ, სადაც ორივე ჰერცოგი იჯდა და როდესაც ერთმანეთს ჩირაღდნებს ესროდნენ, ბლუჯა-ბლუჯა წამოსული ნაპერწკლები მათ სუფრას ეფინებოდა, ხოლო როდესაც ჩირაღდნებს კბილებით დაქერას უპირებდნენ, სახე ისე ელმიჭებოდათ, გეგონებოდათ, ჯოჯოხეთიდან ამოცვენილი ბორბოტი სულეები არიან, რომელთაც, ქვესკნელიდან ცეცხლი წამოუტაცებიათო. რატომაც არა? ვის შეუძლია თქვას, რომ მათ ცეცხლოვან გეენაში არ აანთეს თავიანთი მანძალეები? მე ბნელში ვიდექი. სიბნელე უჩინარს ხდიდა ჩემს ქონდრისკაცის ათაჟამინდელ სახეს, ვუცქეროდი ამ საშინელ სულეებს და მათ უცნაურ ცეკვას, და მჯეროდა, რომ ეს ცეკვა მათ თვით სატანამ შეასწავლა.

და თითქოს მართლაც თავიანთი სატანური ბუნების დასადასტურებლად და იმის შესახსენებლად, რომ სულთა საუფლო ყოველ ცოცხალ არსებას მიელის, მოცეკვავეებმა ჩირაღდნები თავდაყირა გადმოატრიალეს, იატაკზე სწრაფად ჩააქრეს და, თითქოს მიწამ პირი უყო, ერთბაშად სადღაც გაქრნენ.

ვიდრე სანთლებს აანთებდნენ, ჩემი ჯუჯის თვალებით, რომლებიც ბნელში ადამიანის თვალებზე უკეთ ხედავენ, მოვასწარი დამენახა, როგორ ჩაფრენოდა ზოგი ჩვენი სტუმართაგანი ხანჯლის ტარს, თითქოს აპირებდა თავი დაეცვა ყოველგვარი მოულოდნელობისაგან, მერედა, რაზე დაიხეთქეს გულები? ის ცეცხლთან მოთამაშე

ქალწულები ხომ უბრალოდ მოცეკვავეები იყვნენ, ჰერცოგმა სტუმრების გასართობად ვენეციაში რომ დაიქირავა?

განათლა თუ არა დარბაზი, ღია კარში კვლავ გამოჩნდა თავის თეთრ ფაშატზე ამხედრებული ჰოფმარშალი და რიხიანად გამოაცხადა, რომ სტუმრებს მთარმევედნენ საღამოს „საოცრებას“, იშვიათსა და უგემრიელეს საჭმელს. თქვა თუ არა ეს, იმწამსვე სუფრებისკენ ყოველი მხრიდან წამოვიდნენ მსახურები, თავზემთ მოჭკონდათ ძვირფასი თვლებით მოოქვილი უშველებელი ლანგრები, რომლებზედაც როგორც ტახტზე, ისე ისხდნენ მოოქროვილი ფარშავანგები. მათ მარაოსავით გაშლილ კუდებში ცისარტყელას ყველა ფერი ელვარებდა. ფარშავანგების დანახვამ დარბაზი ბრიყვეული აღტაცებით აავსო, ახლახან განვლილი შიში და თავდაყირა დარქობილი ჩირაღდნები, რომლებიც სიკვდილს მიანიშნებდა, ისე გაქრა, ვითომც არც ყოფილიყოს. ადამიანები ბავშვებს წააგვანან, თამაშებს და გასართობებს ზედიზედ იცვლიან და იქვე ივიწყებენ კიდევც, მხოლოდ იმ თამაშს ვერ დაივიწყებენ, მე რომ დღეს უნდა ვითამაშოთ.

მონადიმენი ერთხანს თვალით ამოწმებდნენ მათთვის უცნობ საჭმელს, მერე კი ჩვეული სიხარბით დააცხრნენ და ყველაფერი თავიდან დაიწყო ამ გაფხორილ-გაბღენძილი ფრინველების წყალობით, რომლებიც არასოდეს მიყვარდა, რადგან მუდამ ადამიანებს მაგონებდნენ.

როდესაც ფარშავანგები ჩაახრამუნეს, მსახურებმა სუფრაზე კვლავ საჭმლის მთელი გორები დაახვავეს. შემოჭკონდათ ხოხბები, ყვერულები, მწყურები, იხვი, ზუთხი, კობრი და შემწვარი ცვრიანი ზორცი, გაჭრისას სისხლი რომ წვეთავდა, ამასაც ისე ხარბად ნთქავდნენ. რომ მე ზიზლით გული ამერია. ბოლოს შემოიტანეს აუარება ნამცხვარი, კანფეტები და მუშკით აქოთებული სხვა ტკბილეული, სტუმრებმა თავი არც აქ შეირცხვინეს, ისე ილუქმებოდნენ, გეგონებოდნენ, მთელი საღამო მშვივრები ისხდნენო. სულ ბოლოს კი დაესივნენ საუცხოოდ ნახელავ და, მათი სიტყვებით რომ ვთქვათ, ბერძნული მითოლოგიის შესანიშნავ ფიგურებს. ნაჭერ-ნაჭერ ჭრიდნენ და პირში იტენიდნენ, ვიდრე მუსრი არ გაავლეს. სუფრები ბარბაროსების ნაოხარს დაემსგავსა. უდიდესი ზიზლით ვუტქეროდი ამ გატიალებულ სუფრებს და ოფლში გაწურულ, აპილბილებულ ადამიანებს.

ჰოფმარშალი ერთხელ კიდევ მოდგა კართან, სიჩუმე მოითხოვა და გამოაცხადა, რომ ახლა სცენაზე წარმოადგენენ შესანიშნავ ალეგორიას, შეთხზულს, ჰერცოგის უმაღლესი ბრძანებით, მისი კა-

რის პოეტების მიერ, წარჩინებული სტუმრების პატივსაცემად: გამხდარ-გაჩხიკულმა პოეტებმა, ყველაზე შორეულ კუთხეში, ყველაზე დარიბულ სუფრას რომ უსხდნენ, ყურები სცქვიტეს.

ეს უბადრუკი კუდაბზიკა არსებები მოუთმენლად მოელოდნენ, როდის შეასრულებდნენ მათ ნაცოდვილარს, რომელიც თავისი ღრმა-აზროვნებით, ქარაგმული ნათქვამებით ზეიმის შნოსა და ლაზათის მიმცემი უნდა ყოფილიყო და, ამის მოლოდინში წინასწარ ტკეზბოდნენ.

ჯაჭვ-აბჯარალაპლაპებული ღმერთი მარსი ფიცარნაგზე გამოვიდა და განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს, ერთმანეთს შეაბრძოლოს ორი დიდი მეომარი-ცელეფონი და კალისტე, ეს ბრძოლა უკვდავყოფს და დიდებით შემოსავს მათ სახელებს და, რაც მთავარია, დაარწმუნებს ადამიანებს, რა დიადი და ყოვლისშემძლეა ომის ღმერთი მარსი. დაე, ყველამ დაინახოს, როგორ შეებმება ერთმანეთს მრის ნების მორჩილი ორი კეთილშობილი მამაკაცი, რომლებიც მზად არიან, მისთვის სისხლი დაღვარონ. ამ სიტყვებით მარსი სცენიდან გავიდა, ფიცარნაგზე ახლა მეომრები გამოჩნდნენ და დადგნენ თუ არა ერთმანეთის პირისპირ, მყისვე ბრძოლა გააჩაღეს. საკმაოდ დიდხანს იბრძოდნენ, თანაც ისე მარჯვედ, რომ ყველამ, ვინაც კი ამ საქმისა რავე გაეგებოდა, ბრძოლა ღირსეულად შეაფასა და გმირებს ქება-დიდება შეასხა, მართლაც, ისე შესანიშნავად იბრძოდნენ, რომ მეც ნასიამოვნები დაგრჩი. მეომრები მარჯვედ იქნეოდნენ ხმლებს, კაცს ეგონებოდა, ერთმანეთი დაჩხვსო, ბოლოს კი თითქოს სისხლის დაკარგვისა და ჭრილობებისაგან დასუსტებულნი, უსულოდ დაეცნენ მიწაზე.

მაშინ კვლავ გამოჩნდა მარსი და იმწამსვე ენა მოიქარგა: ამ ორი მამაკაცის სამაგალითო ბრძოლამ, ორივენი გმირობას აზიარა და ისე წაიყვანა ამქვეყნიდანო, ეს კი იმის ნიშანია, რომ მე, მარსს, განუსაზღვრელი მეუფება მაქვს ადამიანთა სულებზე და ჩემი ძლევა მოსილებით ოლიმპოს ყველა ღმერთზე მაღლა ვდგავარო. ამ სიტყვებით ისევ გავიდა სცენიდან, სწორედ ამ დროს გაისმა შემპარაგი ნელი მუსიკა და მაყურებელთა წინაშე გამოვიდა ქალღმერთი ვენერა, თავისი სამი ღობილის, გრაციების, თანხლებით. მათ დაინახეს დაჭრილ-დასახიჩრებული მეომრები, რომელნიც მიწაზე ეყარნენ და, როგორც ვენერამ ბრძანა, საკუთარ სისხლში ბანაობდნენ. გრაციები მათკენ დაიხარნენ და მოთქმით ატირდნენ. რა შემზარავია, რომ ამ შესანიშნავმა ვაჟკაცებმა ტყუილბრალოდ წააგეს სიცოცხლე და წუთისოფელს გამოესალმნენო. ვიდრე ისინი მამაკაცების მწარე ხვედრს დასტიროდნენ, წინ წაშოდგა ვენერა და გა-

ნაცხადა: ეპვგარეშეა, ეს მეომრები იმ უგულო მარსმა შეაგულიანა და აიძულა, ერთმანეთს სასიკვდილოდ შებრძოლებოდნენო. გრაციები ამაზე დაეთანხმნენ, მაგრამ იქვე შეახსენეს ვენერას, რომ მარსი მისი მიჯნური იყო, ვისაც, მიუხედავად ზენაარი კდემამოსილებისა, ხშირად გულში იკრავდა ხოლმე, ამაზე ვენერამ განაცხადა, რომ ურცხვად სწამებდნენ ცილს,—განა შეეძლო სიყვარულის ქალღმერთს შეეყვარებინა ეს მძვინვარე, ბარბაროსი ღმერთი, რომელიც ყველას სძაგს და ეზიზღება, თვით მისი მშობელი მამის, დიდი ეუპიტერის ჩათვლით? ამ სიტყვებით ვენერა დახოცილებს მიუახლოვდა, თავისი ჭადოსნური კვერთხი შეახო და მეომრებიც მაშინვე წამოხტნენ საღსალამათნი და უვნებელნი და ნიშნად კეთილგანწყობისა და შეგობრობისა, ერთმანეთს ხელი გაუწოდეს და აღუთქვეს, რომ აღარასოდეს აჰყვებოდნენ მარსის ცდუნებას, ამ სისხლიან. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში რომ ჩაითრია ისინი, და ამიერიდან მშვიდად და სიამტკბილობით იცხოვრებდნენ.

დაბოლოს ვენერამ წარმოთქვა საკმაოდ ვრცელი და გულში ჩამწვდომი სიტყვა. ხოტბა შეასხა სიყვარულს, როგორც ყველაზე ძლიერსა და უსათნოეს ძალას, ყველა სხვა ძალთა შორის, როგორც სიცოცხლის წყაროს და საწყისთა საწყისს. იგი დიდხანს ლაპარაკობდა სიყვარულის მადლმყოფელ ძალაზე, რომელიც თვით უხეშობასაც კი სიფაქიზეს ანიჭებს, მიწიერ არსებებს ზეციურ კანონებს კარნახობს. აიძულებს ყველას ქედი მოიდრიკონ მის წინაშე, სიყვარულს შეუძლია გააკეთილშობილოს ბოროტი და სულმდაბალი, სასიკეთოდ წარმართოს ხელისუფალთა ნება-სურვილი და ხალხთა ზნე-ჩვეულებანი, და რომ ადამიანთა შორის სიყვარულმა და გულმორწყალებამ უკვე დაიწყო ძლევაგმოსილი მსვლელობა ამ მოთხრებულ, სისხლით მორწყულ დედამიწაზე, მის სამსახურში დგას კეთილშობილება და რაინდობა და აჯილდოებს კაცთა მოდგმას არა საბრძოლო ზარისხებითა და დიდებით, არამედ ავსებს სულ სხვა სიკეთითა და სათნოებით. ვენერამ თავისი ჭადოსნური კვერთხი აღმართა და განაცხადა, რომ სწორედ იგი, ყოველისშემძლე და უძლეველი ღმერთი, დაიპყრობს ამ ცოდვილ მიწას და სიყვარულს და სამუდამო მშვიდობას გააშეფებს. ჩემი სახის პატრონს გალიმება რომ შემძლებოდა, უეჭველად გავიდიმებდი ასეთი გულუბრყვილო დასასრულის გამო, მაგრამ მაყურებელთა შორის ქალღმერთის მგრძნობიარე სიტყვებმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ბევრს კიდევაც აადლევა და გული აუჩუყა, ვენერას საბოლოო სიტყვებს კი, ყველანი. შეიძლება ითქვას, სულგანაბულნი უსმენდნენ. პოეტებმა, თუ მათი სახეების მიხედვით ვიმსჯელებთ, წარმოდგენის მთელი წარმატება

თავის თავს მიაწერეს, თუმცა ამ წუთში მათი არსებობაც კი აღარავის ახსოვდა. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ვაიძლახუნებებს ეს ქარაგმებითა და ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით დატვირთული ალეგორია დღევანდელი ზეიმის ზენიტად მიაჩნდათ. მე კი, ვბედავ ვიფიქრო, რომ ყველაზე უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვანი ის იყო, რაც შემდგომ მოხდა.

მე, როგორც ყოველთვის სხვა დროს, ახლაც ჰერცოგის ზურგით ვიდექი. რადგანაც ჩემს მბრძანებელს ზედმიწევნით კარგად ვიცნობ, მის სურვილებსაც უმალ გამოვიცნობ ხოლმე, ვიდრე თვითონ რამეს იტყოდეს, ან, ვთქვათ, გაიფიქრებდეს, და მის ბრძანებებს ისე ვასრულებ, თითქოს მეც მისი ნაწილი ვიყო. ჰერცოგმა ახლაც სხვათა შეუმჩნეველად მანიშნა, რომ ლოდოვიკოს, მისი ვაჟისა და მათი მომყოლი დიდებულთათვის დამესხა ის ძვირფასი ღვინო, რომელიც ჩემს განმგებლობაშია და რომლის დამზადების წესი, ჩემ გარდა, არავინ იცის. ჩემი ოქროს ხელადა ავიღე და სასმისი შევევესე ხარს, რომელიც სმით უკვე კარგა მაგრა შეხურებული ჩანდა. მას უკვე კარგა ხანია გაეხადა თავისი ბეწვით შექველი მოსასხამი და ახლა ხასხასაწითელ კამზოლში იჯდა. ჯმუხი, ქონით გატიქნილი და ერთმანად აჭარხლებული. ოქროს ძეწვეები, კისერზე რომ ეკიდა, ერთმანეთს ისე გადახლართვოდა, რომ მათი პატრონი გაკოჭილი გეგონებოდათ, ამ საქმლით დაჩურთული ტომარას ირგვლივ ჰაერი გაზებს, ოფლის სუნსა და ღვინის მხუთრს მოეშაბა. შეუძლებელი იყო ადამიანს მის გვერდით გული არ არეოდა. ნეტა თუ მოიპოვება ამქვეყნად ადამიანზე უფრო საზოგადო არსება, გავიფიქრე, როდესაც ამ მხეცკაცს გავშორდი. მერე მივართვი ღვინო მის ღირსპატივსაცემ მხლებლებს, ყველა იმათ, ვინც ჰერცოგის სუფრასთან იჯდა. მერე ჯოვანის ოქროს კათხაც შევავესე და შეცტრად ანჯელიკას მრგვალ. ცისფერ თვალებს წავაწყდი, ზუსტად ისეთი გულუბრყვილო გაოცებით შემომცქეროდა, როგორც მაშინ, ბავშვობისას, როდესაც ჩემს გაქვავებულ, ათაჟამინდელ სახეზე გუმანით ამოიკითხა, რომ მასთან თამაში არ მსურდა. როცა მიეუწალოვდი, დავინახე, რომ მან ჯოვანის ზელს ხელი უშვა და სახეზე მკვდრის ფერი დაედო, ალბათ, შეეშინდა ჩვენი სამარცხვინო საიდუმლო ზომ არ გაიგო, და არც შემეცდარა, მე გულს მირევდა მათი სიახლოვე, მით უფრო დანაშაულებრივი, რომ ორი ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი გეარეულობის ჩამომავალნი იყვნენ, ამასთან, თითქმის ბავშვები და უკვე ეფლობოდნენ სიყვარულის ბინძურ წუმბეში. მე ვაკვირდებოდი მათ შეწითლებულ სახეებს, ეს ფერი ზომ მაშინ აპკრავს ადამიანს სახეზე, როდესაც სისხლს საძრა-

ხი სურვილები აფორიაქებს. გამომქდაცნებული და გამოაშკარავებულ-
ლი ნდომა გულისამრევია საცქერად. ზიზლისმომგვრელი იყო ამ ერ-
თმანეთში ათქვეფილი ავხორცობისა და უმანკოების ცქერა. ავ-
ხორცობა ხომ ამ ასაკში სიყვარულს რაღაც განსაკუთრებულ ზიზლს
ანიჭებს. სიამოვნებით შევუვსე ჯოვანის კათხა, რომელიც მხო-
ლოდ სანახევროდ იყო დაცლილი — თუმცა ამას არსებითი მნიშვნე-
ლობა არა აქვს, ჩემი ბანგის წვეთიც კი საკმარისია იმისთვის,
რომ მოსახდენი მოხდეს.

მერე დონ რიკარდოს მივუახლოვდი და სასმისი პირთამდე აუფუ-
სე, ეს ჩემთვის არ დაუვალეზიათ, მაგრამ მეც მაქვს ჩემი საკუთარი
მოსაზრებები და შემძლია თვითონაც დავავალო რამე ჩემს თავს.
და როდესაც დავინახე, ჰერცოგი მომშტერებოდა, მზერა მშვიდად
გავუსწორე. რა უცნაურად შემომყურებდა! ადამიანებს აქვთ ასე-
თი გამოხედვა, ქონდრისკაცებს კი — არახოდეს. თითქოს რაღაც
დაფარულ-დაჩქმალული, აქამდე საღდაც მისი სულის სიღრმეში
რომ იმყოფებოდა, უეცრად ზედაპირზე ამოტივტივდა და შიშით
და მწიკვლით მითვალთვალეზდა, ეს იყო, ბნელ ჯურღმულებს წ-
მით თავდაღწეული იღუმალი წადილი, დღის სინათლეს გარიდებუ-
ლი წყლის ურჩხულივით დახლაცნილი და სლიპინა. ჩემნაირ უძვე-
ლეს არსებებს არა აქვთ ამგვარი მზერა. მე ჯიქურ შევეყურებდი
თვალეზში ჩემს ბატონს და, იმედი მაქვს, დაინახავდა, რომ ხელი არ
ამოტოვებია.

ვიცი, რაცა სურს ჰერცოგს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ბუნებით
რაინდია, მე რაინდი არა ვარ, მხოლოდ ჯუჯა ვარ რაინდისა, ვხვდე-
ბი მის სურვილს, ვიდრე თავად რაიმეს მეტყვოდეს, ან გაიფიქრებ-
დეს და, რაკი თითქმის მისი რაღაც ნაწილი ვარ, ვასრულებ კიდევ
მის უსიტყვო ბრძანებებს. კარგია, როცა გვერდით გყავს აი
ასეთი პატარა ბრავო,* რომელიც შენ ნაცვლად შენს საქმეებს ან
თუნდაც ამ საქმეების რაღაც ნაწილს აგვარებს.

სწორედ იმ დროს, დონ რიკარდოს კათხა რომ შევუვსე, — რო-
მელიც, რა თქმა უნდა, იქვე დააცარიელა, — იგი უკან გადაიზნიქა,
ისე რომ წვერი მაღლა აბრეხილი დარჩა, ფართოდ გაღებული პირი
კი უზარმაზარ ორმოს დაემსგავსა და ორად ჩამწკრივებული მომსხო-
კბილები გამოუჩნდა, შემეძლო, მისთვის პირდაპირ ხახაში ჩამეხე-
და. ზომ ისე არასასიამოვნოა გაცივებული ადამიანის დანახვა, მაგ-
რამ პირდაპირ აუტახელი იყო იმის ყურება, რა უგვანად ხარხარებ-
და ეს „სიცოცხლის მოტრფიალე“ მასხარა; ღრბილები და ტუჩები

* ბრავო — Bravo — დაქირავებული მკვლელი.

მთლად სველი ჰქონდა, თვალის კუთხეები კი, საიდანაც ფართო, მბრწყინავი გუგებისკენ სისხლის წვრილი წითელი ძარღვები მავ-მართებოდა, განუწყვეტლივ ცრემლით ევსებოდა ყელზე, მოკლედ შექრილ, შავ, ჯაგარა წვერს ქვემოთ, ხვანჩი უთრთოდა, ხელზე ლა-ლისთვლიანი ბეჭედი ეკეთა. სწორედ ის, ერთხელ, ავადმყოფობის დროს ჰერცოგის მეუღლემ რომ აჩუქა, და, მე ამ ქალის ავხორცულ წერილთან ერთად კამზოლქვეშ გამოვაპარე.

რა აცინებდა, არ ვიცი, და არც მაინტერესებს, დარწმუნებული ვარ, მიზეზი რომც ვიცოდე, სიცოცხლის გუნებაზე სულაც არ დავდგებოდი, ყოველ შემთხვევაში, დონ რიკარდო ახლა უკანასკნელად იცინოდა.

მე ჩემი საქმე გავაკეთე და ახლა ამ სიცოცხლით გაუმაძლარი მასხარასა და მსიძავის გვერდით შედეგს ველოდი და ვისუნთქავდი მისი სხეულისა და ხავერდის მუქი-წითელ კამზოლის სუნს. ამ კამზოლის ფერიც ხომ ვნების სიმბოლოდ შეარჩია მისმა პატრონ-მა.

და, აჰა, ჰერცოგმა, ჩემმა დიდმა მბრძანებელმა, ასწია თავისი მომწვანო სასმისი და საოცრად თავაზიანი ღიმილით მიუბრუნდა თავის საპატიო სტუმრებს — ლოდოვიკო მონტანცას და მის ბრწყინ-ვალე ამაღას. პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მის პირისპირ მჯდარ ლოდოვიკოს, მისი ფერმკრთალი, ნატიფი სახე ძალზე განსხვავდებო-და ირგვლივმყოფთა წითლად მოღაუღაუე დასივებული სახეებისა-გან. ჰერცოგმა რბილი, სასიამოვნო და ამავე დროს ძლიერი, ვაე-კაცური ხმით ადღეგრძელა მუდმივი მშვიდობა, ამიერიდან რომ უნდა დამყარებულიყო ორ ძღვეამოსილ სამთავროთა და მათ ხალ-ხებს შორის. დღეიდან მოისპობაო დაუსრულებელი, უაზრო ომე-ბი, დადგა ახალი დრო, ახალი ხანა, რომელიც ყველას ბედნიერებას და სიზარულს მოგვანიჭებსო. ბოლოს და ბოლოს აღსრულდება საღმრთო წერილის სიტყვა და დედამიწაზე მშვიდობა გამეფდებაო. ამ სიტყვებით, ჰერცოგმა დაცალა თავისი სასმისი და საზეიმოდ გამეფებულ სიჩუმეში სტუმრებმაც მოაპირქვევეს თავიანთი ოქროს კათხები.

ჩემი მბრძანებელი სკამზე დაეშვა და დიდხანს იჯდა ჩანტიქრე-ბული, ხელში ისევ თავისი სასმისი ეჭირა და გაჰყურებდა, თითქოს შუშის მიღმა მთელ ქვეყნიერებას თვალს ავლებსო.

ხალხი კვლავ ახმაურდა, არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ასე:

არის წუთები, როცა დროის შეგრძნება თითქმის იკარგება, ამას-თან, შინაგანად მეტისმეტად დაძაბული ვიყავი და ბრაზიც მერეო-და იმის გამო, რომ ჯოვანიმ თავის კათხას თითიც კი არ დააკარა.

განრისხებული ვუყურებდი, როგორ გასწია ანჯელიკამ კათხა თავის-კენ, თითქოს თვითონ უნდოდა დაეღია ეს ღვინო, თან მკრთალად ილიმებოდა. იმედი მქონდა, ორივენი გაუსინჯავდნენ გემოს ჩემს სასმელს, რაკი ერთმანეთი უყვარდათ, ერთი სასმისიდან მოისურვებდნენ დალევას, მაგრამ კათხისკენ არც ერთს არ გაუხედია. არ ვიცი, იმ წყეულმა გოგომ რამე იაზრა, თუ სიყვარულით ისედაც მთვრალეები იყვნენ. გულზე ცეცხლი მეკიდებოდა, რა ეშმაკად უნდათ სიცოცხლე, ორივე ღმერთმა დასწყევლოს-მეთქი, ვფიქრობდი.

სამაგიეროდ, ღონ რიკარდომ, როგორც ვთქვი, სულმოუთქმელად დასცალა კათხა, და ამ თავისი უკანასკნელი სასმისით ჰერცოგის მეუღლე ადღეგრძელა. საპარის პირას იდგა და ტაკიმასხარაობას მაინც არ იშლიდა. კოპიკურად მიანიშნა თავის უმოქმედო მარჯვენა ხელზე, მარცხენათი კათხა აიღო და ფართოდ გაიღიმა თავისი განთქმული, სინამდვილეში კი მხოლოდ და მხოლოდ სულელური ღიმილით. ჰერცოგის მეუღლემაც ღიმილითვე უპასუხა, თავდაპირველად ოდნავ ეშმაკურად გაუღიმა, მერე კი მისებურად მიეხინიდა სახე და თვალები აუწყლიანდა, ასეთი რამის დანახვა ზიზღის გარეშე არ შემძლია, ვერ გამიგია, რატომ არა რცხვენია, ამგვარად რომ იმზირება.

უეცრად ზარმა ხმამალა დაიღრიალა და უსიცოცხლო თვალები გადაატრიალა, მისი ამალიდან იქვე მჯდარი რამდენიმე დიდებული წამოხტა, მაგრამ ფეხზე დადგომა ვერც ერთმა ვერ შეძლო. ხელეებით მაგიდის კიდეს ჩააფრინდნენ და მოწყვეტით დაეცნენ სკამებზე; თან ტკივილისაგან იკლაკნებოდნენ, კენესოდნენ და რალაცას ბუტბუტებდნენ. ვგონებ, საწამლავი ახსენეს. ძნელი გასარჩევი იყო, რას ამბობდნენ, უეცრად მათ შორის ერთმა, ალბათ, იმან. ვისაც ჯერ კიდევ ბანგი არ მორეოდა, დარბაზში მსხდომთა გასაგონად მთელი ხმით დაიღრიალა. „ბატონებო, მოგეწამლეს!“ ყველანი წამოცვივდნენ, საშინელი ალიაქოთი ატყდა, ლოდოვიკოს მსლებლებმა ხანჯლები იშიშვლეს, სხვა იარაღსაც დაავლეს ხელი, დარბაზის ყველა კუთხიდან სეფესუფრისკენ გამოქანდნენ და ჩვენებს დაერივნენ, ცდილობდნენ თავიანთი ბატონისკენ გზა გაეკაფათ, მაგრამ ვალში არც ჩვენები დარჩენილან, ჰერცოგს ირგვლივ შემოეჯარნენ და შეტევაზე გადავიდნენ. წარმოუდგენელი ამბავი დატრიალდა. ორივე მხრიდან ეცემოდნენ დაჭრილ-დახოცილები, სისხლი მდინარესავით მოჩქეფდა და დარბაზს ტბორავდა. ოთხკედელშუა, ხორაგით დაზვინულ მაგიდებს შორის, როგორც ბრძოლის ველზე. ისე იბრძოდნენ მთვრალი, სახეაჭარხლებული მეომრები, წუთის წინ მშვიდად რომ ისხდნენ ერთმანეთის გვერდით, ახლა კი სამკედრო-სასიცოცხ-

ლოდ შებმოდნენ ერთმანეთს. ყოველი მხრიდან გაიწარადა ყვირილი და ღრიალი და ეს ხმები მომაკვდავთა კვნესა-გოდებას ახშობდა. შემზარავი წყევლა-კრულვით უხმობდნენ ლოდოვიკოს მეომრები ჯოჯოხეთის სულებს, მოსულიყვნენ ამ უსაშინელესი დანაშაულის საცქერლად, მე სკამზე შევდექი, რომ უკეთ დამენახა, რა ხდებოდა, ალღევებისაგან თავგზააბნეული გავყურებდი ჩემს მსხვერპლთ. ვხედავდი, როგორ ვცელავდი ძირეულად ამ საზიზღარ არსებებს, უკეთეს ზედღრს რომ არ იმსახურებდნენ. ვხედავდი, როგორ ერთიმეორეზე სხებდა მათ თავებს ჩემი მძლეთამძლე მახვილი. უწყალო, სატიკი და შემმუსვრელი. ვხედავდი, როგორ ვისტუმრებდი მათ ცეცხლოვან გეენაში, სამუდამო ტანჯვა-წვალებისათვის, დაე ჯოჯოხეთის ცეცხლმა შთანთქას ყველა ეს ქმნილებანი, რომლებიც თავის თავს ადამიანებს ეძახიან და რომელნიც მარტოოდენ ზიზღისა და სიძულვილის ღირსნი არიან, რა საჭიროა მათთვის სიცოცხლე? რატომ უნდა ხეთქავდნენ, ხარხარებდნენ, მუშაობდნენ, მრავლდებოდნენ და დედამიწას ამძიმებდნენ? ვის რაში ესაჭიროება ეს ტყუილით გატენილი მკვებარები და ტაკიმასხარები, ბიჭერი, უსინდისო არსებები, ვისი სათნოება და ქველობა მათ ცოდვებზე უფრო უმძიმესია?! დაე, ჯოჯოხეთის გეენამ შთანთქას და დასრულოს ყველანი! ასე მეგონა, სატანა ვიყავი, ნამდვილი სატანა. გარშემოჭარული ბნელეთის მოციქულებით, თვითონვე რომ გამოიხმეს ჯოჯოხეთიდან, ახლა კი ირგვლივ შემოხვეოდნენ, ბოროტად ემანჭებოდნენ და მკვდართა საუფლოში მიათრევდნენ მათ თათო, ჯერ ისევ სხეულის სუნით აქოთებულ სულებს. წარმოუდგენელი სიამოვნებით შევიგრძნობდი ჩემს ძალასა და ძლიერებას და ეს სიამოვნება თავგზას მაკარგვინებდა, დიახ, ჩემი წყალობით იყო, ქვეყანა რომ აღწერდა, შიშითა და ელდით აივსო და ბრწყინვალე ზემიმიდან სიყვდილისა და შიშის საუფლოდ იქცა, მე ჩემს ბანგს შეეთავაზებ და, ჰერცოგები და სენიორები იატაკზე სისხლში იხლაკნებიან, დაუქსხამ ჩემს სასმელს და, მდიდრულ სუფრებთან მოკალათებული სტუმრები ფითრდებიან და ადგილზევე შეშდებიან. ველარავინ ველარავის გაუღიმებს, ველარც სასმისს ასწევენ და კვლავ ვერ ირატრატებენ ქალებისა და სიცოცხლის სიყვარულზე, რამეთუ ჩემი სასმელი აიძულებს ყველას დაივიწყონ, რა საოცარი და რა მშვენიერია სიცოცხლე. ირგვლივ ყველაფერი სქელი ნისლით იბურება, თვალებს ზედვა ეკარგება და წყვილიადი ჩამოიტბორება. მე გადავაბრუნებ, ჩავაქრობ მათ მაშხალებს და უკუნი გამეფდება. ეს მე ვარ აქ მათი ბატონ-პატრონი, მე შევეყარე ყველანი ჩემს ავბედით სერობაზე, და დააქუნეკებენ თუ არა ჩემს გესლიან სისხლს — სწორედ იმ სისხლს, მყო-

ვარჯამ რომ კვებავს ჩემს გულს, ხოლო მათთვის სასიკვდილო ბან-
გია, — მყისვე თვალები ეშრითებათ.

ხარი გაშეშებული იჯდა, სახე გალურჯებოდა, მეჩხერი წვერით
შემოსილი ქვედა ყბა კი უშნოდ ჩამოვარდნოდა, თითქოს უნდოდა
თავისი დამპალი კბილებით ვინმეს ჩაფრენოდა და კბენით გაემწა-
რებინა. გაყვითლებული, ჩასისხლიანებული თვალები ბუდიდან გა-
დმოსცვენოდა, საზარელი შესახედი იყო! უეცრად მან ისე მკვეთრად
და ბრაზიანად შეაბრუნა ძეწკვებით დამძიმებული კისერი, თითქოს
მისი ძირში ამოგდება უნდაო, მძიმე თავი გვერდზე გადაუვარდა,
მოკლე, ხარის მინაგვანი ტანი მოერკალა, ერთი კი შეაძაგძაგა, თით-
ქოს დანა დასცხსო, და სული განუტევა, ხარის მხლებლები, მასთან
ერთად ჰერცოგის სუფრასთან რომ ისხდნენ, ჯოჯოხეთური ტკივი-
ლებით დაშანთულნი, საზარლად იხლანებოდნენ, მაგრამ უმალ ძალა
გამოეცალათ, თანდათანობით მიუყრდნენ და მალე სიცოცხლის ნი-
შანწყალიც აღარ ეტყობოდათ.

მე თვალებით დონ რიკარდო მოვებნე. სულთმობრძავი იყო,
თვალები სანახევროდ მოეჭუტა, თითქოს ჩემს ბანგიან სასმელს გე-
მოს ატანსო (ეს მისი საყვარელი პოზა იყო, როცა ღვინოს აჭაშნი-
კებდა), მერე უეცრად მკლავები გადაშალა, გეგონებოდათ, მთელი
ქვეყნიერება გულში უნდა ჩაიკრასო, კეფით იატაკს დაენარცხა და
გათავდა.

ამ გამძვინვარებულ ბრძოლასა და საერთო ზედახოცვაში მათკენ
აბა ვინ გაიხედავდა და, ვისაც როგორ შეეძლო, ისე უნდა ჩაებარები-
ნა ეშმაკისთვის სული, ჯოვანი, ლოდოვიკოს მხარესვე სუფრას რომ
უჯდა და იმ წყეული გოგოს წყალობით ჩემს ბანგს პირი არ დააკარა,
წამსვე მამასთან გაჩნდა და მისი ულაზათო სხეულისკენ დაიხარა,
თითქოს მართლაც შეეძლო ეშველა რამე. მაგრამ სწორედ იმ წამს,
ბებერ არამზადას სული რომ ამოხდა, ჯოვანისთან მიიჭრა ვილაც
ახმაზი, მკედელივით ვეება მუშტები რომ ჰქონდა და გასასვლელი-
სკენ გააქანა, ის ლაჩარიც, რა თქმა უნდა, დანებდა, ბრძოლიდან
გაეცუნცულებინათ და, ამრიგად, ხელიდან დაგვისხლტა.

მაგიდა აყირავდა და ყველაფერი, რაც ზედ ეწყო და ელაგა,
მებრძოლთა ფეხქვეშ გაითელა და ფაფად იქცა. დარბაზი მძვინვარე-
ბამ მოიკვა, სიშმაგისაგან გონარეული ხალხი ერთმანეთს აღარ
ინდობდა, მანდილოსნები დიდი ხნის წინათ წივილ-კივილით გაიფანტ-
ნენ აქეთ-იქით, მაგრამ გაჩაღებული ბრძოლის დროს, ირგვლივ გა-
მიფეხულ ქაოსში, ჰერცოგის მეუღლე დავინახე. გაქვავებულივით
იდგა, მიმკვდარებული, სახეჩაფერფლილი და თვალგაშტერებული;
სასაცილო სანახავი იყო ეს უსიცოცხლო, შემოდგომის ფოთოლივით

გაყვიტლებული ნიღაბი, მომჩვარულ კანზე შემორჩენილი ფერ-უმა-რილით, ბოლოს მსახურებმა, როგორც იქნა, შეიძლენ მისი გაყვანა ამ საშინელი ბრძოლის ველიდან, იგი ანგარიშმიუტეველად გაჰყვა მათ, თითქოს ვერ გაესაცნაურებინა, სად იყო ან სად მიჰყავდათ.

ჩვენი რიცხოზრვივალ უფრო ჭარბი ძალებით შევიწროებულმა ლოდოვიკოს მეომრებმა თანდათანობით გასასვლელისკენ გაიწიეს, მაგრამ ჯერ კიდევ გააფთრებით იცავდნენ თავს, თუმცა აშკარად ჩანდა, იარაღი არ ჰყოფნიდათ. ბრძოლამ კიბეებზე გადაინაცვლა, მერე მოედნამდე მისდიეს მტერს, მაგრამ აქ მათ წარმოეშველნენ ლოდოვიკოს პირადი მცველები, რომელნიც ჭერალდოს პალაცოდან გამოიძახეს და მათი ჩარევითა და უშუალო დაცვით, მტერმა შეძლო ქალაქიდან გაქცევა. ეს რომ არა, ყველას ერთიანად ამოკეუ-ვავლით.

დაცარიელებულ დარბაზში მარტოკა ვიდექი. საკმაოდ ბნელოდა, რადგან კანდელაბრები ერთიანად იატაკზე ეყარა, ირგვლივ მხოლოდ ჩამოკონკილი, მშოიერი ქუჩის ბიჭები დაძრწოდნენ მაშხალებით ხელში, გვამებს შორის საკმლის ნარჩენებს და ნაფხვენებად ქცეულ ტბილეულს დაეძებდნენ და აუწერელი სიხარბით იქვე სანსლავდნენ, ამასთან, არ ავიწყდებოდათ, აეწაპნათ და კონკებქვეშ შეეჩურთათ სუფრის ვერცხლეული. ბოლოს, ეტყობა, დიდხანს დარჩენისა შეეშინდათ, მაშხალები ჩააქრეს, თავისი ნადავლითურთ გაიძურწნენ და მთელ დარბაზში მელა დავრჩი.

იატაკზე მიმოყრილი, თითქმის ჩამწვარი მაშხალების შუქი მკრთალად ანათებდა იქაურობას, სისხლის გუბებში, მოზუნზლულ სუფრებსა და საკმლის გათელილ ნარჩენებს შორის აჩოვრილი ეყარა დაჩეხილი გვამები, ჩვენებიც და მტრისანიც ერთმანეთში არეული, მათი საპარადო ტანსაცმელი მოსვრილი და დაფხრეწილი იყო, ხოლო მკვდრისფერი სახეები ჯერ ისევ ბრაზით ჰქონდათ მიბრეცილ-მოზრეცილი, რადგან სასტიკ და უწყალო ბრძოლაში საშინელი გააფთრების უამს აღმოხდათ სული. ვიდექი და ყველაფერ ამას ჩემი ათაჟამინდელი მზერით დავცქეროდი.

ადამიანთა შორის სიყვარული. მუდმივი მშვიდობა!

როცა საკუთარ თავზე და სიცოცხლეზე ლაპარაკობენ, ამ საცოდავებს არ შეუძლიათ, გვერდი აუარონ მაღალფარდოვან, ლამაზ-ლამაზ სიტყვებს.

მეორე დღეს, ჩვეულებრივ, ჰერცოგის მეუღლესთან რომ შევედი, იგი საწოლში დამხვდა, იწვა ყველაფრისადმი უგრძობელი, მზერაგამოცარიელებული და ტუჩებგაფიცხებული. იფიქრებდით,

მის ბაგეს ერთი სიტყვაც კი აღარასოდეს დასცდებო, თავი აფუნ-
გულ სასთუმალზე ედო, უფერული თმა გაწეწოდა, ხელები უღონოდ
ეწყო, ჩემი იქ ყოფნა, მგონი, არც კი შეუმჩნევია, თუმცა, ოთახის
შუაგულში ვიდექი, პირდაპირ მას ვუცქეროდი და ბრძანებას ველო-
დი. შემეძლო რამდენ ხანსაც მსურდა, ასე ვმდგარიყავი და მემზირა.
ფერ-უმარილი ჯერ კიდევ არ ჩამოსცლოდა სახიდან, ერთადერთი
ნიშანი წარსული ბედნიერებისა, სახის კანი დასკვნობოდა და ჩამოხ-
მობოდა, კისერი კი, მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი ტანსრული
იყო, ერთიანად დანაოკებოდა. ადრე ეგზომ მეტყველი თვალები
გამტერებოდა. მთელი მისი პეწი და ბრწყინვალეობა გამქრალიყო.
ვინ დაიჯერებდა, რომ ეს ქალი შეიძლებოდა ოდესმე ეშხით სავსე
ყოფილიყო, რომ ვინმეს უყვარდა და გულში იკრავდა მას. ამაზე
ფიქრსაც კი მკრეხელობად მიიჩნევდით. ჩემ წინაშე საწოლში. მა-
ხინჯი დედაბერი იწვა.

როგორც იქნა, მეღირსა!

სასახლე ძაძებშია, მან თავისი მასხარა დაკარგა. მთელი სამთავ-
როს დიდებულები, ყველა რაინდი და პატრიციები მიჰყვებოდნენ
მის კუბოს. რა თქმა უნდა, მათ შორის დონ რიკარდოს მსახურნიც
იყვნენ, დარწმუნებული ვარ, ეს უკანასკნელნი გულწრფელად გლო-
ვობდნენ თავის ბატონს; ალბათ, სასიამოვნოა ემსახურო ასეთ უზ-
რუნველსა და ხელგაშლილ ადამიანს. მდაბიორნი ქუჩებში გამოე-
ფინენ, რათა პროცესიისთვის თვალი შეეველოთ. ამბობენ, დატაკებს
მოსწონდათ ეს ფუქსავატი კაციო. საოცარია, მაგრამ უბრალო
ხალხს მართლაც უყვარს დონ რიკარდოსთანა ადამიანები; თავად
სანახევროდ მშვივრებს, სიამოვნებას ჰგვრით ლამაზი ამბების მოსმე-
ნა ვისიმე ფუფუნება-განცხრომაზე, ამბობენ, ამ ხალხმა თითქმის
ზეპირად იცის ყველა მთარული ანეგდოტი და ჭრელ-ჭრელი ამბები
განსვენებულზე, მის „სამგებრო საქმეებზე“ და „ოინებზე“ და ერთ-
მანეთში ჰყვებიანო. ახლა დონ რიკარდომ ერთხელ კიდევ გაახარა
ყველანი, შესაძლებლობა მისცა, დასწრებოდნენ მის ბრწყინვალე
დაკრძალვას.

ჰერცოგი წინ მიუძღოდა პროცესიას, თავი ჩაექინდრა და მწუხა-
რებისაგან ერთიანად ჩამკვდარი ჩანდა. როცა თვალთმაქცობაა სა-
ჭირო, ისე იქცევა, ადამიანს საზტად დატოვებს. თუმცა მაინცდა-
მაინც გასაკვირი არაფერია, ჩემი ბატონი ხომ მრავალსახოვანია.

გაღაჩურჩულებასაც კი ვერავინ ბედავს, რას ილაპარაკებენ
შემდგომ თავიანთ ქოხმანებსა თუ სასახლეებში, ამას მნიშვნელობა
არა აქვს, მომხდარი ამბავი საბედისწერო შემთხვევად ჩათვალეს,
გაუგებრობას მიაწერეს. დონ რიკარდომ შემთხვევით დალია და-

ბანგელი ღვინო, რომელიც მხოლოდ წარჩინებული სტუმრებისათვის უნდა მიერთმიათო. ხომ ყველაშ იცის, რა აუტანლად „სტანჯავდა წყურვილი“ და, სამწუხაროდ, თვითონვე არის დამნაშავე, ასე ტრაგიკულად რომ დაასრულა სიცოცხლე. თუმცა, შეუძლიათ, რაც ნებავეთ, ის იფიქრონ, ხოლო ლოდოვიკო და მისი აჰალა რომ მოწამლეს, ეს ყველას ახარებს, გზაც იქით ჰქონიათო, ამბობენ.

ჰერცოგის მეუღლე დაკრძალვას არ დასწრებია, ისევე გაუძძრეულად წევს, როგორც იწვა, ყველაფრის მიმართ გულგრილი და განურჩეველი. თანაც საკმელზეც უარს აცხადებს, უფრო სწორად, არაფერსაც არ აცხადებს, იმიტომ, რომ საერთოდ არ ლაპარაკობს, მაგრამ მსახურებმა პირში ვერაფერი ჩააკარეს. ის ჩერჩეტი მოაზლე გოგო თავრეტდასხმული, თვალბდაწითლებული აწყდება აქეთ-იქით და დატკრუტულ ლყეებზე ცრემლებს ითითხნის.

ჩემზე არავინ ეკვობს, რადგან არავინ იცის, ვინა ვარ სინამდვილეში.

ადვილი შესაძლებელია, ჰერცოგი მართლაც ჯავრობდა დონ რიკარდოს დაღუპვას, მისი ბუნების ადამიანისთვის ეს ნორმალური იქნებოდა. მე მგონია, უბრალოდ, სიამოვნებს, მგლოვიარე რომ არის, პირუთენელი მწუხარება რაინდს ამშვენებს და ამაღლებს. ამასთან, ჰერცოგს მართლა უყვარდა დონ რიკარდო, თუმცა მისი სიკვდილი კი სურდა. ახლა, როცა დონ რიკარდო აღარ არის, იგი მისთვის უფრო მეტად ძვირფასი გახდა. რაკი თავისას მიაღწია, თითქოს უფრო დაუახლოვდა მას.

ირგვლივ მხოლოდ დონ რიკარდოზე ლაპარაკობენ, როგორი იყო, როგორ ცხოვრობდა, როგორ დაიღუპა, რა თქვა ამა და ამ დროს, რა დიდსულოვნად მოიქცა ამა და ამ დროს, რა უბადლო რაინდი იყო, რარიგ მხიარული და გაბედული, ახლა თითქოს უფრო ცოცხალიც კი გახდა, ვიდრე სიკვდილამდე იყო, მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია, ახლად გარდაცვლილებს, საერთოდ, ქეება-დიდებით ამკობენ, თუმცა ეს მალე გაივლის, შენც დაგივიწყებენ! — ამაზე უფრო დიდი ქეშმარიტება დედამიწის ზურგზე არ არსებობს.

ისინი კი ამტკიცებენ, დონ რიკარდოს არასოდეს დაგივიწყებთო, და თხზავენ ათას ტყუილსა და მართალს იმაზე, თუ რა იშვიათი და არაჩვეულებრივი ბუნების ადამიანი იყო იგი და იმედოვნებენ, რომ ამ კაცს უკვდავად აქევენ. გასაოცარია, როგორ ეჯავრებათ სიკვდილი, განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე მათთვის ძვირფას არსებებს ეჭება, ამრიგად, მითი გამალებით ითხზება და მან, ვინც იცოდა სინამდვილე ამ დარდიმანდ, ფუქსავატსა და მასხარა კაცზე ისლა დარჩენია, მხოლოდ ხელები გაშალოს ამ ხალხის მიერთმოეთო-

ბაზე, რომელთაც იოტისოდენადაც არ ეჩოთირებათ, რომ ყველაფერ ამას სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს. მათ თუ ვერ-წმუნებით, დონ რიკარდო იყო ნამდვილი ლენა და სიხარული, ქეშ-მარიტი პოეზია და, ღმერთმა უწყის, კიდევ რა. რომ მის გარეშე ქვეყანაც გადასხვაფერდა და, ვაი რომ, ვერასოდეს გაიგონებენ მის გადამდებ სიცილს, დამთავრდა ამ კაცის მხიარული ოინბაზობა, რომ უიმისოდ ყველანი დაობლდნენ და მწუხარებით გათანგულნი არიან. ყველას ძალიან მოსწონს დონ რიკარდოზე მგლოვიარედ რომ არის.

პერცოგი დიდსულოვნად მონაწილეობს ამ მელოდრამაში, იგი ნადვლიანად ისმენს, როგორ ასხამენ ხოტბას დონ რიკარდოს და დროდადრო თვითონაც ჩაურთავს რამეს.

მაგრამ საერთოდ იმედი მაქვს, რომ ჩემი ბატონი კმაყოფილია თავის პატარა ბრავოთი, თუმცა, რა თქმა უნდა, ამას არ იმჩნევს. ჩემთან ამ ამბებზე სიტყვაც არ დაუძრავს, არც კარგი უთქვამს არც ავი. პერცოგს შეუძლია არც კი შეამჩნიოს თავისი მსახურები, თუ-კი ასე უფრო აწყობს.

როგორც ყოველთვის ასეთ დროს, ჩემი ბატონი ახლაც თავს მარიდებს.

პერცოგის მეუღლე არაფრით არ გამოხატავს მწუხარებას. არ ვიცი, როგორ ავხსნა ეს, შესაძლოა, იმისგანაც იყო, რომ უზომოდ შექირვებულია, უბრალოდ, საწოლში წევს და ერთ წერტილს მისჩერებია, ეს არის და ეს.

მისი მწუხარების მიზეზი მე ვარ და არა ვინმე სხვა. თუ თეოდორა სასოწარკვეთილებამდეა მისული, ეს ჩემი წყალობით მოხდა, თუ შეიცვალა, ძნელად საცნობი გახდა და აღარასოდეს აღრინდელი იერი არ დაუბრუნდება, ამის მიზეზიც მხოლოდ მე ვარ, თუ ლოგინად ჩავარდა და აღარ დგება, დაბერებულ-დაუშნოებელია და თავს აღარ უვლის, ესეც მხოლოდ და მხოლოდ ჩემი წყალობითაა.

ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასეთი ძალა მქონდა.

მკვლელობამ პერცოგს სახელი გაუთქვა, ყველანი ერთხმად იმეორებენ, რომ იგი გამოჩენილი ხელისუფალია, სხვას ვის გაუმარჯვინა მტერზე ასე ძლევამოსილად და ვის ჰგებია მსგავსი პატივი და დიდება. პერცოგით ამაყობენ, მიაჩნიათ, რომ უჩვეულო გამჭრიახობა და შეუპოვრობა გამოამყლავნა,

ზოგ-ზოგს გულს ეჭვი უკაწრავს, კეთილად დამთავრდება თუ არა ყველაფერი ეს, ცუდი წინათგრძნობა გვაქვსო, მაგრამ ასეთები ყოველთვის იქნებიან, უმრავლესობა კი აღფრთოვანებულია. გამოჩნდება თუ არა პერცოგი, ერთი ყოფით ზედებიან. ვის არ მო-

ზიბლავს ისეთი ხელისუფალი, ვისთვისაც არავითარი დაბრკოლება არ არსებობს მიზნისკენ მიმავალ გზაზე!

ხალხს იმედი აქვს, რომ ბოლოს და ბოლოს მშვიდად და ბედნიერად იცხოვრებენ, კმაყოფილები არიან, რომ მეზობელი ხალხი თავმოკვეთილი და განადგურებულია. ახლა უკვე მტერი საშიში აღარ არის და მათ კეთილდღეობას ხელს ვერაფერს შეუშლის.

ამათ პირზე მხოლოდ კეთილდღეობა და ბედნიერება აკერიათ.

საინტერესოა, მაცოდინა, რა გეგმებს აწყობს ახლა სამომავლოდ ჰერცოგი, ისევე თავდასხმაზე ხომ არ ფიქრობს? —

ეგება უშუალოდ მონტანცაზე შეტევას აპირებს, რათა დაიპყროს იგი და მერე მთელი სამთავროც ზელში ჩაიგდოს? ეს ხომ იოლზე იოლი საქმეა, რალამ უნდა შეგვიშალოს ზელი მას შემდეგ, რაც ყველა მათი მეთაური, ყველა ასე თუ ისე, ანგარიშგასაწევი თავკაცი ავლავმეთ და გზიდან ჩამოვიშორეთ? ის ლაწირაკი ჯოვანი სათვალავში ჩასაგდები არ არის, ხელს ვერაფერში შეგვიშლის, მშიშარაა და ლაჩარი, ერთი ბეწვა რამე კმარა, ხომ უკანმოუხედავად მოძუძგოს. ურიგო არ იქნებოდა, ვინმეს ჭკუა დაერიგებინა, რომ მაკაცია და კაცურად მოქცევა მართებს.

ეჭვი არ შეპარება, რომ ჩემი ბატონი აპირებს ამ მკვლელობით ზელი მოითბობს. აბა, იმას ხომ არ დასჯერდება, რაც არის! რაკი დათესა, მომკაც უნდა შეძლოს.

დადის უაზრო ხმები, მონტანცას მცხოვრებლები იარაღში სხდებიან, ფიცი დასდეს, სამაგიერო მიუზღან ლოდოვიკოსა და მისი დიდებულების მკვლელებსო. თურმე გააფთრებულნი გვემუქებიან, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ყბედობაა, მათი გააფთრება კი გასაგებია, ჩვენც ხომ სწორედ ეს გვინდოდა, მაგრამ რალაც არა მჯერა, რომ იარაღში ჩაიჭედონ და შური იძიონ ლოდოვიკოსნაირი ხელისუფალისათვის, თუმცა ამას მნიშვნელობა არა აქვს, ასეც რომ იყოს, რა უმთავროდ დარჩენილი ხალხი და, რა ცხვრის ფარა უელქაჯოდ.

მითხრეს, ლაშქარს ლოდოვიკოს ძმა, ახალგაზრდა ჯოვანინ ბიძა მეთაურობსო, თურმე ფიცი დასდო, შური უნდა ვიძიოთო, აი, ეს კი უკვე სიმართლეს წაგავს. ხალხი თავისი ხელისუფლებისათვის შურს არ იძიებს, ან რატომ უნდა იძიოს, როცა თანაბრად ცუდად ცხოვრობს ყველა ხელისუფალის ხელში და მოხარული იქნება, თავის მტანჯველთაგან ერთს თუ მაინც დააღწია თავი.

ამბობენ, ჯარების ახალი უფროსი იმავე ყაიდის კაცია, განსვენებული. ლოდოვიკო რომ იყო, მაგრამ აქამდე გზას უხშობდნენ და

წინსვლის საშუალებას არ აძლევდნენო. მისი სახელი ერკოლე მონტანცაა და თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, რაც ხდება, ძალზე საშიში პიროვნება უნდა იყოს. ამბობენ, ქვეყანას თვითონ დაეპატრონა, რათა, როგორც თავად უთქვამს, საშინელი განსაცდელისაგან გადაარჩინოს და ამავე დროს ჩამოაშოროს ტახტის ახალგაზრდა მემკვიდრე, რომელიც, მისი აზრით, მეტისმეტად სუსტი ბუნებისაა საიმისოდ, პერცოგობა რომ იკისროს, მაშინ, როდესაც თავად მონტანცას გვარის ღირსეული განმგრძობია და, ქვეყნის გამგებლობაც სავსებით შეეფერება. რას იზამ, ჩვეულებრივი ამბავია, საერთოდ, ამქვეყნად ასე ზღვება ზოლმე.

მგონი, სრულდება ჩემი წინასწარმეტყველება იმაზე, რომ ის ირმისთვალეა ყმაწვილი, მკერდზე მედალიონი რომ ჰქვია, ტახტს ვერასოდეს ეღირსება.

ხმები დადის, უკვე თავმოყრილია მნიშვნელოვანი ძალები და ლაშქარი, შურის საძიებლად ჩვენკენ მოიწვესო. მტერი უკვე შემოიჭრა ჩვენ სამთავროში და მდინარის გასწვრივ ხეობას მოუყვებაო. მათ სათავეში უდგას ბოკაროსა, რომელმაც თავს იღო, თავის დაქირავებულ მეომრებთან ერთად, სიცოცხლე გაეწირა ანალი მონტაცასათვის, მხოლოდ საამისოდ გასამრჩელოს ორმაგად თხოულობს, იმასთან შედარებით, რასაც ჩვენგან იღებდა. ბოკაროსას ლაშქარი მხეცურად იქცევა, წვავს და ანადგურებს ყველასა და ყველაფერს თავის გზაზე — როგორც ეტყობა, სულაც არ აპირებენ გასწირონ თავი, ამჯობინებენ, სხვები დაიხოცონ.

ჩვენი მხედართმთავრები სასწრაფოდ აგროვებენ ჯარებს, რათა შეაჩერონ მტრის წინსვლა. ქალაქი ისევ აივსო ჯარისკაცებით, რობელთაც ბრძოლის ველზე აგზავნიან, რათა ბოლოს და ბოლოს თავისი ვალი მოიხადონ.

პერცოგი, ჩემი აზრით, არავითარ ზომებს არ ღებულობს.

ამბობენ, ხალხის გამოყვანა გვიჭირსო, თუმცა ეს გასაგებიცაა. რამდენი ჩაიხოცა წინა ომში. არც ისე ადვილია მამაკაცების შეგროვება, რომელთაც იარაღის ხელში დაჭერა მაინც ეცოდინებათ. თუმცა ცდილობენ ყველაფერი იღონონ საიმისოდ, რომ რიცხობრივად მონტანცაზე ნაკლები მეომრები არ გვყავდეს. მათაც ნომ დიდი დანაკარგები ჰქონდათ და საკმაოდ არიან სისხლისგან დაწრეტილნი. ადრინდელი აღფრთოვანება აღარ იგრძნობა, მაგრამ ყველანი ხალხისით ემორჩილებიან განკარგულებას, რადგან გძნობენ, რომ ეს გარდაუქვია. ესმით, რომ უნდა შეურიგდნენ თავიანთ ხვედრს და

რომ არ შეიძლება კაცმა მხოლოდ საკუთარი ბედნიერებისთვის იცნოვროს.

დამპყრობლები ქალაქისკენ მოისწრაფიან, ახლა მათ მხოლოდ შემთხვევით თუ შეაჩერებს რამე. ჩვენს ჯარებს ძალა არ შესწევთ დიდხნობით შეინარჩუნონ თავიანთი პოზიციები და იძულებული ხდებიან, ზედიზედ უკან დაიხიონ. ომის თეატრიდან ისევ და ისევ გულის გამაწყალებელი უსიხარულო ცნობები მოდის უკან დახვევისა და დანაკარგების შესახებ.

იქ, სადაც მტერი ფეხს დაადგამს, ყოველივე ნაცარტუტად იქცევა. სოფლებს არბევენ და წვავენ, მცხოვრებლებს იქვე ხოცავენ, საქონელს იჭერენ, ზოგს კლავენ და ბანაკებთან დანთებულ კოცონების ირგვლივ შეექცევიან, ზოგი კი, ალაღზე გამობმულელები, სათადარიგოდ მიჰყავთ. პურის ყანებს ცეცხლს აძლევენ, ბოკაროსას დაქირავებული ჯარი, რაც მოენებება, იმას სჩადის, თავის შემდგომ ნაოხარ სოფლებს ტოვებენ.

ქალაქს ლტოლვილთა ბრბოები მოაწყდა, შემოდინან და შემოდინან დიდი კარიბჭით. მათი მაზიდები დატვირთულია ქოთნებით, საბნებით, ბინძური ძონძმანძებით, ყოველგვარი ხარახურით, რომელიც იმდენად უვარგისი და გამოუყენებელი ჩანს, რომ მათ დანახვაზე კაცს სიცილი აუვარდება. ვილაყას თხინთუის ან დამჭლევებული ძროხისთვის ჩაუვლია ხელი და მოაფხოკიალებს. ყველანი ძალზე შეშინებულნი ჩანან. მოქალაქენი ცხვირს იბზუებენ და ბუზლუნებენ, აქ რა დარჩენიათ, რისთვის მოეთრეოდნენ, ყველას ხელს უშლიანო, ლტოლვილებს მოედნებსა და ქუჩებში სძინავთ თავის საქონელთა ხერთად, ქალაქი სულ უფრო და უფრო ემსგავსება ბინძურ სოფელს და თავშეყრის ადგილებში საშინლად მყრალი სუნი ღვება.

ჩვენი ჯარები სულ უკან და უკან იხევენ, ამბობენ, მტერი ქალაქიდან შორს აღარ არისო, მაგრამ, სახელდობრ, სად დგას, არ ვიცი, ცნობები ერთმანეთის საწინააღმდეგოა და მათ კაცი ვერ ენდობა. სულ ერთი და იგივე თავმომაბეზრებელი და დამალონებელი ცნობები მოდის! წინააღმდეგობას ვუწევდით, მაგრამ იძულებული გავხდით, უკან დაგვეხიაო, ახლა იმედი გვაქვს, ცოტა ხნით გავმაგრდებით, მერე კი ისევ მოგვიხდება პოზიციების დათმობაო. ლტოლვილთა ნაკადი არ წყდება, ლამის წალეკონ ქალაქი. თავისი საქონლით, ძროხებით, და ბუზლუნით.

უცნაური ომია.

მართალი გითხრათ, ჩემთვის გასაგებია ჰერცოგის გულგრილობა და ისიც, რუ რატომ ჩაატოვა მთელი საქმე ხელში თავის მხედართ-

მთავრებს. თავდაცვა მას არ იტაცებს, არც აინტერესებს, ჩემი ბუნების კაცია, თავდასხმას, მიჭრას ამჯობინებს. იერიშებში, შეტევაშია ჩვენი სიცოცხლე! თავდაცვა რა სახსენებელია! დღენიდაღ არაფერი იცვლება, სულ ერთი და იგივე ამბებია, ერთფეროვანი და თავმოსაბეზრებელი, არც პეწი, არც ბრწყინვალება. ანდა რა საჭიროა? ნაპღვილი უაზრობაა, ვის შეიძლება თავდაცვა მოსწონდეს? მოსაწყენი ომია.

მონტანცას და ბოკაროსას ჯარები უკვე მოჩანს ქალაქის კედლებიდან. ახლა საღამოა და ჩვენი სენაკის ფანჯრებიდან დაბლობზე მოკიაფე წერტილებად ილანდება ბანაკში დანთებული კოცონები. მეტად ღაწახი სანახავი ბნელში აელვარებული პატარ-პატარა წერტილები. თითქოს თვალნათლივ ვხედავ დაქირავებულ მეომრებსაც, კოცონებს ირგვლივ რომ შემოსხდომიან და დღევანდელ ბრძოლას იხსენებენ. აგერ კოცონებს ზემოდან ზეთისხილის ფესვებს აყრიან, ალის მოცეკვავე ენები მათ ჯმუხ და მკაცრ სახეებზე ლაპლაპებს. ესენი ნამდვილი მამაკაცებია, თავისი ბედის გამგებენი, მომავლისა და საფრთხის წინაშე შიშით რომ არ იზაფრებიან, არ ელოდებიან, როდის დაატეხთ ბედი თავზე რისჩავს, თავიანთ კოცონებს, სადაც მოენებებათ, იმ მიწაზე ანთებენ, თავს არ იხეთქავენ იმაზე ფიქრით, ვის ხარჯზე ცხოვრობენ, ვინ უნდა წაუტეხოს ლუკმა. არ ეითხულობენ, რომელ ბატონს ემსახურებიან, რადგან ნიადაგ მხოლოდ საკუთარ თავის მომსახურებაზე ფიქრობენ. დალილი-დაქანცულები, პირდაპირ მიწაზე ეყრებიან და მოძავალი ხოცვა-ჟლეტის დაწყებამდე ისვენებენ. ამ ხალხს სამშობლო არ გააჩნია, მაგრამ მთელი ქვეყანა მათ ეკუთვნით.

ჩინებული საღამოა, შემოდგომის ჰაერი კრიალა და სიცივენაყბენია, სუსხი ქარს მთებიდან მოაქვს და ცაც, ალბათ, ვარსკვლავებით არის მოჭიქული, დიდხანს ვიჯექი ფანჯარასთან და კოცონთა უსასრულო წერტილებს გავცქეროდი. უკვე დროა, მეც დავისვენო.

კაცმა რომ თქვას, საოცარია, ამ სიშორეზე კოცონებს რომ ვხედავ, მაშინ, როდესაც ვარსკვლავებისთვის ცაზე თვალი არასოდეს მომიკრავს. საერთოდ, არ შემიძლია მათი დანახვა, ჩემი თვალების აღნაგობა, სხვებთან შედარებით, განსხვავებულია, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს ცუდი მხედველობა მქონდეს, ამ ცოდვილ მიწაზე ყველაფერს შესანიშნავად ვხედავ.

ხშირად ვფიქრობ ბოკაროსაზე, თვალწინ მიდგას ეს ჩოფურა, ზონზრობა გოლიათი, მხეცის მინამგვანი ყბითა და ღრმად ჩამქდარი თვალებით, მკერდზე კი მოუჩანს ლომის თავი — ავბოროტად დაღრენილი ონავარი ხახა, მთელ ქვეყნიერებას რომ უჩვენებს ენას.

ჩვენი ჯარისკაცებიც ლტოლვილებივით შემოვიდნენ ქალაქში ბრძოლის შემდეგ, ზედ ქალაქის კედლებთან რომ გაიმართა, ამ სისხლისმღვრელ შეტაკებას ჩვენი მხრიდან რამდენიმე ასეული მეომარი შეეწირა, რომ აღარაფერი ვთქვა დაჭრილებზე, დაუსრულვლად რომ შემოდრიოდნენ ან მოფორთხავდნენ ქალაქის კარში, ხან მარტოკა, ხანაც ქალების დახმარებით, რომლებიც ბრძოლის ველისკენ გაქანდნენ თავიანთი შვილებისა და ქმრების საძებნელად, ჩვე. მეომრები იმ დროისთვის, ბრძოლა რომ შეწყვიტეს და ქალაქის კედლებს შემოეფარნენ, უკვე ძალიან გასაფათებულნი იყვნენ, მათ გამო ახლა ქალაქში ნამდვილი სოდომ-გომორია. ქალაქი ისეა გადატენილი ჯარისკაცებით, დაჭრილებით და სოფლებიდან ჩამოხვე-წილი ლტოლვილებით, გეგონება, ეს-ეს არის, გასკდებაო. საშინელო არეულ-დარეულობაა, და, ბუნებრივია, განწყობილებაც საშინელია. ამაზე უარესი ძნელი წარმოსადგენია.

ხალხს პირდაპირ ქუჩებში სძინავს, თუმცა ღამობით უკვე ძალიან ცივა. ამბობენ, დღისითაც ყოველ ფეხის ნაპიჯზე ნახავ გაწამებულ მძინარე ადამიანებს ან დაჭრილებსო. ამ უკანასკნელთ სახელდახელოდ გადაუხვიეს ჭრილობები და მათზე ასლა აღარავინ ზრუნავს. ერთი სიტყვით, უკულმართი და შავბნელი დრო დაგვიდგა. ფიქრი იმის შესახებ, რომ მალე ალყაში მოგვიმწყვდევენ, სულაც არ უწყობს ხელს გააქარწყლოს ჩვენი სასოწარკვეთილება და უიმედობა.

საერთოდ, ღირს კი წინააღმდეგობა გაუწიო ისეთ ადამიანს, როგორც არის ბოკაროსა? პირადად მე არასოდეს მჯეროდა ამ ომის წარმატება.

თუმცა, ამბობენ, ქალაქი თავს დაიცავს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე; რომ საერთოდ, კარგად არის გამაგრებული, ძალიან დიდხანს შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა და, სულაც, აუღებელიაო, ყველა ქალაქი აუღებელი და მიუვალაია, ვიდრე შეიჭრებიან და დაიმორჩილებენ, მე ჩემი აზრი გამაჩნია მაგათ მიუვალ ქალაქებზე.

პერცოგი უეცრად გამოცოცხლდა, მგონი, თავდაცვას თავად უხელმძღვანელებს. ახლა ჩემს ბატონს ალმაცერად უყურებენ და მისი დანახვაზე აღარ ისმის აღფრთოვანებული შეძახილები. პირიქით, თვლიან, რომ მონტანცას სიკვდილი დამისი ამალის ამოხოცვა განუსჯელი საქციელი იყო და ამას არ შეიძლებოდა მოჰყოლოდა სხვა რამ, თუ არ ხელახალი ომი და ხელახალი უბედურება.

პერცოგის მეუღლე ფეხზე წამოდგა და ცოტოტობით კნასავს კიდევ საჭმელს, მაგრამ ძველი იერი მაინც ვერ დაუბრუნდა. ძალიან გახდა, ოდესღაც მსუქან სახეზე კანი შეაჭკნა და გაუნაცრისფერა.

და. გეგონებათ, სულ სხვა ადამიანად იქცაო. კაბები ეფაროხუნება, თიაქოს ნასხვისარი ეცვას. მუდამ შავებში დადის. თუ ოდესმე სიტყვა დასცდა, ჩუმად, თითქმის ჩურჩულით უნდა თქვას. ტუჩები ისევ ისე გამკვანარი აქვს. სიგამხდრემ მეტისმეტად შეუცვალა სახე. თვალები ჩაუცვივდა, ირგვლივ შავი რგოლები შემოესალტა, მზერა დაძაბული აქვს.

საათობით ლოცულობს ჯვარცმის წინაშე, ვიდრე მუხლს მთლად არ გაუქვავდება, ისე რომ წამოდგომასაც ვეღარ ახერხებს. რას შესთხოვს უფალს, რაზე ლოცულობს, რა თქმა უნდა, არ ვიცი, მაგრამ, ეტყობა, მისი ლოცვა ცად ვერ აღწევს, რადგან დღემუდამ ისევ და ისევ თავიდან იწყებს ყველაფერს:

ჭერცოვის მეუღლე თავისი საწოლი ოთახიდან არასოდეს გამოდის.

როგორც ამბობენ, მაესტრო ბერნარდო ეხმარება ჰერცოგს თავდაცვის ნაგებობათა გამაგრებაში და ქმნის სხვადასხვა ბრიკიან სამარჯვ-მოწყობილობებს, რომლებიც ფასდაუდებელია ალექსანდრე-ტყეშელის ქალაქის დაცვის დროს. ამბობენ, მუშაობა გაჩაღებულია და არც დღე და არც ღამე არ წყდებაო.

ექვი არ მეპარება მაესტრო ბერნარდოს გამჭრიახობაში, მაგრამ ვფიქრობ, ბოკაროსასთან უძლურია, რა თქმა უნდა, მოხუცი მაესტრო ძლიერი პიროვნებაა და მისი აზრი და გონება თუ ყველაფერს არა, ბევრ რამეს მაინც სწევდება, უდავოა ისიც, რომ მას ემსახურებიან უძლეველი სტიქიონები, ბუნებას რომ მორჩილებენ, თუქცა, რა თქმა უნდა, ეს მათი სურვილის გარეშე ხდება. მაგრამ ბოკაროსა თავად არის სტიქია, ამიტომაც სხვა სტიქიები მონღოვებით და ხალიხით ემსახურებიან. ბერნარდო დედაბუნებას მოწყვეტილი კაცია და მისი აპარტაენული, არისტოკრატიული სახის ნაკეთები ჩემში რალაცნაირ უნდობლობის გრძნობას იწვევს.

ჩემი აზრით, ორთაბრძოლა უთანასწორო იქნება.

ყველა, ვინც ამ ორ ადამიანს შეხედავს, დააკვირდება მაესტრო ბერნარდოს მოაზროვნის შუბლსა და ბოკაროსას ძლიერ, — მტაცებელურ ყბას, უეჭველად მიხვდება, ვინც არის მათ შორის უძლიერესი.

სურსათ-სანოვაგე გამოილია. აქ, სასახლეში, რა თქმა უნდა, ეს არ იგრძნობა, მაგრამ, ქალაქი რომ შიმშილობს, ამას თქმა აღარ უნდა, აქაურობა ისეა გაჭედილი, ნემსიც კი არსად ჩავარდება. ლტოლვილებს სულ უფრო და უფრო მტრულად უყურებენ, მათ თვლიან შიმშილობის მიზეზად და არცთუ უსაფუძვლოდ. მართლაც, მოქა-

ლაქეებს ისინი მძიმე ტვირთად დააწვენენ. განსაკუთრებით აღიზიანებთ მათ ლტოლვილთა ზღუქუნა, გაზუნზლული ბავშვები, ყველგან რომ დაწანწალებენ და მოწყალეობას თხოულობენ. ამბობენ, თუ მოიხელთეს, ქურდობასაც არ თაკილობენო. პურს კვირაში ორსამჯერ არიგებენ და ისიც მეტისმეტად მცირე ულუფებად, იმიტომ, რომ ალყას არავინ ელოდა და საამისოდ არც მოვზზადებულვართ, მარაგი კი უმნიშვნელოა და, როგორც ეტყობა, მალე ამოიწურება. ის ლტოლვილები, ვინც თხა ან ძროხა მოაყოლა თან და პირველ ხანებში მათი რძით იკვებებოდა, იძულებულნი გახდნენ დაეკლათ შიმშილისაგან მიმკვდარებული, ძვალტყავადქცეული პირუტყვი, რადგან მათთვის საკვები აღარსად მოიქვებოდა. ერთხანს ამ ხორციით გაიტანეს თავი, ზოგჯერ ხორცს ფქვილზეც ან სხვა რამეზე ცვლიდნენ, ახლა აღარაფერი დარჩათ და არც მანცდამანც მჭერა, მოქალაქენი რომ ამბობენ, აქაოდა, ხორცი გადამაღეს და სხვებზე უკეთ ცხოვრობენო. მათი შემხედვარე ამას ვერ იტყვი. ისე არიან გამოღნაპულები, ზედვე ეტყობათ, რომ შიმშილით კუჭი უხმებათ. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ მათდამი რაიმე სიმპათიები მაქვს, პირიქით, მოქალაქეებივით მეც, ზიზლით ვუყუარებ ამ ხალხს, როგორც ყველა სოფლელი, ისინიც გონებამძიმენი არიან, ცისმარე დღე გულხელდაკრეფილები სხედან და აქეთ-იქით აქყეტენ თვალებს. არავის უახლოვდებიან, ჯგუფებად დაიყვენენ, თანა-სოფლელები ერთმანეთს მიეკედლნენ, და თითქმის მთელ დროს თავის ბინძურ სადგომებში ატარებენ, მოედნის რომელიმე კუნძულში, საცხოვრებლად თავად რომ აირჩიეს! აქ მათი აყროლებული ძონძებია მიყრილ-მოყრილი და თავსაც ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში. საღამოობით თუ საღამე საწვავი მოიხელთეს, კოცონების ირგვლივ შემოსხდებიან და თავიანთ მარტივ ენაზე ლაპარაკობენ. ამ კილოკავიდან კაცი სიტყვასაც ვერ გაიგებს, ქუჩებში და მოედნებზე თავშეყრილი ხალხის გამო შემამარწუნებელი ჭუჭყი და ზინზლის სუნია. მე, ჩემდა თავად, მეტისმეტად მიყვარს სისუფთავე და წესრიგი და ამ მხრივ სხვების მიმართაც მეტად მომთხოვნი ვარ, ამიტომ, ვერ ამისნია, რატომ იზრჩვებიან ჭუჭყში ეს ადამიანები. განსაკუთრებით ზიზლის გრძნობას იწვევს ჩემში — ზოგის აზრით, გადაჭარბებულსაც კი — ადამიანის ექსკრემენტი და მისი სუნი, ეს პრიმიტიული არსებები კი თავიანთ შინაურ პირუტყვებს დაემსგავსნენ და სადაც მოიხელთებენ, იქვე ჩახტდებიან. რა უმსგავსობა და ღორობაა! ჰაერი თითქოს დაჭირიანდა, ქუჩები და მოედნები კი ისეთ საშინელ დღეშია, რომ ეცდილობ, სასახლიდან რაც შეიძლება იშვიათად გავიდე, თუმცა, რაც ჰერცოგის მუელლე ასე შეიცვალა,

დონ რიკარდომ კი, ჩემდა საბედნიეროდ, ეშმაკს მიაბარა სული, არც მაინცდამაინც მტვிரთავენ საქმით.

ეს უსახლკარონი პირდაპირ ქუჩებში მიყრილები ათევენ ღამეს. და ახლა, როცა დაზამთრდა, თანაც უჩვეულო ყინვები დაიჭირა, თავის კონკებში, ალბათ, არცთუ ისე თბილად გრძნობენ თავს, აზობენ, ზოგიერთს დილით ქუშაჩი გაყინულს ნახულობენო, გდია თავისთვის ეს ძონძების გროვა და აღარ დგება, სხვები ადგებიან, ის კი არც ინძრევა, დახედავენ და, — სიცოცხლის ნიშანწყალიც აღარ ეტყობა. მაგრამ ისინი, ალბათ, შიმშილით უფრო იღუპებიან, ვიდრე სიცივით, უმეტესად მოხუცები იხოცებიან, ისედაც უძღურნი და ღისხლგაყინულნი, ჰოდა, დაიხოცონ, რა მენაღვლება, ქალაქში უიმათოდაც ჭარბად არის ხალხი.

ბოკაროსას დაქირავებულ ჯარს არაფერი აკლია, მთელი ქვეყანა შთა განკარულდებაშია, ძარცვე, რამდენიც გაგიხარდება! ჰოდა, ძარცვავენ კიდევ. სულ წინ, ქვეყნის შუაგულისკენ მიიწევენ, და ყველაფრით უზრუნველყოფილნი არიან. ნაძარცვე-ნაოხარ სოფლებს შემდგომ წვავენ და ღამღამობით ცაზე ხშირად მოჩანს ხანძრის შორეული არილები. ქალაქის შემოგარენი დიდი ხანია ააოხრეს და დაარბიეს. •

მაგრამ საკვირველია, გადმწყვეტ იერიშზე რატომღაც არ მოდიან, ეს ძალიან მოოცებს, ქალაქს ახლა, რა თქმა უნდა, სულ ადვილად ჩაიდებდნენ ხელში. იქნებ ფიქრობენ, რომ უფრო ბელსაყრელი იქნება ქალაქი დაამშონ, ძალ-ღონე გამოაცალონ და მერე აიღონ. და რაკი შეუძლიათ ქვეყანა თავის გემოზე ძარცვონ, არც ჩქარობენ შეტევაზე გადმოსვლას. ანჯელიკას საქმე არაფერი აქვს, წინათ, ხელსაქმობდა მაინც, ახლა თითქმის მთელ დროს მდინარის პირას ატარებს, ზის თავისთვის და გედებს საქმელს უყრის. ან მდინარის სწრაფმავალ ჩქერს დასჩერებია. ზოგჯერ მთელი საღამო ფანჯარასთან მიჯდება და მტრის საგუშაგო კოცონებს, კარკებს და მათ უკან გადაშლილ გადახრუჯულ ველს გასცქერის. ალბათ, გამუდმებით თავის ჯოვანიზე ფიქრობს. საკვირველია სწორედ, რა სასაცილონი არიან შეყვარებულები, განსაკუთრებით მაშინ, თუ სიყვარული უიმედოა. საოცრად გამოთაყვანებული სახეები უხდებათ. ვერ გჷშიგია, რატომ ამტკიცებენ, სიყვარული აღამიანს აღამაზებსო. თვალელები ანჯელიკას, თუკი ამას შესაძლებლად მივიჩნევთ, კიდევ უფრო სულელური გაუხდა, სახე გაუფერმკრთალდა, ისეთი აღარ არის, ზეიმის დროს რომ იყო, მაგრამ პირი თითქოს გაუდიდდა, ტუჩებიც ამობრუცა, უკვე ეტყობა, რომ ბავშვობას გამოეთხოვა.

მე მგონი, ერთადერთი ადამიანი ვარ, ვინც მისი საიდუმლო იცის.

ჩემდა გასაოცრად, დღეს ჰერცოგის მეუღლემ მკითხა, როგორ გგონია, ქრისტეს ვეჯავრები თუ არაო. რა თქმა უნდა, არ ვიცი-მეთქი, ეუთხარი. რალაცნაირად შემომხედა, თვალები ანთებული ჰქონდა, აღელვებული ჩანდა. ჰო, რა თქმა უნდა, ვეჯავრები, რადგან წუთითაც არ მაძლევს მოსვენებას, ალბათ, ჩემი ცოდვებისთვის შემძიძვლო. დავეთანხმე, ადვილი გასაგებია-მეთქი, თითქოს დამწვიდდა იმის გამო, რომ მეც იმავე აზრის ვიყავი, ღრმად ამოიოხრა და სკამზე დაეშვა. ჩემი დარჩენა საჭირო აღარ იყო, რადგან, როგორც ყოველთვის, ამ ბოლო დროს, არც ანლა დავუსაქმებიავარ. როდესაც ვკითხე, შეიძლება თუ არა, წავიდე-მეთქი, მიპასუხა, მე რა უფლება მაქვს, რამე გიბრძანო, მაგრამ ისე ვედრებითა შემომხედა, კაცი იფიქრებდა, ჩემგან რამე დახმარებას ელისო. თავი მეტად უხერხულად ვიგრძენი და წასვლა ვაჩქობინე, კართან რომ მივედი, უკან მივიბრუნე და დავინახე, როგორ მოიყარა ჭეხილი ჭვარცმის წინაშე და სასოწარკვეთით მოჰყვა ლოცვების ბუტბუტს, თან, გაძვალტყავებული თითებით კრიალოსანს მარცვლავდა.

ყველაფერმა ამან ჩემზე ძალზე უცნაური შთაბეჭდილება მოახდინა.

რა დემართა ამ ბებერ სულელს?

ეპვი არ მეპარება, რომ ჰერცოგის მეუღლე სერიოზულად ფიქრობს, მაცხოვარს ვეჯავრებით. დღესაც ამაზე ველაპარაკებოდა, ჩემი ლოცვა ამოაო, მითხრა, სულ ერთია, არ შემინდობს, არ შემიწყალებსო, ჩემი ხმა, უბრალოდ არ სწვდება მას, არაფრით აქელავნებს, რომ ამჩნევს ჩემს არსებობას, გარდა იმისა, რომ მოსვენებას წუთითაც არ მაძლევსო. საშინელებაა, ამის გაძლება არ შემიძლიაო. მე ეუთხარი, ალბათ, აჯობებს, შენს მოძღვარს მიმართო, ის ხომ ყოველთვის თანაგიგრძნობდა-მეთქი. თავი გააქნია, უკვე ვცადე, მაგრამ მოძღვარს ჩემი შეველა არ შეუძლია. მას უცოდველი ვგონივარო. ვერც კი მიხვდა, რას ვეუბნებოდი. მე გესლიანად ჩავიციინე პირმოთნე ბერის ორპირობაზე, მაშინ ჰერცოგის მეუღლემ მკითხა, საინტერესოა, შენ რა აზრისა ხარ ჩემზეო, ეუთხარი, ცოდვილად მიმაჩნობარ და სამუდამოდ ჭოჯოხეთის ცეცხლში დაიხრუტები-მეთქი. მაშინ ჩემ წინ მუწლებზე დავცა და თითების მტვრევას მოჰყვა, ისე რომ სახსრები სულ გაუთეთრდა. მოთქვამდა და ქვითინებდა, მევედრებოდა, მიხსენ და შემიწყალე მე დაღუპულიო. მაგრამ მე მშვიდად დავცქეროდი, როგორ იხლანებოდა ჩემს ფეხებთან. ჯერ ერთი, აბა, რით უნდა დაეხმარებოდი, და მეორეც, ეფიქრობდი, რომ სა-

მართლიანად იტანჯებოდა. მან ხელი ხელზე წამავლო და სუნდ მღუ-
ღარება დამაფრქვია, მერე კოცნაც დამიპირა, მაგრამ მე ხელი წავ-
გლიჯე და ამის ნება არ მივუცე, მაშინ უფრო მაღალი ხმით იწყო
გოდება და თავი ისტერიკადლე მიიყვანა, „მოინანიე შენი ცოდვები!“
ვუთხარი და ვიგრძენი, როგორ გამიმკაცრდა სახე. ჰერცოგის მე-
ულლე აღსარების სათქმელად მოემზადა, მერე ყველა თავისი ცოდ-
ვა ჩამომიწიქწიქა, გამოტყდა, რომ უზნეო ცხოვრებას ეწეოდა,
მრუშობდა მამაკაცებთან, რომელთა მკლავებისკენ თვით ეშმა უბიძ-
გებდა, ის სიამოვნებანიც აზიწერა, რასაც განიცდიდა მაცდურის
ბადეში საბოლოოდ გახლართული. მე ვაიძულებდი დაწვრილებით
აეწერა თავისი ცოდვები და ის შემზარავი სიამოვნებაც, ამ ცოდ-
ვებს რომ ახლდა, დაესახელებინა მამაკაცები, ვისთანაც დანაშაუ-
ლებრივ კავშირში იმყოფებოდა. მან მორჩილად შეასრულა ჩემი
ბრძანება და ჩემ წინაშე გადაიწალა მისი საძრახისი ცხოვრების სა-
ზარელი სურათი, მაგრამ ჰერცოგის ცოლს დონ რიკარდო ერთხელაც
არ უხსენებია, და, როცა ეს შევახსენე, გოცებით შემომხედდა,
თითქოს ვერა და ვერ მიმხვდარიყო, რას შოვითხოვდი მისგან, რა
შუაშია აქ დონ რიკარდო? განა ესეც ცოდვაა? მე ვუთხარი, ეს
ყველა ცოდვაზე უმძიმესია-მეთქი, მაგრამ ჩემი სიტყვები ვერ გაი-
საცნაურა, როგორც ეტყობა, ეს აზრი თავში არასოდეს მოსვლია.
გოცებით და ეჭვით შემოპკქეროდა, ბოლოს მაინც ჩაუფიქრდა
ჩემს ნათქვამს და შევატყვე, შიში მოეძალა. „განა დონ რიკარდო
ყველაზე მეტად არ გიყვარდა?“ შევეკითხე. „მიყვარდა“, ჩურჩუ-
ლით, ძლივს გასაგონად მომიგო მან, და ისევე გადმოყარა ცრემლები,
მაგრამ ახლა ადრინდელივით აღარ მოთქვამდა, ისე ტიროდა, რო-
გორც ჩვეულებრივ ტირიან ზოლმე ადამიანები, ეს კი იყო, ვეღარ
გაჩერდა და ბრაზმორეულმა ვუთხარი, ჩემი წასვლის დროა-მეთქი,
უმწეოდ შემომხედდა, თითქოს რაღაცას მეპუღარებოდა, მერე მითხ-
რა, ეგება შეძლო და რამეთი ნუგეში მცე, რა გზას დავადგე, რომ
ღმერთმა წყალობის თვალით გადმოიხვედოსო, მე ვუთხარი, წარ-
მოუდგინელი კადნიერებაა, ღმერთს შეწყალებას რომ სთხოვ, ისე
ხარ ცოდვებით დამძიმებული, შენი ლოცვა მაცხოვრამდე ვერად-
რით მიაღწევს-მეთქი. ჭვარს იმიტომ კი არ ეცვა და ივნო, შენისთა-
ნების ცოდვები გამოესყიდა-მეთქი. ჰერცოგის ცოლმა უსიტყვოდ
მომისმინა და თქვა, მეც სწორედ ამასვე ვგრძნობ, ღირსი არა ვარ.
ჩემი ლოცვები უფალმა შეიწყნაროსო. გულის სიდრმეში მუდამ
ვგრძნობდი ამას, როდესაც მუხლმოდრეკილი ჭვარცმის წინაშე
ვლოცულობდიო. თეოდორა ოხრავდა, მაგრამ ოდნავ მაინც დამშვი-
დებული ჩანდა, სკამზე ჩამოჯდა და ამეტყველდა: უდიდესი ცოდ-

ვილი ვარ დედამიწის ზურგზე, ყველაზე ზნეწაზნადარი და დაცემულიო. ტიროდა და ვიშვიშებდა, ვერასოდეს ველირსები უფლის წყალობასო, მე ბევრი მამაკაცი მიყვარდა, თქვა მან, მაგრამ უფალი და იესო მაცხოვარი არ მყვარებია, ამიტომაც ახლა ეს ჩემი სასჯელი სამართლიანად მიმაჩნიაო.

მერე სიკეთისთვის მადლობა გადამიხადა, აღსარება რომ გაგანდე, თავს უფრო უკეთ ვგრძნობ, თუმცა ძალიან კარგად მესმის, უფალი ცოდვებს არასოდეს მიმიტევებსო, მერე დასძინა, დღეს ტირილი პირველად შეეძელიო.

მე წამოვედი, ის კი ისევ ისე დამჭდარი დაეტოვე, სწოდავი ბებერი ქალი, თვალბაწითლებული და კაქკაქის ძველ ბუდესავით აბურღულ-დაბურღული თმით.

ჰერცოგი და ფიამეტა დიდხნობით არიან ერთად, სალამოს, ტრაპეზის შემდეგაც ხშირად განმარტოვდებიან ზოლში. ამ დროს მეც იქა ვარ და ჩემს ბატონს ვემსახურები. ჰერცოგი თავის მეუღლესთანაც ასე იჯდა სალამოობით, მაგრამ ეს ძალიან იშვიათად ხდებოდა. ფიამეტა სულ სხვა ყაიდის ქალია, — ცივი, თავდაჭერილი, კუშტი, უქარება, და, ამასთან, საოცარი ხელმძღვანის პატრონი. მკაცრი, შავგვრემანი სახე აქვს, ასეთი სუსხიანი სახის ქალი ჯერ არ მინახავს, ასე ლამაზი რომ არ იყოს, არც გული გაგიწევდათ მისკენ. ნახშირით შავ თვალბაწითლებული ერთადერთი ნაპერწკალი უცლავს, მისი შუგრა გიპყრობს და გაჯადოებს.

მე მგონი, ეს ქალი ზიყვარულშიც ცივი იქნება, იმდენს ვერაფერს მოგანიჭებს, რასაც თავად მიიღებს და, იმისგან, ვისაც შეიყვარებს, ალბათ, სრულ მორჩილებას მოითხოვს. ჰერცოგს, მგონი, ეს კიდევ სიამოვნებს, მოსწონს, რომ ემორჩილება ამ ქალს. შეიძლება სიყვარულში გულგრილობა უფრო მეტად ფასდება, ამა მე რა ვიცი?

პირადად მე ფიამეტას საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, სამაგიეროდ სხვები ასე არ ფიქრობენ, ეს ქალი მსახურებს აგდებულად ეპყრობა, ეს უკანასკნელნი კი, მათივე სიტყვით რომ ვთქვათ, ასეთ რამეს არ არიან ჩვეულნი, მით უმეტეს, რომ ფიამეტა მათი ქალბატონი სულაც არ არის, უბრალოდ, ჰერცოგის ხარქია. მიუხედავად ამისა, სხვა სეფექალებს მაინც თავს არ უყადრებს, ჩემი აზრით, არც ადრე გაუტოლებდა მათ თავს და ისიც საკითხავია, მიაჩნდა თუ არა ოდესმე ვინმე თავის ტოლად, მაგრამ ეს მის ამპარტავნობას კი არა, უფრო თანდაყოლილ სიამაყის გრძნობას უნდა მიეწეროს, სეფექალები, რა თქმა უნდა, სულ ცოფებს ყრიან, მაგრამ ვერა-

ფერს უბედავენ, ადვილი შესაძლებელია, ფიამეტამ ჰერცოგის მე-
ულლის ადგილი დაიჭიროს თუ, რასაკვირველია, თეოდორამ მოუ-
ლოდნელად თვითონვე არ დაიბრუნა ქმარი.

მთელი სასახლის კარი ლაპარაკობს, ფიამეტამ მხოლოდ და მხო-
ლოდ პატივმოყვარეობის გამო დართო ნება „შეეცდინათ“, თორემ
თევზივით ცივისსხლიანია და რომ ასეთი საქციელი ბოლოს და ბო-
ლოს უზნეობა და უსირცხვილობააო. არ ვიცი, ამაში რას გულისხმო-
ბენ, ფიამეტა სულაც არ ახდენს უზნეო ქალის შთაბეჭდილებას.
ჰერცოგი, უდავოდ, ძალიან გატაცებულია ამ ქალით და ცდილობს
მის გვერდით ყოველთვის თავაზიანი და მომხიბვლელი იყოს.
თუმცა, ეტყობა, საერთოდ გუნებაზე ვერ არის. ძალიან გულფიცხი
და ნერვიული გახდა, ზოგჯერ სრულიად უმიზეზოდ გაბრაზდება და
მსახურებს შავ დღეს აყრის, წინათ ასეთი რამ, არა სჩვეოდა. თუმცა,
მსახურები რა მოსატანია, დიდებულებსაც ხშირად მოხედებათ ხოლ-
მე, ამბობენ, მეტად გაღიზიანებულია იმის გამო, რომ ხალხი უკმა-
ყოფილოა მისით და საყოველთაო პატივისცემით აღარ სარგებ-
ლობს, ესე იგი, როგორც იტყვიან ხოლმე, აღარ არის ისეთი პო-
პულარული. განსაკუთრებით უფუჭებენ გუნებას დამშეულები, სა-
სახლის ფანჯრების ქვეშ რომ დგებიან და გაპყვირიან, პური მოგვე-
ცითო.

ჩემი აზრით, ჰერცოგს არ შეჰფერის ყურადღება მიაქციოს ასეთ
წვრილმანს, რა მნიშვნელობა აქვს, რას ფიქრობს ან რას გაპყვირის
მის ირგვლივ მყოფი ბრბო, იქონი ყოველთვის გამონახავენ საბაბს სა-
იმისოდ, რომ იყვირონ, თუ ყურად იღე და დაუფიქრდი ყველაფერს,
რასაც ხალხი გაპყვირის, სულ მის მომადლიერებასა და გულის მო-
გებაზე უნდა იფიქრო.

დაბეჭითებით ამბობენ, ჰერცოგმა საიდუმლოდ გასცა ბრძანება,
გაეროზგათ სასახლის კარის ასტროლოგი ნიკოლდემუსი და სხვა
წვერცანტარები, მათი „განსაკუთრებით ხელსაყრელი“ წინასწარ-
მეტყველებისათვის. რა ვუყოთ მერე, შეიძლება ასეც იყოს. ჰერ-
ცოგის მამაც ხომ ამგვარადვე მოიქცა, თუმცა მაშინ სულ სხვა მი-
ზეზი ედო სასჯელს სარჩულად: ასტროლოგებმა ისე არ იწინასწარ-
მეტყველეს, როგორც მათ ბატონს სურდა.

ძნელია ვარსკვლავების მიხედვით მკითხაობა, თანაც ისე, სხვები
რომ კმაყოფილნი დარჩნენ.

ქალაქში მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მწვეავდება. შეიძ-
ლება ითქვას, რომ ახლა აქ ნამდვილად შიმშილი მძვინვარებს. ყო-
ველდღე მატულობს დახოცილთა რიცხვი, თუმცა ძნელი სათქმე-
ლია, მარტო შიმშილით იხოცებიან თუ სიცივითაც. ქუჩებსა და მო-

ელნებზე მრავლად ყრია ღონეგამოცლილი ადამიანები, ვისაც წა-
მოსადგომად ძალა აღარ შესწევს. ეტყობა, მათთვის უკვე ყველა-
ფერი სულ ერთია. სხვები მთარული ჩონჩხებივით დაუნეტებთან
ქალაქში, ლუკმა საჭმელის ან ისეთი რამის საძებრად, რითაც შეეძ-
ლებათ შიმშილის გრძნობა ჩაიხშონ. ძაღლებზე, კატებსა და ვირთ-
ხებზე გაცხარებული ნადირობაა. ახლა ამ ცხოველების ხორცს სა-
ნუჯვარ საჭმელად თვლიან, ადრე ვირთხების გამო ერთი ვაი-უშ-
ველებელი ტრიალებდა ლტოლვილთა ბანაკში, სადაც ისინი მრავ-
ლად დაძრწოდნენ ყოველგვარ სიბინძურეში, ახლა კი მათ შუ-
რის თვალს უბრიალებენ, მაგრამ ამბობენ, თანდათანობით ესენიც
გაქრნენ, მათი დაჭერა სულ უფრო და უფრო ჭირსო. ეტყობა, რა-
ღაც სენი შეეყარათ, იმიტომ რომ ყველგან მკვდარი ვირთხები ყრია,
საოცარია, რაღა მაშინ გაწყდნენ, როცა შეიძლებოდა ადამიანს
რამეში გამოდგომოდნენ.

სულაც არ მიკვირს, ვირთხებმა ადამიანების მეზობლობა რომ
ვერ აიტანეს.

რაღაც წარმოდგენელი რამ მოხდა. ვეცდები, მშვიდად და
დაწერილებით ავწერო ყველაფერი და თან თანპიძღვერობაც დავიტ-
ვა. ეს არც ისე ადვილია, რადგან თავად ვიყავი ამ ამბის მონაწილე.
საქმოდ მნიშვნელოვანი როლის შესრულებაც მომიხდა და ისე ვარ
შინაგანად შეძრული და აფორიაქებული, აქამდე ვკანკალებ, ახლა,
როცა ყველაფერი დამთავრდა და, გავებდავ და ვიტყვი, საქმე კე-
თილად დაგვირგვინდა, ასე რომ, შემიძლია, კმაყოფილი ვიყო შე-
დეგით და საკუთარი თავითაც, მინდა ღამით ჩაუეჭდე და მოკლედ
აღვწერო, რა და როგორ მოხდა.

გუშინ საღამოს, მოგვიანებით, ჩემს ფანჯარასთან ვიჯექი და ბო-
კაროსას მოკიაფე კოცონებს გავცქეროდი. რაც უკვე ჩვეულებად
მექცა. უეცრად მდინარესთან, ხეებს შორის ვიღაც კაცი დავლან-
დე, სასახლის მარჯვენა ფრთისკენ მოემართებოდა. ვერ მოვისახრე,
ვინ უნდა ყოფილიყო, ასე გვიან ვის რა საქმე უნდა ჰქონოდა აქ.
ბოლოს გავიფიქრე, ალბათ, ვინმე მსახურთავანი რქნება-მეთქი.
მთვარე ანათებდა, მაგრამ ირგვლივ სქელი ნისლი იღო და ხედვას
მიშლიდა, იმ კაცს გაჭირვებით ვარჩევდი. ასე მომეჩვენა, რომ ფარ-
თო ლაბადაში იყო გახვეული და თითქმის გამორბოდა ფლიგელის-
კენ, მიაღწია იქამდე და ერთ-ერთ შესასვლელში გაუჩინარდა. რაკი
შესასვლელი იცის, მაშასადამე, ვინმე ჩვენთან იქნება-მეთქი, ვიფიქ-
რე, მაგრამ ამ კაცის გარეგნობა როგორღაც არ მექაშნიკა, მისმა

საქციელმა კი დამაეჭვა, ამიტომ გადავწყვიტე, თვითონვე შემემოწმებინა საქმის ვითარება, სწრაფად დავეშვი კიბეზე და იმავე შესასვლელით უცნობს უკან მივეყვი. კიბეს სიბნელე გადმომხობოდა, მაგრამ ჰერცოგს მეუღლის წყალობით, მთელ სასახლეში ყველაზე მეტად აქ მისდებოდა სიარული და ადგილს კარგად ვცნობდი, სხვათა შორის, ახლა ამ მხარეს ანჭელიკალა დარჩა, სხვა ოთახები გაუქმებულია.

მე ხელის ცეცებით ავათავე კიბე, ანჭელიკას კარს შივადექი და მივაყურადე. ჩემდა გასაოცრად, თუმცა ნაწილობრივ ამისთვის უკვე შემზადებული ვახლდით, — კარს უკან ლაპარაკი შემომესმა და უეცრად ჯოვანის ხმა შევიცანი.

ჩურჩულით საუბრობდნენ, მაგრამ ყური მოვიმახვილე და ყველაფერი გავარჩიე. ცხადი იყო, გულის ამაჩუყებელი უსაზღვრო „ბედნიერების“ უხილავი მოწმე შევიქენი.

„საყვარელო!“ — სუნთქვა ეკვროდა ბიქს. „ჩემო ძვირფასო!“ — ჩურჩულით ამბობდა გოგო, და შერე ისევ „საყვარელო!“ სხვა არაფერი ისმოდა და უცხო ყურისთვის ეს მათი „გატაცებული“ საუბარი სულაც არ იყო საინტერესო. ის, რაც ახლა აქ ხდებოდა, ასე დამაფიქრებელი და შემზარავი რომ არ ყოფილიყო, ეს უსასრულო გამეორება ერთი და იგივე სიტყვისა ნამდვილად სასაცილოდ მომეჩვენებოდა. მაგრამ ახლა სიცილისთვის არ მცხელოდა, სისხლგაყინული ვისმენდი, რა დაუდევრად და გულუბრყვილოდ იმეორებდნენ სიტყვას, რომლის შინაარსსაც წუთით რომ ჩაფიქრებოდნენ და მისი მნიშვნელობა გაესაცნაურებიან, თავზარდაცემულნი შიქრწუნდებოდნენ, მერე, კოცნის ხმასთან ერთად, შემომესმა, მინდობილად და ენის ბორძიკით როგორ ეფიცებოდნენ ერთმანეთს სიყვარულს, ეს შემაძრწუნებელი იყო.

მე უკანვე გამოვქანდი. სად ვიპოვო ჰერცოგი? სატრაპეზოში ხომ არ იქნება? ერთი საათის წინ, ფიამეტასთან ერთად იქ მარტო დავტოვე. ვემსახურებოდი იმათ, ვიდრე ჰერცოგმა არ მიბრძანა, შეგიძლია წახვიდე, აღარ მჭირდებაო. აღარ მჭირდებაო! ნურას უკაცრავად! — ვფიქრობდი და სიბნელეში ზელის ცეცებით ჩავდიოდი კიბეზე. — ქონდრისკაცი თავის ბატონს მუდამ დასჭირდება.

მე სასახლის შიდა ეზო გადავქერი და გავქანდი კარიბჭის თაღისკენ, რომელიც შენობის ძველ და ახალ ნაწილებს ერთმანეთისგან ჰყოფდა. კიბე და გასასვლელები, რა თქმა უნდა, აქაც ჩალუსკუშებული იყო, მაგრამ გზა მაინც გავიგენი და აქოშინებული, ორსაგდულიანი მაღალი კარის წინ აღმოვიჩნდი. ყური მივეუგდე, ჩქამი არსაიდან ისმოდა, მაგრამ გამორიცხული არ იყო, რომ ჰერ-

ყოფი და ფიამეტა მაინც აქ ყოფილიყვნენ. რა თქმა უნდა, სჯობდა, ამაში თავად დავრწმუნებულყავი, მაგრამ, სამწუხაროდ, კარს ვერაფერს მოვუხერხებდი, ეს ერთი იმ კართაგანია, რომლის გაღება, ჩემი სიმაღლის წყალობით, არ მეხერხება. ერთხელ კიდევ მივაღვე ყური კარს, სიჩუმეს არაფერი არღვევდა, აღარაფერი დამრჩენოდა, უნდა გამოვბრუნებულყავი, თუმცაღა გულის სიღრმეში ექვი მაინც მკენწლავდა.

ახლა ჰერცოგის სავანეს მივაშურე, ეს არც ისე შორს იყო სატრაპეზოსგან, მხოლოდ ერთი სართულით მაღლა ასვლა დაჰქირდებოდა. კიბე ავირბინე, კართან მივიქერი და სმენად ვიქეცი, მაგრამ ვერაფერი გავიგონე, არაფერი მიანიშნებდა იმაზე, რომ ჰერცოგი აქ იყო. იქნებ უკვე სძინავს, გავიფიქრე. ადვილად შეიძლებოდა, ასეც ყოფილიყო. ეგება ღირდეს გავკადნიჯრდე და გვაღვიძო? არა, წარმოუდგენელია, ეს ჩემი მხრივ მიუტევებელი თავხედობა იქნებოდა, მაგრამ საქმეც ზომ მეტად საშური და მნიშვნელოვანი მქონდა.

მხნეობა მოვიკრიბე და დავაკაჯუნე, არავინ გამომეხმაურა. მაშინ მთელი ძალით დავუშინე მუშტები კარს. არავითარი პასუხი!

მაშასადამე, ჰერცოგი აქ არ არის, ვთქვი გულში, მან ხომ საოცრად ფხიზელი ძილი იცის!

კარგი და, თუ აქაც არ არის, სად შეიძლება იყოს? მე სულ უფრო და უფრო ვნერვიულობდი, რამდენი დრო დავკარგე ტყუილუბრალოდ! სად უნდა ყოფილიყო ჰერცოგი!

იქნებ ფიამეტასთანაა? ეგება იქ წავიდნენ, უფრო თავისუფლად რომ იგრძნონ თავი? ეს ჩემი უქანასკნელი იმედი იყო.

კიბიდან კისრისტეხით დავეშვი და ეზოში გავჩნდი. ფიამეტა სასახლის სულ სხვა ნაწილში ცხოვრობს. შესაძლოა, განგებაც მოაწყვეს ასე, რომ უფრო კარგად შეენიღბათ თავიანთი ურთიერთობა?

სანამ იქ მიხვიდოდე, ეზო თავიდან-ბოლომდე უნდა გადაჭრა.

როგორც იქნა, ვიპოვე საჭირო შესასვლელი, მაგრამ რადგან სასახლის ამ მხარეს გაცილებით ცუდად ვიცნობ, დიდხანს დავეხეტებოდი ალალებდზე. ავდიოდი კიბეზე, გეზი მეშლებოდა, ისევ ჩამოვდიოდი, ისევ ავდიოდი და მერე დაუსრულებელ გასასვლელებში უნდა მეხეტიალა, აქაც უკუნი იდგა. გულზე ცეცხლი მედებოდა, ასე ტყუილუბრალოდ რომ ვკარგავდი დროს, აქეთ-იქით ვეხეტებოდი და გზა ვერაფრით გამეგნო. თავი თხუნელა მეგონა, მიწისქვეშა ლაბირინთებში აქეთ-იქით რომ აწყდება და შეშფოთებული, მოუსვენრად ყნოსავს ყველაფერს, რაც გზად შეხვდება,

საბედნიეროდ, თბუნელის მსგავსად, ბნელში კარგად შემოძლია გზა გავიკვლიო, აშასთან, ისიც ვიცოდი, ფიამეტას ფანჯრები საღაცად აღიოდა და, ბოლოს და ბოლოს, საჭირო კარს მივადექი.

ყური მოვიძაბრე, თუ არის-მეთქი ვინმე. როგორ არა, იქ იყვნენ!

პირველად ფიამეტას ცივი სიცილი შემომესმა. ადრე მისი სიცილი არასოდეს გამიგია, მაგრამ იმწამსვე მივხვდი, რომ სწორედ ის იცინოდა. სუსხიანად იცინოდა და ცოტა ნაძალადევადაც, მაგრამ ეს სიცილი როგორღაც აღმგზნებდა იყო. მერე ჰერცოგის სიცილიც შემომესმა, მოკლედ, რალაცნაირად მწარედ გაიცინა და თავისუფლად ამოვისუნთქე.

ახლა ხმებიც გავარჩიე, თუმცა სიტყვები არ ისმოდა, ელბათ, სადმე ოთახის სიღრმეში ისხდნენ, მაგრამ აშკარა იყო, რომ მართლა საუბრობდნენ და იმ ორი სულელივით სულ ერთსა და იმავე ამოჩემებულ სიტყვას არ გაიძახოდნენ, არ ვიცი, სიყვარულზე ლაპარაკობდნენ თუ არა, თუმცა, არა მგონია, რალაც ვერ მივამსგავსე ასეთ საუბარს. შემდეგ უეცრად სიჩუმე ჩამოვარდა, სმენა უკიდურესობამდე დავძაბე, სიჩუმეს არაფერი არღვევდა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი უსიამოვნო ქსუტუნის შემომესმა და მივხვდი, რომ რალაც საჩაყუსა და სათაკილოს სჩადიოდნენ, ოღნავი გულისრევა დამეწყყო, მაგრამ ისე ვიყავი აგზნებული, რომ, ალბათ, ცუდად არც გავხდებოდი, ყოველ შემთხვევისთვის, კარს მოვცილდი და მოშორებით დავდექი, თუმცა ძალიან შორს არ წავსულვარ, ჰერცოგის გამოსვლა რომ არ გამომპარვოდა. ვიდექი და ველოდებოდი. გადავწყვიტე, მოთმინება მომეკრიბა და აქ ვყოფილიყავი, რათა ხელახლა არ მომესმინა ის უსიამოვნო ხმები. მგონი, მთელი საუკუნე მომიხნდა იქ დგომა და ლოდინი.

როცა ბოლოს ისევ მივადექი კარს, ისინი უკვე გულგრილად ლაპარაკობდნენ რალაცაზე, რაზე, ვერ გავიგონე. მოულოდნელმა ცვლილებამ იმდენადვე გამოოცა, რამდენადაც იმედი მომეცა, რომ შევძლებდი ჩანაფიქრის განხორციელებას. მაგრამ ფიამეტა და ჰერცოგი არ ჩქარობდნენ, იწვნენ თავისთვის და უსასრულოდ ბჭობდნენ რალაცაზე, ალბათ, რამე უმნიშვნელო საკითხებზე.. მე გულს ვასკდებოდი, რამდენი ძვირფასი დრო დაიკარგა ფუჭად! მაგრამ აბა, რა შემეძლო? რა თქმა უნდა, ასეთ წუთებში ვერ გამოვეცხადებოდი და ხელის შეშლას ვერ გავებედავდი.

ბოლოს გავიგონე, როგორ წამოდგა ჰერცოგი და ჩაცმას შეუდგა, თან ფიამეტას რალაცას უმტიციებდა, ეტყობა, ვერ შეთანხმდ-

ნენ. მე კარს მოვშორდი, ბნელში მოშორებით დავდექი და მოლო-
დინად ვიქეცი.

როგორც იქნა, ჰერცოგი გამოვიდა და პირდაპირ ჩემკენ გამოა-
ბიჯა, ბნელში ვერ დამინახავდა, რა იცოდა, იქ რომ ვიდექი, „თქვე-
ნო ბრწყინვალეზე“, წავიჩურჩულე და, ყოველ შემთხვევისთვის,
ვირჩიე მოშორებით დავმდგარიყავი. ჩემი ხმა რომ გავიგონა, ჰერ-
ცოგი გაშმაგდა და უშვერი სიტყვებით მოჰყვა მუქარას. „აქ რას
აკეთებ? რას მითვალთვალებ? თუ, შე საზიზღარო შაიმასო! შხამია-
ნო გველო! სადა ხარ? ამწუთას გაგაქრობ!“ — ხელები წინ გაიშ-
ვირა და აქეთ-იქით ნიაწყდ-მოაწყდა, ცდილობდა. ბნელში როგორ-
მე მოვეხელთე მაგრამ რა თქმა უნდა, ამ უკუნეთ სიბნელეში ჩემი
დაჭერა არ შეეძლო. „ნება მომეცით, მოგახსენოთ! ნება მომეცით,
მოგახსენოთ!“ — ვიმეორებდი თავშეკავებით, თუმცა მთელი სხეუ-
ლი მიკანკალებდა. ბოლოს და ბოლოს ნება დაპართო, შეთქვა სათ-
ქმელი.

მაშინ მოურიდებლად მივახალე: ლოდოვიკო მონტანცას შვილი
სწორედ ამ წუთას შენს ქალიშვილს აუპატიურებს-მეთქი, — ის
მალულად შემოვიდა სასახლეში, რათა მამის გამო შური ეძია, ნა-
მუსი აეხადა ანჯელიკასთვის და მთელი სასახლისათვის საშინელი
შეურაცხყოფა მიეყენებინა.

„ეს სიცრუეა! — იყვირა ჰერცოგმა. — რაებს როშავ, უგუნუ-
რო! ეს სიცრუეა!“ — „არა, სიმართლე მოგახსენეთ, — ვუთხარი და
გულმაგრად მივეუბლოვდი. — ის ახლა ანჯელიკასთანაა, საკუთარი
თვალთ ვნახე, როგორ შევიდა მის ოთახში. დაგაგვიანდა მისვლა,
დანაშაული, ალბათ, უკვე ჩადენილია, მაგრამ შეიძლება ისევ იქ
დაგხვდეს!“ მივხვდი, ამჯერად დაიჯერა ჩემი სიტყვები: მეხდაცე-
მულივით იდგა. „ეს შეუძლებელია! — გაიმეორა ისევ, მაგრამ მიუ-
ხედავად ამისა, სწრაფად, თითქმის სირბილით გასწია გასასვლელის-
კენ, — შეუძლებელია, — იმეორებდა გზადაგზა. — როგორ შემო-
ვიდოდა ქალაქში? მით უფრო, სასახლეში? — ყველგან მცველები
დგანან“. მე რაც კი შემიძლო, გავრბოდი, ვცდილობდი, ჰერცოგს
არ ჩამოვჩენოდი, თან მიექაქანებდი! ეს ვერც მე გამიგია, მაგრამ
თავდაპირველად მდინარესთან დავინახე, იქნებ ტივით მოცურდა
იქამდე, ან ღმერთმა უწყის, კიდევ რით, ვინ ცის, რას არ ჩაიდენს
ის უგუნური ლაწირაკი. მდინარესთან კი უკვე შეეძლო სასახლის ში-
და ეზოში შეუმჩნევლად შემოსულიყო-მეთქი. „შეუძლებელია! —
დაჟინებით იმეორებდა ჰერცოგი. — წარმოუდგენელია, კაცმა ქა-
ლაქში მდინარის მხრიდან შემოალწიოს. როგორ უნდა გამოელწია ში-
უმჩნევლად ციხესიმაგრის კოშკებს შორის, როდესაც ორივე ნაპირ-

„სე დღედამ ბოძბარდები და მშვილდოსნები დგანან? ეს უბრა-
ლოდ დაუჯერებელია!“ — „ღიახ, დაუჯერებელია, — დავეთანხმე, —
ამის ახსნა შეუძლებელია, აქ ეშმაკიც ვერაფერს გაიგებს, მაგრამ,
მიუხედავად ყველაფრისა, ის ვაებატონი მაინც ანჯელიკასთან
ბრძანდება, დარწმუნებული ვარ, რომ ოთახიდან მისი ხმა შემო-
მესმა“. ჩვენ კიბით დავეშვიოთ და სასახლის ეზოში გავედით, ჰერ-
ცოგი სწრაფი ნაბიჯით გაემართა კარიბჭისაკენ, თან მცველებს უბრ-
ძანა, ფხიზლად ყოფილიყვნენ და გაედლიერებინათ სასახლის დაც-
ვა, რათა საშუალება არ მიეცათ ჯოვანისათვის შეუმჩნეველად გა-
პარულიყო. ჰერცოგის წინდახედულება გონივრული იყო, — მაგ-
რამ თუ დამნაშავემ უკვე მოასწრო გაქცევა? ან იქუა ორივენი ერ-
თად გაიქცნენ? ამ საზარელმა ფიქრმა მაიძულა ჩეხა-მტვრევით
გადამეჭრა ეზო, კიბე ამერბინა და ანჯელიკას კართან დავრკობი-
ლიყავი.

კარს ყურით შევეწებე. ჩქამიც კი არ ისმოდა! ნუთუ მოასწრეს
გაქცევა? სირბილის და მღვლევარებისაგან გულს ბაგაბუგი გაუდი-
ოდა, ყურებში თითქოს ჩაქუჩებს მიკაკუნებდნენ, — ალბათ, ამი-
ტომ არ მესმის-მეთქი; ვიფიქრე, შეეცადე დავმშვიდებულიყავი,
მშვიდად და აუჩქარებლად მესუნთქა, სული მოვითქე და ისეე მი-
ვუგდე ყური. არა, ოთახიდან არაფერი ისმოდა. მე თავს ძლივს ვე-
რეოდი, მეგონა, ჰკუზზე შევიშლებოდი, ბოლოს, ვედარ ავიტანე
გაურკვევლობა და ფრთხილად შევალე კარი. ეს ისე მოვახერხე, რომ
არც კი გაიჭრიალა, ღრიჭოში ვხედავდი, რომ შუქი ენთო, — მაგ-
რამ ხმა არ ისმოდა, არაფერი მიანიშნებდა, თუ იქ ვინმე იყო. მე
ოთახში შევიპარე და მაშინვე სულიერი სიმშვიდე დამეუფლა. პა-
ტარა ლამპარის შუქზე, რომლის ჩაქრობაც დავიწყნოდათ, ორივენი
ანჯელიკას საწოლში დავინახე — ეძინათ. სიყვარულის ცხოველური,
ავნორცული განცდის შემდეგ დაღლილი ბავშვებით ჩასძინებო-
დათ.

მე ლამპარი ავიღე და საწოლი გავანათე. ისინი ერთმანეთისკენ
პირშიცქეული იწვნენ, პირი ოდნავ გაღებოდათ, ლოყები ავარდის-
ფერებოდათ, ჯერ კიდევ ავზნებულები იყვნენ ჩადენილი ცოდვის
გამო, რაც ახლა, ძილში აღარც კი ახსოვდათ. წამწამები სველი
ჰქონდათ, ზემო ტუჩი კი ორივეს ოფლის წვეთებით დასცვაროდა,
დავყურებდი მათ უმანკო, უშფოთველ ძილს, ნუთუ ეს იყო ის, რა-
საც ადამიანები ბედნიერებას ეძახიან?

ჯოვანი კიდისკენ იწვა, თმის შავი კულული შუბლზე ჩამოვარ-
დნოდა, ბაგე კი გულსავეს ღიმილს გაუპო. თითქოს რაღაც საგმირო
საქმე ჩაედინოს. კისერზე წვრილი ოქროს ძეწკვით ეკიდა მედალი-

ონი დედის სურათით, დედამისი ხომ, როგორც ამტკიცებენ, სამოთხეში იმყოფება.

კიბეზე ფეხის ხმა მომესმა — შემოვიდა პერცოგი ორი დაქირავებული მკველის თანხლებით, ერთ მათგანს ჩირაღდანი ეჭირა, ოთახი გაჩახჩახდა, მაგრამ ღრმა ძილში წასული წყვილის გაღვიძება არაფერს შეეძლო. პერცოგი არეული ნაბიჯით, თითქმის ბარბაცით მიუახლოვდა საწოლს და საკუთარი თვალით დაინახა, თავისი შერცხვენა. მკვდრის ფერი დაედო, მკველს მახვილი წაჰკლიჯა და ერთი დაკერით წაასხივა თავი ჯოვანის. ანჯელიკა დაფეთებული წამოვარდა და ფართოდ განხელილი თვალებით უყურებდა, როგორ გადაათრიეს საწოლიდან მისი სისხლში მოთხვრილი სატრფო და მერე როგორ გადაავდეს ფანჯრიდან ნაგვის გროვაში. ამის დანახვაზე იგი უგრძობლად დაეცა და ჩვენს წასვლამდე გონს არ მოსულა. პერცოგი, რომელმაც თავისი საქმე შესანიშნავად შეასრულა, ალღევებისაგან ერთიანად თრთოდა, დაეინახე, ოთახიდან გასვლისას ხელით კარის წირთხლს რომ მოექიდა. ფეხდაფეხ გამოეყევი ჩემს ბატონს და მერე კი ჩემი ოთახისკენ გავემართე. ნელ-ნელა მივდიოდი, — საჩქარო აღარაფერი მქონდა. ეზოში, მოშორებით ანათებდა ჩირაღდანი, პერცოგს რომ მიაცილებდა. მერე იგი უეცრად თაღქემ გაქრა, თითქოს ბნელში დაინთქაო.

ანჯელიკა ლოგინად ჩავარდა. საშინელი ხურვება დაეწყო, გონს ჯერ კიდევ არ მოსულა. კარის მკურნალი უძღურია, რამე უშველოს, იოტისოდენადაც არავის ებრალება, რადგან ფიქრობენ, და ეს ასეცაა, რომ მან არაერთი წინააღმდეგობა არ გაუწია მოძალადეს, მისი უმანკოების შებღალვა კი ნიშნავს სასახლისა და მთელი სამთავროს საშინელ შეურაცხყოფას. ანჯელიკას ერთი ბებერი დედაკაცი უვლის, დიდებულები და სეფექალები მის სანახავად არ შედიან.

ჯოვანის გვამი მდინარეში მოისროლეს, არ უნდოდათ, სასახლის წინ გდებულიყო, ამბობენ, არ ჩაძირულა და ჩქერმა ზღვაში გაიტანაო.

ქალაქში ნელ-ნელა რაღაც უცნაური სენი გავრცელდა, როგორც ამბობენ, შემცივნებით და საშინელი თავის ტკივილით იწყება, მერე ავადმყოფს ქუთუთოები უსივდება და თვალები ექუტბება, უჭირჯვდებათ ენა, ისე რომ ველარც ლაპარაკობენ, სხეული კი ერთიანად წითლდება და კანიდან დამპალი სისხლი მოჟონავს. ავადმყოფები განუწყვეტლივ ყვირიან, წყალს თხოულობენ, იმიტომ, რომ შიგნეული სიცხისგან ეწვით. მკურნალები უმწეონი არიან,

ვერავის შველიან, თუმცა, საკითხავია, უშველიათ კი ოდესმე ვინმესთვის? ამბობენ, ამ სენით დაავადებული აღარ იკურნებაო, რამდენი დაიხოცა, ჭერჭერობით არავეინ იცის. ჩვენთან, სასახლეში, რა თქმა უნდა, ავად არავეინ გამხდარა, სენი ღარიბთა შორის მძვინვარებს, განსაკუთრებით შავი დღე ადგათ ლტოლვილებს, რაც, ალბათ, დაკავშირებულია იმ აუტანელ ჭუჭყთან და ზინზლთან, მათივე წყალობით მთელ ქალაქში რომ გავრცელდა, არ მიკვირს, ჭუჭყისგან რომ იხოცებიან.

ანჯელიკა, რა თქმა უნდა, სულ სხვაგვარი ავადმყოფია. ხურვება, რამაც საწოლში ჩააწვინა, ზუსტად ისეთი დავადებაა, ერთხელ ბავშვობაში რომ გადაიტანა, არ მახსოვს, მხოლოდ, როდის და რა პირობებში. ჰო, ახლავა გამახსენდა, ეს მაშინ იყო, მის კნუტს თავი რომ წავაგდებინე.

სენი ძალიან სწრაფად ვრცელდება, ახლა მარტო ლატაკები როდი ხდებიან ავად, ეს წყვეული ჰირი არავეინ ინლობს.

უბედურებამ ყველა სახლს მიუკაკუნა, არც ჭუჩები და მოედნები დაინდო, იქ ხომ უამრავი ხალხი ცხოვრობს. ამბობენ, ყოველ ფენის ნაბიჯზე, პირდაპირ ქვაფენილზე დაყრილ ძონძებზე მიგდებული ხალხი გვხვდებაო. თურმე საშინლად იტანჯებიან და გამგძირავად კენესიან, ალბათ, აუტანლად ეწამებიან და ტკივილებს სიგიჟემდე მიჰყავს. ქალაქში სიარული უკვე შეუძლებელი გახდა, ის, ვინც საკუთარი თვალთ ნახა ყველაფერი, რაც იქ ხდება, დიდხანს ვერ მოდის გონს. სუნთქვა სწეულებს მყრალი აქვთ, სხეული კი საშინლად დამუწუქებული, ეს მუწუქები სკდება და რაღაც საზიზღარ სითხეს გამოყოფს. როდესაც ასეთ რამეებს ვისმენ, გული მერევა და ლამის არის, წამომანთხიოს.

თითქმის აღარავეინ ეპარება ექვი, რომ ჰირის გავრცელებაში ლტოლვილებს მიუძღვით ბრალი და ახლა ისინი ყველას თვალდასუნახად ეჩავრება, მაგრამ მითხრეს, რომ ზოგ-ზოგნი ყველაფერს სხვაგვარად ხსნიან. მათ მიაჩნიათ, რომ ჰირი ღვთის მიერ მოვლენილი უბედურება და სასჯელია ჩვენი საშინელი ცოდვების გამო. ეს ტანჯვა უფალმა მოუვლინა ხალხს, რათა ცოდვებისაგან განწმინდოს ისინი და ჩვენც განგების ნებას უნდა დავემორჩილოთო.

მე მზად ვარ სასჯელად მივიჩნიო ეს, მაგრამ ხალხს მართლა ღმერთი ატეხს თავს ამ უბედურებას? ადვილი შესაძლებელია, რომ რაღაც სხვა, უფრო ბნელი ძალა იყოს.

ზოგჯერ მივკვდები ხოლმე ჩემს ფანჯარასთან და ზემოდან დავცქერი ქალაქს.

ჰერცოგის მეუღლე რაღაც უცნაური ცხოვრებით ცხოვრობს, მისი საწოლი ოთახი, საიდანაც არასოდეს გამოდის, ყოველთვის ჩაბინდულია, ფანჯრებს სქელი ფარდები აქვს ჩამოფარებული. თეოდორა ამბობს, ღირსი არა ვარ, მზის სინათლით დაეტკებო. კედლები მოშიშვლებულია, ოთახში არც მაგიდაა სადმე და არც სკამები, მხოლოდ ერთი პატარა სკამია ჯვარცმის წინ დადგმული. ჰერცოგის მეუღლე ამ სკამზე დაჩოქილი ლოცულობს. ნამდვილი მონაზვნის სენაკი გეგონება. საწოლი ძველებურად დგას თავის ადგილზე, მაგრამ ჰერცოგის მეუღლე პირდაპირ თივაზე წევბა, რომლის შეეცვლას არავის ანებებს და რომელიც სულ უფრო და უფრო მყარალი სუნით იქლინთება. ოთახს არასოდეს ანიავებენ, ჰაერი საშინლად მძიმეა, მე პირდაპირ სული მეხუთება, როცა იქ შევდივარ. თავდაპირველად, როდესაც სინათლიდან ოთახში შედიხარ, ვერაფერს გაარჩევ, მაგრამ თანდათანობით თვალი ეჩვევა სიბნელეს და მაშინ თეოდორასაც ვხედავ. ყოველთვის სანახევროდ ჩაცმული, თმდაუვარცხნელი მხედება, არაფრად დაგიდევს, თუ რა აცვია ან როგორ გამოიყურება. მზერა გაფაციცებული აქვს, ყბები კი მთლად ჩაუცვივდა, იმიტომ, რომ ხორცის მოკვდინება სურს და საკმელს თითქმის არ ღებულობს. ის სულელი სოფლის გომბიო, მოახლე ქალი, გამუდმებით ვიშვიშებს, ქალბატონს ვერაფერი შეევაჰამეო. ზოგჯერ ჰერცოგის მეუღლე მართლაც გაღუქავს ლუქმას, ოღონდ კი ეს ჩერჩეტი გააჩუმოს. თვითონ ეს გოგო ლოყებდაჟდაჟა და ჩამრგვალებულია და პირში იტენის ყველაფერს, რასაც კი მოიხელთებს. ზღუქუნით ხანზლავს ნუგბარ კერძებს, მისი ქალბატონი ზედაც რომ არ უყურებს.

მონანიე ცოდვილი მეტწილად ჯვარცმის წინაშე დაჩოქილი დგას, ბუტბუტებს თავის ურგებ ლოცვებს, თუმცა იცის, რომ ყველაფერი ფუჭი და ამაოა. ვიდრე ლოცვას შეუდგებოდეს, ჯვარცმულს ემუდარება, მიუტევოს ცოდვები. ზოგჯერ სასოწარკვეთილი გვერდზე გადადებს თავის მოუცილებელ კრიალოსანს და იწყებს მისივე შეთხზული ლოცვების კითხვას. მაგრამ ჯვარცმულს, სულ ერთია, მისი არაფერი ესმის და ისეთივე მიუტევებელი წამოდგება, როგორიც ლოცვის დაწყებამდე იყო. ხშირად წამოსადგომად ძალა აღარ ჰყოფნის, მოახლე ქალი თუ არ მიეშველა. ზოგჯერ ღონემიხდილი ეცემა იატაკზე და წევს ასე, ვიდრე მოახლე მოვა და თივაზე გადაათრევს.

თეოდორა დარწმუნებულია, რომ მის გამო დატრიალდა ამდენი უბედურება, სწორედ მისი, და არა ვინმე სხვისი ცოდვები არის მიზეზი ყველა იმ ტანჯვა-წამებისა, ქალაქს თავს რომ დაატყდა;

თუმცა არა მგონია, ამ ქალს წარმოდგენა ჰქონდეს იმაზე, თუ რა ხდება ქალაქში, მაგრამ ჩემი აზრით, ბუნდოვნად მაინც რაღაცას ხვდება, ამასთან, საკმაოდ გულგრილია ცხოვრების მიმართ, ყველაფერი ამქვეყნიურ ამოებად მიაჩნია, ის ახლა თავის საკუთარ სამყაროში ცხოვრობს და თავისი საზრუნავი აქვს.

კარგა ხანია მიხვდა, დიდად შესცოდა, დონ რიკარდო რომ შეიყვარა. თუმცა მხოლოდ ამ სიყვარულის გულისთვის ცხოვრობდა და სიცოცხლე ნეტარებად მიაჩნდა. თვითონვე მითხრა, ამქვეყნად ყველაზე ძლიერად დონ რიკარდო მიყვარდა, მისდამი გრძნობა მთელ ჩემს არსებას აესებდა, და უბედნიერეს ადამიანად მხდიდა. არ შეიძლება ასეთი გრძნობით გიყვარდეს ადამიანი, ასე მხოლოდ ღმერთი უნდა შეიყვარო.

არ ვიცი, იქონია თუ არა რაიმე გავლენა ამ ქალზე ჩემმა სიტყვებმა. მე ველაპარაკე მის ცოდვილ ცხოვრებაზე და იმ სასჯელზე, ჯოჯოხეთში რომ ელის, ავუწერე ცოდვილთა ტანჯვა და ისიც მორჩილად მისმენდა. ამიტომ ხომ არ იმდაბლებს ახლა ასე თავს?

ჰერცოგის მეუღლე ყოველთვის მადლიერების გრძნობით მხვდება, მაგრამ მე ვცდილობ, რაც შეიძლება იშვიათად შივიღე მასთან.

ანჯელიკა გამოკეთდა. ახლა უკვე ფეხზეა, მაგრამ სატრაპეზოში არ შემოდის, არც ვინმეს ეჩვენება. რამდენჯერმე სავარდში და მდინარესთან მოკვარი თვალი. იჭდა და წყალს მისჩერებოდა. თვალები კიდევ უფრო დაუდიდრონდა და როგორღაც მთლად გამოუცარიელდა, ასე გგონია, ვერაფერს ხედავს.

დავინახე, გულზე ჯოვანის მედალიონი ეკიდა, მედალიონი სისხლით იყო მოთხვრილი, ალბათ, საწოლში იპოვა და მის სახსოვრად დაიტოვა. სისხლი მაინც ჩამოერეცხა!

გავიფიქრე, დედა სამოთხეშია, შვილი კი ჯოჯოხეთში იტანჯებამეთქი. ჯოვანის ხომ ძილში აღმოხდა სული, ცოდვების მოუწანიებლად და უზიარებლად წავიდა ამ ქვეყნიდან, გამოდის, რომ დედა და შვილი ვერასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს. იქნებ ანჯელიკა ევდრება ჯოვანის დედას, მეოხ ეყოს მის შვილს, და იხსნას სული მისი. ტყუილად ირჩება!

თუმცა, ვინ იცის, რა უდევს გულში, მას ხომ სიტყვაც არ დაუძრავს იმ წუთიდან, ღამით უეცრად რომ გაიღვიძა, უფრო სწორად, იმ წუთიდან, უკანასკნელი სიტყვა რომ უთხრა თავის საყვარელს. რა იქნებოდა ეს სიტყვა, ჩემთვის ძნელი მისახვედრი არ არის, მათი საუბარი ხომ კართან მდგარმა მოვისმინე.

ანჯელიკა მარტოდმარტოა მიტოვებული. ყველანი გაუბრუნდნენ.

ისინი, ვისაც სწამს, რომ ჰირი და ყველა სხვა საშინელებანი

ღვთით მოვლენილი სასჯელია, რომლისაც კი არ უნდა ეშინოდეთ, პირიქით უფალს მადლს უნდა სწირავდნენ ამისთვის, ახლა ქუჩა-ქუჩა დაძრწიან, ქადაგებენ და სხეულს იშოლტავენ, რათა დაეხმარონ უფალს, იხსნას მათი სულები. ეს ძვალტყავადქცეული თვალებჩაცვინილი ადამიანები, იმდენად დაუძღურებულნი არიან, რომ ასეთი ექსტაზით რომ არ იყვნენ შეპყრობილნი, ფეხზე დგომაც გაუქირდებოდათ. მათ ძალიან ბევრი მიმდევარი ჰყავს. ადამიანები ზელს იღებენ საქმეზე, ტოვებენ სახლსა და ახლობლებს, თვით მოპაკედავებსაც კი და მლოცველებს უერთდებიან. უცხაურად გაისმის გულშემზარავი ალტყინებული კივილი, კაცი ქვაფენილზე გამობტებ. ბრბოს გაარღვევს, მათკენ მიიწევს, თან გამკივანი ხმით რალაცას გაპყვირის და უთაებოლოდ იშოლტავს თავს. მაშინ ყველანი იწყებენ ლოცვას, აღიღებენ უფალს და ქუჩის ორივე მხარეს ჩამწყრივებული ხალხი მათ რომ მიშტერებია, მუხლებზე ეცემა. მიწიერი ცხოვრება, რომლის საშინელებანი საკმაოდ იწვნიეს საკუთარ ზურგზე, მათთვის ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს. ახლა ისინი მხოლოდ სულის ხსნაზე ზრუნავენ.

როგორც ამბობენ, წმინდა მამები აღმაცერად უყურებენ ამ ფანატიკოსებს, რადგან მათ თანდათანობით ჩამოაცილეს ხალხი საყდრებს და საზეიმო პროცესიებს, ხატებითა და მგალობელი ბიჭუნებით, რომლებიც საცეცხლურებიდან საკმეველს აემევენ ამყარლებულ ქუჩებში.

წმინდა მამები ხალხს არწმუნებენ, რომ თვითმგვემლები ცუდი ქრისტიანებია და რომ ისინი თავიანთი ველური ფანატიზმის გამო, მოკლებულნი არიან იმ დიდ ნუგებს, ადამიანებს ქეშმარიტი რწმენა რომ ანიჭებს, მაგრამ, ჩემი აზრით, სწორედ ეს ფანატიკოსები არიან ნამდვილი მორწმუნენი, რადგან თავიანთ რწმენას სერიოზულად ეკიდებიან, წმინდა მამებს კი არ უნდათ, რომ მათი ქადაგება ხალხმა ზედმეტად სერიოზულად მიიღოს.

არიან ისეთებიც, და არცთუ ისე ცოტანი, რომლებზეც ქალაქში დატრიალებულმა უბედურებამ სულ სხვაგვარი გავლენა მოახდინა და ეს ცხოვრება უფრო მეტად შეაყვარა. სიკვდილის შიში აიძულებთ მათ, რა ფასადაც უნდა დაუჯდეთ, ჩაებლაუქონ სიცოცხლეს, დადის ხმები, რომ ქალაქის ზოგიერთ სასახლეში არც დღე და არც ღამე არ წყდება ღვინის და დროსტარება, ეს სასახლეები თავაწყვეტილი გარყვნილების ბუდედ იქცა, თუმცა ღარიბთა შორისაც ცოტანი როდი იქცევიან ამგვარადვე. ეს მათთვის ახლა ერთადერთი ხელმისაწვდომი ცოდვაა. ხალხი ებლაუქება თავის უბადრუკ სიცოცხლეს, არაფრით არ სურს მასთან განშორება და როდესაც აქ,

ჩვენთან, სასახლის კარიბჭესთან, ცოტაოდენ პურს გადმოუყრიან, რაც სულ უფრო და უფრო იშვიათად ხდება, ეს უმაქნისები გააფთრებით იბრძვიან ერთი ნატეხი პურისთვის და მზად არიან, ერ-თმანეთს ყელი გამოლადრონ.

მაგრამ, მეორე მხრივ, არიან ისეთებიც, თავს რომ სწირავენ თავიანთ თანამომგეთათვის, ვინც უვლის ავადმყოფებს, თუმცა, რა თქმა უნდა, სულ ტყუილა ირჯებიან, სხვებს ვერაფერს შევლი-ან, თვითონ კი ავადდებიან, მაგრამ ისინი სრულიად გულგრილნი არიან სიკვდილისა და სხვა ყველაფრისადმი, თითქოს არც კი იციან, რა საფრთხეში იგდებენ თავს. ეს ადამიანები შეიძლება შევადაროთ შორწმუნე ფანტიკოსებს, რა თქმა უნდა, ცოტაოდენი განსხვავე-ბით.

ამგვარად, თუ ვერწმუნებით ქალაქში დარბეულ ხმებს, ხალხი ზუსტად ისევე ცხოვრობს, როგორც ადრე ცხოვრობდა, ყველა თა-ვისებურად მიათრევს ამ წუთისოფელს და თავის სურვილისამებრ ირჯება, მხოლოდ ყველაფერი უკიდურესობამდეა დაძაბული. ასე რომ, უფლის მიერ მოვლენილი სასჯელი არც ისე დამთრგუნველია, ამიტომაც ვეჭვობ, მართლა ღვთით მოვლენილია თუ არა ეს ყველა-ფერი — ჭირი, თუ სხვა უბედურობანი და განსაცდელი.

ღღეს ფიამეტამ გვერდით ჩამიარა, რა თქმა უნდა, ზედაც არ შემომხედა, ღირსად არ ჩამთვალა, მაგრამ რა მომხიბლავი და წარ-მტაცი იყო! ამ საშინელ ალიაქოსსა და აურზაურში იგი თითქოს განცალკევებით დგას და ირგვლივ მაცოცხლებელ სიგრილეს ჰფენს. მთელს მის არსებაში, ზვიად გარეგნობაში არის რაღაც და-შამშივლებელი და ცხოველმყოფელი. მას ყოველთვის შეიძლება თა-ვი გაარიდოს ცხოვრების ბიწიერებას. ძალზე ძლიერი ადამიანია და იცის კიდევ, როგორ ისარგებლოს თავის უპირატესობით, შეუმჩნე-ვლად, დიდი ღირსებით და ბუნებრივად თანდათანობით ჰერცოგის მეუღლის ადგილს იჭერს სასახლეში და ბატონდება. სეფეპალები უფრო და უფრო რწმუნდებიან, აქ ვერაფერს გავაწყობთო და ემორ-ჩილებიან.

არ შეიძლება, ფიამეტამ ალტაცებაში არ მოგიყვანოს!

სხვას რომ ჩაეელო ჩემთვის გვერდით და შემოხედვა არ ეღირ-სებინა, მოთმინებას დაეკარგავდი, ახლა კი ყველაფერი სრულიად ბუნებრივად ჩავთვალე.

კარგად ვხვდები, რატომაც უყვარს ჰერცოგს ფიამეტა. მე, რა თქმა უნდა, ვერ შევიყვარებდი, მაგრამ ეს უკვე სხვა საქმეა. და, ზაერთოდ, შემიძლია ვინმე შევიყვარო? არ ვიცი. სიყვარული რომ შემძლებოდა, ალბათ, მხოლოდ ჰერცოგის მეუღლეს შევიყვარებ-

დი. მაგრამ ახლა სიყვარულის ნაცვლად, ამ ქალისადმი მხოლოდ ზიზღს ვგრძნობ.

თუმცა მაინც ვიცი, თეოდორას გარდა, არავინ მეყვარებოდა.

რატომ ხდება ასე, ჩემთვისაც გაუგებარია.

ნამდვილად ძნელია ჩასწვდე სიყვარულის საიდუმლოს.

ანჯელიკამ მდინარეში დაიხრჩო თავი, ეს, ალბათ, გუშინ საღამოს ან გვიან ღამით მოხდა, დატოვა წერილი, რომლის წაკითხვის შემდეგ ყველა დარწმუნდა, რომ სწორედ ამგვარად მოიკლა თავი. მთელი დღე ამაოდ დაეძებნენ მის გვამს ალყაშემორტყმულ ქალაქში. ანჯელიკაც, ისევე როგორ ჯოვანი, ალბათ, ზღვაში გაიტანა დინებაში. სასახლეში ერთი ალიაქოთია, ყველანი გაოგნებულნი და თავგზააზნეულნი არიან, ვერ დაუჯერებიათ, რომ ანჯელიკა აღარ არის, ჩემი აზრით, კი, აქ გაუგებარი არაფერია, მისი საყვარელი მოკლეს, ჰოდა, თვითონაც თავი მოიკლა. ყველანი ფშუქუნებენ, მოსთქვამენ და თავს იდანაშაულებენ, ყველაზე მეტად კი წერილზე ლაპარაკობენ, ერთმანეთს უყვებიან შინაარსს ან ხმადაბლა, უსასრულოდ კითხულობენ, ამბობენ, ჰერცოგს პირდაპირ მეხი დაეცაო, მას, საერთოდ ბოლოდროინდელმა ამბებმა თავგზა აუბნია. სეფექალები სლუქუნებენ და ოხრავენ. მთლად ცრემლად იღვრებიან, როდესაც წერილში გულის ამაჩუყებელ ადგილებს კითხულობენ. მართალი გითხრათ, ეს მათი ცრემლები და ოხვრა-კვნესა ოდნავადაც კი არ მხედება გულზე. ვერ გამიგია, რა ნახეს ამ წერილში არაჩვეულებრივი და გასაოცარი. ამასთან, წერილი ხომ არსებითად, არაფერს ცვლის, დანაშაული, ყველა ესენი აგერ ახლა რომ გამოდნენ, განა დანაშაულადვე არ რჩება? წერილში ახალი არაფერია. ასჯერ მაინც მექნება ამ წერილის შინაარსი მოსმენილი, პირდაპირ შემიჭამა გული!

აი, რას წერს ანჯელიკა:

„მე აღარ მინდა დავრჩე თქვენ შორის, თუმცა ყველანი გულთბილად მეპყრობოდით, მაგრამ მაინც არ მესმოდა თქვენი. ვერ გამიგია, როგორ შეგეძლოთ, წაგერთმიათ ჩემთვის საყვარელი არსება, იგი ხომ შორი ქვეყნიდან იმისთვის მოვიდა, რომ ეთქვა ჩემთვის, ამქვეყნად სიყვარული არსებობსო.

მე აღრე არ ვიცოდი, თუ ასეთი გრძობა საერთოდ არსებობდა, მაგრამ დავინახე თუ არა ჯოვანი, იმწამსვე მივხვდი, რომ მიწაზე მხოლოდ სიყვარული უნდა იყოს და რომ სხვა ყველაფერი ამაოებაა. დავინახე თუ არა, მყისვე გავისაცნაურე, რატომ მიძნელდებოდა აქამდე ცხოვრება.

და ახლა, როცა ჯოვანი აღარ არის, არც მე მინდა უიმისოდ

დარჩენა, მეც თან უნდა გავყვე მას. მე ვლოცულობდი, ვევედრებო-
დი ზეციერ მამას და მანაც აღმიტყვა, რომ შევხვდებოდი ჯოვანის
და მუდამ ერთად ვიქნებოდით, მაგრამ საით მიპირებს წაყვანას,
ჩემთვის არ უთქვამს. მე მხოლოდ მშვიდად უნდა დავწვე წყალზე
დასაძინებლად და უფალი წამიყვანს, სადაც საჭირო იქნება.

ამიტომ, ნუ იფიქრებთ, რომ მე თავი მოვიკალი, უბრალოდ, ისე
მოვიქეცი, როგორც მითხრეს. და კი არ მოკვდი, თქვენ გაგშორ-
დით, წავედი, რომ მუდამ ჯოვანისთან ერთად ვიყო.

მედალიონი თან მიმაქვს, მართალია, ჩემი არ არის, მაგრამ ასე
მაქვს ნაბრძანები, მედალიონი გავხსენი, სურათს დავხედე და ძა-
ლიან მომინდა აქედან წავსულიყავი.

ჯოვანის დედამ მთხოვა გადმომეცა თქვენთვის, რომ მიგიტევათ
ყველას, მე კი მთელი სულითა და გულით შეგინდობთ ყველაფერს.
ახჯელიკა“.

ჰერცოგის მეუღლემ აიხირა, ანჯელიკას სიკვდილი ჩემი ბრა-
ლიაო. ჩემი აზრით, პირველი შემთხვევაა, შვილისადმი რაღაც
გრძნობა რომ გამოამჟღავნა. ის აღრინდელზე მეტად იწამებს თავს,
რათა ჩამოირეცხოს ცოდვები, უკვე ლუქმასაც აღარ იკარებს პირ-
ში. და ჯვარცმულს მიტევენას შესთხოვს.

ჯვარცმული არაფერს პასუხობს.

დღეს სადილობამდე ჰერცოგმა სანტა-კრეჩოში მანესტრო ბერ-
ნარდოსთან გამგზავნა და თან წერილი გამატანა. მანესტრო ბერნარ-
დო დიდი ხანია სასახლეში არ გამოჩენილა და ამ ხნის განმავლო-
ბაში, შეიძლება ითქვას, მისი არსებობა კიდევაც დამავიწყდა, ძალი-
ან უხალისოდ გავსწიე ქალაქისკენ, სადაც მას შემდეგ, რაც ჰირი
გაჩნდა, ფეხი არ დამიდგამს. სენის შეყრისა კი არ მეშინოდა, მაგ-
რამ არის ზოგი რამ, რისი დანახვაც ჩემთვის აუტანელია, თუმცა
რას ვამბობ, აუტანელი კი არა, შეიძლება ითქვას, უბრალოდ ზარ-
დამცემია, ტყუილად კი არ მრჩებოდა ფეხები უკან, ის, რაც საკუ-
თარი თვალით ვნახე, მართლა საშინელება იყო. დანახულმა გამა-
ოგნა და მაგრძნობინა მიწიერი ყოფის ამაოება და სწრაფწარმავ-
ლობა, გზა სნეულებით და მომაკვდავებით იყო მოფენილი, დახო-
ცილები კი გაჰქონდათ მესაფლავე ბერებს, რომელთაც თავზე შა-
ვი კაპიუშონები ეხურათ. კაპიუშონებს თვალებისთვის პატარა
პრილი ჰქონდა დატანებული, რაც ბერებს საზარელ შესახედაობას
აძლევდა. ბერები თითქოს მიწიდან მოძვრებოდნენ და აქაურობას
რადაცნაირ არარეალურ ელფერს აძლევდნენ, ასე მეგონა, მკვდარ-
თა საუფლოში ვარ-მეთქი. ისინიც კი, ვისაც სენი ჯერ არ შეჰყრო-
და, ამთავითვე სიკვდილის დალით იყვნენ აღბეჭდილნი, დაუძლურე-

ბულნი და თვალეზაყვენილნი დალასლასებდნენ ქუჩებში და საი-
ქიოდან მოსულებს ჰგავდნენ. მთვარეულებივით უქცევდნენ
გვერდს მათ წინ, გზაზე დაგდებულ ძონძებითმოსილ, დაკრუნ-
ხულ ადამიანებს, ვიზედაც უმეტეს წილად ვერც კი იტყო-
დით, ედგათ კიდევ სული თუ არა. ამაზე უფრო საშინელი და
ზიზლის მომგვრელი ჩემს სიცოცხლეში არაფერი მინახავს და მე
წამისწამ უნდა შევბრუნებულიყავი, გულისრევა რომ არ დამწყე-
ბოდა. ძონძებში მოჩანდა საზარელი ჩირქგროვები და ჩალურჯე-
ბული კანი, ნიშანი იმისა, რომ დასასრული შორს აღარ იყო. ვრ-
თნი საშინელი ღრიალით ამცნობდნენ ყველას, რომ მათ სხეუ-
ლებში სიცოცხლე ჯერაც არ ჩამქრალიყო, სხეები უგრძობლად
ეყარნენ, მაგრამ მორჩილებადაკარგული კიდურები მაინც ეკრუნ-
ხებოდნენ. პირველად ვხედავდი ასე საშინლად გაუბედურებულ
ადამიანებს, ზოგიერთებს უძირო თვალეზაყვენილში გიჟური ცეცხლი ენ-
თო, ზოგი დიდი გაჭირვებით სძლევდა ხოლმე სისუსტეს, წინ
აეტუზებოდა მათ, ვისაც სნეულთათვის ქიდან წყალი მოჰქონდა
ლაპოტს ხელიდან გამოსტაცებდნენ და ტყუილუმბრალოდ ღვრიდ-
ნენ ძვირფას სითხეს. სხეები ნადირივით ოთხზე დამდგარნი მი-
ფხოკიალდებოდნენ ჰამდე, რომელიც მათ საოცნებო ადგილად
ქცეულიყო. ამ უბადრუკმა არსებებმა, ასე გამწარებულნი რომ ებ-
ლაუჭებოდნენ გაარმებულ სიცოცხლეს, მთლიანად დაკარგეს ად-
მიანის სახე და ადამიანური ღირსება. მათ ირგვლივ გამეფებულ
სიმყარალეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ამის გაფიქრებაც კი
გულს მირევს. მოედანზე კოცონები ენთო, ზედ შტაბელეზად და-
წყობილ გვამებს წვავდნენ და ჰაერი მახრჩობელა მყარალი სუნით
იწამლებოდა, ქალაქს ზემოდან თხელი ნისლი ებურა. სამგლოვიარ-
ოდ რეკავდნენ ზარები, ქალაქის ყველა ზარს ერთხმად არისხებდ-
ნენ მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად.

მე რომ მივედი, მავსტრო ბერნარდო თავის „საიდუმლო სერო-
ბას“ შემზერდა, როგორც ადრე არაერთხელ მინახავს, იჭდა და
ქალარამოსილი თავი ოდნავ გვერდზე გადაეხარა. ახლა უფრო და-
ბერებული მეჩვენა. ტრამპთან მჭდარი მაცხოვარი პურს ტუნავ-
და და მოწაფეებს აწოდებდა. თავზემოთ ისევ ის არამიწერი ნა-
თელი ეფინა, ღვინიანი თასი ხელიდან ხელში გადადიოდა, მაგიდაზე
კი თოვლივით ქათქათა სელის სუფრა ეფინა. აქ არ იყვნენ არც დამ-
შეულები, არც მწყურვალენი, მაგრამ მოხუცი თავის ტილოებსა
და ფუნჯებს შორის შავ ფიქრებში ჩაძირული ჩანდა.

როცა ვუთხარი, პერტოგმა წერილი გაახლათ-მეთქი, სმა არ
გაუღია, მხოლოდ მოუთმენლად ჩაიქნია ხელი, სადმე დადგო, მო-

მანიშნა, არ უნდოდა თავის სამყაროს მოსწყვეტოდა, რომელ სამყაროს?

სანტა-კროზედან გაოგნებული გამოვბრუნდი, აქეთობას კამპანჩილეს ჩავუარე, — იმას, ყველა დანარჩენზე მაღალი რომ უნდა იყოს, ომის დროს, მშენებლობა, რა თქმა უნდა, შეჩერდა. დარჩა ისევე დაუმთავრებელი, ზემოთ უსწორმასწოროდ აწყვია აგურები, ეს იმის გამოა, რომ სამუშაო შეწყვეტეს, კამპანილე ნანგრევებს წააგავს, თუმცა ბრინჯაოს ბარელიეფები ფუძესთან, ჯვარცმულის ცხოვრებას რომ ასახავს, მთლიანად მომთავრებული ჩანს, და კარგადაც არის ამოყვანილი.

მე წინასწარ ვთქვი, ასე იქნება-მეთქი.

ჩვენი სასახლე გლოვობს, კედლები და ავეჯი შავი ქსოვილით არის დაფარული, ყველგან ჩურჩულით ლაპარაკობენ და ფეხის წვერებზე დადიან. სეფექალები, ყველა, უკლებლივ, შავებში არიან ჩაცმულნი. მამაკაცებს კი ხავერდის შავი კოსტიუმები აცვიათ და შავი ხელთათმანები უკეთიათ.

ეს ანჯელიკას მიცვალების გამოა. სიცოცხლეში ამდენი საზრუნავი არავისთვის გაუჩენია, მაგრამ ჩვენთან, სასახლეში რატომღაც უყვართ გლოვა. დონ რიკარდოს გლოვა ანჯელიკაზე გლოვამ შეცვალა და, მამასადამე, დონ რიკარდოს, როგორც იქნა, საშველი დაადგა და მოკვდა. მისგან განსხვავებით, არავინ იხსენებს, როგორი იყო ანჯელიკა სიცოცხლეში, რადგან არაფრით გამორჩეული არ ყოფილა. თუმცა, რომ ვთქვა, არც არავინ იცის, როგორი იყო საერთოდ. მას, უბრალოდ, გლოვობენ. სასახლის კარი დასტირის ჰერცოგის ახალგაზრდა ასულის უბედურ ბედს. ახლა ჯოვანიც კი ებრალებათ, თუმცა იგი ჩვენი მოსისხლე მტრების საგვარეულოს ჩამომავალი იყო, ოხერით ლაპარაკობენ მათ სიყვარულზე — უკვე ეკვი არ ეპარებათ, რომ ერთმანეთი უყვარდათ და სიყვარულის გულისთვის დაიდუპნენ. სიყვარული და სიკვდილი ადამიანთა საყვარელი თემაა. სიყვარულისა და სიკვდილისთვისაც ხომ ასე ტკბილია ტირილი, განსაკუთრებით მაშინ, თუ ორივე ერთმანეთს ემთხვევა.

ჰერცოგი, როგორც ეტყობა, ძალიან იტანჯება, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია, ძალზე უთქმელი გახდა და გულს არავის უხსნის, მათ შორის არც მე. თუმცა წინათ თავისი ნდობით მანებიერებდა, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო და სხვა პირობები, ახლა კი, ასე მგონია, გამირბის. იშვიათადაც მასაქმებს. ბერნარდოს წერილი მე კი არ გადმომცა, ერთ-ერთი კარისკაცის ხელით გამომიგზავნა.

ჰერცოგის მეუღლის მხევალი, ის ლოყებდაყდაყა სოფლის გომბიო, ავად გახდა და ჩაწვა, როგორც იქნა, ფერი დაკარგა — საინტერესოა, რა მოუვიდა?

უცნაურია, მაგრამ იოტის ოდენადაც არ მეშინია სენის, ჩემ ირგვლივ რომ მძვინვარებს, ასე მგონია, მე ვერაფერს დამაკლებს, რატომ? ვერ გეტყვით, უბრალოდ ვგრძნობ, რომ ასეა. ეს არის და ეს.

ეს სენი საშიშია ადამიანებისთვის, ყველა ჩემ ირგვლივ მყოფ-თათვის, — ჩემთვის კი არა.

ჰერცოგის მეუღლე სულ უფრო და უფრო ჩიავდება. ძნელია უცქირო მის დაკნინებას, მისი პიროვნების შინაგან რღვევას, ჭუჭყს და უთავბოლობას. ერთადერთი, რაც მიუთითებს მის წარმოშობაზე და ადრინდელ ხასიათზე, სიჭიუტეა. შიდის თავის გზით და ახლოსაც არავის იკარებს.

მას შემდეგ, რაც მოახლე ავად გახდა, ჰერცოგის მეუღლის ოთახში შესვლის უფლება არავის აქვს. შიგ კი ენით აუწერელი ჭუჭყია. თეოდორა საკმელს პირს არ აკარებს და ისეა დასუსტებული, მივიკრს, აქამდე სული როგორ მოატანა. მასთან შესვლა მხოლოდ მე შემიძლია, თავად მევედრება ხოლმე ვინახულო და, ამ უბედურებაში დახმარების ხელი გავუწოდო და აღსარების ნება დავერთო.

ჯერაც ვერ დავმწვიდებულვარ. ეს-ესაა ჰერცოგის მეუღლე ვინახულე, პირდაპირ ძრწოლას მგვრის, როცა ვფიქრობ, რა საშიშელი ძალა მაქვს ადამიანებზე, თუმცა ახლავე ყველაფერს დაწერილებით აგიწერთ: როცა შევედი, თავდაპირველად ვერაფერი გავარჩიე, მერე, მიუხედავად იმისა, რომ ფარდები დაშვებული იყო, მკრთალად გამოიკვეთა ფანჯრების მოხაზულობა, ბოლოს ჯვარკმის წინაშე ჰერცოგის მეუღლეს დავინახე. ისევ და ისევ თავის დაუსრულებელ ლოცვებს ბუტბუტებდა; იმდენად იყო ლოცვით გართული, ჩემი შესვლა არც გაუგია.

ოთახში ისეთი ბული ტრიალებდა, ლამის იყო, სული შემეხუთა: სიძულვილმა შემიპყრო, ყველაფერი ერთბაშად შემძულდა და შემძაგდა, ეს სუნი, სიბნელე, ჰერცოგის მეუღლის მოხრილი სხეული, ურცხვად მოშიშვლებული, გალეული მხრები. კისერზე ამოშხნდარი მყესები, დაუვარცხნელი თმა, ყვავის ძველ ბუდეს რომ მიუგავს, მთელი მისი უბადრუკი სხეული, ოდესღაც ღირსი მხურვალე სიყვარულისა... უეცრად ვიგრძენი, რომ სიბრაზისაგან ცეცხლი მომედო. თუმცა ადამიანები მეჯავრებიან, მაგრამ მათი დამპირების ცქერა არ შემიძლია.

ვიდრე ჰერცოგის მეუღლე დამინახავდა, ჩემი გააფთრებულა ყვირილი შემომესმა:

— რა არის, ამდენს რომ ლოცულობ? ხომ გითხარი, ნუ ლოცულობ-მეთქი, თავი მოჰაბეზრა შენმა ბუტბუტმა!

თეოდორამ მოიხედა, შიში არ ეტყობოდა, მხოლოდ ნაცემ ძუქანასავით წკმუტუნებდა და მორჩილ მზერას არ მაშორებდა, ასეთი რამ მამაკაცის გულსწყრომას ვერ გაანელებს, ამიტომ შეუბრალებლად განვაგრძე: — შენ გგონია, იქას ძალიან ესაჭიროება შენი ლოცვები? გგონია, შეგიწოდებს, აი, ასე, მის ფერხთით რომ გაიშობები, ხვეწნა-ვედრებას მოჰყვები და აღსარებებით თავს გააბეზრებ? მონანიება! ვის ესაჭიროება ეგ შენი მონანიება! გგონია, გააცურებ? გგონია, არ იცის, რა გიღვეს გულში?

შენ ძე ღვთისა კი არა, ღონ რიკარდო გიყვარს, თუ გგონია, არ ვიცი? ფიქრობ, მომატყუილებ, თვალს ამიბამ მაგ შენი მანკვაგრეხით, მარხულობით და შენი უძღები ხორცის გვემით? შენ შენს საყვარელზე ოხრავ და დარღობ და არა მაცხოვარზე, შენ ღონ რიკარდო გიყვარს!

ჰერცოგის მეუღლე თავზარდაცემული შემომყურებდა. ჩატეტკილი ტუჩები უთრთოდა. ერთხანს არ განძრეულა, შემდეგ ჩემს ღებებთან ჩაიკეცა და კვნესით მითხრა:

— ეს მართალია, მართალია! მიშველე! მიხსენი!

ამ სიტყვებმა მოთმინება მთლად დამაკარგვინა.

— შე გარყვნილო ბოზო! — ვულრიალე. — თავს ისე მაჩვენებ, ვითომც მაცხოვარი გიყვარდეს, ჩუქჩუქად კი იმ ჯოჯოხეთის კერძთან, იმ ავბორცთან მრუშობ! შე წყეულო სატანა! მორჩილად შესცქერი ჯვარცმულს, მხურვალე სიყვარულს ეფიცები, ფიქრით კი სხვის მკლავებში ნებივრობ და ტკბები! რით ვერ გაიგე, რომ ეჯავრები? არ გესმის, რომ არ უყვარხარ?

— მესმის, მესმის, — კვნესოდა ჰერცოგის მეუღლე და ჩემს ფეხთით ჰიაყელასავით იხლანებოდა. ზიზღს მგვრიდა იმის ცქერა, თუ როგორ მეგებოდა ფეხქვეშ. მის ასეთ მორჩილებას მოთმინებიდან გამოვყავდი. საოცარია, მაგრამ სულაც არ მიხაროდა, ასე დამცირებულს რომ ვხედავდი, ჰერცოგის მეუღლემ ვედრებით გამოიწვდინა ჩემკენ ხელები და კვნესით მითხრა: — დამსაჯე! დამსაჯე! შენ ხელით უნდა მომეგოს მისაგებელი, — იატაკზე ხელი მოათათურა, მათრახი აიღო, გამომიწოდა და ძალღივით მოიბღუნდა. ზიზღითა და გააფთრებით მათრახი ხელიდან გამოვტაცე და იმ საზიზღარ სხეულზე გადავუქირე. დაუზოგავად ვშოლტავდი, თან ჩემი საკუთარი ხმა ჩამესმოდა:

— ეს ჯვარცმული გშოლტავს, იესო მაცხოვარი, სწორედ ის, აქ, კედელზე რომ ჰკიდია, დიახ, სწორედ ის, ვისაც უსასრულოდ წამბორებოდი, შენი გაფიცებული, მატყუარა ტუჩებით და სიყვარულს ეფიცებოდი! იცი კი, რა არის სიყვარული? იცი კი, რა სურს შენგან მაცხოვარს?! ის შენი ხსნისთვის ეწამა და ევნო შენ კი ამაზე არც დაფიქრებულხარ, მაშ თავად იწენიე ტანჯვის სიმწარე!

გაშმაგებული ვიყავი და არ მესმოდა, რას ვჩაღიოდი, არ მესმოდაო! რას ბრძანებთ! ყველაფერი შესანიშნავად მესმოდა, მე შურს ვიძიებდი და სამართალს ვამყარებდი, ცვდიდი ჩემს საშინელ ძალას ადამიანებზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიხარულს მაინც არ განვიცდიდი.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ დაუკვნესია, პირაქით, დამშვიდდა და ჩაწყნარდა, და როცა ყველაფერი დასრულდა, ასევე დარჩა იატაკზე გართხმული, რაღაც უცნაურად გათავისუფლებული ტანჯვისაგან.

— დაიხრუები და ამოიბუგები ცეცხლსა და გვენაში, დაე, ცეცხლის ალმა დაწვას და დადაგოს სიყვარულის სამარცხვინო ცოდვით წარყვნილი შენი ბილწი წიაღი!

წარმოვთქვი ეს სასტიკი განაჩენი და წამოვედი, თეოდორა კი იქვე დავტოვე იატაკზე გაშოტილი, თითქოს ბურანში წასული.

ჩემი სამყოფისაკენ გავემართე, გულათრთოლებული ავედი ჭუჭუბის სენაკში და კარი ჩავრახე.

ვიდრე ამ სტრიქონებს ვწერდი, აღგზნება თანდათანობით დამიციხრა, ახლა მხოლოდ სიცარიელეს ვგრძნობ და რალაცნაირი მოყირპების გრძნობა დამეუფლა. გულს ბაგაბუგი უკვე აღარ გულის, არც აღარაფერს განვიცდი.

ვიტყვირები სიცარიელეში და ისედაც კუშტი სახე მთლად გაქვავებული მაქვს. შეიძლება პერტოგის მეუღლე მართალი იყო, როცა მითხრა, შენი ხელით მომაგე მისაგებელიო.

ახლა ამავე დღის საღამოა, ვზივარ და გადავცქერი ქალაქს, შორს, დაბლა, ჩემს ფერხით რომ არის გართხმული, მწუხრი ჩამოწვა, აღარ ისმის სამგლოვიარო ზარების რეკვა. ტაძრები და ადამიანთა საცხოვრებელი სახლები ბნელში ინთქმება. აქედან ვხედავ, რა ზანტად მიიზღაზნება სახლებს შორის კოცონების ბოლქვა-ბოლქვად აღენილი ბოლი. იმ კოცონებზე ახლა ადამიანებს წვავენ, მწვავენ, მყრალი სუნი აქამდეც აღწევს. დედამიწას თითქოს სქელი საფარველი დაეფინა, მალე უკუნი გამეფდება.

სიცოცხლე! რა არის სიცოცხლე? რისთვის არის საჭირო, ან რას მოასწავებს? რატომ უნდა გაგრძელდეს ეს ფუჭი სიცარიელე, ეს უიმედო ყოფა?

მოახლე გოგო მოკვდა, სიკვდილისაგან ვერც მისმა დაბრაწულმა ლოყებმა იხსნა, ჭირმა იმსხვერპლა, თუმცა რა წაეკიდა, დიდნანს ვერ მიხვდნენ, რადგან სხვებივით არ დატანჯულა.

ფიამეტაც გარდაიცვალა. გუშინ დილით გახდა ავად და რამდენიმე საათში გაქრა. მე ვნახე იგი, როდესაც ის საფრთხობელა ბერები ნეშტის გადასასვენებლად მოვიდნენ. საშინელი შესახედი იყო, სახე დასივებოდა და დაუშნობოდა, ალბათ, მთელი სხეულიც ასევე ჰქონდა დამახინჯებული. ალტაცების გრძნობას უკვე ვეღარავის მოჰკვრიდა. საზიზლარი ლეში იყო და სხვაარაფერი. ბერებმა დარუმბებული სახე დაუფარეს და წაიღეს. ჩვენთან სასახლეში საშინლად ეშინიათ შავი ჭირის და ცდილობენ, რაც შეიძლება ჩქარა მოიშორონ თავიდან მიცვალებულები. მაგრამ ფიამეტას ამ საღამოს დაკრძალავენ, ასეთია ჰერცოგის ნება! რა მნიშვნელობა აქვს, სულ ერთია, სული აღარ უდგას, მკვდარია!

ფიამეტას არავინ გლოვობს?

ეგება ჰერცოგი გლოვობს. მე მგონი, ასეცაა, თუ გული შეუმსუბუქდა, შეღავათი იგრძნო? იქნებ ერთიცაა და მეორეც.

ეს არავინ იცის, რადგან ჰერცოგი არავის ელაპარაკება. სახე ფერმკრთალი და უსიცოცხლო აქვს, კაცი ვეღარც კი იცნობს. თმით დაფარული შუბლი, ერთიანად ნაოჭებით დაეღარა, მხრებზე ჩამოყრილი დადის, დაღრუბვლილი, შიშნამდგარი თვალები უცნაურად უბრწყინავს.

დღეს გაკვრით მოკვარი თვალი. ეს ერთი ხანია, ძალზე იშვიათად ვხედავ. სუფრაზე მე აღარ ვემსახურები.

უცნაური არსებებია ეს ადამიანები. ჩემთვის მუდამ გაუგებარი დარჩება, თუ რა არის მათი სიყვარული.

მტერმა ალყა მოხსნა და თავისი ჯარი ქალაქის მისადგომებიდან გაიყვანა. მას შემდეგ, რაც ჭირი მათაც დაერია, ბოკაროსას დაქორავებულმა ჯარმა აღარ ისურვა მოწინააღმდეგესთან ბრძოლა.

ამრიგად, ჭირმა დააჩქარა ომის დამთავრება, საამისოდ სხვა რამ ძალა არ არსებობდა. ორივე მხარე მიწასთან არის გასწორებული, მაგრამ ჩვენ უფრო ცუდ დღეში ვართ. ხალხიც, — ჩვენიც და მათიც, — არაქათვამოცლილია და ბრძოლის თავი აღარა აქვს. ლოდოვიკოს ძმა საწადელს ვერ ეწია და ახლა, ადვილი შესაძლებელია, სხვა ყველა სიკეთესთან ერთად, მისმა მეომრებმა შინ ჭირიც მიიტანონ.

ჩვენთან, სასახლეში სიკვდილიანობა ვახშირდა. ანჯელინკას გლოვის დღეებში გაკეთებული დეკორაცია არ ჩამოუხსნიათ და ახლა იგი კარგად ესადაგება აქაურ, საერთო განწყობილებას.

მე ყველაფერს ჩამომაცილეს. ჩემი სამსახური აღარ სჭირდებათ, არაფერს მიხმობს, არაფერს ვახსენებდი, ყველაზე ნაკლებად კი პერცოვს ვახსოვარ.

კარგად რომ ვერ არის საქმე, ხალხს სახეზე ვატყობ, მაგრამ რა ხდება, ვერ გამიგია.

იქნებ რამე მოუჭორეს ჩემზე?

მთლად განვმარტოვდი ჩემს სენაკში, ვცხოვრობ აქ ჩემთვის განცალკევებით, დაბლა საკმლისთვისაც კი არ ჩავდივარ. პურის ნარჩენები შემომრჩა, და თავი იმით გამაქვს, ჩემთვის ეს სრულიად საკმარისია, საჭმელს მაინც დამაინც არასოდეს ვეტანებოდი.

ვზივარ ჩემს დაბალ ჭერქვეშ, ფიქრებით შემოჭარული და თანდათანობით სულ უფრო და უფრო მომწონს, მარტოობას რომ არაფერს მივრვევს.

უკვე ძალიან დიდი ხანია, არაფერი ჩამიწერია, ეს დაკავშირებულია იმ მოულოდნელ ამბებთან, თავს რომ დამატყდა და ხელი შემეშალა განმეგვრძო წერა. ჩემი ჩანაწერები ჯუჯების სენაკში დარჩა, მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ შეეძელი მათი ხელში ჩაგდება.

ვზივარ დილეგში, სადღაც სასახლის ჭურღმულში, კედელზე მიჯაჭვული. აგერ ახლა ხელებზე ზუნდებიც. მედო, ვერ გამიგია, რატომ შემიბორკეს ხელები, განა სადმე გაქცევა შემეძლო?! ალბათ, მხოლოდ იმიტომ მომეჭკნენ ასე, რომ სასჯელის დამძიმება უნდოდათ. მერე ხელები გამითავისუფლეს. არ ვიცი, რატომ, მე ეს არ მითხოვია. საერთოდ, არაფერი მითხოვია. ხელბორკილის გარეშე ოდნავი შეღავათი ვიგრძენი, თუმცა საბოლოოდ არაფერი შეეცვლილა. სწორედ მაშინ ვთხოვე ანსელმოს, ჩემს ზედამხედველს, ჯუჯების სენაკიდან ჩემი საწერკალამი და ჩანაწერები მოეტანა, რომ ზოგჯერ მაინც შემეძლებოდა თავის გართობა. ანსელმო დაყოლიებით კი დაეყოლიე, მაგრამ საფრთხილო საქმე იყო და შეიძლებოდა დიდი უსიამოვნება შეხვედროდა. მართალია, ხელბორკილი ამხსნეს, მაგრამ არა მგონია, ამ პატარა სიამოვნებაზე დამთანხმებოდნენ, თვითონ ანსელმოს კი, როგორც მითხრა, ძალიანაც რომ უნდოდეს, უფლება არა აქვს, რაც მომეგუნებება, ის მაკეთებინოს. მაგრამ ანსელმო დაუზარელი და გულალალი ახალგაზრდაა, და ბოლოს და ბოლოს, შემისრულდა სათხოვარი.

ჩემი ჩანაწერები თავიდან გადავიკითხე. ყოველდღე ცოტ-ცოტას ვკითხულობდი და სასიამოვნო მოგონებებში ჩავიძირე. თითქოს ხელახლა განვიცადე საკუთარი ცხოვრება, სხვების ცხოვრება-საც მივადევნე თვალი და ყველაფერს ხელახლა ჩავუფიქრდი.

ახლა ვეცდები, წერა იქიდან განვაგრძო, სადაც შეეჩერდი. ეს დამეხმარება ოდნავ მაინც გავახალისო ჩემი მართლაც რომ დამყაყებული ცხოვრება.

მართალი მოგახსენოთ, არც კი ვიცი, რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც აქ ვზივარ. ჩემი აქაური ცხოვრება ისე ერთფეროვანია, ერთი დღე ისე წააგავს მეორეს, რომ დროის გამოთვლას ახარი აღარ აქვს. დღეთა მსვლელობას თვალს არ ვადევნებ, მაგრამ ძალიან კარგად მახსოვს ყველაფერი, რაც მოხდა, ისიც, თუ როგორ მომიყვანეს აქ და კედელს მიმაკრეს.

ერთხელ, დილით, ჩემს ოთახში მშვიდად რომ ვიწეკი და ფიქრს მივცემოდი, საკართანოზე ჯალათის თანაშემწემ გადმოალაჯა და მიბრძანა, გავყოლოდი. არ უთქვამს, სად და რისთვის მიეყავდი და არც მე მიკითხავენ რაზე, იმიტომ რომ თავის დამცირებად მიმაჩნდა, პირველი გამოვლაპარაკებოდი, ამ კაცმა საწამებელში მიმიყვანა, იქ დამხვდა ახმახი, სახელაუწილი და წელზემთ შიშველი ჯალათი და მსაჯული. მას შემდეგ, რაც საწამებელი იარაღები მაჩვენეს, მსაჯულმა მიბრძანა, გულახდილად მეთქვა, რა ხდებოდა ჰერცოგის მეუღლის საწოლ ოთახში ჩემი იქ ყოფნის დროს და ისიც, თუ რამ ჩააგდო საბრალო ასეთ საშინელ დღეში.

მე, რა თქმა უნდა, ხმა არ ამომიღია. მსაჯულმა ერთხელ კიდევ გამაფრთხილა მეღიარებინა ყველაფერი, მაგრამ მე ჭიუტად ვდუმდი, მაშინ ჯალათმა ხელი დამავლო, რათა საწამებელ ფიცარზე მიეგები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არ იყო ჩემი ზომის შესაფერი, ამიტომ უნდა ჩამოვსულიყავი და დავლოდებოდი, სანამ ისე მოარგებდნენ, რომ ჯუჯისთვის გამომდგარიყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში იძულებული ვიყავი, მესმინა მათი უწმაწური სიტყვები და ბრყვეული ხუმრობა: აბა, ნახე რა მაღალი და ახოვანი გახდებო. მერე ხელახლა ამათრიეს ამ ფიცარზე და საშინლად მაწამეს, მაგრამ მიუხედავად აუტანელი ტკივილებისა, კრინტიც კი არ დამიძრავს, დაცინვით შევცქეროდი ჩემს მწვალელებებს პირში წყალჩაგუბებული, მსაჯული ჩემკენ გადმოიხარა, რათა უკეთ მოესმინა, რასაც ვიტყოდი, მარცვალ-მარცვალ აეკრიბა ყოველი სიტყვა, მაგრამ მე არ გავეცი ჰერცოგის მეუღლე, არ მინდოდა მისი დამცირება ვინმეს გაეგო. წამითაც კი არ მიფიქრია, მეთქვა რამე ისეთი, რაც

მას დაამცირებდა და ღირსებას შუბლაღვდა, მზად ვიყავი, საამისოდ ყველაფერი ამეტანა, კბილი კბილს მაგრად დავაკირე და ასე გავუძელი წამებას იმ ქალის გამო, რომელიც ყოველთვის მძაგდა, რატომ მოვიქეცი ასე? არ ვიცი, შეიძლება მსიამოვნებდა, მისი გულსთვის რომ მაწამებდნენ.

ბოლოს ჯალათი იძულებული გახდა, ჩემთვის თავი დაენებებინა. წყველა-კრულვით შემხსნეს თოკები. მერე ჯურღმულში ჩამაგდეს და სწორედ ის ხელბორკილი დამადეს, ადრე რომ გაქედეს ჩემთვის — ეს მაშინ იყო, ჩემი დაჩაგრული თანამოძმენი რომ ეაზიარე. — და ჰერცოგის ბრძანებით, შეინახეს, იმ განზრახვით, რომ როდესმე გამოადგებოდათ, ასრულდა ჰერცოგის სიტყვა, მაგრამ ის დილეგი, სადაც მაშინ ჩამაგდეს, ამაზე გაცილებით სტუმართმოყვარე იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ გამომიყვანეს და ხელახლა მაწამეს. მაგრამ ახლაც ამოდ დაშვრნენ... სიტყვას ვერაფერს დამაციდენინებს. კვლავინდებურად ვინახავ ჰერცოგის მეუღლის საიდუმლოს.

რამდენიმე ხნის შემდეგ რაღაც გასამართლებასავით მომიწყეს. მაშინ შევიტყვე, რომ საშიში დამნაშავე ვიყავი და, ყველაფერთან ერთად, ბრალი მედებოდა ჰერცოგის მეუღლის სიკვდილში. თეოდორას გარდაცვალების შესახებ მე არაფერი ვიცოდი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სახემ არ გამცა, არ გაამელავნა თუ რა ვიგრძენი, ეს ამბავი რომ შევიტყვე. ჰერცოგის მეუღლე ისევ ისე ბურანში მყოფი წასულიყო ამქვეყნიდან.

მე მკითხეს, მქონდა თუ არა რაიმე სათქმელი თავის დასაცავად, მაგრამ პასუხის ღირსადაც არავინ გავხადე, მაშინ განაჩენის კითხვას შეუდგნენ. ყველა ჩემი შავბნელი საქმისათვის, რამაც ამდენი უბედურება გამოიწვია, მომისაჯეს სამუდამო პატიმრობა სასახლის ყველაზე ბნელ ჯურღმულში, სადაც კედელზე მიჩაქვულა უნდა ვმჯდარიყავ. მე თურმე შხამიანი გველი და მისი ბრწყინვალეების, ჰერცოგის ბოროტი გენია ვყოფილვარ და მისი ბრწყინვალეების, ჰერცოგის უმაღლესი ბრძანებითა და ნებით, სამუდამოდ მიშორებდნენ თავიდან.

განაჩენი ძალიან მშვიდად მოვისმინე. ჯუჯის ათაქამინდელი სახე მხოლოდ ზიზღსა და დაცინვას გამოხატავდა. დავინახე, რომ ყველანი შიშით შემომცქეროდნენ. მერე წამომიყვანეს და იჭიდან მოყოლებული, ამ საზიზღარ არსებათაგან აღარავინ მინახავს. ვხვდავ მხოლოდ ანსელმოს, რომელიც ისე გულუბრყვილო და მიაშიტიია, რომ მის შესაძაგებლად თავის შეწუხება არც ღირს.

შხამიანი გველი!

ღიპ, მე გავურთე სასმელში ბანგი, მაგრამ ვისი ბრძანებით? ღიპ, მე მოვკალი დონ რეკარდო, მაგრამ ვინ ისურვა თავიდან მოემორებინა იგი? ღიპ, მე გავმოლტე ჰერცოგის მეუღლე, მაგრამ ვინ მთხოვდა, ვინ მემუდარებოდა, ასე მოვქექულიყავი?

აღაძიანები მეტისმეტად სუსტები არიან და ძალიან შორს ღვანან სინამდვილისაგან საიშისოდ, რომ თავიანთი ბედი საკუთარი ხელით გაქედონ.

ყველა ზემოჩამოთვლილი დანაშაულისათვის ჩემთვის სიკვდილი უნდა მოესაჯათ, მაგრამ სხვაგვარი განაჩენი გამომიტანეს. რატომ მოხდა ასე? ეს შეიძლება გაუგვირდეს მხოლოდ სულელს ან იპას, ვინც არ იცნობს ჩემს დიად მბრძანებელს, მე კი იგი საკმაოდ ჯარგად მყავს შესწავლილი, მსგავსი რამის შიში რომ მქონდეს, თანაც, ისიც უნდა ითქვას, რომ არსებითად მას ჩემზე ძალა არა აქვს.

ჩემზე ძალა არა აქვს! მერე რა, ამ სოროში რომ ვზივარ, რა აზრი აქვს ჯაჭვებში რომ ჩამქედეს? სულ ერთია, სასახლის მანც ვერ მომპაშორებენ! ეს ერთხელ კიდევ დაამტკიცეს იმით, რომ ზედ სასახლის კედელზე მიმაჯაჭვეს. მე სასახლეზე ვარ მიჯაჭვული, სასახლე კიდევ — ჩემზე, არა, ჩემი ბატონი და მე ერთმანეთს თავს ვერ დავალწევთ, მეც ტუსალი ვარ და ისიც ტუსალია, ჩვენ ერთმანეთზე ვართ გადახლართულნი, ერთი ჯაჭვით გადაბმულნი.

ცეხოვრობ ახლა ამ ჩემს სოროში თხუნელასავით უჩინრად, მაშინ, როდესაც ჰერცოგი თავისუფლად დასეირნობს თავის მდიდრულ პალატებში, მაგრამ ჩემი ცხოვრება — მისი ცხოვრებაცაა, ხოლო მისი ბრწყინვალე, დიდებით მოსილი ცხოვრება, არსებითად ჩემი ცხოვრებაა. არა ერთი და ორი დღე შევალე იმას, ეს რომ დამეწერა, მე მხოლოდ მაშინ შემიძლია ვწერო, როდესაც ვიწრო ფანჯრიდან ანასხლეტი სხივი ქალაღს ეცემა. უნდა ვიჩქარო. თორემ ის რამდენიმე წუთი ზელადვე ჩამადნება ხელში. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ სხივი იატაკზე გადაინაცვლებს, იქამდე კი ჩემი მოკლე ჯაჭვი არ მიშვებს. ამ მხრივ მეტისმეტად შეზღუდული ვარ, სწორედ ამ სიბნელის გამო ბევრი დრო მოვანდომე ჩემი ადრინდელი ჩანაწერების გადაკითხვას, თუმცა, ერთი მხრივ, ასეც სჯობდა, რადგან ამით უფრო გავიხანგრძლივე სიამოვნება.

გარდა იმ მცირე დროისა, წერას რომ ვანდომებ, მთელი დღე ისევე უქმად ვზივარ, როგორც ვიჯექი მაშინ, ბორკილები რომ მედო. არაფრით შემიძლია თავი გავირთო. სამ საათზე უკვე ბნელდება და დროის უმეტეს ნაწილს უკუნ წყვიდალში ვატარებ. ბნელად

ჩამოწვება თუ არა, ვირთხებიც გამოძვრებიან და აქეთ-იქით დასუნსულდებიან, თან მსუნაგ თვალებს აელვარებენ. მაშინვე მოკვრავ. ხოლმე თვალს, რადგან ბნელში მათზე ცუდად როდი ვხედავ, და საერთოდაც მათსავით, მეც თანდათანობით რაღაც მიწისწვეშა არსებებს ვემსგავსები. მძაგ ეს მახინჯი, ბინჯური ცხოველები და გამოჩნდებიან თუ არა, ნადირობას ვიწყებ, გაუნძრევლად ვზივარ და თუ მოშიაბლოვდებიან, ფეხებით ვჭულეტ და ვკლავ. ეს ჩემთვის სიცოცხლის გამოჰქლავების კიდევ ერთი ფორმაა; დილით ვუბრძანებ ხოლმე ანსელმოს, ვირთხები საკანიდან გაათრიოს. ვერ გამოიგია, საიდან უნდა შემოდლიოდნენ, ალბათ, კარქვეშ სადმე ღრიკოა დარჩენილი.

კედლებიდან წყალი მოჟონავს და ჩემს ჭურღმულში დამპალი შმორის სუნი დგას, რაც, მგონი, ყველაზე მეტად ძტანჯავს, ინიტომ, რომ სუნის მიმართ არაჩვეულებრივად ჰგონობიარე ვარ. იატაკი მიწისაა, მაგრად დატკეპნილი ტუსადების მიერ, ჩემამდე რომ ისტდნენ აქ. როგორც ჩანს, ისინი კედელზე არ ყოფილან მიჯაჭვულნი, ყოველ შემთხვევაში, ზოგს მაინც შეეძლებოდა თავისუფლად სიარული, რადგან იატაკი ქვასავით გამაგრებულია. ღმითთივაზე მძინავს, სწორედ ისე, ჰერცოგის მეუღლეს რომ ეძინა. მხოლოდ მისგან განსხვავებით, თივა ჰუჭყიანი არ არის და არც სიწყრალის სუნი ასდის, ანსელმოს, ჩემი ბრძანებით, ყოველ კვირას ახალ-ახალი შემოაქვს. მე თავისუფალი პიროვნება ვარ და თვითგვემას არ ვარ ჩვეული.

ამგვარია ჩემი ყოფა დილეგის ბნელ სოროში. სახეგაქვავებულის ვზივარ აქ, და, როგორც ყოველთვის, ვეძლევი ფიქრებს სიცოცხლის რაობაზე, ადამიანებზე და მარად იგივე ვარ.

თუ ჰგონიათ, რომ ჩემს მოდრეკას შეძლებენ, ძალიან სცდებიან.

ჩემი გულკეთილი ზედამხედველის წყალობით, გარესამყაროსთან რაღაც კავშირს მაინც ვამყარებ. ანსელმო, როცა საქმელი მოაქვს, გულუბრყვილოდ ჰყვება რაც იქ, მალლა ხდება, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველაფერს თავისებურად ხსნის და განმარტავს, ძალიან აინტერესებს ყველაფერი, და უყვარს ხოლმე თავის მოსაზრებების გაზიარება, რაც ტვინის გვარიან დაძაბვად უჭდება. მის წარმოდგენაში საგნები და მოვლენები მეტისმეტად გამარტივებულია, ყველაზე მეტად მაინც ის აღელვებს, თუ რას ფიქრობს მამაზეციერი ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ რაკი ცხოვრებისეულ საკითხებში გვარიანი გამოცდილება მაქვს, ანსელმოს ნამბობიდან მაინც ვახერხებ დაახლოებით წარმოვიდგინო, რა ხდება ზე-

შოთ. ამრიგად, თანდათანობით გარკვეული აზრი ჩამომიყალიბდა ზოლო დროის ამბებსა და მოვლენებზე, ჰერცოგის მეუღლის უკანასკნელ დღეებსა და გარდაცვალებაზე, და საერთოდ, ყველაფერზე, რაც ჩემი ჭურღმულში ჩაგდების შემდეგ მოხდა. ჰერცოგი თურმე მთელი დღეების განმავლობაში საწოლთან უჯდა თავის მეუღლეს და აკვირდებოდა, როგორ თანდათანობით ეცვლებოდა ხახე, და თითქოს შინაგანად სულ უფრო და უფრო ჩათხრობილი და, როგორც სასახლეში ამბობდნენ, ზეშთაგონებული უხდებოდა. ღვთისმშობელივით ლამაზი გახდაო, მიმტკიცებდა ანსილმო, თითქოს ყველაფერი საკუთარი თვალით ენახოს. მე კი კარგად მახსოვს, როგორი იყო იგი სიკვდილის წინ. ის კი ნამდვილად მჭერა, რომ ჰერცოგი დღედაღამ გვერდით ეჯდა და ზედ ეგებოდა სულთშობრძავ მეუღლეს, ზელიდან რომ ეცლებოდა. შესაძლებელია, წელახლა განიცდიდა თავიანთ პირველ სიყვარულს, მხოლოდ ამჯერად მარტო, რადგან მისი მეუღლე ყველაფერს ამქვეყნიურს განუდგა და განერიდა. ჰერცოგი, რა თქმა უნდა, ამ განდგომაში და მომაკვდავის იმქვეყნიურ იერშიც ძალიან ბევრს შთამბეჭდავს და შთამაგონებელს ხედავდა — მე ხომ მას კარგად ვიცნობ — და, ამასთან, შესაძლოა, შეცბუნებულიც იყო იმ ამოუხსნელი გარდაქმნით, ამ ქალში რომ მოხდა, რისი თანამონაწილეც თავად არ ყოფილა, და გულით სურდა, სიციოცხლე დაებრუნებინა მისთვის, შაგრამ თეოდორა ხელიდან უსხლტებოდა და ეს, ალბათ, კიდევ უფრო უძლიერებდა სიყვარულს, — საერთოდ ყოველთვის ასე ზდება ხოლმე.

ასეთ განცდებში იყო, როცა ხელთ მიმცა ჯალათებს და ჩემი დილეგში ჩაგდება ბრძანა. ჰერცოგს უყვარდა ცოლი. რომელიც მისთვის ასე მიუწვდომელი გახდა, და სწორედ ამიტომაც მოისურვა ჩემი დატანჯვა, მაგრამ ეს არ მიკვირს, და, საერთოდ, აღარაფერი მაკვირვებს.

ბერნარდო ხშირად ნახულობდა თურმე ჰერცოგის მეუღლეს, სხვებიც მოდიოდნენ მის სანახავად. ბერნარდოს თითქოს ეთქვა თეოდორაზე. ძალზე გასაოცარი სახე აქვს და ახლა ბოლოს და ბოლოს შემიძლია მის სულს ჩაეწვდეთ, მგონი, ახლა ხვდება, რატომ ვერ მოახერხა მაშინ ჰერცოგის მეუღლის პორტრეტი დაეხატა. თუმცა ჯერ კიდევ საკითხავია, მართლა ვერ მოახერხა თუ არა, თეოდორა ხომ ბოლო დროს სულაც არ წააგავდა იმ პორტრეტზე აღბეჭდილს. ეფიქრა მაინც, რას ლაპარაკობს.

შემდეგ სტენაზე წმინდა მამები გამოვიდნენ, მათ განაცხადეს, ჰერცოგის მეუღლის გადასელა მარადიულ სიციოცხლეში — სულის

ამამაღლებელი და ლამაზი სურათიაო. რა თქმა უნდა, მოძღვარც მოვიდა და, რა თქმა უნდა, ყველა შემხედრს ეუბნებოდა, რა წმიდა და უბიწო იყო ჰერცოგის მეუღლე. როცა უკვე ღმერთს სულმ აბარებდა, არქიებისკოპოსმა თავად აზიარა და ზეთი სცხო. ოთახი სავსე იყო პრელატებით და სხვადასხვა რანგის სასულიერო პირებით. მაგრამ თეოდორა მაინც განმარტებული კვდებოდა, ვერც კი გრძნობდა, მის გვერდით თუ ვინმე იყო.

მისი მიცვალების შემდეგ იპოვეს ჭუჭყიან, დაკმუჭნილ ქალაღზე დაწერილი წერილი, სადაც ეწერა, რომ სურდა მისი საძულველი სხეული კოცონზე დაეწვათ, როგორც წვავენ ჭირიანებს. და ფერფლი ქუჩებში მიმოეფანტათ, რათა ყველას შეძლებოდა მისი ფეხქვეშ გათელა.

მაგრამ გადაწყდა, რომ ჰერცოგის მეუღლემ ყველაფერი ეს დაწერა მაშინ, როდესაც საღ გონებაზე აღარ იყო და მენსიერებაც ლალატობდა, ამიტომ არავის უზრუნია, შეესრულებინა მისი უკანასკნელი სურვილი, თუმცა ეს სურვილი სრულიად სერიოზულად იყო გამოთქმული. ამის ნაცვლად, რაღაც საშუალო აირჩიეს: ცხედარი შემურვეს, მაგრამ უბრალო რკინის კუბოში ჩასვენეს და ასევე შეუმკობლად წაიღეს ტაძრისკენ, ჰერცოგების საგვარეულო აკლდამაში დასაკრძალად. შეეცადნენ, რომ პროცესიაც რაც კი შეიძლება მცირერიცხოვანი ყოფილიყო, რამდენადაც ამის შესაძლებლობას განსვენებულის ჩამომავლობა და ჰერცოგის საპატიო წოდება იძლეოდა. მათ უკან სულთქმაშეკრულნი მიჰყვებოდნენ მდაბიორნი — გასაცოდავებული ჩონჩხები, რომლებიც ჯერ კიდევ გადარჩენოდნენ სიკვდილის მსახვრელ ხელს. ანსელმომ ამიწერა ამ ჭირით დასნებოვნებულ ქალაქში პროცესიის ნაღვლიანი სვლა და მერე დასძინა, ეს მართლაც გულშემზარავი სანახაობა იყო. შენაძლოა, მართლაც ასე იყოს.

ახლა ხალხს, რა თქმა უნდა, ეგონა, რომ ჰერცოგის მეუღლეზე უკვე ყველაფერი იცოდა, როგორი იყო ან ბოლო დროს როგორ ცხოვრობდა და მას უკვე ისე უცქეროდნენ, როგორც თავიანთ საკუთრებას. მოჰკრავდნენ თუ არა რამეს ყურს თეოდორაზე, უმალ თავისებურად, თავის ყაიდაზე უნდა გადაეკეთებინათ, როგორც ჩვეულებრივად ასეთ დროს ხდება ხოლმე. მათი ფანტაზია, რა თქმა უნდა, გააღვივა ღარიბული, მახინჯი კუბოს დანახვამ ჰერცოგთა საგვარეულო ვერცხლის დიდებული კუბოების გვერდით, მარმარილოთი მდიდრულად მორთულ აკლდამაში. ეს უბრალო კუბო თითქოს ახლოებდა ჰერცოგის მეუღლეს მათთან, ისე,

თითქოს ისიც ერთ-ერთი მდაბიოთაგანი ყოფილიყოს. ხოლო მია-
მარბულობა და სხეულის გვემა, რაზგდაც შოახლემ ყველასთახ
ილაქლაქა, გახდა საბაბი იმისა, რომ იგი რჩეულთა შორის შეე-
რაცხათ. ჰერცოგის მეუღლე, თქმა არ უნდა, სხვებზე მეტად დაი-
ტანჯა, რადგან, თუმცა თავი ასე დაიმდაბლა, მაინც წარჩინებულა
ქალბატონი ბრძანდებოდა. აქი მაცხოვარიც სხვებზე მეტად ევნო,
რადგან ძე ღვთისა იყო. ეს თითქმის ერთი და იგივეა. თუმცა მარ-
ტო იესო ხომ არ ევნო ამგვარად, ზოგი თავქვეც კი დაჰკიდეს
ჯვარზე და გაცილებით უფრო მეტად აწამეს და გვემეს, ჰერცოგის
მეუღლე თანდათანობით ლამის წმინდანად აქციეს, რადგან მან
მთლიანად აიღო ხელი ამქვეყნიურ ცხოვრებაზე და იმ ზომამდე
სძაგდა იგი, რომ თვითონვე მოაკვდინა საკუთარი სხეული, ხალხს
ფეხებზე ჰკიდია ჰეშმარიტება. მანამ ვერ მოისვენეს, ვიდრე თავი-
ახთ ფანტაზიის ნაყოფს ისეთი სახე არ მისცეს, როგორც თავად
სურდათ, რა თქმა უნდა, ვერც სასწაულს აუარეს გვერდი, ყოველ
შემთხვევაში, ანსელმოს ღრმად სჯეროდა ამ სასწაულსა. მიტყუ-
ებდა, ღამლამობით ჰერცოგის მეუღლის კუბოს თავზე ნათელი
ადგასო. ყველაფერი შეიძლება, რამდენადაც ამ ღროს ტაძარი და-
კეტალია, აქ გადაქრით ვერც „პო-ს“ იტყვის ვინმე და ვერც
„არა“-ს, ხოლო როდესაც მორწმუნეს არჩევანი ექლევა ტყუილსა
და მართალს შორის, იგი ყოველთვის ტყუილს ირჩევს. სიცრუე
წამართლებზე მეტად ჰყვებაგს გრძნობებს და თანაც უფრო შთა-
ბეჭდავია, ამიტომ ხალხი მას უფრო ეწყობა.

ანსელმოს როცა ვუსმენ, არ შემიძლია არ გავიფიქრო, რომ ეს
შე, უნებლიეთ, ჩემი საკუთარი ხელით მოვფინე თვოლორას წმინ-
დანის შარავანდელი, ან, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ შევეწყვე ზი-
ლი მის სიკაცაშეს. და სწორედ იმისთვის, ეს რომ ჩავიდინე, ვზო-
ვარ ახლა ამ ჯურღმულში კედელზე მიჯაჭვული. ზემოთ, რა თქმა
უნდა, ამაზე არაფერი იციან, და რომც იცოდნენ, ჩემი ტანჯვა, ალ-
ღათ, არც არავის შეაწუხებს. მე სულაც არ ვესწრაფი, დავიღვა
მოწამის შარავანდელი. მაგრამ მაოცებს, რომ წმინდანობისაგან ასე
შორს მდგარი ადამიანის მეოხებით უნდა მომხდარყო ეს ყველა-
ფერი.

ეროხელ, — არ მახსოვს ზუსტად როდის. — ანსელმომ მითბრა,
ბერნარდო ხატავს ყოველად წმინდის ხატს, რომელსაც ჰერცოგია
მეუღლეს დაამსგაფსებსო. ჰერცოგი და მთელი სასახლე ვატაცებით
ადევნივნენ თურქე თვალს მის მუშაობას და ყველანი შედნიერები
არიან. მოწუც მესტროს უბრძანებია, მინდა ვეცადო და გააშროც
ჰერცოგის მეუღლის შინაგანი ბუნება და ყველაფერი ის, რაც

ისე ბუნდოვნად მქონდა წარმოდგენილი, ვიდრე მას სიკვდილის სა-
რეცელზე ვიხილავდიო. ვერ გეტყვით, რამდენად შეძლო ეს მაეს-
ტრო ბერნარდომ, რადგან მისი ხელქმნილი არ მინახავს, მაგრამ
ანსელმოს თქმით, ყველანი ერთხმად ამტკიცებენ, ნამდვილი შე-
ღვერი გამოვიდაო, თუმცა, რაც უნდა დახატოს მაესტრო ბერ-
ნარდომ, ყველაფერს შედეგად ნათლავენ. მოხუცი ძალიან დიდ-
ხანს მუშაობდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც მიაღწია მიზანს.
მისი „საიდუმლო სერობა“, სადაც ქრისტე პურს ტეხავს, ჯერ კიდევ
არ არის დამთავრებული და, ალბათ, ასევე დარჩება, მაგრამ ღვთის-
მშობლის ხატი გაასრულა, რადგან ეს შედარებით უფრო იოლი
საქმე იყო. ხატი საყდარში დაასვენეს, მარცხნივ, ეკვდერში, საკურ-
თხველის თავზე. ანსელმომ ხატი რომ ნახა, ბავშვივით აღტაცებუ-
ლი მოიქრა ჩემთან. ძალიან გულუბრყვილოდ ამიწერა ყველაფე-
რი და მითხრა, ასეთი ხატი ჯერ არავის შეუქმნია, აქამდე არავის
დაუხატავს ასე გულმონწყალებ და მშვენიერი დედა ღვთისაო, გან-
საკუთრებით, აღტაცებაში მოჰყავს თურმე ხალხი მის იდუმალ,
ამოუცნობ ღმირს. რომელმაც ყველას გელი აუჩუყა, ამბობენ
თურმე. რა გასაოცრად ზეშთაგონებული, გამოუცნობი და არამი-
წიერი ღმირით იღივებაო. მივხვდი, რომ ეს ღმირი მაესტრო
ბერნარდომ ადრინდელი პორტრეტიდან გადაიტანა, სწორედ იქი-
დან, ჰერცოგის მეუღლე მეძავს რომ წააგავს,

ძნელი იყო წარმოდგენა შემქმნოდა ამ ხატზე ისეთი ხეპრე და
უმეტარი კაცის აღწერათ, როგორც ანსელმოა, მაგრამ, რამდენა-
დაც მივხვდი, მაესტრო ბერნარდომ მართლაც შეძლო ღვთისმოსაჯ-
თათვის გული შეეძრა. თუმცა თვითონ ღვთისმშობელს არ აღიარ-
ებს, მაინც ეტყობა, მის მიერ შექმნილ სახეში ჩააქსოვა ქეშპარი-
ტი რელიგიური გრძნობა, რათა მლოცველები აღელვებულნი გა-
რანდუწლიყვნენ მის წინაშე, ხალხი ტაძარს მოაწყდა, ღვთისმშობ-
ლის ხატის სანახავად, სანთლებით ხელში ეახლებოდნენ ხატს და
მუხლს იყრიდნენ. აქ უფრო მრავლად იყვნენ მლოცველები, ვიდ-
რე სხვა ხატებთან, ბოლო სანთლები ისე ბლომად ენთო, და ისე
იყო ის ადგილი გაჩახჩახებული. რომ საყდარში შესვლისთანავე
კაცს პირველად თვალი აქეთკენ გაექცეოდა. ღვთისმშობლის ხატ-
თან ღარიბ-ღატაკნი მოილტვიან, რათა თავისი სათხოვარი შესთო-
ვონ და მწუხარება შეიმსუბუქონ, ყველა დაჩაგრული და გაუბედუ-
რებული, ასე რომ მომრავლდა ამ ძნელბედობის რასს, აქეთკენ მო-
ეშურება, ეს ხატი შეიქნა მათი ქომაგი და მოსარჩლე, მოთმინებით
ისმენს დედა ღვთისა მათ ლოცვა-ვედრებას და დამშვიდებულებს,
და ნუგეშცემულთ ისტუმრებს უკან, თუმცა, რამდენადაც მახსოვს, სი-

ცოცხლეში ჰერცოგის მეუღლე არასოდეს დაინტერესებულა მდაბიორთა ცხოვრებით. გამოდის; რომ მე და მავსტრო ბერნარდომ დიდად შევუწყვეთ ხელი ხალხში ღრმა რელიგიური გრძნობის გაღვივებას.

აქამდე სულ ამ ამბებზე ვფიქრობ. ვის მოუვიდოდა აზრად, რომ თეოდორას საყდარში გამოაყუდებდნენ, როგორც ღვთისმშობელსა და ნუგეშის მცემელს და ბრბოს სიყვარულია და თავყენების საგანი გახდებოდა, რომ იგი — უცოდველი და არამიწიერი, ყირიციხვი სანთლის მოლაცივე უუქით გაციაგებულნი, ზემოდან გადმოაქცერდებოდა მლოცველთ. ამავე დროს კი სასახლეში ჰკიდია ამ ქალის პორტრეტი, რომელიც ჰერცოგის ბრძანებით, ჩარჩოში ჩასვეს, თუმცა მავსტრო ბერნარდო ამ თავისი ხელმძღვანელით კმაყოფილი არ არის. ეს სწორედ ის პორტრეტია, სადაც თეოდორა მუცავს ჩამოკვავს. და თუმცა ეს ორი ნახატი ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაინც შეიძლება ორივე თავისებურად ზუსტი იყოს, თანაც ორივე შემთხვევაში ჰერცოგის მეუღლე ერთნაირი მოუხელთებელი ღიმილით იღიწის — მდაბიორნი ამ ღიმილს არამიწიერს უწოდებენ.

ხალხს მქრქალ სარკეში ცქერა უყვარს.

ახლა, როდესაც ამდენი რამ აღწერე, ესე იგი. ვილაპარაკე ყველაფერზე, რაც ჩემი დილეგში ჩაწყვედვის შემდეგ მოხდა, ვფიქრობ, რომ უკვე აღარაფერი მაქვს დასაწერი. მართალია, ანსელმომ ისევ მიყვება ხოლმე ამბებს სასახლის ცხოვრებიდან, არც ქალაქის მდაბიორებს ივიწყებს. მაგრამ იქ ჯერჯერობით რაიმე მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ქირმა პირი იბრუნა, მაგრამ ვიდრე ასე მოხდებოდა, მრავლის უმრავლესი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, როგორც გაჩნდა, ასევე თავისთავად ჩაქრა. ხალხი სულ უფრო და უფრო იშვიათად ხდება ავად — ასე რომ საფრთხე აღარავის ემუქრება. ცხოვრება თანდათანობით ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა და ქალაქმაც, მიუხედავად ამდენი უბედურებისა და გაჭირვებისა, ნელ-ნელა აღრინდელი სახე დაიბრუნა, გლეხები თავიანთ გადამწვარ სახლ-კარს დაუბრუნდნენ, ყველაფერი ხელახლა აღადგინეს და ქვეყანაც ცოტოტობით წელში გაიმართა და ძალა მოიკრიბა, თუმცა ჯერჯერობით ირგვლივ მაინც სილატაკია. ომმა სახელმწიფოს დიდძალი ვალები დაუტოვა, ხაზინა დაცარიელდა და ამიტომაც მოსახლეობას, როგორც დაწვრილებით ამიწერა ანსელმომ, დიდი გადასახადები აწევს კისერზე, მაგრამ, რაც გინდა თქვი და, მშვიდობა მაინც მშვიდობაა და, როგორც კი სულს მოვითქვამთ, ყველაფერი ძველ კალაპოტში ჩადგე-

ბა, ხალხი გულს არ იტეხსო, დასძინა ანსელმომ და კეთილი სახე სიამოვნებისაგან გაეზარდა.

ანსელმო მართობს თავისი დაუსრულებელი ყბედობით, მეტ ვუსმენ, სხვა რა ჩარა მაქვს, ვინა მყავს ხმის გამცემი? თუქცა, უნდა ვთქვა, რომ მისი ყბედობა ძალზე მომქანცველია აი, ამას წინათაც შემოვიდა და გამომიცხადა, ვენეციის დიდი ვალი ბოლოს და ბოლოს გადავიხადეთ და ქვეყანამ, როგორც იქნა, მძიმე ტვარათი მოიცილაო. უკვე იგრძნობა რაღაც შეღავათი და მძიმე განსაცდელისა და გამოცდის შემდეგ, დრო უკეთესობისაქენ იცვლებაო. ეს ყველაფერს ეტყობა, ასე განსაჯეთ, კამპანილეს მშენებლობაც კი განაახლეს ამდენი წლის შემდეგ და, იმედი აქვთ, სამუშაო მალე დასრულდებაო. ეს კი ჩავიწერე, მაგრამ არ ვიცი; ღირს თუ არა. ასეთ რამეებზე ყურადღების გამახვილება.

განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებო კი, როგორც უკვე ვთქვი, არაფერი ხდება.

ვზივარ ჩემს ჭურღმულში და მოუთმენლად ველი, როდის შემოციადგება მზის სხივი, და როდესაც იგი ბოლოს და ბოლოს საჩემელს მოადგება, მაშინლა ვხვდები, რომ აღარაფერი მაქვს დასაწერი, მაშასადამე, ქალაქსაც ვერაფერს გავანდობ, ჩემი კალამი უქმად დევს და მე ხელის განძრევაც კი მეზარება.

ჩემმა ჩანაწერებმაც თავი მომაბეზრა, იმიტომ რომ დილეგში ვარ გამომწყვდეული და აქამდე ახალი არაფერი აღწევს.

ხელ მოხდება კამპანილეს საზეიმო კურთხევა და პირველად დაარისხებენ ზარებს. ზარები ნაწილობრივ ვერცხლისაგან არის ჩამოსხმული, ვერცხლი ხალხმა შემოსწირა, რადგან საერთო აზრით, იგი უფრო წკრიალა ხმას გამოსცემს.

კურთხევას ჰერცოგი და მთელი სასახლის კარი დავსწრება. კურთხევა შედგა. რაღას არ ჰყვებოდა ამაზე ანსელმო.

ეს გასაოცარი და დაუვიწყარი მოვლენა იყო, და უამრავი ხალხიც ესწრებოდაო, უთქვამთ თურმე მნახველებს. ქალაქის მთელი მოსახლეობა იქ მოაწყდაო, ჰერცოგი ქუჩაში ქვეითად მიდიოდა და წინ უძღოდა დიდებულებს, უკან კი მილეთის ხალხი მიჰყვებოდა. რადგან ყველას სურდა ენახა თავისი მბრძანებელი და დასწრებოდა საზეიმო ცერემონიას. ჰერცოგი თურმე ძალზე სერიოზული იყო. ისევ ისე ტანადი და მოქნილი ჩანდა, თავადაც და მთელი მისი ამაღაც საუცხოო მდიდრულ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი; ტაძარში რომ შევიდა, ჰერცოგმა, პირველ ყოვლისა, მეუღ-

ლის ცხედართან მოიყარა მუხლი, შემდეგ კი საკურთხეველს მიეახლა, სადაც ღვთისმშობლის ხატი ესვენა. დაიმუხლისთავა და მეტანია შეასრულა, სხვებმაც მუხლი მოიყარეს, ილოცეს და მერე ყველანი ისევ მოედნისკენ გაემართნენ, ამ დროს კამპანილაზე დაარისხეს ზარები, ეს ისე გულისშემძქრელი იყო თურმე. რომ ხალხი ადგილზევე გაირინდა, უხმოდ. სულთქმავსკრულნი უსმენდნენ სასწაულებრივ ხმებს. რომელიც თითქოს ცისქვეშეთიდან მოდიოდა. ხმა მთელ ქალაქს მოეფინა და ყველანი ზედნიერად გრძნობდნენ თავს. მდაბიორები ჰერცოგის ირგვლივ მოედანზე შეიკრიბნენ, ყოველნი ამბობდნენ, ეს ჩვენს ცხოვრებაში უბედნიერესი წუთიაო. ყოველ შემთხვევაში, ანსელმომ ასე გადმოშობა.

თვითონ მას, სამწუხაროდ, არ შეეძლო დასწრებოდა კამპანილეს გახსნას. რადგან სწორედ ამ დროს ტუსაღებისთვის საჭმელი უნდა ჩამოერიგებინა და, იძულებული იყო, აქედან ესმინა ზარების წკრიალა ხმა, მოედნიდან რომ მოისმოდა. პირველად რომ შემოჰკრეს ზარს, ანსელმო ჩემთან შემოიჭრა და მომაცვირა, დაიწყაო. ისე იყო აღელვებული, რომ კარიც კი არ მიუკეტია, რათა ზარების რეკა მეც მომესმინა. მე მგონია, ამ კეთილ კაცს თვალზე ცრემლიც მოადგა, ჭეშმარიტად ზეციური ხმებიო, წამისწამ იმეორებდა. ჩემი აზრით კი, ზარები ჩვეულებრივად გუგუნებდნენ, განსაკუთრებული არაფერი შემიმჩნევია, ამიტომ ბოლოს, ანსელმო რომ ჩამომეხსნა, გამეხარდა კიდევ.

ვზივარ აქ კედელზე მიჯაჭვული, დღეები გარბის, მოხდენით კი არასოდეს არაფერი ხდება. გული გამოცარიელებული მაქვს, ცხოვრება უწინაარსო და მოსაწყენია, მაგრამ ბედს არ ვემდური, და სხვა დროის მოლოდინში ვარ, ეს დრო კი უეჭველად დადგება. ხომ არ შეიძლებოდა, მართლა და მართლა იმ აღაშინებებს აქ სამუდამოდ ჩავემწყვდიე! მე კიდევ მომიტემა საშუალება, განვაგრძო ჩემი ჩანაწერები დღის სინათლეზე, როგორც ოდესღაც. მე მათ კიდევ დავკვირდები.

რამდენადაც ჩემს ბატონს ვიცნობ, იგი დიდხანს ვერ გაძლებს უჩემოდ. მას უეჭველად გვერდით უნდა ჰყავდეს-თავისი ბრავო, თავისი ჭუჭა, არა, მე სრულებითაც არ ვდარდობ. მხოლოდ იმ დღეზე ვფიქრობ. როდესაც მოვლენ და ჯაჭვს ამხსნიან, იმიტომ რომ ჰერცოგი აუცილებლად გამოგზავნის ვინმეს ჩემ დასახსნელად.

პერ ლაგერკვისტი, XX საუკუნის შეედური ლიტერატურის ფართოდ აღიარებული კლასიკოსი, შეიძლება შევედაროთ საქვეყნოდ ცნობილ მის თანამემამულეებს, როგორც არიან: ავგუსტ სტრინდბერგი, სელმა ლაგერლოფი, ინგმარ ბერგმანი და სხვ. ლაგერკვისტის მემკვიდრეობა მრავალ ენარს მოიცავს — ლირიკას, პროზას, დრამატურგიას. იგი მსოფლიოს თითქმის ოცდაათ ენაზეა თარგმნილი.

ლაგერკვისტის პროზა დამუხტულია ღრმა ცხოვრებისეული შინაარსით, მწერლის ინტერესი მუდმივ ცხოვრებისეულ პრობლემებზე ერწყმის მის მისწრაფებას ისტორიულად გაიაზროს მოვლენები და ხასიათები. ლაგერკვისტის ფილოსოფიური მოტივები რომელიმე სისტემის ან დოქტრინის გამოხატულება კი არ არის, აღმოცენებულია მწერლის სურვილით, ჩასწვდეს ცხოვრების ისტორიულ და ფსიქოლოგიურ კანონზომიერებას.

პერ ფაბიან ლაგერკვისტმა (1891--1974 წ.) განვლო გრძელი და რთული ცხოვრებისა და შემოქმედების გზა. იგი დაიბადა ვეკშეში, რკინიგზელი მოსამსახურის ოჯახში. ახალგაზრდობის წლებში იყო უქსალის უნივერსიტეტის სტუდენტი ხელოვნებათმცოდნე, შემდეგ კი უკვე დამწყები პოეტი და პუბლიცისტი, რადიკალურ პრესაში თანამშრომლობდა.

საზღვარგარეთ — დანიაში, იტალიასა და განსაკუთრებით საფრანგეთში ცხოვრებამ შესაძლებლობა მისცა ახალგაზრდა ლიტერატორს უშუალოდ გასცნობოდა თანამედროვე ევროპულ მწერლობასა და ხელოვნებას, მართალია, თანამედროვე ლიტერატურულ მიმდინარეობებს ლაგერკვისტი ჯერ კიდევ სამშობლოშივე გაეცნო, მაგრამ ისინი მას არ აკმაყოფილებდა, გაცილებით უფრო მიმზიდველი ეჩვენებოდა ტრადიციული ფორმები, თუქცა უკვე მაშინ თავისუფლად უქუთავდებდა მათ, თუქცა ამას მისი მხატვრული ჩანაფიქრი მოითხოვდა.

თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ადრეულ პერიოდში — ათიან და ოციან წლებში — ლაგერკვისტმა,

სხვა შვედ მწერლებთან შედარებით უფრო მწვავედ გამოხატა პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებული ანტიმილიტარისტული შეხედულებები, მის ლირიკულ ნაწარმოებებში „ლექსები პროზად, პროზაში (კრებულები — „შიში“, „ქაოსი“); ნოველების ციკლში — „რკინა და ადამიანები“ და „ბოროტი ზღაპრები“, დრამებში — „ხეცის საიდუმლო“ და სხვა, სადაც მწერალი თავის გმირებს გარემოსთან კონფლიქტში წარმოგვი-სახავს. იმ ხანებში მწერლისთვის ყველაზე ახლოს იყო ექსპრესიონიზმი, რომელმაც მწვავედ გამოხატა ბურჟუაზიული სისტემის კრიზისის განცდა გამოწვეული პირველი მსოფლიო ომით და მისი შედეგებით.

ლაგერკვისტის პროზა დიდი მოვლენაა არა მარტო მეოცე საუკუნის სკანდინავიურ ლიტერატურაში, არამედ მსოფლიო ლიტერატურაშიც. მისი ვრცელი მოთხრობები „ბარაბა“, „სიბილა“ და „მარიამნა“, ანტიფაშისტური ნაწარმოებები — „ჯალათი“, რომანი „ჯუჯა“ და სხვა მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც. რუსულ, ლატვიურ, ესტონურ და ლიტვიურ ენებზე.

1951 წელს ლაგერკვისტს ნობელის პრემია მიენიჭა.

წინამდებარე წიგნში მკითხველი გაეცნობა ლაგერკვისტის რომანს „ჯუჯა“ (1944) მოქმედება მიმდინარეობს იტალიაში, აღორძინების ეპოქაში, მაგრამ მწერალი აქ უფრო თანამედროვეობას გულისხმობს. ქვეყნის გამგებელნი თავის ირგვლივ ბოროტებას თესავენ, თავის ბატონს — ჰერცოგს არ ჩამორჩება ჯუჯაც — სასახლის ტაყიმასხარა, თხრობა რომანში მისი პირით მიმდინარეობს და ეს, როგორც ჩანს, შემთხვევით არ ხდება. არცთუ ხანდაზმული, მაგრამ გამოცდილებით „დაბრძენებული“ ჯუჯა დარწმუნებულია, რომ ამქვეყნად პირველშობილების უფლება მას და მის თანამოგვარებებთ ეკუთვნით და თავისუფლად და გაშარკებულად ბაძავს ბატონების ქცევასა და ჩვეულებებს და აჩვენებს მათ ორჭოფულ ხასიათს, იმასაც, თუ როგორ ფარავენ ისინი თავის ნამდვილ სახეს.

ჯუჯა გარეგნულად ბავშვს წააგავს, მაგრამ ბავშვის სრული ანტიპოდი, მას შობითვე ბებერივით დანაოქებული სახე აქვს, ამიტომ არ შეუძლია იყოს გულუბრყ-

ვილო, უშუალო. არც თამაში ეჭერხება, სიტყვა თამაშს ჯუჯა განავრცობს ადამიანთა მოქმედების მრავალ სახეობაზე; ასტროლოგები ვარსკვლავობანას თამაშობენ, ჰერცოგი — ომობანას, ისევე, როგორც ბავშვები თამაშობენ თავიანთ თოჯინებთან. ჯუჯა პიკოლინოს აზრით, შის ირგვლივმყოფთა შორის „ნამდვილი ცხოვრებით“ მხოლოდ თვითონ ცხოვრობს. მაგრამ, თუმცა მას გაანჩნია ფილოსოფიურად მსჯელობის უნარი და მწვავედ აკრიტიკებს სასახლის ცხოვრებას, ძალა არ შესწევს ჩასწვდეს „რალაც დაფარულს“, არ შეუძლია, მაგალითად, გამოჩენილი მხატვრის მესირ ბერნარდოს მსგავსად გონების თვალთ აღიქვას ერთიანი, მთლიანი, განუყოფელი. ჯუჯას სჯერა, რომ მას ხელეწიფება შიში აღუძრას ადამიანებს, თუმცა, მათ არსებითად, საკუთარი თავისა და იმ „ჯუჯისა“ ეშინიათ, ყოველ მათგანში რომ ზის და მათივე სიმახინჯის განსახიერებას წარმოადგენს.

რომანს, როგორც ეს საერთოდ ლაგერკვისტს სჩვევია, იმედის შუქი მოსავს. ოპტიმისტური რწმენის მატარებელია მაესტრო ბერნარდო, რომლის სახეშიც შეიძლება ამოვიცნოთ ეპოქის დიდი მხატვარი ლეონარდო და ვინჩი. მოქმედების კაცი — მაესტრო ბერნარდო არასოდეს არის კმაყოფილი მიღწეულით, მიაჩნია, რომ ყველაფერი, რაც მისი ხელიდან გამოდის. — არ არის დასრულებული, ეს იმიტომ ხდება, რომ მასში ძლიერია ლტოლვა სრულყოფისაკენ. მისი ქმნილებები გენიალურობის ნიშნითაა აღბეჭდილი, თუმცა თვითონ მათ არ თვლის დასრულებულად. ეს მიუთითებს ადამიანის შესაძლებლობათა უსასრულობაზე. „მოუწვდომლისკენ“ სწრაფვის სიმბოლოდ იქცა მისი დიდი ტილო „საიდუმლო სერობა“.

მაესტრო ბერნარდომ შექმნა იმ დროისათვის შესაშური სამხედრო ტექნიკა, მაგრამ იგი კატეგორიულად წინააღმდეგია ომის და არ სურს რამე საერთო ჰქონდეს ამ ტექნიკის გამოყენებასთან.

უაზრო და სისხლისმღვრელი ომის სულისჩამდგმელად გვევლინებიან ჰერცოგი, სამხედრო პირები და დიდებულები, რომლებსაც ეს ომი მიაჩნიათ თავიანთი ვერაგული ზრახვების განხორციელების საშუალებად. ომის

თავგამოდებით მომხრეა ჯუჯაც; მკვლელობებს, ნგრევას, განადგურებას იგი აღფრთოვანებული მაცუტრებელივით აღიქვამს. მისთვის ყველაფერი მხოლოდ ამალელებელი სპექტაკლია, ოში უპირისპირდება ყოველდღიურ მოსაწყენ ცხოვრებას; ამასთან, ჯუჯა თვითონვე ილტვის ბრძოლსკენ, სწყურია ზოცვა, ელექტა, მასპობა, მაგრამ მის მიერ ომის განდიდება ირონიულ ხასიათს იძენს.

საყოველთაო ტრაგიზმი, რომელიც ომის სტიქიას ემსახურება, იმით არის ხაზგასმული, რომ აქ ქაოსში წრფელი სიყვარულისთვის ადგილი აღარ რჩება და ეს სიყვარული თავგანწირულად მიდის დაღუპვისაკენ. რომანში ამგვარი თავდადებული სიყვარულის განსახიერებაა ანჯელიკა და ჯოვანი, რომელთა ტრფობა დასაწყისშივე ჩაკვდა და დაიღუპა ჯუჯას აქტიური მონაწილეობით.

პესიმისტურ შეხედულებას, რომ სიცოცხლე ტანჯვათა უსასრულო მწკრივს წარმოადგენს და სიკვდილით მთავრდება, მწერალი უპირისპირებს სიცოცხლისადმი პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას, სიყვარულის განდიდების იდეას, რაც, მისი აზრით, ადამიანისთვის თავისუფლების მიმნიჭებელია. ლაგერკვისტის ჰუმანიზმი მებრძოლი სულისკვეთებით არის გაუღენთილი. არა კმარა აჩვენო ბოროტება, იგი უნდა დათრგუნო. დილეგში ჩადებული ჯუჯა, მკვლელი, დარწმუნებულია, რომ მას უეჭველად გაათავისუფლებენ, რადგან ხელისუფლება, რომელიც ძალმომრეობაზეა დამყარებული, მისი სამსახურის გარეშე ვერ გაძლებს.

„ჯუჯა“ თავისებური რომანი — გაფრთხილებაა, ერთგვარი მოწოდებაა სიფხიზლისადმი.

ს. ბ. № 1802

რედაქტორი ც. ჩხაიძე
მხატვარი ს. ცინცაძე
მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. შველიძე
კონტრ.-კორექტორი მ. ლალაძე
კორექტორი მ. შველიძე

გადაეცა ასაწყობად 28.02.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.07.87. ქალაქის
ზომა 60×90¹/₁₆. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი
10. საბ. ქალაქი № 2. სადგბაეგატარება 10,25, სააღრ.-საგამომცემლო თაბახი
9,24. ტირაჟი 30.000. შეეც. № 3394.

ფასი 90 კაპ. -

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი მშვიდობის გამზ. 28.
Издательство «Накадули», Тбилиси, пр. Мира 28.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.

Кутаисское полиграфическое производственное объединение
Государственного комитета по делам издательства, полиграфии и
книжной торговли Грузинской ССР.
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.